

თავი V

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

1.1. სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

1.1.1. საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 01)

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით;
- სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფილი იქნა იანვარში 687.0 ათასამდე პირი, თებერვალში - 686.4 ათასზე მეტი, მარტში - 686.4 ათასზე მეტი, აპრილში - 689.5 ათასზე მეტი, მაისში - 690.0 ათასზე მეტი, ივნისში - 691.6 ათასზე მეტი, ივლისში - 693.0 ათასამდე, აგვისტოში - 695.0 ათასამდე, სექტემბერში - 694.5 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში - 696.3 ათასზე მეტი, ნოემბერში - 697.1 ათასზე მეტი და დეკემბერში 697.3 ათასზე მეტ პირზე, ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა იანვარში 18.1 ათასზე მეტ პირზე, თებერვალში - 19.6 ათასზე მეტ, მარტში - 19.8 ათასზე მეტ, აპრილში - 19.9 ათასზე მეტ, მაისში - 20.0 ათასზე მეტ, ივნისში - 20.2 ათასზე მეტ, ივლისში - 20.0 ათასზე მეტ, აგვისტოში - 20.4 ათასამდე და სექტემბერში - 20.0 ათასზე მეტ პირზე; ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში - 20.0 - 20.0 ათასზე მეტ პირზე.
- 2014 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება მოიპოვეს საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა, თითოეულმა ოჯახმა 500 ლარის ოდენობით.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 1 334.9 მლნ ლარი.

1.1.2. სოციალური დახმარებები (პროგრამული კოდი 35 02 02)

- საანგარიშო პერიოდში საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 452.8 ათასზე მეტი ოჯახი, თებერვალში - 432.0 ათასამდე, მარტში - 436.3 ათასამდე ოჯახი, აპრილში - 433.2 ათასამდე ოჯახი, მაისში - 436.4 ათასამდე ოჯახი, ივნისში - 440.5 ათასზე მეტი ოჯახი, ივლისში - 438.7 ათასზე მეტი ოჯახი, აგვისტოში - 426.0 ათასზე მეტი ოჯახი, სექტემბერში - 428.4 ათასზე მეტი ოჯახი; ოქტომბერში - 422.8

ათასზე მეტი ოჯახი, ნოემბერში - 421.0 ათასამდე ოჯახი და დეკემბერში - 421.4 ათასამდე ოჯახი;

- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება გაეწია იანვარში 522 პირს, თებერვალში - 943, მარტში - 1 038, აპრილში - 958, მაისში - 892, ივნისში - 983, ივლისში - 1 060, აგვისტოში - 1 115, სექტემბერში - 979 პირს, ოქტომბერში - 1 062, ნოემბერში - 1 119 პირს და დეკემბერში - 1 160 პირს;
- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობით იანვარში უზრუნველყოფილ იქნა 213.6 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 216.5 ათასზე მეტი, მარტში - 216.4 ათასზე მეტი, აპრილში - 211.7 ათასზე მეტი, მაისში - 210.7 ათასზე მეტი, ივნისში - 212.1 ათასზე მეტი, ივლისში - 213.0 ათასზე მეტი, აგვისტოში - 213.9 ათასზე მეტი, სექტემბერში - 215.4 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში - 218.3 ათასამდე პირი, ნოემბერში - 218.4 ათასზე მეტი პირი და დეკემბერში - 218.7 ათასზე მეტი პირი;
- რეინტეგრაციის შემწეობა გაიცა იანვარში 266 ბავშვზე, თებერვალში - 269, მარტში - 271 ბავშვზე, აპრილში - 267 ბავშვზე, მაისში - 269 ბავშვზე, ივნისში - 276 ბავშვზე, ივლისში - 284 ბავშვზე, აგვისტოში - 287-ზე, სექტემბერში - 292 ბავშვზე, ოქტომბერში - 287 ბავშვზე, ნოემბერში - 288 ბავშვზე და დეკემბერში - 286 ბავშვზე;
- სოციალური პაკეტი იანვარში გაიცა 143.6 ათასზე მეტ პირზე, თებერვალში - 144.2 ათასზე მეტ, მარტში - 162.9 ათასზე მეტ, აპრილში - 163.0 ათასზე მეტ, მაისში - 162.7 ათასზე მეტ, ივნისში - 144.0 ათასზე მეტ, ივლისში - 162.6 ათასზე მეტ, აგვისტოში - 162.6 ათასზე მეტ, სექტემბერში - 162.1 ათასზე მეტ პირზე, ოქტომბერში - 161.8 ათასზე მეტ პირზე, ნოემბერში - 162.1 ათასამდე პირზე და დეკემბერში - 162.0 ათასზე მეტ პირზე;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა რაოდენობამ მიმდინარე წლის იანვარში შეადგინა 54.1 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 53.4 ათასზე მეტი, მარტში - 34.6 ათასზე მეტი, აპრილში - 34.4 ათასზე მეტი, მაისში - 34.4 ათასზე მეტი, ივნისში - 34.3 ათასზე მეტი, ივლისში - 34.1 ათასზე მეტი პირი, აგვისტოში - 34.0 ათასზე მეტი, სექტემბერში - 33.6 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში - 33.5 ათასზე მეტი, ნოემბერში - 33.3 ათასზე მეტი პირი და დეკემბერში - 33.2 ათასამდე პირი;
- შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით იანვრის თვეში დახმარება მიიღო 956-მა პირმა, თებერვალში - 946-მა, მარტში - 982-მა, აპრილში - 983-მა, მაისში - 977-მა, ივნისში - 998-მა, ივლისში - 994-მა, აგვისტოში - 999-მა, სექტემბერში - 998-მა პირმა, ოქტომბერში - 992-მა, ნოემბერში - 990-მა და დეკემბერში - 990-მა პირმა.
- მესამე და ყოველი მომდევნო ცოცხლდაშობილი შვილის დაბადების გამო ფულადი დახმარება მიიღო ივლისში - 134-მა პირმა, აგვისტოში - 500-მა, სექტემბერში - 771-მა, ოქტომბერში - 1 076-მა, ნოემბერში - 1396-მა და დეკემბერში - 1 400-მა პირმა;
- ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის და ომში დაღუპულთა თითოეული მარჩენალდაკარგულისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 1 198 პირზე;
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ხანდაზმულების, ოჯახურ მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველი და მიუსაფარი ბავშვებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 1 390 პირზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან.

სულ სოციალური დახმარებების პროგრამაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 614.9 მლნ ლარი.

1.1.3. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია:

- „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 300-მდე ბენეფიციარს. იანვარში – 240 ბენეფიციარს, თებერვალში – 245, მარტში – 243, აპრილში - 237 ბენეფიციარს, მაისში - 293-ს, ივნისში - 310 ბენეფიციარს, ივლისში - 300, აგვისტოში - 174, სექტემბერში - 326 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 330, ნოემბერში - 329 და დეკემბერში - 382 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 400-მდე ბენეფიციარს. იანვარში – 342 ბენეფიციარს, თებერვალში – 360, მარტში - 346, აპრილში - 380, მაისში - 430 ბენეფიციარს, ივნისში - 341, ივლისში - 335, აგვისტოში - 173 ბენეფიციარს, სექტემბერში - 378, ოქტომბერში - 294, ნოემბერში - 270, დეკემბერში - 851;
- „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 1300-მდე ბენეფიციარს. კერძოდ: იანვარში – 1 243 ბენეფიციარს, თებერვალში – 1 286, მარტში – 1 291, აპრილში - 1 331, მაისში - 1 321 და ივნისში - 1 248 ბენეფიციარს, ივლისში - 1 293, აგვისტოში - 825 ბენეფიციარს, სექტემბერში - 1 368 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 1 400, ნოემბერში - 1 394 და დეკემბერში - 1 427 ბენეფიციარს;
- „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 850 ბენეფიციარს. იანვარში – 604 ბენეფიციარს, თებერვალში – 676, მარტში – 696, აპრილში - 663, მაისში - 869, ივნისში - 922 ბენეფიციარს, ივლისში - 938, აგვისტოში - 892 ბენეფიციარს, სექტემბერში - 866 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 832, ნოემბერში - 799, დეკემბერში - 988 ბენეფიციარს;
- „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 150-მდე ბენეფიციარს. იანვარში – 126 ბენეფიციარს, თებერვალში – 128, მარტში – 139, აპრილში - 133, მაისში - 136, ივნისში - 140 ბენეფიციარს, ივლისში - 137, აგვისტოში - 145, სექტემბერში - 154, ოქტომბერში - 153, ნოემბერში - 161, დეკემბერში - 166 ბენეფიციარს;
- „მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 1 200-მდე ბენეფიციარს. იანვარში – 1 084, თებერვალში – 1 101, მარტში – 1 105, აპრილში - 1 110, მაისში - 1 132, ივნისში - 1 149 ბენეფიციარს, ივლისში - 653, აგვისტოში - 662 ბენეფიციარს, სექტემბერში - 1 199, ოქტომბერში - 1 198, ნოემბერში - 1 197, დეკემბერში - 1 200 ბენეფიციარს;
- „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია თვეში 340-მდე ბენეფიციარს. იანვარში – 340 ბენეფიციარს, თებერვალში – 342, მარტში – 337, აპრილში - 331, მაისში - 329, ივნისში - 325 ბენეფიციარს, ივლისში - 341, აგვისტოში - 339, სექტემბერში - 337 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 341, ნოემბერში - 349, დეკემბერში - 344 ბენეფიციარს;
- „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში სმენის აპარატებით უზრუნველყოფილ იქნა სულ 1341 ბენეფიციარი (მათ შორის 6 ცალი გაცემულ იქნა 2013 წლის ანალოგიური პროგრამის ფარგლებში შექმნილი რაოდენობიდან), „კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის ომპონენტის“ ფარგლებში შესყიდულ იქნა სულ 37 ცალი კოხლეარული იმპლანტი, ხოლო გაიცა 21 ბენეფიციარზე (დარჩენილი 16 იმპლანტი გაცემულ იქნა 2015 წელს), მორგება-რეგულირებით მომსახურებით მომსახურება გაეწია 31 ბენეფიციარს, ხოლო ლოგოპედიით მომსახურება გაეწია 76 ბენეფიციარს (შენიშვნა: ბენეფიციარის მომსახურების კურსი მოიცავს 12 თვეს. აქედან ზოგმა დაასრულა 12 თვიანი კურსი, ზოგს კი ჯერაც არ დაუსრულებია. 721 არის ამ 76 ბენეფიციარზე გაწეული შემთხვევების რაოდენობა); ყავარჯნებით, ხელმოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფილ იქნა 160 ბენეფიციარი.

-
- „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია თვეში - 60-მდე ბენეფიციარს. იანვარში - 43 ბენეფიციარს, თებერვალში - 53, მარტში - 56, აპრილში - 58, მაისში - 60 ბენეფიციარს, ივნისში - 62, ივლისში - 66, აგვისტოში - 59 ბენეფიციარს, სექტემბერში - 53, ოქტომბერში - 58, ნოემბერში - 53 ბენეფიციარს;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 75-მდე ბენეფიციარს. მაისში მომსახურება გაეწია 74 ბენეფიციარს, ივნისში - 80, ივლისში - 56-ს, აგვისტოში - 56 ბენეფიციარს, სექტემბერში - 75, ოქტომბერში - 83, ნოემბერში - 81 ბენეფიციარს;
- „ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში ივლისში მომსახურება გაეწია 53 ბენეფიციარს, აგვისტოში - 12 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 39, ნოემბერში - 15 ბენეფიციარს, დეკემბერში - 17 ბენეფიციარს;
- „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში ყოველთვიურად მონაწილეობას იღებდა 10 სურდო-თარჯიმანი;
- „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია სულ - 1 310 ბენეფიციარს.

1.2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

1.2.1. ჯანმრთელობის დაზღვევა (პროგრამული კოდი 35 03 01)

- განხორციელდა სამიზნე ჯგუფების მათ შორის, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების, დევნილი მოსახლეობის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების. ასევე, 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში იანვარში დაფინანსებული იქნა 1 070.6 ათასზე მეტი ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია, თებერვალში - 1 072.6 ათასზე მეტი, მარტში - 974.0 ათასზე მეტი ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია, აპრილში-542,1 ათასზე მეტი, მაისში-549,5 ათასზე მეტი, ივნისში-551,2 ათასამდე, ივლისში-520,0 ათასზე მეტი, აგვისტოში-510, 0 ათასზე მეტი ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 68.2 მლნ ლარი.

1.2.2 მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების 467.3 ათასამდე შემთხვევა, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების - 166.0 ათასზე მეტი, გეგმიური ქირურგიული მომსახურების(კარდიოქირურგიის გარდა)-71.4 ათასზე მეტი შემთხვევა, კარდიოქირურგიის - 2.3 ათასამდე, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის-48.9 ათასზე მეტი, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის - 31.6 ათასამდე შემთხვევა, გეგმიური ამბულატორიული მომსახურების -1.2 ათასზე მეტი შემთხვევა.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 335.6 მლნ ლარი.

1.2.3 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 03)

1.2.3.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

- „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში სხვადასხვა სახის სკრინინგული კვლევა ჩატარდა 60.0 ათასამდე ბენეფიციარს, მათ შორის, ძუძუს კიბოს სკრინინგი - 21.0 ათასზე მეტ ბენეფიციარს, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 23.0 ათასამდე, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 6.2 ათასზე მეტ, პროსტატის კიბოს სკრინინგი -6.1 ათასზე მეტ, ხოლო კოლონოსკოპიური სკრინინგი - 155 ბენეფიციარს.
- „0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში კონსულტირებულ იქნა 0-6 წლამდე ასაკის 2.9 ათასზე მეტი ბავშვი;
- „ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში კონსულტაცია გაეწია 628 ბავშვს; მათ შორის ჩატარდა ნევროლოგის კონსულტაცია, ძილის დარღვევების კვლევა - 607, ნეიროფსიქოლოგიური კვლევები -590, ეპილეფტოლოგიური და ელექტროფიზიოლოგიური კვლევები - 58;
- „ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ გამოკვლეულ იქნა 1448 პაციენტი, მათგან 1277-ს ჩატარდა პირველადი ეპილეფტოლოგიური სკრინინგი, 1078-ს ელექტროენცეფალოგრაფიული სკრინინგი, 1073-ს - ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება, ხოლო 1087-ს ეპილეფტოლოგიური დასკვნითი დიაგნოსტიკა.

1.2.3.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა: ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ (სამშობიარო-1 წლამდე ასაკი) 58.4 ათასზე მეტი აცრა, ჰეპატიტი B საწინააღმდეგოდ (სამშობიარო-1 წლამდე ასაკი) 56.8 ათასზე მეტი აცრა, პოლიომიელიტის საწინააღმდეგოდ (2 თვე-15 წლამდე ასაკი) 261.2 ათასზე მეტი აცრა, დიფთერია, ტეტანუსი, ყივანახველა, ჰეპატიტი „B“, ჰემოფილუს ინფლუენცა „B“ ტიპის საწინააღმდეგოდ (2 თვე-1 წლის ბავშვები) 154.2 ათასზე მეტი აცრა, დიფთერია, ტეტანუსის საწინააღმდეგოდ (1-6 წელი) ჩატარებულია 53.1 ათასამდე აცრა, ტეტანუსი-დიფთერიის საწინააღმდეგოდ (7-14 წელი) - 45.4 ათასამდე აცრა, წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგოდ (1-14 წელი და უფროსი) ჩატარებულია 167.3 ათასამდე აცრა, როტა ინფექციის საწინააღმდეგოდ (12-24 კვირა) ჩატარებულია 81.0 ათასამდე აცრა, დიფტერია-ყბაყურა-ტეტანუსის ვაქცინით ჩატარებულია 48.8 ათასამდე აცრა; პნევმოკოკური ვაქცინით ჩატარებულია (ერთ წლამდე ასაკი) 2.7 ათასზე მეტი აცრა;

- სპეციფიური შრატებისა და ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში შეძენილ იქნა: ანტირაბიული ვაქცინა – 195.0 ათასი დოზა, ცხენის სისხლის შრატზე დამზადებული ანტირაბიული იმუნოგლობულინი - 23.4 ათასი დოზა; ასევე, შესყიდულ იქნა სხვადასხვა სახის სპეციფიკური შრატები და ვაქცინები;
- დაფიქსირდა დიფტერიის 2, ტეტანუსის და ბოტულიზმის 7-7 შემთხვევა, ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი გაუკეთდა 150 ბენეფიციარს, ანტირაბიული იმუნოგლობულინი - 9.6 ათასზე მეტ ბენეფიციარს, ანტირაბიული ვაქცინა - 53.1 ათასამდე ბენეფიციარს, ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინა (10 დოზიანი) - 863 ბენეფიციარს;
- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მიღებული მედიკამენტების, შპრიცების, ვაქცინებისა და შრატების გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

1.2.3.3 ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

- სქესობრივად გადამდებ დაავადებათა, ნოზოკომიური ინფექციების, დიარეული დაავადებების, მენინგოენცეფალიტებისა და ჰემორაგიული ცხელებების ეპიდზედამხედველობის კომპონენტების ფარგლებში ტესტ-სისტემებისა და სახარჯი მასალების შესყიდვის ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ჰეპატიტების გავრცელების შესწავლა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ვირუსულ ჰეპატიტებთან და მის რისკ-ფაქტორებთან არასოცირებული დაავადებების მქონე პაციენტების გამოკვლევა ჰეპატიტების მარკერებზე (HBsAg, antiHBc და antiHCV). ჩატარდა 278 პაციენტის ტესტირება; B ჰეპატიტის მარკერებზე დადებითი გამოვლინდა 10 (3,5%) პირი (HbsAg – 1, Anti HBc - 9); C ჰეპატიტის მარკერზე (Anti HCV)-20 (7,1%). 2 პაციენტი დადებითი აღმოჩნდა როგორც B ასევე C ჰეპატიტის მარკერებზე;
- სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე გამოკვლეულ იქნა 61 პირი;
- ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტის ფარგლებში მიმდინარეობდა შერჩეული 7 სტაციონარული დაწესებულებების ინტენსიური თერაპიის/რეანიმაციის განყოფილებებში შეგროვილი საკვლევი მასალის მიკრობიოლოგიური გამოკვლევა და მიღებული ბაქტერიული კულტურების ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესწავლა, ჩატარდა 176 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა;
- მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა მალარიის 5 შემთხვევა, პროტოზოული დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად ჩატარდა სპეციალური სკრინინგული 1 431 კვლევა;
- მალარიის კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების ფარგლებში, განხორციელდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება.
- მიმდინარეობდა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევების რეგიონებიდან/რაიონებიდან შედეგების 10% გადამოწმება (სისხლის სქელი წვეთი და ნაცხები) ცენტრის ლაბორატორიაში და აგრეთვე პრეპარატების ხარისხის რეგულარული კონტროლი. სულ შემოსულია 396 პრეპარატი, აქედან ყველა მათგანის შედეგი იყო უარყოფითი;
- დიარეული დაავადებების ეპიდზედამხედველობის კომპონენტის ფარგლებში სულ განხორციელდა 241 მწვავე დიარეის შემთხვევის ლაბორატორიული გამოკვლევა, რაც დაგეგმილის 80,3%-ს შეადგენს. კვლევის შედეგად დადებითი გამოვლინდა: ადენოვირუსზე – 17 (7%), ნოროვირუსზე – 13 (5,4%) ხოლო როტავირუსზე – 46 (19%)

ნიმუში. იდენტიფიცირებულ იქნა სალმონელოზის (*Salmonella* spp.) 1 და შიგელოზის (*Shigella sonne-7; Shigella* spp.-1) -8 შემთხვევა. საანგარიშო პერიოდში, ქრონიკული დიარეის შემთხვევები არ დაფიქსირებულა;

1.2.3.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

- პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში განხორციელდა 56.4 ათასამდე დონაცია, მათგან 16.5 ათასზე მეტი იყო უანგარო დონორი. დონორული სისხლის ნიმუშების კვლევისას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა აივ-ინფექცია/შიდსზე სავარაუდო დადებითი 66 შემთხვევა, C ჰეპატიტზე სავარაუდო - 903, B ჰეპატიტზე - 625, ხოლო სიფილისზე კვლევისას 392 სავარაუდო შემთხვევა.

1.2.3.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

- პროგრამის ფარგლებში რიგ საწარმოებში ჩატარდა ჰიგიენური პირობების, კლინიკური პრობლემებისა და ტოქსიკოლოგიური გარემოს კვლევა და შეფასება.

1.2.3.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში 14 480 ბენეფიციარს გაეწია შესაბამისი მომსახურება, დაფინანსდა - 16 053 შემთხვევა.

1.2.3.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 48.3 ათასზე მეტი ამბულატორიული მომსახურების შემთხვევა, მომსახურება გაეწია 22.4 ათასამდე პაციენტს;
- სტაციონარული მომსახურება გაეწია 2.4 ათასზე მეტ პირს და დაფიქსირდა 120.1 ათასზე მეტი შემთხვევა;
- ჩატარდა 268 ქირურგიული ოპერაცია;
- ლაბორატორიული კონტროლის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 58.1 ათასზე მეტი ბაქტერიოკოპული კვლევა; სადიაგნოსტიკო კვლევა 37.2 ათასამდე, ხოლო ქიმიოკონტროლი - 21.0 ათასზე მეტი; ჩატარებული ბაქტერიოლოგიური (კულტურალური) კვლევების რაოდენობა - 15.3 ათასზე მეტი, ანტიბიოტიკომგრძობელობა I რიგის - 4797, ანტიბიოტიკომგრძობელობა II რიგის 1173.

1.2.3.8 აივ-ინფექცია/შიდსი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურების 33.8 ათასზე მეტი შემთხვევა და სტაციონარული მომსახურების 8.1 ათასამდე საწოლ-დღე. ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 2.6 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო სტაციონარულით - 443-მა პირმა;

- ჩატარდა 20.2 ათასზე მეტი სკრინინგული გამოკვლევა. ასევე ჩატარდა 13.4 ათასამდე ტესტის წინა და 13.3 ათასზე მეტი ტესტის შემდგომი კონსულტაცია და 67 კონფირმაციული კვლევა პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (პჯრ) მეთოდით.
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარდა 3 798 პატიმარს;

1.2.3.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ანტენატალური მეთვალყურეობით გათვალისწინებული 179.1 ათასამდე ვიზიტი; ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილლანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 57.9 ათასზე მეტი ახალშობილი;
- გენეტიკური პათოლოგიების გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 5.0 ათასამდე ორსულის სკრინინგული გამოკვლევა. დაფიქსირდა მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის 14.1 ათასზე მეტი შემთხვევა (მომსახურება გაეწია 2.8 ათას პირს);
- B ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათაშანგზე სწრაფი-მარტივი ტესტ-სისტემებით გამოკვლეულ ორსულთა რაოდენობა შეადგენს 48.8 ათასზე მეტ ორსულს. „B“ ჰეპატიტზე დაკონფირმირდა 947 ორსულის სისხლის ნიმუში, ხოლო სიფილისზე - 60 ორსულის სისხლის ნიმუში. B ჰეპატიტის იმუნოგლობულინი გაუკეთდა 984 ბენეფიციარს.
- ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილლანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 57.9 ათასზე მეტი ახალშობილი (59.9 ათასზე მეტი შემთხვევა).
- ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში, ქ. თბილისის სამშობიარო სახლებში პირველადი სკრინინგი ჩატარდა 21.8 ათასზე მეტ ახალშობილს. სმენის მეორადი სკრინინგი ჩატარდა 982 ახალშობილს, ასევე ტიმპანომეტრია ჩატარდა 1 024 ახალშობილს, კომპიუტერული აუდიომეტრული გამოკვლევა - 6 ახალშობილს.

1.2.3.10 ნარკომანია (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

- ჩამანაცვლებელი ნარკოტიკითა და სამედიცინო მეთვალყურეობით უზრუნველყოფილ იქნა 3.0 ათასზე მეტი ბენეფიციარი, ხოლო სტაციონარული დეტოქსიკაციითა და რეაბილიტაციით ისარგებლა 654 პაციენტმა.

1.2.3.11 ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 03 13)

- ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთათვის (რეზისტენტული და სენსიტიური) ფულადი წახალისების სქემის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ფინანსური წახალისება მიიღო 498-მა რეზისტენტულმა და 1 459-მა სენსიტიურმა პაციენტმა.

1.2.4 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 04)

1.2.4.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 04 01)

- ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 324-მა ბავშვმა, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 117-მა პაციენტმა, ხოლო ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 22.0 ათასზე მეტმა, ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 629 პაციენტს;
- ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურებით ისარგებლა (როგორც მწვავე, ისე ქრონიკული) 4.8 ათასამდე პირმა, მათ შორის, ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ფარგლებში დაფიქსირდა 454.7 ათასამდე საწოლ-დღე, ხოლო ფსიქიაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების ფარგლებში დაფიქსირდა 749 პირი და დაფიქსირდა 5.7 ათასზე მეტი საწოლ-დღე, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით მომსახურებით ისარგებლა 117-მა პირმა.

1.2.4.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 04 02)

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ 795 დიაბეტით დაავადებულმა ბავშვმა, ხოლო სპეციალიზირებული ამბულატორიული დახმარებით ისარგებლა 5.0 ათასზე მეტმა პაციენტმა.

1.2.4.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 04 03)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 19.4 ათასზე შემთხვევა და პროგრამით ისარგებლა 134-მა ბენეფიციარმა.

1.2.4.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 04 04)

- პროგრამის ფარგლებში ჰემო და პერიტონეული დიალიზით მკურნალობის პროგრამაში ჩართული იყო 2.5 ათასი პაციენტი; სულ დაფიქსირდა ჰემო და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფის 271.8 ათასზე მეტი შემთხვევა;
- დაფიქსირდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 28 შემთხვევა;
- განხორციელდა ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა.

1.2.4.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 04 05)

- ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 11.2 ათასზე მეტი ვიზიტი, 625 პაციენტს გაეწია შესაბამისი მომსახურება;

- ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 5.0 ათასამდე საწოლ-დღე, მომსახურება გაეწია 592 პაციენტს.

1.2.4.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 04 06)

- პროგრამის ფარგლებში სტაციონარული მომსახურება გაეწია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის 322 ბავშვს, ხოლო ამბულატორიული მომსახურება - 149 ბავშვს;
- ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია - 257 პაციენტს, დაფიქსირდა 6.3 ათასამდე შემთხვევა.

1.2.4.7 სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 04 07)

- პროგრამის ფარგლებში რეფერალური დახმარება გაეწია 22.6 ათასზე მეტ პაციენტს, ხოლო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების პროგრამა მოემსახურა 476.2 ათასზე მეტ გამოძახებას;
- რეგიონებს და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს (გარდა თბილისისა) ამ ეტაპზე ემსახურება 217 ბრიგადა;
- 2014 წლის აპრილიდან სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ ახორციელებს საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდებას.

1.2.4.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 04 08)

- სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა). ასევე გათვალისწინებულია სპეცდაფინანსება მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის;
- პროგრამის ფარგლებში კონტრაქტით აყვანილია 2.7 ათასამდე ექიმი და ექთანი;
- სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 20.3 მლნ ლარზე მეტი.

1.2.4.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 04 09)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების 9.2 ათასზე მეტი შემთხვევა, მომსახურება გაეწია 7.3 ათასამდე პაციენტს.

1.2.4.10 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 04 10)

- პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულიად გამოკვლეულ იქნა 22.1 ათასამდე წვევამდელი. ჩატარდა 1 473 წვევამდელის დამატებითი სტაციონარული გამოკვლევა.

1.2.6 სამედიცინო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით, სამედიცინო დაწესებულებების ფინანსური ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 35 03 06)

- „ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 20 თებერვლის №309 განკარგულების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში მიიძარათა 4 954.7 ათასი ლარი.

1.3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახური;
- ✓ სსიპ - ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი.
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

1.3.1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 35 01 01)

- მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია, აგრეთვე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები;
- „2013-2014 წლებში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1946 განკარგულების საფუძველზე შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა მიუსაფარი პირების დასახმარებლად, კომპაქტურად მოწყობილი თავშესაფრების ტერიტორიაზე, სამედიცინო პუნქტის მოწყობა, სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მიმაგრება, დაახლოებით 240-მდე ბენეფიციარის მედიკამენტებით, საკვებით, ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა და ადგილზე 24 საათიანი მორიგეობა.

1.3.2 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 02)

- მიმდინარეობდა სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი;
- შემოწმდა 338 სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი. სალიცენზიო, სანებართვო და ტექნიკური რეგლამენტის პირობები შესწავლილ იქნა 194 სამედიცინო დაწესებულებაში. სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია გაცემულ იქნა 15 დაწესებულებაზე.
- 134 ფარმაცევტულ დაწესებულებაში განხორციელდა 578 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა; 220 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი ლაბორატორული ანალიზისთვის გადაეგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს;
- მომზადდა და გაიცა 226 წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებებისა იმპორტსა და ექსპორტზე;
- კონტროლის ღონისძიებების შედეგად ჩამორთმეული იქნა 73.4 ათასამდე ერთეული (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა) აღრიცხვის დადგენილი წესის დარღვევით არსებული ფარმაცევტული პროდუქტი;
- განხილულ იქნა 242 სააკრედიტაციო განაცხადი, განხორციელდა 102 სააკრედიტაციო ვიზიტი, ადგილზე შესწავლილ იქნა 312 დაწესებულება, მათ შორის 273 აფილირებული დაწესებულება. საანგარიშო პერიოდში პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომებზე განხილულ იქნა 122 საკითხი; 49 სასწავლებელს/დაწესებულებას მიენიჭა აკრედიტაცია დიპლომისშემდგომ მზადებაზე 46 სარეზიდენტო პროგრამაში; 5 სამედიცინო დაწესებულებას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე 5 სარეზიდენტო პროგრამაში. 10 აკრედიტებულ დაწესებულებაში განხორციელდა კვოტის ცვლილება 14 სარეზიდენტო პროგრამაში, 2 აკრედიტებულ დაწესებულებას 2 სარეზიდენტო პროგრამაში გაუუქმდა აკრედიტაცია. 7 აკრედიტებულ დაწესებულებას/სასწავლებელს 13 სარეზიდენტო პროგრამაში შეუმცირდა კვოტა/ლიმიტი.
- სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საკითხები შემოწმდა 73 დაწესებულებაში. განმეორებით გამოკვლევაზე გადაიგზავნა სულ 1 194 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მათ შორის სტატუსი დაუდასტურდა 1 071 შშმ პირს, არ დაუდგინდა 30 შშმ პირს, სტატუსი შეეცვალა 21 შშმ პირს, გადამოწმებაზე არ გამოცხადდა 72 შშმ პირი;
- პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ განხილულ იქნა 293 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.

1.3.3 დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 35 01 03)

- მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;
- უზრუნველყოფილია ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა;
- განხორციელდა ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა;
- მიმდინარეობდა იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და მისი განხორციელების ზედამხედველობა;
- განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე ვაქცინების „ცივი ჯაჭვის“ სისტემის ფარგლებში შექმნილი იქნა სპეციალური ავტომატქანა.

1.3.4 სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 04)

- მიმდინარეობდა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება, შესაბამისი საინფორმაციო ბაზების შემუშავება და მართვა;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოციალური დახმარების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული) დახმარების მიმღებ ბენეფიციართა დადგენა, აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;
- შეიქმნა ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკი;
- განხორციელდა მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა და მათი განხორციელების მონიტორინგი.

1.3.5 სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 05)

- ტრეფიკინგის მსხვერპლებს გაეწიათ სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება;
- განხორციელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებით და სხვა სერვისებით მომსახურება:
 - ✓ ცხელი ხაზის მომსახურებით ისარგებლა 1 182 მოქალაქემ;
 - ✓ თავშესაფრების მომსახურებით ისარგებლა ოჯახში ძალადობის 47-მა სრულწლოვანმა და 67-მა არასრულწლოვანმა;
 - ✓ მსხვერპლებს გაეწიათ შემდეგი სახის დახმარებები: სამედიცინო – 36 ბენეფიციარს, ფსიქოლოგიური - 39 ბენეფიციარს, იურიდიული დახმარება – 20 ბენეფიციარს, ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 19 მოქალაქეს;
 - ✓ სასამართლოში წარსადგენად მომზადდა 1 განცხადება თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან ფართის გამოყოფა/გამიჯვნასთან დაკავშირებით, 6 განცხადება დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით 1 ქონებრივი დავა, 2 ალიმენტის მოთხოვნასთან დაკავშირებით და 1 ბავშვის საცხოვრებლის განსაზღვრასთან დაკავშირებით.
- განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ხანდაზმულთათვის და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების ინსტიტუციონალური პატრონაჟი – მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, დღის და სადღეღამისო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები. შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნა ბავშვთა სახლებში, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატებში, ჩვილ ბავშვთა სახლში, ბავშვთა კრიზისულ ცენტრებში განთავსებული 569 ბენეფიციარი.

1.3.6 სამედიცინო მედიაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 06)

- მიმდინარეობდა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში დაზღვევის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი, დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით არსებული 66 სარჩელის განხილვა;
- მოსახლეობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული სადაზღვევო პირობების სრულყოფილ მიწოდებაზე მუდმივი ზედამხედველობისას, სახელმწიფო სადაზღვევო და ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში, სამსახურში დაფიქსირდა 7.5 ათასზე მეტი მომართვა. რიგი მომართვების შემთხვევაში იდენტიფიცირდა დარღვევა და დამრღვევ მხარეს გაეწია რეკომენდაცია დარღვევის გამოსწორების თაობაზე.

1.3.7 ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 07)

- განხორციელდა ნარკომანიით დაავადებულ პირთა სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია, პროგრამაში ჩასართავ ბენეფიციართა რიგის ფორმირება;
- ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა სპეციალური პროგრამების მიმდინარეობის, მეთოდოლოგიური მონიტორინგისა და კოორდინაციის მიზნით შემუშავდა ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის შეფასების იდიკატორები და ელექტრონული მოდულის შესაქმნელად, პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ბაზისური ინფორმაცია.

1.3.8 სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 08)

- განხორციელდა მოსახლეობისათვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (გარდა თბილისისა);
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების მუშაობის რეგულარული მონიტორინგი და ხარისხის სისტემის დანერგვა;
- ცენტრის სასწრაფო სამედიცინო მზადყოფნის უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციებზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის;

1.4. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- განხორციელდა 82 ამბულატორიის საოფისე ინვენტარით, სხვადასხვა სახის სამედიცინო მოწყობილობებითა და საყოფაცხოვრებო ტექნიკით აღჭურვა;
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკის განახლება, შეძენილ იქნა საშუალო გამავლობის 80 და მაღალი გამავლობის 100 ავტომობილი. ასევე, სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის შეძენილი იქნა 4 ავტომობილი, საოფისე ინვენტარი, სამედიცინო პერსონალისათვის უნიფორმა;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში დაიწყო 220-ადგილიანი მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა;

- საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში (ვანი, დედოფლისწყარო, ლენტეხი, ხარაგაული, ლანჩხუთი) განხორციელდა სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი სამედიცინო აპარატურით;
- განხორციელდა დაბა გუდაურში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (ტრავმული) ცენტრის სარემონტო სამუშაოები და საოფისე ინვენტარითა და შესაბამისი სამედიცინო აპარატურით აღჭურვა;
- შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ჩატარდა 7 სამედიცინო დაწესებულების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები, საიდანაც 4 დაწესებულება წარმოადგენდა მრავალპროფილიან საავადმყოფოს გათვლილი 295 საწოლ/ადგილზე;
- ასევე განხორციელდა მეჯვრისხევის ლაბორატორიის გარე ფასადის სარემონტო და ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის შენობის დასრულების სამუშაოები.

1.5. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით (პროგრამული კოდი 27 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- მიმდინარეობდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო მომსახურების მომარაგება მედიკამენტებით, სახარჯი მასალებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით;
- გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში კვალიფიციური დახმარება (სტაციონარული და ამბულატორიული დახმარება) გაეწია 3.6 ათასამდე პატიმარს, ხოლო თავისუფლების აღკვეთ დაწესებულებებში სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების მიერ, პატიმრებს გაეწიათ 30.7 ათასამდე სამედიცინო კონსულტაცია;
- ანტიტუბერკულოზური მკურნალობის („DOTS” და „DOTS+”) საჭიროების მქონე პატიმართა რიცხვმა საპატიმრო დაწესებულებებში ტუბერკულოზის გავრცელების შემცირების ფონზე, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაიკლო 137 ერთეულით და შეადგინა 122 პაციენტი;
- დაიწყო C ჰეპატიტის პრევენციისა და მკურნალობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც პირველადი სკრინინგული გამოკვლევა გაიარა 8.7 ათასამდე პატიმარმა, აქედან სამედიცინო ჩვენებების გათვალისწინებით, დამატებითი კვლევები ჩაუტარდა 2.4 ათას პატიმარს, ხოლო მკურნალობა დაიწყო 289 პაციენტს;
- ქ. თბილისში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში გაიხსნა პირველადი ჯანდაცვის პუნქტი;
- განხორციელდა სასჯელაღსრულების ახლად რეაბილიტირებული ცენტრალური საავადმყოფოს აღჭურვა თანამედროვე სამედიცინო აპარატურით;

1.6. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;

- მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, პენსიონერთა და მათი ოჯახის წევრთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა მათი ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; მიმდინარეობდა პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი და მკურნალობის ხარისხის და ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და გატარება.

1.7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

- ექიმებთან მიღება გაიარა 94 427 პაციენტმა, სტომატოლოგიური მკურნალობა ჩაუტარდა 7 044 პაციენტს, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 3 838 გამოკვლევა, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 5 580 გამოკვლევა, ფიზიოთერაპიულ კაბინეტში ჩატარებულ იქნა 14 936 პროცედურა, რენტგენოლოგიურ კაბინეტში მიღებულ იქნა 16 474 პაციენტი, გაკეთდა 32 327 ლაბორატორიული ანალიზი, საინექციო კაბინეტში ჩატარდა 3 432 პროცედურა, მასაჟის კაბინეტში მიღებულ იქნა 5 383 პაციენტი, სულ კომისია გაიარა 4 763 პირმა. სტაციონალური სამედიცინო მკურნალობა გაიარა 1 060 პაციენტმა.

1.9. ვეტერანთა მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 29 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური.

- შეიქმნა ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სიტუაციური ანალიზი;
- შემუშავდა სახელმწიფო სტრატეგია ვეტერანების მიმართ 2020 წლამდე და სამოქმედო გეგმა 2015-2016წწ;
- ჩატარდა ვეტერანების გამოკითხვა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკურ ჰოსპიტალში სამედიცინო მომსახურება გაეწია 12 300 ვეტერანს, აქედან: 1 700 ვეტერანს ჩაუტარდა სტაციონალური მკურნალობა, ხოლო 10 600 ვეტერანს ამბულატორიული მკურნალობა; დაიბეჭდა ვეტერანის საყოველთაო ჯანდაცვის ბუკლეტები და მიეწოდა ვეტერანებს.
- შეიქმნა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი www.veterans.gov.ge
- ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები დაღუპულ გმირთა ხსოვნის პატივის მისაგებად.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2.1. შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი

- დამტკიცდა საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტი „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო“, რომელიც თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტებზე დაყრდნობით განსაზღვრავს პროგრამების შესაძლო სტრუქტურას და მოიცავს საჭირო მითითებებს;
- შემუშავდა და დამტკიცდა „ეროვნული სამხედრო სტრატეგია“-ის დოკუმენტი ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან კოორდინაციით. დოკუმენტი, არსებულ მდგომარეობაზე დაყრდნობით, აყალიბებს სშმ-ის სამხედრო მიზნებსა და ამოცანებს, თავდაცვის პრინციპებსა და საჭირო სამხედრო შესაძლებლობებს;
- შემუშავდა „საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო 2014-2016“ დოკუმენტის სამოქმედო გეგმა, რომელიც გადაგზავნილ იქნა ანტიკორუფციულ საბჭოში განსახილველად;
- შემუშავდა სამხედრო ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების სახელმძღვანელო „სამაგიდო წიგნის“ საბოლოო პროექტი;
- შემუშავდა „საომარი მდგომარეობის დროს სამოქალაქო ოფისის როლისა და ფუნქციების“ განმსაზღვრელი კონცეფციის პროექტი;
- შემუშავდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა, განისაზღვრა ქვრბ კუთხით თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე და სამომავლო პროექტები;
- ანალიტიკური კუთხით თავდაცვის სამინისტროში „საფრთხეების შეფასების“ ჯგუფის ფორმატში მომზადდა - 3 დოკუმენტი, 2 მონიტორინგის დოკუმენტი (საქართველოს უსაფრთხოების გარემო), 2 კვარტალური ანგარიში, 9 ანალიტიკური მიმოხილვა, 42 სპეციალური მიმოხილვა, 22 ანალიტიკური ბარათი, 31 მონიტორინგის დოკუმენტი, 190 საინფორმაციო ბარათი, 8 საინფორმაციო-ანალიტიკური ბარათი, 33 საინფორმაციო ბარათი, 182 ყოველდღიური საინფორმაციო ბარათი თავდაცვის მინისტრისთვის, სამოქალაქო ოფისისა და გენერალური შტაბისთვის;
- შემუშავდა და დამტკიცდა „კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის (2014-2016)“ დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო მექანიზმების ეფექტურად დანერგვისა და განვითარების ხედვას, რომელიც პასუხობს ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მსოფლიო გამოწვევებს კიბერსივრცეში;
- შემუშავდა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგია“ და მისი „სამოქმედო გეგმა“;
- შემუშავდა და ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა „თეთრი წიგნი“, რომელიც წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის 2013 წლის ანგარიშს;

- გაიმართა შეხვედრები სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან (არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი ექსპერტები) გამჭვირვალობისა და საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების რეკუტაციის ამდლების მიზნით, სადაც განიხილებოდა თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმები და დოკუმენტები;
- მომზადდა საზოგადოებასთან ურთიერთობის 2014 წლის გეგმა, სადაც გაწერილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის ღონისძიებები;
- მომზადდა მედია გეგმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით დაგეგმილ სამშვიდობო მისიაში ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობის გაშუქების შესახებ;
- ჩატარდა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია (GDSC). კონფერენციას დაესწრო 35 ქვეყნის წარმომადგენელი, ნატოსა და ევროკავშირის ექსპერტები;
- შემუშავდა შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის კონცეფცია;
- მომზადდა პროფესიულ შეიარაღებულ ძალებზე გადასვლის (2015-2017) სამოქმედო გეგმა და შესაბამისი გათვლები.
- ჩატარდა ფსიქოლოგიური ტრენინგები ISAF-ის მისიაში წარსაგზავნი მე-4 მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობის სპეციალური მომზადების კურსზე;
- თავდაცვის სამინისტრო გადავიდა სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი პრინციპით ანაზღაურების სისტემაზე;
- შემუშავდა პროფესიულ შეიარაღებულ ძალებზე გადასვლის გეგმის პროექტი;
- J-1 დეპარტამენტის პირადმა შემადგენლობამ მონაწილეობა მიიღო ნატო-ს ეროვნული სარეზერვო ძალების კომიტეტის (NRFC) შტაბის ოფიცერთა კონფერენციაში, სადაც გაიმართა „რეზერვისა და მობილიზაციის ტრანსფორმაციის კონცეფციის მიმოხილვის დოკუმენტის“ პრეზენტაცია;
- სახმელეთო ჯარების სარდლობაში განხორციელდა ცვლილებები და შეიქმნა ორი სტრუქტურული ერთეული, სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობა და სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობა, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მართვისა და კონტროლის მექანიზმების მაღალი დონის სტანდარტების მიღწევას და დასახული ამოცანების სწრაფად და ხარისხიანად განხორციელებას და მართვის დეცენტრალიზაციას;
- შეიარაღებული ძალების კავშირგაბმულობის ქვედანაყოფებში ჩატარდა მთავორიან და ტყიან პირობებში კავშირების უზრუნველყოფის სწავლება. სახმელეთო ჯარების საავიაციო და საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებში მიმდინარეობდა კავშირგაბმულობის მდგომარეობის შესწავლა;
- ჩატარდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კავშირგაბმულობის სწავლება „კავშირი-2014“ და კავშირგაბმულობის სიტუაციური სწავლება;
- შემუშავდა და დამტკიცდა სამხედრო დაზვერვისა და ოპერაციების უსაფრთხოების კონცეფცია;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სადაზვერვო დანაყოფების სიტუაციური სავლე სწავლება „გოდოგანი 2014“ და სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის შტაბს დაქვემდებარებულ სადაზვერვო დანაყოფებში სადაზვერვო სიტუაციური სწავლება „ტეხური 2014“;
- შემუშავდა სხვადასხვა ტაქტიკურ-ტექნიკური დოკუმენტები და დამტკიცდა სახელმძღვანელოები: „სამხედრო დაზვერვის ფორმალიზირებული დოკუმენტები“, „ინფორმაციის შეფასების სახელმძღვანელო, „კავშირგაბმულობა II ნაწილი - ტაქტიკური

რადიოსადგურები და მათი გამოყენება შეიარაღებულ ძალებში“. ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფცია;

- ჩატარდა სამხედრო წვრთნა და განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო სემინარები ბრიგადების და მის დაქვემდებარებაში მყოფი დანაყოფების შტაბების პირად შემადგენლობასთან;
- ჩატარდა სამთავრობო უწყებათაშორის სამეთაურო-სამშტაბო სწავლება „დიდგორი 2014“, რომლის მთავარი მიზანია კრიზისული და საომარი ვითარების დროს სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტებს შორის ურთიერთქმედების დახვეწა, მართვისა და კონტროლის სისტემების გაუმჯობესება და საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბების მომზადება;
- ჩატარდა საერთაშორისო სწავლება „ვიკინგი 2014“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, შვედეთის, ლატვიის, ლიტვის და აშშ-ის შეიარაღებული ძალების პირადმა შემადგენლობამ;
- მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო სწავლებებში: „COMBINED RESOLVE II“ და „CALLFAX“ - გერმანიის რესპუბლიკა, საქართველო - აშშ-ის ერთობლივი სწავლება „AGILE SPIRIT 2014.“. საერთაშორისო ქართული, თურქული, აზერბაიჯანული სამეთაურო-სამშტაბო სიმულაციური (JCATS) სწავლება „ETERNITY-2014“; თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ქართულ-ამერიკული სწავლება „CMEP-2014“; სშმ-მა მიიღო მონაწილეობა აშშ-ის ევროსარდლობის მიერ გერმანიაში ჩატარებულ კავშირგაბმულობის მრავალეროვნულ სწავლებაში „COMBINED ENDEAVOR-2014“;
- საზღვაო თავდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ოდესაში (უკრაინა) დაგეგმილ საზღვაო სწავლება „SEA BREEZ-2014“-ში და ქ. ბათუმში ფართომასშტაბიან ძებნა-გადარჩენის და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნებში „GEO SAR & OSREX 2014“.
- ჩატარდა ლოგისტიკის მართვის სამეთაურო-სამშტაბო სიმულაციური (JCATS) სწავლება;
- მოხდა ლოგისტიკური უზრუნველყოფის დოქტრინების (სტრატეგიული დონე) შემუშავება;
- შემუშავდა „სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარების სტრატეგიის 2014-2016“ და საჰაერო სივრცის კონტროლისა და საჰაერო თავდაცვის განვითარების გეგმების პროექტები;
- შემუშავდა ინფრასტრუქტურის განვითარების 2014-2015 წლების გეგმა, რომლის ფარგლებშიც პრიორიტეტად განისაზღვრა ყაზარმებისა და სასადილოების მოწესრიგება.
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები 2 ყაზარმასა და 1 სამშტაბო-ადმინისტრაციულ შენობაში, ხოლო მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ხორციელდებოდა 3 ყაზარმასა და 1 სამშტაბო-ადმინისტრაციულ შენობაში. ასევე, დასრულდა სარემონტო სამუშაოები 2 რეაბილიტაციის ცენტრში და 11 ობიექტზე მოწესრიგდა გარე წყალკანალიზაციისა და სასმელი წყლის სისტემები, 3 ობიექტზე განხორციელდა საქვაბე თბოქსელის და გაზიფიცირების სამუშაოები, 28 ობიექტზე დასრულდა გარე ელექტრო სამუშაოები;
- განხორციელდა მე-10 და მე-20 ბრიგადების რეზერვისტთა მომზადების ბაზების „სორტა“ და „პალდო“ საველე სასროლეთების რეაბილიტაცია;
- საანგარიშო პერიოდში რეაბილიტაციისა და პროთეზირების კურსზე აშშ-ში გაიგზავნა 10 სამხედრო მოსამსახურე, რომლებმაც სამშვიდობო მისიებში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგეს სხვადასხვა კიდური. ამისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან მიიმართა 2 990.8 ათასი ლარი;

- ეროვნულ დონეზე დამტკიცდა ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP 2014) თავდაცვის ნაწილი, აგრეთვე დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი (PARP) - 2014 წლის ყოველწლიური ეროვნული პროგრამა;
- გაიმართა წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხილვა ნატოს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენელთან; ქ. მონსში ნატოს ოპერაციების სარდლობაში (ACO) გაიმართა 2014-15 წლების ნატოსთან სამხედრო თანამშრომლობის გეგმის (MC+GEO Work Plan IP) განხილვა; დამტკიცდა ნატოს სამხედრო კომიტეტის + საქართველოს 2015/16 წლის სამუშაო გეგმა;
- ნატოს პარტნიორობის წვრთნებისა და განათლების (NATO/PFP) ცენტრი/საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში ჩატარდა ზამთრის შუალედური და საბაზისო საერთაშორისო კურსები;
- სპეციალური ოპერაციების ძალების სამშვიდობო ბატალიონმა გაიარა გადასროლის წინა მომზადება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში;
- ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში (CSDP) განხორციელდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ასეულის გადასროლა ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მისაღებად ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (EUFOR RCA), ქ. ბანგიში;
- განხორციელდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ასეულის გადასროლა გერმანიის შეიარაღებული ძალების საწვრთნელ ბაზაზე, შემდგომ უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების (ISAF) ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც წარმატებით დასრულდა 2014 წლის ოქტომბერში.
- 2014 წლის ბოლომდე საქართველო მონაწილეობდა უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების (ISAF) ოპერაციაში, ხოლო 2014 წლის შემდგომ ჩაერთვება - მტკიცე მხარდამჭერის მისიაში (Resolute Support Mission).

2.2. საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაერთიანება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი და სხვა სამსახურების მიერ გამოვლენილი დანაშაულისა თუ სამართალდარღვევების ცენტრალიზებული აღრიცხვა, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი;
- სისტემატიურად გაიცემოდა სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციები სხვადასხვა სამსახურებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული მოთხოვნების შესაბამისად. პერმანენტულად მიმდინარეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაგროვება და ანალიზი მაგალითად ოჯახურ კონფლიქტებთან და ძალადობებთან, საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევებთან დაკავშირებული ინფორმაცია. სტატისტიკისა და კრიმინალური სოციოლოგიის განყოფილებაში აღირიცხა 1 371 203 ადმინისტრაციული ოქმი, საკადრო შემოწმება გაიარა 136 409 პირმა, გაიცა ცნობა ნასამართლეობაზე – 121 282, ნასამართლეობაზე შემოწმდა და ოპერატიული შემოწმება გაიარა 119 687 პირმა, განხორციელდა 13 043 პირის იდენტიფიცირება, ინფორმაციულ ბაზასთან მიმართებაში ჩატარებულია 14 390-ზე მეტი სხვადასხვა ოპერაცია. ასევე სისტემატიურად

- ხორციელდებოდა მონაცემთა ბაზაში არსებული შეცდომების აღმოჩენა და სათანადო დანაყოფებისათვის გადაგზავნა შემდგომი რეაგირების მიზნით;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურებრივ რესურსებზე წვდომის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით ერთჯერადი პაროლის გენერაციის მოწყობილობები გაცემულია უფლებამოსილ თანამშრომლებზე – 3 424 ერთეული;
 - კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთის მიზნით საზღვრის უკანონო გადაკვეთაზე დაკავებულია 56 პირი, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევაზე - 72 პირი, დაფიქსირდა საჰაერო სივრცის დარღვევის 7 ფაქტი, საქართველოს საზღვაო სივრცეში გამოვლენილ იქნა სახელმწიფო საზღვაო საზღვრის დარღვევის 156 ფაქტი;
 - სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ საქართველოს საზღვაო სივრცეში დაფიქსირდა 108 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და გამოვლენილ იქნა სისხლის სამართლის 1 დანაშაული. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის ოდენობამ დაახლოებით შეადგინა 1.5 ლარი;
 - განხორციელდა სამაშველო ოპერაციები ზღვაზე ადამიანის ძებნის და მისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით;
 - დაკავებულთა ინფორმირებისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით, საქართველოს მასშტაბით ყველა დროებით მოთავსების იზოლატორში თვალსაჩინო ადგილას (საკნებთან და საგამოძიებო ოთახებთან), განთავსებულია ბრალდებულის სახით დაკავებულთა და ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა პროცესუალური უფლებების ნუსხა 4 ენაზე (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური);
 - „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების ფარგლებში, გაიმართა სამუშაო ჯგუფების შეხვედრები საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოსა და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტში;
 - განხორციელდა გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის დელეგაციის ვიზიტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. მხარეებმა გამოთქვეს შესაბამის სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი, განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალისტიკისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროებში;
 - განხორციელდა ავსტრიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში. ავსტრიულმა მხარემ წარადგინა ევროკავშირის საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის კოორდინაციის პროექტი (ILECU). მხარეები შეთანხმდნენ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე;
 - განხორციელდა თურქეთის ეროვნული პოლიციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოში. შეხვედრებზე თურქეთის ეროვნული პოლიციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების და ასევე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ კანონმდებლობას, მისი გამოყენების სპეციფიკასა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიას.
 - ქ. ანკარაში გაიმართა საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად დაფუძნებული ერთობლივი კომისიის შეხვედრა;
 - შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს, ასევე საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტურად იმპლემენტაციის მიზნით.

- საქართველოს მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განისაზღვრა არალეგალური მიგრაციასთან ბრძოლაში წამყვან უწყებად;
- განხორციელდა მასშტაბური ანტინარკოტიკული კამპანია სლოგანით „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“. კამპანიის ფარგლებში დამზადდა სატელევიზიო ვიდეორგოლები, დაიბეჭდა მაისურები, ბანერები, სამაჯურები, გულსაკიდები; ასევე, შს მინისტრმა და სამინისტროს წარმომადგენლებმა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართეს სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებში აკრედიტირებულ საქართველოს შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების (პოლიციის/უშიშროების ატაშეები) წარგზავნა, გამომდინარე აქედან სამინისტროს მიერ გამოყოფილ იქნა მათი შენახვისათვის, მგზავრობისათვის, განთავსებისათვის, პირველადი მოწყობისათვის და სხვა დამატებითი ხარჯებისათვის საჭირო ასიგნებები.
- მომზადდა დოკუმენტური გადაცემების ციკლი სახელწოდებით „იდენტიფიკაცია“, რომელიც ასახავს შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მუშაობას (9 სერია);
- დასრულდა კინოლოგიის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარება. კერძოდ, კეთილმოეწყო მთლიანი ტერიტორია, გარემონტდა ადმინისტრაციული შენობები მორიგე თანამშრომლებისთვის და ოდოროლოგიური ექსპერტიზის მიმართულებისთვის, ასევე რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ვეტერინარულ ბლოკს, რომელიც აღჭურვა საოპერაციო ინსტრუმენტებითა და ინვენტარით, გარემონტდა ვოლიერები, ძაღლებისთვის მოეწყო სავარჯიშო ტერიტორია;
- დასრულდა დაბა გუდაურში და საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში პოლიციის განყოფილების ახალი შენობების მშენებლობა;
- გაუმჯობესდა დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურა და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ახლად აშენებული მიგრაციის ცენტრი დაკომპლექტდა თანამედროვე აღჭურვილობითა და ინვენტარით;
- გარემონტდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგი ადმინისტრაციული შენობები;

2.3. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი;
- ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;

- გატარდა რიგი ღონისძიებები პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემაში მყოფ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების, მათი კვებითი უზრუნველყოფის და მოქალაქეთა მომსახურების სრულყოფისათვის;
- განხორციელდა სისტემური და სამართლებრივი ცვლილებები პრობაციის სისტემის სრულყოფისათვის. პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით ჩატარდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო და კულტურულ ღონისძიებები. სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ

აქტიურად ითანამშრომლა სხვადასხვა ორგანიზაციებთან პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობისათვის;

2.3.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით დასრულდა 2013 წელს დაწყებული N3 დაწესებულების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ინფრასტრუქტურა მოეწყო ევროპული სტანდარტების მიხედვით;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 12 დაწესებულებაში დასრულდა ცალკეული შენობების სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები; დასრულდა საბადრაგო სამსახურის ახალი შენობის მშენებლობა ქ. თბილისში; მიმდინარეობდა საბადრაგო სამსახურის ახალი შენობის მშენებლობა ქ. ბათუმში; დასრულდა ბრალდებულ არასრულწლოვანთა საცხოვრებელი კორპუსის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები; ხოლო N12 დაწესებულებაში მოეწყო გრძელვადიანი პაემნებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა;
- სამ დაწესებულების სამედიცინო ნაწილში მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთა გადაადგილებისათვის აუცილებელი პანდუსები. N3 დაწესებულებაში შეიქმნა საზოგადოებრივი მისაღები და გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილი;
- გაგრძელდა 2012 წელს დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში;
- დასრულდა N11 არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღების შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღებებში საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა 432.9 ათას მომსახურებაზე მეტი;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული და სახელობო სასწავლო პროგრამები, ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩაერთო 1720 მსჯავრდებული, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებაში - 300-მდე მსჯავრდებული და ბრალდებული;
- წლის მანძილზე განხორციელდა 46 ფსიქო-სოციალური პროგრამა, 32 სპორტული და 157 კულტურული ღონისძიება;
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში სამეურნეო მომსახურების კუთხით დასაქმდა 865 მსჯავრდებული ამასთან, დასაქმებული მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი იქნენ სპეციალური სეზონური ტანსაცმლით;
- ბრალდებულ/მსჯავრდებულებს განუახლდა რბილი ინვენტარის ნაწილი;
- თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილი იქნა სამედიცინო დაზღვევით, მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით.

2.3.2. სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - არასაკაპიტმო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

- პრობაციის სისტემის სრულყოფისა და მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის განვითარების მიზნით მიმდინარეობდა კომპლექსური მოქმედებები, მათ შორის: ინტენსიურად გრძელდებოდა მუშაობა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მეთოდოლოგიით;
- ქ. თბილისში ფუნქციონირება დაიწყო თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებამ;
- 3 პირობით მსჯავრდებულს დაუფინანსდა სწავლის საფასური უმაღლეს სასწავლებელში და 3 პირობით მსჯავრდებულს დაუფინანსდა ბიზნეს გეგმა, ხოლო დამატებით 2 პრობაციონერს, ბიზნეს გეგმა პრობაციის სააგენტოს რეკომენდაციით დაუფინანსა საქართველოს ბანკმა;
- გარემონტდა ბათუმის, ხულოს, შუახევის, თელავის, ქუთაისის, ტყიბულის და ზესტაფონის ოფისები. 2014 წელსვე დაიწყო ყაზბეგის გამზირზე მდებარე ცენტრალური ოფისის რემონტი;
- პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის, რესოციალიზაციისა და დასაქმების მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: „კავშირი ადამიანებისათვის, განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“, „ახალი გზა“, სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო, შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ და საერთაშორისო ორგანიზაცია „Hilfswerk Austria“;
- სამედიცინო მომსახურება გაიარა 100-მდე პრობაციონერმა;
- ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 1 665-მა, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამები - 807-მა პირობით მსჯავრდებულმა, საზოგადოებრივ კულტურულ საქმიანობაში ჩართული იქნა 2 315, ხოლო დასაქმდა 145 პირობით მსჯავრდებული.

2.3.3. უფასო იურიდიული დახმარება (პროგრამული კოდი 27 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

- საანგარიშო პერიოდში იურიდიული დახმარების ბიუროებმა წარმოებაში მიიღეს 10 993 სისხლის სამართლის საქმე, გაწეულ იქნა 20 732 კონსულტაცია, შედგენილ იქნა 3 752 იურიდიული დოკუმენტი.
- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის (ქ.თელავი) ბიურო გადავიდა ახალ, გარემონტებულ ოფისში და გაიხსნა საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი.
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამსახურმა 200-ზე მეტი სხვადასხვა ღონისძიება განახორციელა. 40-მდე სემინარი ჩატარდა სხვადასხვა საჯარო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის, 50-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაკებსა და მოსახლეობასთან, 40-ზე მეტი გასვლითი კონსულტაცია ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა, იმერეთის და აჭარის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში. მოეწყო ავტოტურები რაჭაში, გურიასა და სვანეთის მაღალმთიან სოფლებში. 30-მდე შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლების სტუდენტებთან, პრობაციონერებთან, სოციალურად დაუცველებთან და დევნილებთან.

მოეწყო სამუშაო შეხვედრა ცენტრალური და რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის.

- განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა გაიარეს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები პროფესიული ეთიკას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმების და სხვა საკითხებზე. ასევე, ევროკავშირის და UNICEF-ის მხარდაჭერით, 30-მა ადვოკატმა გაიარა გაძლიერებული ტრენინგები არასრულწლოვანთა მართლმასჯულების საკითხებზე.
- საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიხედვით, 2015 წლიდან, სამსახურის მანდატი გაფართოვდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეებზე, ასევე გარკვეული კატეგორიების სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.
- ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით განხორციელდა იურიდიული დახმარების სამსახურის ბიბლიოთეკების გამდიდრება. ABA-ის დახმარებით სამსახურს ასევე გადაეცა ვიდუო ლექციების პაკეტი და დისტანციური სწავლების ორგანიზებისათვის საჭირო ტექნიკა.

2.4. თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ ;
 - ✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;
 - ✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
 - ✓ სსიპ - მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი;
 - ✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
 - ✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
 - ✓ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი
- ჩატარდა ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დახარისხება, ფეთქებადი ნივთიერებების გადამუშავება, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო-ტექნოლოგიური სამუშაოები, ასევე განხორციელდა საბრძოლო იარაღის, მასალების, აღჭურვილობის შექმნა, აღდგენა, მოდერნიზება, ჰუმანიტარული განადმვითი სამუშაოები, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების შესყიდვა და დამონტაჟება, დამზადდა ჯავშანჭილეტების პარტია სამშვიდობო ასეულისათვის, დამზადდა ქართული წარმოების პისტოლეტის მუშა პროტოტიპი და დაიწყო მუშაობა დაცვის პოლიციის შეკვეთით საინჟინერიო მანქანის შეჯავშნაზე და შეკვეთილი სპეციფიკაციის მიხედვით ჯავშანმანქანების დამზადებაზე;
 - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა: სხვადასხვა სამეცნიერო თემატური კვლევები და კვლევების მეთოდების სრულყოფა; ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება; მოდიფიცირებული და ახალი ექსპერიმენტული ნიმუშების დამზადება და მათი ლაბორატორიული გამოცდა; ახალი ფუნქციონალური ლაბორატორიების შეიქმნა; სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებისათვის საექსპერტო სამუშაოების შესრულება;
 - დასრულდა აშშ-ს ბერკლისა და ბრუკჰავენის ნაციონალურ ლაბორატორიებთან პარტნიორობით მიმდინარე საერთაშორისო პროექტები, მიმდინარეობდა პროექტები შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით და ასევე, მომზადდა სამეცნიერო-ტექნიკური, საექსპერტო, შუალედური და ფინანსური ანგარიშები;

- გამოქვეყნდა სამეცნიერო პუბლიკაციები და ნაშრომები, მათ შორის საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში, გაკეთდა საპატენტო განაცხადები;
- ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები და ფორუმები, მომზადდა საექსპერტო დასკვნები;
- მონაწილეობა იქნა მიღებული საგანმანათლებლო და ახალგაზრდა მეცნიერების მომზადების პროცესებში;

2.5. გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს პროკურატურა

- განრიდებულ იქნა 203 არასრულწლოვანი და 1 987 სრულწლოვანი პირი. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ საქართველოს მასშტაბით მომსახურება გაეწია 15 703 პირს (3 618 დაზარალებულს, 3 447 მოწმეს, 1 803 ბრალდებულს, 5 114 განმცხადებელსა და 1 721 სხვა პირს);
- განხორციელდა პროექტი „საზოგადოებრივი პროკურატურა“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 163 ღონისძიება, მათ შორის, საგანმანათლებლო – 86, სპორტული – 41, კულტურული – 14 და სხვა. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო სულ 6 271 პირმა;
- პროკურატურის მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად მიმდინარეობდა პროკურორების მონიტორინგი სასამართლოში, ასევე, შესწავლილ იქნა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეები და ყოველივე აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე პროკურატურის თანამშრომლებისათვის განისაზღვრა ტრენინგსაჭიროებები. სულ წლის განმავლობაში ჩატარდა 68-მდე სასწავლო აქტივობა, სადაც კვალიფიკაცია აიმაღლა პროკურატურის 700 თანამშრომელმა;
- ძალადობრივი დანაშაულის შესწავლის და პრევენციული ღონისძიებების შესამუშავებლად შესწავლილ იქნა 3000-მდე სისხლის სამართლის საქმე, რის საფუძველზეც დაიწერა ანალიზი და განხორციელდა რიგი პრევენციული ღონისძიებებისა;

2.6. ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

- გამოცდილების გაზიარების მიზნით საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ბუდაპეშტში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით ჩატარებულ (FBI) ტრენინგზე, დუშანბეში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, სტრატეგიულ და ოპერატიულ საბაჟო რისკის მენეჯმენტთან დაკავშირებულ რეგიონალურ ტრენინგზე, მინსკში ინტერპოლის ორგანიზებით დაგეგმილ თამბაქოს დანაშაულთან დაკავშირებულ კონფერენციაში, ევროსაბჭოს ეგიდით კიევში ჩატარებულ კონფერენციაში თემაზე „ეკონომიკურ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად უკრაინის საგამოძიებო სამსახურის შექმნა“, ვენაში გამართულ საერთაშორისო სემინარში საზღვრისპირა თანამშრომლებზე ფულის გათეთრებასა და კორუფციის საქმესთან დაკავშირებით, ბრატისლავაში ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის სამდივნოს მიერ დაგეგმილ არაკომერციული ორგანიზაციების მიერ ტერორიზმის

დაფინანსებისათვის ხელის შეშლის პროგრამაში, რომში დამატებითი ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული დანაშაულის შესახებ სასწავლო კურსებზე;

- საგამოძიებო სამსახური ნაწილობრივ გადავიდა მართვის თანამედროვე პრინციპებზე, რამაც ხელი შეუწყო სამსახურის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აამაღლა გამოძიების ხარისხი.

2.7. ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

- უზრუნველყოფილ იქნა დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტებისა და ეროვნული საგანძურის ობიექტების დაცვა.

2.8. პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 27 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად საჭირო პოლიტიკის შემუშავება, ამავე მიზნით გაგრძელდა ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- სამინისტროს თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გადასვლა ახლად გარემონტებულ ადმინისტრაციულ შენობაში;

2.9. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ხომალდების აფრენა-დაფრენისათვის საჭირო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - ✓ საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;
 - ✓ საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში;
 - ✓ აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა;

- ✓ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა.

2.11. დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

- საგრანტო პროექტების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერებისთვის. ასევე, საგრანტო პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიმართულია საქართველოში ტრეფიკინგის პრევენციაზე, გამოვლინდა ერთი გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს პროექტს აჭარის რეგიონში;
- გამოცხადდა ორი საგრანტო პროგრამა: „ყოფილ მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა“ და „კანონთან კონფლიქტში მყოფი და დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების რესოციალიზაციის მხარდაჭერა“. კონკურსში გამოვლინდა 9 გამარჯვებული პროექტი და შესაბამის განმახორციელებლებთან გაფორმდა ხელშეკრულებები;
- საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად მომზადდა ერთობლივი სტრატეგია, რომელიც ეხება ყოფილი პატიმრების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობას. საწყის ეტაპზე გადამზადებაში ჩართული იყო 18 ყოფილი პატიმარი და აქედან სწავლება წარმატებით გაიარა 13 ყოფილმა პატიმარმა;
- საგრანტო პროგრამების ფარგლებში ფსიქოლოგიური დახმარება მიიღო 22 ყოფილმა პატიმარმა, სოციალური უნარების ტრენინგი გაიარა 40-ზე მეტმა ბენეფიციარმა. სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო 15 ყოფილი პატიმარი, რომელთაგან სტაბილურად დასაქმდა ორი. ბიზნეს-იდეა დაუფინანსდა 5 ბენეფიციარს. სულ ცენტრის დახმარებით დასაქმდა 138 ყოფილი პატიმარი;
- განრიდებულ იქნა 203 არასრულწლოვანი. აქედან, 8 არასრულწლოვანმა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული. 203 განრიდებიდან 36 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა მედიაციის 28 საერთო შეხვედრა (მათ შორის 6 იყო ჯგუფური მედიაცია, ხოლო დანარჩენი – ინდივიდუალური). განრიდებისა და მედიაციის საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერებისა და პროგრამაში მონაწილე პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ორგანიზებით და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგები, რომელთაც დაესწრო განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 50 პროფესიონალი. ასევე, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული რაიონული პროკურორებისა და პრობაციის ბიუროს უფროსებისათვის, რომლის ფარგლებშიც ტრენინგი გაიარა მენეჯერული პოზიციის მქონე 32 პროკურორმა და პრობაციის ბიუროს 12 უფროსმა;
- დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები სასჯელადსრულების დაწესებულებებში შეხვდნენ 800-მდე მსჯავრდებულს. დანაშაულის პრევენციის ცენტრში ფიქსირდება 497 ბენეფიციარის მომართვა, აქედან 44 ქალია. პარტნიორი ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების ხელშეწყობით, 105 ბენეფიციარმა მოიგვარა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და ისარგებლა უფასო მედიკამენტებით;

- რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს დაემატა 17 სოციალური მუშაკი, იურისტი და ხარისხის და მონაცემთა ბაზის მართვის მენეჯერი. ამჟამად სამმართველოს საქმიანობაში ჩართულია 23 სოციალური მუშაკი, 1 ფსიქოლოგი, 1 იურისტი, 1 ინოვაციური პროექტების მენეჯერი, კოორდინატორი და ხარისხის და მონაცემთა მართვის მენეჯერი;
- ფუნქციონირება დაიწყო სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფილიალებმა გორში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. ასევე, გაიხსნა მედიაციის სახლი ქალაქ თბილისში, ნამალადევის რაიონში;
- 2014 წლის 14 მაისს საერთაშორისო ორგანიზაცია „PH International“-ის მხარდაჭერით ამერიკელმა ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგი, სადაც თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა გაუზიარეს მედიატორებს;
- დანაშაულის პირველი დონის პრევენციის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროგრამები/პროექტები: „ლიდერთა სახლი“, „წერილები ჯარისკაცებს“, „ერთი დღე იუსტიციის სახლის თანამშრომლად“, „ორი თაობა“, „იმიტირებული სასამართლო პროცესი სკოლის მოსწავლეებისთვის“, „იურიდიული განათლების სემინარები 2014“. აღნიშნული პროგრამები გავრცელდა 13 ქალაქში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სულ 6.0-ზე მეტმა ადამიანმა.

2.12. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

- სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში განხორციელდა არსებული სტრატეგიული მარაგების სრულყოფილი მომსახურება. შესრულდა უიმედო დებიტორული დავალიანების ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის სამუშაოები;
- ჩატარდა საკონტროლო შემოწმებები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;
- მომზადდა და განხორციელდა სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის სასწავლო ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში. პოლონეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემუშავებულ იქნა სსიპ სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის განვითარების კონცეფცია;

2.13 კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;

- შესწავლილ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საგანმანათლებლო პროგრამები კიბერუსაფრთხოების სფეროში;
- განხორციელდა სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და მომზადება, კიბერუსაფრთხოების ტერმინოლოგიის განსაზღვრა და შემუშავება;

- მიმდინარეობდა კიბერუსაფრთხოების სფეროში უცხო ქვეყნების მიერ შემუშავებული სწრაფი რეაგირების და კოორდინირების ქმედებების, ცხელი ხაზის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესწავლა CSIRT-ის ერთიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით;
- სატესტო რეჟიმში ამუშავდა კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საკომუნიკაციო მომსახურების განყოფილება (Call Center);
- უზრუნველყოფილ იქნა ბიუროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

3.1.2. გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

- გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის ღონისძიებების ფარგლებში:
 - ✓ დასრულდა სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოები 2013 წლიდან 2014 წელს გარდამავალ ობიექტებზე;
 - ✓ 2014 წლის გეგმით გათვალისწინებული ახალი ობიექტების უმეტეს ნაწილზე დასრულებულია სამუშაოები, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობდა სამუშაოები;
 - ✓ მიმდინარეობდა ასფალტბეტონის ახალი საფარების მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნივთიერებების რეაბილიტაცია;
 - ✓ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით 2014 წელს ჩასატარებელი სამუშაოების ნაწილი დასრულებულია, დანარჩენზე მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.
- გზების მიმდინარე შეკეთებისა და შენახვა ზამთრის პერიოდში ღონისძიების ფარგლებში:
 - ✓ მიმდინარე შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს;
 - ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო სისტემების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კუთვნილების კეთილმოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობს ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოები.
- თბილისის შემოსასვლელი საავტომობილო გზის 15-21 კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის ფარგლებში მიმდინარეობდა გეოლოგიური კვლევის სამუშაოები.
- მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში: დასრულებულია ნაპირსამაგრი სამუშაოები 2013 წლიდან 2014 წელს გარდამავალ ობიექტებზე. 2014 წელს ჩასატარებელი სამუშაოების უმეტესი ნაწილი დასრულებულია, ნაწილზე სრულდება სამუშაოები.
- მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 132 კმ-ზე გველეთის ხიდის მშენებლობის ფარგლებში:
 - ✓ დასრულდა ხიდის შუალედი ბურჯებისათვის ხიმინჯოვანი საძირკვლების მოწყობის, განაპირა ბურჯის არმირების და ბეტონირების სამუშაოები, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირის სარეგულაციო კედლის მშენებლობა, მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები, ასევე ასფალტობეტონის საფარის საფუძვლისა და ქვესაფუძვლის მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრაობა გაიხსნა.
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის (კმ10-კმ23) მონაკვეთის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში:

- ✓ განხორციელდა არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები;
 - ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის (ჭრილები, ყრილები), წყალგამტარი მილების და ასფალტობეტონის საფარის საფუძვლის მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ განხორციელდა ერთ მალიანი ხიდის ბურჯების ფუნდამენტისთვის ქვაბულის ექსკავაციის სამუშაოები;
 - ✓ დასრულდა ხიდის ბურჯების საძირკვლების, საკარადე კედლების მოწყობის სამუშაოები, ასვე დასრულდა მალის ნაშენის მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ მოეწყო გზის გარკვეულ მონაკვეთებზე ასფალტობეტონის საფარი.
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის (მსოფლიო ბანკი) ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა 49.8 კმ შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზას, მათ შორის 32.0 კმ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას და 17.8 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზას.
 - შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის (მსოფლიო ბანკი) ფარგლებში: გაფორმდა 8 კონტრაქტი, 7 ობიექტზე მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო სასადილო-ორხვეი-ხევსურსოფელი ს/გზის კმ8.5-კმ21 და ორხვეი-სიონის ს/გზის კმ1-კმ2 მონაკვეთებზე შესრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - კახეთის რეგიონული გზების განვითარების პროექტის (სასადილო-სიონის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია) (მსოფლიო ბანკი) ფარგლებში: სასადილო-სიონის მონაკვეთზე მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და დაიგო 10 კმ ცემენტობეტონის საფარი, ასევე მიმდინარეობდა გურჯანი-ბაკურციხის მონაკვეთზე მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებები.

3.1.3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის კმ55-80 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში დასრულდა:
 - ✓ ბეტონის საფარზე დეფექტების გამოსასწორებელი სამუშაოები;
 - ✓ მიერთებებზე ასფალტობეტონის მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების სამუშაოები;
 - ✓ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის კმ55-80 უსაფრთხოების გაუმჯობესების მცირე მასშაბიანი პროექტი ეტაპი II-ს ფარგლებში:
 - ✓ დასრულდა ავტობუსის გაჩერებების და ავტოპავილიონების მოწყობის და საგზაო ნიშნებისა გზის კუთვნილებების მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ ავტობუსის გასაჩერებელი მოედნის ფარგლებში უსაფრთხო გადაადგილების მიზნით მოეწყო შემანალელებელი და ამაჩქარებელი ზოლები;
 - ✓ მოეწყო სადრენაჟე არხები;
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (სვენეთი-მდ. ლიახვის) კმ80-კმ84,75 (I ლოტი) მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) და თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვზე ხიდის) კმ84.75-კმ86.2 (II ლოტი) მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- ✓ სამუშაოები დასრულებულია და გზის ორივე მიმართულება ექსპლუატაციაშია;
 - ✓ დასრულდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი, კონტრაქტორის მიერ დეფექტებით შესრულებული ყველა სამუშაო გამოსწორებულია;
 - ✓ დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო ანგარიშსწორების სერთიფიკატის მომზადების პროცედურები.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვი-რუისი) კმ86,2-კმ94,531 (III ლოტი) მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკი) ფარგლებში:
 - ✓ ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და გზის ორივე მიმართულება ექსპლუატაციაშია;
 - ✓ დასრულდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
 - ✓ დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო ანგარიშსწორების სერთიფიკატის მომზადების პროცედურები;
 - თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-აგარა კმ95-114 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
 - ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, წყალგამტარი მილების, მიწისქვეშა გასასვლელებისა და ნახირსარეკების მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ გზაგამტარებზე ნაწილობრივ შესრულდა მალის ნაშენის გამაერთიანებელი ფილის მოწყობის სამუშაოები და საგზაო საფარის საფუძვლის მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ დასრულდა მდინარე ფრონეზე ორი პარალელური ხიდის მშენებლობა და მდინარე ფცაზე და რკინიგზის გზაგამტარზე წინასწარდამაბული კოჭების მონტაჟის სამუშაოები;
 - ✓ ნაწილობრივ დასრულდა ხიდებზე რკინაბეტონის გამაერთიანებელი ფილის მოწყობის სამუშაოები და ცემენტობეტონისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.
 - თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის აგარა-ზემო ოსიაური კმ114-126 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკი) ფარგლებში მიმდინარეობდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები.
 - საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამის (ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა) (აზიის განვითარების ბანკი) ფარგლებში:
 - ✓ ლოტი 1 - ახლად აშენებულ 12.4კმ მონაკვეთზე მოძრაობა გახსნილია;
 - ✓ მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრის ერთ წლიანი პერიოდი;
 - ✓ კმ30-კმ33 მონაკვეთზე შეფერხებით მიმდინარეობდა გაბიონის კედლების მოწყობის დარჩენილი სამუშაოები;
 - ✓ ლოტი 2 - მიმდინარეობდა ხიდების ნაბურღ-ნატენი რკინა-ბეტონის ხიმინჯების, როსტვერკების, კოლონების და რიგელების მოწყობის სამუშაოები. ასევე, მალის ნაშენის მოწყობის სამუშაოები, წინასწარდამაბული კოჭების დამზადება-მონტაჟი;
 - ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის, რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები.
 - ✓ დაიწყო გვირაბზე მიწის ექსკავაციის და პორტალების ფერდების გამაგრების სამუშაოები.
 - ✓ ნაწილობრივ შესრულდა ასფალტობეტონის საფარის საფუძვლის სამუშაოები და ნაწილობრივ მოეწყო ასფალტობეტონის საფარი.

- აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის (იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო) ფარგლებში:
 - ✓ ქუთაისის შემოვლითი გზის (კმ0+000-კმ17+300) მონაკვეთზე შესრულდა მიწის ვაკისის, წყალგამტარი მილების, მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები, კერძოდ, დასრულდა ხიდებზე მალის ნაშენის გამაერთიანებელი რკინაბეტონის ფილების და ნიუჯერსის ტიპის ბეტონის ბარიერების მოწყობის სამუშაოები, ბეტონის საფარის მოწყობის და ხიდებისა და გზაგამტარების მშენებლობა. აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრაობა გახსნილია;
 - ✓ ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის კმ0+000-კმ24+045 მონაკვეთზე მიმდინარეობდა და ნაწილობრივ დასრულდა მიწის ვაკისისა და წყალგამტარი მილების, მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები, კერძოდ, შესრულდა ხიდებზე ნაბურღ-ნატენი რკინა-ბეტონის ხიმინჯების როსტვერკების, ბურჯების მოწყობის სამუშაოები; ნაწილობრივ დასრულდა ხიდებზე მალის ნაშენის გამაერთიანებელი ფილების მოწყობის სამუშაოები; ნაწილობრივ შესრულდა ცემენტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები; მიმდინარეობდა მიწისქვეშა და საჰაერო კომუნიკაციების (ელ-ხაზების და გაზის მილების) გადატანის სამუშაოები;
 - ✓ დონორთან შეთანხმებით ქუთაისის შემოვლითი გზის 17.3კმ და ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის კმ14.8 მონაკვეთის ექსპლუატაციაში მისაღებად დასრულდა არსებული ბაშის გზის კმ2.1 მონაკვეთის რეკონსტრუქცია;
 - ✓ ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი ს/გზის (კმ0+000-კმ15+172) მონაკვეთზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის (ჰუმუსოვანი ფენის მოხსნა) სამუშაოები, მათ შორის მიმდინარეობდა ხიდებზე რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები; დაიწყო წყალგამტარი მილების მოწყობის და კომუნიკაციების გადატანის სამუშაოები; ნაწილობრივ შესრულდა ცემენტობეტონის საფარის საფუძვლის სამუშაოები.
- სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ0-კმ50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის (ევროპის საინვესტიციო ბანკი) ფარგლებში:
 - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი 1) კმ0+000 – კმ11+500 მონაკვეთზე დასრულდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები;
 - ✓ მიმდინარეობდა პროექტით გათვალისწინებული ადგილობრივი გზების მოწყობის და ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის სამუშაოები.

3.2. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“;
- ✓ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“;
- ✓ შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“;
- ✓ შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია“.

3.2.1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი - 25 03 01)

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული:
 - ✓ ქალაქებში: თელავში, ოზურგეთში, ზუგდიდში, გორში, ამბროლაურში, მცხეთასა და ახალციხეში ახალი მუნიციპალიტეტების ორგანოების განსათავსებლად საჭირო ადმინისტრაციული შენობების როგორც სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო მომსახურება, ასევე რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები;
 - ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარების მომსახურება;
 - ✓ ანაკლიაში მდებარე 2 ხუთსართულიანი კორპუსის ტერიტორიის კეთილმოწყობის და გარე კომუნიკაციების და სოფელ ჭითაწყარში მდებარე შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
 - ✓ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფახულანის თემის ცენტრიდან საბერიოს საზღვრამდე არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება;
 - ✓ ზუგდიდი-ჯვარი-მესტია ლასდილის გზის 126-128 კმ-ის მონაკვეთზე გზის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოები;
 - ✓ მარტვილის მუნიციპალიტეტის ტალერი-დიდი-ჭყონის მეურნეობის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
 - ✓ გაჭედილი-ბალდა-მამათა მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
 - ✓ დაბა ჩხოროწყუს გარახის უბანში 25 ადგილიანი (სეზონური გაფართოვებით - 50 ადგილი) საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა;
 - ✓ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა, მდინარე ხელედურზე საავტომობილო სახიდე გადასასვლელის მშენებლობისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;
 - ✓ ქალაქებში: ამბროლაურის და ახალციხის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები;
 - ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ როშკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმლა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა - რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;
 - ✓ თიანეთის მუნიციპალიტეტის ზარიძეების თემში შემავალი სოფლების წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ზარიძეების ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (საკრეჭიო, ხოფცა, ზარიძეები, ჯიჯეთი, ვერხველი, იარუჯელები) საავტომობილო გზების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;
 - ✓ სოფელ სიონის (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) ბაგა-ბაღის მშენებლობა;

- ✓ მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ წიწამურში მდებარე ილია ჭავჭავაძის ძეგლის კვარცხლბეკის, მისასვლელი კიბეების რეკონსტრუქციისა და მიმდებარე ტერიტორიის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ სოფელ წიწამურში, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან მისასვლელი საავტომობილო გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში დევნილთა დასახლების საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება;
- ✓ ქ. მცხეთაში, გმირის ქ. N16-ში მდებარე N3 ბაგა-ბაღის და სოფელ ძეგვის ბაგა-ბაღის რეაბილიტაციისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ. ქუთაისის შიდა ქუჩებზე გზების შეკეთება და ბეტონის საფარის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ ქალაქ სამტრედიაში, ვახტანგ ჩიქოვანის სახელობის ქუჩის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფლების: წასრი-ბეგიაურის დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზის, 1 621 მეტრი სიგრძის მონაკვეთის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქ. წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა 19-ში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 10 სახლიანი საცხოვრებელ უბანში სახლების სადარბაზოების ამოშენება-შემინვის სამუშაოები;
- ✓ ქ. ბათუმში, დევნილთა დასახლების 22 საცხოვრებელი კორპუსის საძირკვლების და კორპუსების გარე დამატებითი საჰიდროიზოლაციო სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ შუხუთი-აცანა-მამათი-ძიმითის გზის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოები;
- ✓ ქ. თბილისში გახოკიძის ქუჩაზე არალეგალ მიგრანტთა განთავსების ცენტრში სამზარეულოსა და სარდაფის ვენტილაციის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ სსიპ 112-ის ზარების მიმღები ალტერნატიული ცენტრის მშენებლობისათვის განკუთვნილ ნაკვეთთან მისასვლელი გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქ. თბილისში, 300 ადგილიანი სტუდენტთა სასახლის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;
- ✓ ქ. თბილისში, მიუსაფართა თავმესაფრის მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ✓ შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების შენობების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- ✓ ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ში მდებარე (ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლი“), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ ქ. თბილისში, თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები;

- ✓ ქ. რუსთავში, ყაზბეგის ქუჩა N1-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გაძლიერება-გამაგრების სამუშაოები;
- ✓ ქ. გარდაბანში გზის ორივე მხარეს ტროტუარების მოწყობა და სოფელ ლემშენიერაში შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები;
- ✓ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, დედათა მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისა და სანიაღვრე არხის მოწყობისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ✓ ქ. ბოლნისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის და გალექტიონ ტაბიძის ქუჩაზე ღია სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ ქ. ბოლნისის, პეტრე-პავლეს სახელობის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშვების ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ✓ სოფელ რომკასა და არხოტის სოფლების ახიელი-ჭიმდა-ამდას დამაკავშირებელი გზის მშენებლობისა და ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის /გარემოზე ზემოქმედების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადების და გზაზე განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ✓ გორის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტების სოფლებში დიდი ხურვალეთი, გუგუტიანთკარი, კოშკა, დიცი, ქვეში, ზარდიანთკარი, წალვლი, ატოცი და კნოლვეილექტრო ენერჯით მომარაგების და მაგისტრალური და წყალგამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, მაგისტრალური და წყალგამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია-მშენებლობა;
- ✓ სოფელ ტყვიავში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მშენებარე კლინიკის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების, გამყვანი კოლექტორის და წყალმომარაგების ახალი ჭაბურღილის მოწყობისთვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ გორის მუნიციპალიტეტის მერეთის ზონის (გამყოფი ხაზის მიმდებარედ) სოფლებში ჭაბურღილებისა და წყლის სადაწნევო რეზერვუარების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ ასპინძის მუნიციპალიტეტში ვანის ქვაბთა მამათა მონასტერსა და წუნდის ტაძართან მისასვლელი გზების რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შიდა გზებისა და საავტომობილო ხიდების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ✓ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფლების ბოდბისა და ბოდბისხევის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ✓ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში კულტურული ცენტრის შენობის რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

- ✓ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ქოჩების ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის მოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;
- ✓ სოფელ ატოცის ამბულატორიის მოწყობა;
- ✓ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დართლოში დადგენილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით განსახლების ერთჯერადი კომპენსაციების გაცემა.

3.2.2. რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 02)

- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მამათი-ძიმითის გზის რეაბილიტაცია, სამუშაოებზე საბოლოო ანგარიშსწორება და პროექტის აუდიტორულ შემოწმებაზე შესაბამისი მომსახურების შესყიდვა.

3.2.3. რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება (მსოფლიო ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 03)

- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება (მსოფლიო ბანკი) ქვეპროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოები დასრულდა 2014 წლამდე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ბოლო ეტაპის სამუშაოები. კერძოდ, განხორციელდა:
 - ✓ ქ. ზუგდიდში, შ. ხუბულავას ქუჩის რეაბილიტაცია;
 - ✓ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიისათვის კომპიუტერული აღჭურვილობის და ავეჯის შეძენა;
 - ✓ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შუხუთი-აცანა-მამათის გზის რეაბილიტაციის ბოლო ეტაპი და საბოლოო ანგარიშსწორებები;
 - ✓ ქ. ონში, ჩაჩაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;
 - ✓ განხორციელდა პროექტის აუდიტორულ შემოწმებაზე შესაბამისი მომსახურების შესყიდვა.

3.2.4. მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (აზიის განვითარების ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 04)

- მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (აზიის განვითარების ბანკი) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - ✓ თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტირება, შესყიდვები, მშენებლობის მართვა და ზედამხედველობა, ასევე, მონაკვეთის მოდერნიზაცია (I და III სექცია), გარდა აღნიშნულისა მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და მოქალაქეებზე შესაბამისი კომპენსაციების გაცემა;

- ✓ ანაკლიის ნაპირგამაგრების სამუშაოების პროექტირება და ზედამხედველობა;
- ✓ ანაკლიის ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობა II ფაზა;
- ✓ ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლადსილის გზის 74-80კმ, 89კმ (გვირაბის), 91-103კმ, 121-125კმ მშენებლობის ზედამხედველობა;
- ✓ თბილისის მეტროპოლიტენის მეორე ხაზის გაგრძელებისა და მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროექტირება, შესყიდვა, მშენებლობის მართვა და ზედამხედველობა;
- ✓ ბათუმის ნაპირგამაგრების პროექტის მომზადება, შესყიდვები, მშენებლობის მართვა და ზედამხედველობა;

3.2.5 რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (მსოფლიო ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 05)

- რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (მსოფლიო ბანკი) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - ✓ ქ. თელავში ბატონის სასახლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების და ბატონის ციხის ტერიტორიაზე ახალი მუზეუმის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების საპროექტო მომსახურება და ასევე, ბატონის ციხის (სასახლე) რესტავრაცია (ფაზა 2);
 - ✓ ქ. თელავში ქეთევან წამებულის ქუჩაზე არსებული „თელავის ხევის“ ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა და რეაბილიტაცია;;
 - ✓ ქ. თელავში ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაცია;
 - ✓ ქ. თელავის ცენტრალურ ნაწილში შენობების, ქუჩების, ქუჩების მიწისქვეშა კომუნიკაციების, ქუჩების გამწვანება-კეთილმოწყობის და სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ ახმეტის მუნიციპალიტეტში ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის პრობლემური მონაკვეთების რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და დეტალური საინჟინრო პროექტის შედგენის მომსახურება;
 - ✓ სოფელ იყალთოში ქვევრის სკოლა-სახელოსნოს „ქვევრის სახლის“ მშენებლობის საპროექტო მომსახურება;
 - ✓ იყალთოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკონსერვაციო-სარესტავრაციო დოკუმენტაციის დეტალური პროექტის მომზადება;
 - ✓ სოფელ დართლოს საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, რესტავრაციისა და ტურისტული ზონის მოწყობის სამუშაოები - ფაზა 2;
 - ✓ თუშეთის გზის უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;
 - ✓ დავით-გარეჯის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება;
 - ✓ ნინოწმინდის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება;
 - ✓ ძველი შუამთის, ახალი შუამთისა და იყალთოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები;

- ✓ კახეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების წყალმომარაგების პროექტების მომზადება;
- ✓ კახეთის რეგიონში ტურისტულ სექტორში მუშახელის განვითარებისა და უნარჩვევების გაძლიერების საკონსულტაციო მომსახურება;
- ✓ რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;
- ✓ სოფელ ველისციხეში „კახურ ტრადიციულ მეღვინეობასთან“ მისასვლელი გზის, სოფელ ნაფარეულში ტყუპების ძველ მარანთან მისასვლელი გზის, სასტუმრო „მუხმან ვაინს გეორგიასთან“ მისასვლელი გზის, სოფელ სანიორეში მდებარე ღვინის მარან „შატო თელავთან“ მისასვლელი გზის, ლოპოტის ტბასთან მისასვლელი შიდა გზების, ყვარელში „ილიას ტბასთან“ მდებარე სასტუმრო დურუჯთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და მშენებლობა;
- ✓ ქ. ყვარელში შპს „ყვარლის ბაგასთან“ მისასვლელი გზის, წყალმომარაგების, გაზმომარაგების და ტელეკომუნიკაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. თელავის შესასვლელში, სოფელ ვარდისუბანთან სამშენებლო ნარჩენების საყრელის ტერიტორიის გასუფთავება და აღდგენა;
- ✓ კახეთის ტურისტული რუკებისა და კახეთის გზამკვლელების გამოცემა (ბეჭდვა);
- ✓ ახმეტის მუნიციპალიტეტში ალავერდის სამონასტრო კომპლექსთან მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის (მაწვნის სახლი) აღჭურვილობის შექმნა - ლოტი 1;

3.2.6 რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) (მსოფლიო ბანკი) (პროგრამული კოდი 25 03 06)

- რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) (მსოფლიო ბანკი) ფარგლებში:
 - ✓ მომზადდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება „მოწამეთა“-ს სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის, კაცხის სამონასტრო კომპლექსის ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის, მამათა საცხოვრებლისა და მომლოცველთა სახლის რეკონსტრუქციისთვის;
 - ✓ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - გელათის მონასტრისთვის მართვის გეგმის მომზადება;
 - ✓ კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობა გელათის მონასტერთან; უბისას მონასტერთან;
 - ✓ წყალტუბოს წრიული გზის სანიაღვრე სისტემის და წრიული გზის საფარის რეაბილიტაცია (ფაზა 2);
 - ✓ ქ. წყალტუბოს „ცივი“ ტბის, ტბიდან გამყვანი არხების და ცენტრალური პარკის გზების, ბილიკების, სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (ფაზა 2);
 - ✓ ქ. წყალტუბოს კურორტის მართვის ოფისის, პარკში და ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე ზომის ტურისტული შენობა-ნაგებობების მშენებლობა, გამწვანება/კეთილმოწყობა და სარწყავი სისტემის მონტაჟი;

- ✓ წყალტუბოს წრიული გზის, ცენტრალური პარკის და ცივი ტბის ტერიტორიაზე გარე განათების რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. წყალტუბოს გამგეობის, საკრებულოს, რკინიგზის შენობის აღდგენის, თეატრის შენობების და მცირე ზომის საფეხმავლო ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქ. ვანის სახელმწიფო მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის და დამატებითი გამაგრებითი ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;
- ✓ ქ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაცია (მუზეუმის ახალი მინაშენის დასრულება) - ფაზა 2;
- ✓ რეგიონული განვითარების პროექტი II-ის ფარგლებში იმერეთის რეგიონში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;

3.2.13 განახლებადი ენერჯიების განვითარების პროგრამა (KfW) (პროგრამული კოდი - 25 03 13)

განახლებადი ენერჯიების განვითარების პროგრამა (KfW) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის 2008 წლის 18 აპრილს გაფორმებული განახლებადი ენერჯიის ფონდის (REF) მართვის მომსახურების შესახებ შეთანხმების მიხედვით (რომელიც ემყარება გერმანიის განვითარების ბანკთან (KfW) გაფორმებულ ხელშეკრულებებს), 2009 წლის 7 ივლისს გაფორმდა ჩარჩო ხელშეკრულებები სს „თიბისი ბანკთან“ და სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან“ რამოდენიმე ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციისათვის ინდივიდუალური სესხების გაცემის შესახებ.
- სესხების გაცემა ითვალისწინებს „რიჩეულა“, „ხადორი - 2“ და „ფშაველა“ ჰესების რეაბილიტაციას.

3.2.14 რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 14)

• რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ გორის რაიონის სოფლების: ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის, და ზემო ხვითის წყალსადენის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ მუხროვანის შიდა გზების რეაბილიტაცია (გარდაბნის მუნიციპალიტეტი);
- ✓ ქ. კასპში სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია;
- ✓ სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფლების ბოდბისა და ბოდბისხევის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა;
- ✓ ქ. გურჯაანში ბესიკის, ბარათაშვილის, ჭავჭავაძის ქუჩების და სოფელ მირზაანში შიდა ასფალტის საფარიანი გზის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ქუთაისში დონეცკის ქუჩის რეაბილიტაცია;

3.3. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

3.3.1 ქობულეთის წყალანარინების პროექტი (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ნიდერლანდების განვითარების საექსპორტო პროგრამა) (პროგრამული კოდი - 25 04 01)

- ქობულეთის წყალანარინების პროექტი (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ნიდერლანდების განვითარების საექსპორტო პროგრამა) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ქობულეთის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

3.3.2 წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (ევროპის საინვესტიციო ბანკი) (პროგრამული კოდი 25 04 02)

- წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (ევროპის საინვესტიციო ბანკი) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - ✓ ლანჩხუთის, ხაშურის მუნიციპალიტეტების დაბა სურამის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ზესტაფონის, ლენტეხის (II ეტაპი), ცაგერის სათავე ნაგებობის „ცივწყაროს“, ტყიბულის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის, ბაღდათის, ჭიათურის, კასპის ტერიტორიაზე, ქარელის ტერიტორიაზე (I ეტაპი), ჩოხატაურის (ფაზა 3), ურეკის, წალენჯიხის, თერჯოლის წყალსადენის სისტემების რეაბილიტაცია;
 - ✓ ხანდოს წყაროებიდან წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ქალაქ ასპინძაში, სოფელ ნიჯგორსა და აწყვიტაში;
 - ✓ სპეციალური ტექნიკის მიწოდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის;
 - ✓ წყლის მრიცხველების ყუთების მიწოდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის;
 - ✓ საქართველოს 17 ქალაქში წყალსადენი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა.

3.3.3 წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი) (პროგრამული კოდი - 25 04 03)

- წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - ✓ სენაკის, ბოლნისის, წნორის, ოზურგეთის, ხობის, აბაშის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ქარელის, ახმეტის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, დუშეთის, ტყიბულის, ონის, სიღნაღის, ზესტაფონის, წალკის, თელავის (სოფელ

კურდღელაური), ლიკანისა და წაღვერის, ახალციხის, ასპინძის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია;

- ✓ წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მეორე პროექტით დაგეგმილი ოცდარვა ქალაქისთვის წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა.

3.3.4 საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო) (პროგრამული კოდი 25 04 04)

- საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - ✓ წყალტუბოსა და თელავის გამწმენდი ნაგებობებისთვის ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება.
 - ✓ თელავის ჩამდინარი წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების;
 - ✓ ქალაქების წყალტუბოს და თელავის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია.

3.3.5 ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (აზიის განვითარების ბანკი) (პროგრამული კოდი 25 04 05)

- ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (აზიის განვითარების ბანკი) ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ პროექტი: MES – 01 მესტიის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მშენებლობა / ტრანში 1 (ხელშ. N UWSCG/ICB/CW/2011-MES-01) ფარგლებში: დასრულდა ტიროლის ტიპის წყლის მიმღები ნაგებობის (კაშხლის) მშენებლობა, მაგისტრალური მილსადენის ჩაწყობა - 10.6 კმ -ზე, 2 000 მ³ რეზერვუარის მშენებლობა ტესტირების და კეთილმოწყობის ჩათვლით.
 - ✓ პროექტი: MES – 02 მესტიის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მშენებლობა / ტრანში 2 (ხელშ. N UWSCG/ICB/CW/2011-MES-02) ფარგლებში: განხორციელდა წყალმომარაგების ქსელის მოწყობა - 43 კმ-ზე, 915 ცალი წყლის მრიცხველის მონტაჟი, წყალარინების ქსელის მოწყობა - 46.6 კმ-ზე, 1,314 ცალი საკანალიზაციო ჭის მოწყობა და წყალმომარაგების კომპანიის - მესტიის სერვის ცენტრის მშენებლობა.
 - ✓ პროექტი: ANA - 01 ანაკლიის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობა/ტრანში 2 (ხელშ. N UWSCG/ICB/CW/2012-ANA-01) ფარგლებში: დასრულდა წყალმომარაგების ქსელის მონტაჟი - 70.8 კმ-ზე, კანალიზაციის მილსადენის მონტაჟი - 6.08 კმ-ზე, 42 ერთეული კანალიზაციის სატუმბი სადგურის მონტაჟი და სერვის ცენტრის მშენებლობა.
 - ✓ პროექტის „REG-01 ქუთაისის, ფოთის და ანაკლიის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია (ტრანში 1)“ ფარგლებში განხორციელდა: ქალაქ ქუთაისში, ვაჟა ფშაველას ტერიტორიაზე რეზერვუარის, სატუმბი სადგურის გადამცემი მაგისტრალური მილსადენის და სადისტრიბუციო ქსელის, ქალაქ ფოთში, ნაზადას ტერიტორიაზე ახალი სატუმბი სადგურის და რეზერვუარების, ანაკლიაში, რეზერვუარისა და სატუმბი სადგურის და გადამცემი მაგისტრალური ხაზის მშენებლობა.

- ✓ პროექტი: REG-02 მესტიის წყლის გამწმენდი ნაგებობისა და ანაკლის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა / ტრანშები 1 და 2 (ხელშ. N UWSCG/USIIP/ICB/CW/REG-02) ფარგლებში მიმდინარეობდა წყლის გამწმენდი ნაგებობისა და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის პროექტირება.

- პროექტი: URE - 01 ურეკის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობა / ტრანშები 1,2 და 3 (ხელშ. # P43405-ICB-URE-01) ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება.

3.4. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი
- ✓ შპს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

- საანგარიშო პერიოდში წარმატებით დასრულდა აგრეგატის ტესტირება, რომელმაც განავითარა ნომინალური სიმძლავრე. დასრულდა ენგურჰესის N5 ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაცია.
- ვარდნილჰესზე პროექტით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოებისათვის ჩატარდა წინასაკვალიფიკაციო შერჩევა და გამოვლინდა გამარჯვებული ფირმები.
- ვარდნილის კაშხალზე და წყალსატარ კონსტრუქციებზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4-მა კომპანიამ. სატენდერო წინადადების შეფასება მოხდა დამოუკიდებელი საინჟინრო კონსულტანტების ჯგუფის მიერ (შტუკი - შვეიცარია, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის და ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლები). სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ტენდერში გამარჯვებული ფირმაა საქენერგორემონტი-კიევეტრობადის ერთობლივი საწარმოო, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება.
- გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობდა ჰიდრომექანიკური და ელექტრომექანიკური მოწყობილობების რეაბილიტაცია.
- ზესტაფონი - ქუთაისის და გორი - ქარელის 700 მმ-იანი დიამეტრის 23 კმ და 20 კმ მაგისტრალური გაზსადენების აღდგენითი-სამშენებლო სამუშაოებისათვის შეძენილია მასალები, ჩატარდა ტენდერი და გამოვლენილია გამარჯვებული კომპანიები, რომლებთანაც გაფორმდა კონტრაქტები. სამუშაოები დაწყებულია, ჩატარებულია ტესტირებები და მიმდინარეობს ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები.

3.5. სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფოს ელექტროსისტემა

- საანგარიშო პერიოდისათვის დასრულებულია ქვესადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, გამოცხადდა და

დასრულდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია - „სიმენსი-ავსტრია“, რომელთანაც გაფორმდა კონტრაქტი.

- 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობის ფარგლებში დასრულდა პროექტის წინასამშენებლო ეტაპის სამუშაოები, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, განხორციელდა ტენდერში მონაწილე კომპანიის შერჩევა (პორტუგალიური კომპანია - EFACEC), გაფორმდა კონტრაქტი. მიმდინარეობდა მიწის სამუშაოები ქვესადგურის ტერიტორიაზე და შიდა საქვესადგურო გზების მშენებლობა.
- 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ფარგლებში დასრულდა ტენდერი. გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია (GOITY), გაფორმდა კონტრაქტი. მიმდინარეობს საველე-საძიებო სამუშაოები, დეტალური პროექტის მოსამზადებლად.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა წინასამშენებლო სამუშაოები, მზადდება პროექტის ტექნიკური დიზაინი. გამოვლინდა პროექტის მართვის კონსულტანტი და ზედამხედველი, ასევე მშენებელი კომპანიის სატენდერო წინადადებების შემფასებელი კონსულტანტი. მიმდინარეობდა სატენდერო წინადადების შესწავლა-დაზუსტება.
- შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი დასრულდა გასულ წელს. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად საგარანტიო პერიოდის ფარგლებში ვალდებულებების შესრულება (მარაგნაწილების მოწოდება).

3.6. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველო წარმოდგენილი იყო შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე: Ferie&Fritid (კოპენჰაგენი); BALTTOUR (რიგა); TOUREST (ტალინი); FITUR (მადრიდი); EMITT (თურქეთი); IMTM (თელ-ავივი); BIT (მილანი); ITB (ბერლინი); GIBTM (აბუ-დაბი); AITF (ბაქო); COTTM (პეკინი); CTF (თბილისი); KITF (ალმა-ატა); EXPO BATUMI (ბათუმი); Arabian Travel Market (დუბაი); IMEX (ფრანკფურტი); KOTFA (სეული); JATA 2014 (ტოკიო); Poznan Tour Salon 2014 (პოზნანი); World Travel Market 2014 (ლონდონი); EIBTM 2014 (ბარსელონა);
- სხვადასხვა მიზნობრივ ბაზრებზე ჩატარდა 48 პრეს და გაცნობითი ტური. პრეს-ტურებში მონაწილე ჟურნალისტების მიერ გამოქვეყნდა სტატიები ბეჭდურ მედია-საშუალებებში;
- განხორციელდა მარკეტინგული კამპანიები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში, რომელიც ითვალისწინებდა: გარე რეკლამის განთავსებას ბილბორდების სახით; ვებ-გვერდების ფლემ ბანერების განთავსებას; კლიპის გავრცელებას LED მონიტორების საშუალებით; რეკლამას მეტროპოლიტენის სამგზავრო ვაგონებში, სოციალურ ქსელში, ინტერნეტ, სატელევიზიო და ბეჭდურ მედია საშუალებებში;
- ბათუმისა და თბილისის აეროპორტებში მიმდინარეობდა ქვეყნის ტურისტული პროდუქტების რეკლამირება საჰაერო გზით მოგზაური ტურისტებისათვის;
- ყაზახეთში და უკრაინაში გაიმართა საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების, პრეზენტაცია, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სხვადასხვა ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციას და ასევე, საკურორტო რეგიონების ცნობადობის ამაღლებას;
- შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, გადაღებულ იქნა 5 სარეკლამო ვიდეო კლიპი: სამეგრელო, ზემო-სვანეთის ტურისტული პოტენციალის

- ამსახველი კლიპი; „ეს არის სიცოცხლე“; „საქართველო სიცოცხლის ქვეყანა“; „ზაფხული ანაკლიაში“; თუშეთის ტურისტული პოტენციალის ამსახველი ვიდეო რგოლი;
- დედაქალაქის მახლობლად ახალი აგროტურისტული პროდუქტის შექმნის მიზნით, განხორციელდა ქ. თბილისის შემოგარენის აგროტურიზმის პოტენციალის კვლევა და შესაბამისი პროდუქტის შექმნა;
 - საქართველოს ტურისტული რესურსისა და პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში განთავსდა სარეკლამო-საინფორმაციო დაფები;
 - ჩატარდა სამეგრელოს რეგიონში კანიონინგის პოტენციალის კვლევა;
 - განხორციელდა: დაბა გუდაურსა და დაბა ბაკურიანში ველოტურიზმის პოტენციალის კვლევა; შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის ტურისტული რესურსის პოტენციალის კვლევა; ქ.თბილისში, ტურისტულად მიმზიდველ ქუჩებსა და სკვერებში ქალაქის რუკის ორმხრივი კონსტრუქციის განთავსება (პირველი ეტაპისთვის შეირჩა 20 ასეთი ადგილი); მომლოცველობითი ტურიზმის კატალოგის შექმნა, რომელშიც თავმოყრილი იქნება ტურისტულად მიმზიდველი ძეგლები, ტაძრები, რელიგიური მნიშვნელობის ადგილები და ასევე, რეკომენდირებული ტურისტული მარშრუტები საქართველოს მასშტაბით;
 - დასრულდა მუშაობა ტურისტული რუკების მომზადებაზე (ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე), სადაც დატანილია ხაზოვან/წერტილოვანი და თემატური ინფორმაცია სხვადასხვა მარშრუტების შესახებ;
 - მიმდინარეობდა მუშაობა პროექტზე „10 სანახავი ადგილი“ (ბროშურა), რომლის ფარგლებშიც საქართველოს პოპულარულ ტურისტულ მიმართულებებზე შეირჩევა 10 სანახაობრივად ყველაზე საინტერესო ტურისტული ობიექტი (კულტურულ-ისტორიული და ბუნების ძეგლები, გასართობი და შემეცნებითი ადგილები);
 - განხორციელდა ქ.თბილისის, ქ.მარტვილის, ქ.ზუგდიდის და დაბა ჩხოროწყუს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა;
 - განხორციელდა ანაკლია-განმუხურის მოსახლეობის აღწერა, საოჯახო სასტუმროების, რესტორნების და ტურისტული ობიექტებს ბაზაში შეყვანა;
 - ზამთრის კურორტების პოპულარიზაციის მიზნით, დაბა გუდაურში მოეწყო სპორტული ღონისძიება „შეჯიბრი ზამთრის ექსტრემალურ სპორტულ სახეობებში“, დაბა ბაკურიანში - „ბაკურიანობა“, ხოლო ლაშქრობის, როგორც სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების პოპულარიზაციის მიზნით, სოფელ კიკეთში გაიმართა სალაშქრო სეზონის გახსნის ღონისძიება, ხოლო ველო-ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და ასევე, დაბა გუდაურისა და ბაკურიანისთვის სეზონურობის გაზრდის მიზნით, ბაკურიანსა და გუდაურში მოეწყო სპორტული ღონისძიება „ველო მარათონი“;
 - საწყალოსნო სპორტის სახეობების, როგორც ექსტრემალური ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების, პოპულარიზაციის მიზნით, ქ.მცხეთაში (შიომღვიმის მიმდებარე ტერიტორიაზე) გაიმართა სათავგადასავლო-სპორტული ღონისძიება „ჯომარდობა“;
 - მთიანი სამეგრელოს საფეხმავლო მარშრუტების პოპულარიზაციისა და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ჩატარდა ღონისძიება „ტობა ფესტი“;
 - დიდგორობის სახალხო დღესასწაულის ოფიციალურად აღნიშვნისა და შიდა ტურისტული ნაკადის გაზრდის მიზნით, გაიმართა კულტურული ღონისძიება „დიდგორობა“;
 - საქართველოს მასშტაბით, ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში, განხორციელდა ყოველთვიური დასუფთავების აქციები.
 - დაიწყო და მიმდინარეობდა საბაზისო ინგლისური ენისა და მომსახურების უნარ-ჩვევების შემსწავლელი კურსები ტაქსის მძღოლებისათვის, რომელიც გაიარა 11 მსურველმა;

- განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ტურიზმის, კერძოდ კვებისა და სასმელების სფეროში არსებული პროფესიების (მიმტანი, ბარმენი, „Host“-ი) პოპულარიზაციას;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ტურიზმის შესაძლებლობების განვითარების მიზნით, ქობულეთში გაიმართა კულტურული ღონისძიება „ცხელი ზაფხული“, რომელსაც დაესწრო 700 სმენადაქვეითებული ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიებიდან;
- გაიმართა ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „რეივ ავტონომიკა“, რომელსაც დაესწრო 3000-მდე მსმენელი;
- მომზადდა საპრომოციო კლიპი „გახდი ტურისტი საკუთარ ქვეყანაში“, რომლის მცირე ვერსია, როგორც სოციალური რეკლამა, უსასყიდლოდ განთავსდება საქართველოს ტელევიზიის სარეკლამო ბადეებში (რუსთავი 2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მანეტრო, GDS, TV3, აფხაზეთის ხმა, music box);
- ღვინის ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისში ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, გაიმართა „ღვინის ფესტივალი“ ქართული ღვინის მწარმოებლების მონაწილეობით, რომლებმაც სტუმრებს წარუდგინეს როგორც ქვევრის, ასევე ქარხნული წესით დამზადებული ღვინოები და სამონასტრო ღვინო.
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით თბილისში გამართული ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 200-მდე პროფესიონალმა მიიღო მონაწილეობა, მოეწყო ღვინის დეგუსტაციები, სამუშაო შეხვედრები და გაცნობითი ღვინის ტურები საქართველოს რეგიონებში;
- საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის საპრომოციო სარეკლამო მასალის გამოფენა და გავრცელება;
- მადრიდში, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის შტაბ-ბინაში სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კომიტეტის XIV სხდომაზე საქართველო არჩეულ იქნა ვიცე-პრეზიდენტად, ასევე საქართველო გახდა „ქარვის გზის“ პროექტის კომიტეტის წევრი;
- მთის კულტურისა და მთაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თბილისის ბავშვთა ქალაქ „მზიურ“-ში ჩატარდა ფოლკლორული საღამო - „მთის საჩუქარი ბარს“;
- ზაფხულის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებზე (თბილისი, ბორჯომი, შაორის ტბა და ქუთაისი) განხორციელდა სხვადასხვა ტიპის კულტურულ-სპორტული აქტივობები, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციასა და შიდა ტურიზმის სტიმულირებას;
- მომზადდა საქართველოს ტურიზმის 2013 წლის სტატისტიკური მიმოხილვა/ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე და დაინტერესებულ აუდიტორიას გადაეცემა უსასყიდლოდ;
- საინფორმაციო ცენტრების, განთავსების საშუალებების და სხვა ტურისტული ობიექტების მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა მონაცემების ატვირთვა განთავსების საშუალებებისა და ტურისტული ობიექტების პორტალზე;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე აიტვირთა ტურიზმის სტატისტიკური გვერდი, სადაც შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემების მიღება ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების, მუზეუმებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლების მონაწილეობით გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოში კონკურენციის ხელშეწყობის

საკითხებს, გაკეთდა პრეზენტაცია ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების შესახებ. მიღწეული შეთანხმების შედეგად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ჩატარდა ტრენინგ კურსები თემაზე „სასტუმრო-სახლების სერვისი“ დამწყები მიმწოდებლებისათვის;

- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ.პრალაში გამართულ კონფერენციაში სახელწოდებით „ტურიზმის სტატისტიკის მეთორმეტე გლობალური ფორუმი“;
- თბილისში, ტურისტებისათვის ორიენტირების გამარტივებისა და ქალაქის ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაციის მიზნით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების პუნქტებზე დაიგეგმა სარეკლამო-საინფორმაციო ბანერების განთავსება, სადაც ასახულია უბნის რუკები მინიშნებით - „შენ იმყოფები აქ“;
- მოქმედება დაიწყო პროექტმა „მობილური გიდები“, რომლის ფარგლებშიც შეირჩა 60 სტუდენტი და შესაბამისი ტრენინგის გავლის შემდეგ დასაქმდა თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ტურისტულად დატვირთულ ადგილებში. ასევე, პროექტის ფარგლებში, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ტერიტორიაზე (საბაჟო კონტროლის ზონაში) განთავსდნენ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შერჩეული გიდები, რომლებიც უცხოელ ვიზიტორებს აწვდიან ინფორმაციას საქართველოს შესახებ;
- განხორციელდა „ქოლ ცენტრის“ არსებული ბაზის მონიტორინგი. ოპერატორების გადამზადებისა და ინფორმირების მიზნით მომზადდა პრეზენტაციები და ჩატარდა ტრენინგები, ასევე მიმდინარეობდა და უწყვეტ რეჟიმში გრძელდება ინტერნეტ სივრცის მონიტორინგი პრობლემური საკითხების გამოვლენის მიზნით;
- საქართველო, ვიცე-თავმჯდომარის რანგში, წარმოდგენილი იყო მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური კომისიის შეხვედრაზე;
- ქ.დუბლინში, „რივერფესტის“ ფარგლებში ჩატარებულ ირლანდიურ-ქართულ ბიზნეს ფორუმზე, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ წარადგინა თავისი სტენდი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სავაჭრო ცენტრში, სადაც მივიდა 80 ათასზე მეტი ქართველი და უცხოელი მნახველი;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს: ქ.ბაქოში გამართულ სემინარში ტურიზმის კლასტერების განვითარების შესახებ; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებაზე „ტურიზმის სამიტი-2014“ და თურქეთის ქ. იალოვაში გამართული კონფერენციის „Black Sea Basin Project“ მუშაობაში;
- ტურისტულ კომპანიებს, რესტორნებს, სასტუმროებსა და ავიაკომპანიებს ეგზავნებოდათ ყოველკვირეული საინფორმაციო ხასიათის წერილები ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებისა და ასევე, ტურიზმის სფეროში არსებული სიახლეების შესახებ;
- განხორციელდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა და საფეხმავლო მარშრუტების მარკირების პროექტი. კვლევის შედეგად გამოვლინდა სამი სახის (საფეხმავლო, საველოსიპედო, ჯიპ მარშრუტი) სხვადასხვა სირთულისა და მოცულობის ხუთი მარშრუტი.
- განხორციელდა შიდა ქართლის (გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტები) და ქვემო ქართლის (რუსთავის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის და წალკის მუნიციპალიტეტები) ტურისტული რესურსის პოტენციალის კვლევა;
- განხორციელდა ტურისტულად განვითარებულ ქალაქებსა და დაბებში (ბოლნისი, ბორჯომი, ბაკურიანი, ახალციხე, ახასთუმანი, სურამი, გორი, სტეფანწმინდა, ზუგდიდი, ამბროლაური, ონი, მესტია და წყალტუბო) საორიენტაციო მიმართულებების მანიშნებლების

მონტაჟი, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ პირებს გაუადვილდებათ ობიექტების მიმართულების მოძიება;

- განხორციელდა პროექტი „სამონადირეო ტურიზმის განვითარების საჭიროების კვლევა“, რომელიც წარმოადგენს ტურისტული მიმართულების განვითარების სტრატეგიის წინამორბედ დოკუმენტს.

3.7. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

- ხელი მოეწერა 25 მემორანდუმს 32 პროექტის განვითარების თაობაზე. ხელმოწერილი მემორანდუმების უმეტესობა ეხება ჰიდროელექტროსადგურებზე, ხოლო ორ შემთხვევაში - ქარის ელექტროსადგურების პროექტებს;
- 2014 წელს საქართველოს მთავრობასთან დაიდო მემორანდუმები: „ბუგატო ენერჯი“ - მეტეხი 1 ჰესი და მეტეხი 2 ჰესი (45 მვტ); „ჰიდროლეა“ - კასლეთი 1 ჰესი, კასლეთი 2 ჰესი და დარჩი ჰესი (33.1 მვტ); „სუფსა ენერჯი“ - სურები ჰესი, ვანი ჰესი, ბუკისციხე ჰესი, სუფსა მცირე ჰესი და ბარამიძე ჰესი (30.4 მვტ); „GEDF“ - გორის ქარის ელ.სადგური (20 მვტ.); „თრიალეთი 2013“ - თრიალეთი ჰესი (4 მვტ.); „მარდიჰაუსი“ - ხოხნისწყალი 1 ჰესი, ხოხნისწყალი 2 ჰესი და ხოხნისწყალი 3 ჰესი (5.7 მვტ); „Energo Windpower“ - ქარის ელექტროსადგურები; „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ - ზედა ბჟუჟა ჰესი (9.8 მვტ); „ეგ“ - ბუჯა 1 ჰესი, ბუჯა 2 ჰესი და ბუჯა 3 ჰესი (4.9 მვტ); „ფშავი ჰიდრო“ - სკურდიდი ჰესი (1.4 მვტ); „GEDF“ - ართანა ჰესი (2.5 მვტ); „GEDF“ - ლოპოტა 1 ჰესი (8 მვტ); „მაჭახელა ჰესი“ - მაჭახელა 1 ჰესი და მაჭახელა 2 ჰესი (42 მვტ.); „იორი ენერჯი“ - პალდო ჰესი (6.8 მვტ.); „ჯჯკ“ - წაბლარი 2 ჰესი (15 მვტ); „GEDF“ - ყვირილა ჰესი (6.6 მვტ); „ახლაჩი ენერჯი“ - დოღრა 3 ჰესი (60 მვტ.); „ჩალიკ ენერჯი“ - ალპანა ჰესი და სადმელი ჰესი (223.6 მვტ); „სვანეთი ჰიდრო“ - მესტიაჭალა 2 ჰესი (27 მვტ.). ამ 32 პროექტის სავარაუდო ჯამური დადგმული სიმძლავრე 515 მეგავატს შეადგენს, ხოლო მოსალოდნელი ინვესტიციების მოცულობა 600 მლნ აშშ დოლრას აჭარბებს.
- „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად შემოვიდა რიგი დაინტერესების წერილები პოტენციური პროექტების თაობაზე. სულ 2014 წელს 11 ინტერესთა გამოხატვა ჩატარდა (ცხენისწყალის კასკადი სქემა 1, სამყურისწყალი 2 ჰესი, ხუნევი ჰესი, ჯონოული 1 ჰესი, ჯონოული 2 ჰესი, ჯონოული 3 ჰესი, სტორი 1 ჰესი, დიდხევი ჰესი, ნატანები 1 ჰესი, ნატანები 2 ჰესი და ნატანები 3 ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 453 მვტ, ხოლო მოსალოდნელი საინვესტიციო მოცულობა 861 მლნ აშშ დოლარია.
- საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე საანგარიშო პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა ახმეტა ჰესი (9.1 მვტ), ყაზბეგი ჰესი (6 მვტ) და ფარავანი ჰესი (87 მვტ), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 102.1 მვტ, ხოლო ჯამური საინვესტიციო ღირებულება 204.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

- „კახეთის რეგიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად ანაზღაურებული იქნა კახეთის რეგიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება, სულ - 4 155.3 ათასი ლარი.
- შემუშავდა „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ეროვნული მარეგულირებელი წესების“ ცვლილებების პროექტები; სააგენტოს ნორმატიული აქტით დამტკიცდა ნავთობისა და გაზის გადამუშავების, რეალიზაციისა და ტრანსპორტირების ანგარიშგების ფორმები;
- გაიცა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიაზე“ და ნავთობის გადამუშავების ლიცენზია შპს „ბეგინ ენერჯი“-ზე. განხილულ იქნა შპს „გლობუსი“-ს განაცხადი საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად. გაფორმდა ცვლილებები პროდუქციის წილობრივი განაწილების 11 ხელშეკრულებაში.
- მიმდინარეობდა „ნორიოს საოპერაციო კომპანიის“, „კანარგო ჯორჯიას“, „ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედის“, „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ჭაბურღილების კაპიტალური რემონტის სამუშაოების ინსპექტირება, აგრეთვე, ლიკვიდირებული და კონსერვირებული ჭაბურღილების მდებარეობის დაზუსტება, მათი ტექნიკური და გარემოსდაცვითი მდგომარეობის აღწერა. ასევე, მიმდინარე სეისმური კვლევითი სამუშაოების მონიტორინგი (სულ 550 ჭაბურღილი). კაპიტალური რემონტი ჩატარდა 22 ჭაბურღილზე. მიმდინარე სამუშაოების ინსპექტირება და ნავთობისა და გაზის ოპერაციების მიმდინარეობის მონიტორინგი ჩატარდა 12 ჭაბურღილზე.
- ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩასატარებლად შემოვიდა 38 პროექტი, რომელთაგან ექვსმა ვერ მიიღო დადებითი შეფასება. განხილვის პროცესშია „სტრეიტ ოილ ენდ გეს ლიმიტედის“ VIA და VIB ბლოკზე დაგეგმილი ორი ღრმა ჭაბურღილის ბურღვის პროექტი.
- გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ავსტრიულ კომპანია „OMV Exploration & Production GmbH“-სა და ესპანურ კომპანია „Repsol Exploración S.A.“ შორის საქართველოს ოფშორულ ზონაში ნავთობის პოტენციალის შეფასების კვლევებთან დაკავშირებით. საერთაშორისო ღია ტენდერისთვის შემუშავდა და მომზადდა გეოლოგიური ბლოკების საინფორმაციო პაკეტები და თანდართული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების სამუშაო ვერსიები ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან განსახილველად;
- აქტიური სამუშაოები იქნა ჩატარებული ქვეყნის მასშტაბით უმუქო სოფლების აღრიცხვის მიზნით. შესწავლილ იქნა კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში 30-ზე მეტი არსებული უმუქო სოფლის ელექტრიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა. დასრულებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭერემის, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კაწალხევის, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სოფეთლოს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხავერის და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროსოფელის, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ნოჯა, კომკასყელი (წობანო), ნოჯიკეთი, ქვემო და ზემო ღარისწყალის, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გაგლოანთუბანის ელექტროფიცირების სამუშაოები. დასრულების ეტაპზეა ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანების მიმდებარედ არსებული ფერმერული მეურნეობა „მოლიანის დასახლების“, საჩხერის რაიონის სოფელ ჩონთოს ელექტროფიცირების სამუშაოები, ასევე დასრულების ეტაპზეა ლენტეხის რაიონის სოფლების ბავარის მანანურის და ცხუმალდის ელექტრიფიცირების საპროექტო სამუშაოები.

3.8. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

- გაზგამანაწილებელი კომპანია „სოკარ ჯორჯია-ქართლიგაზის“ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, განხორციელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის 2014 წლის იანვარ-მაისისა და ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება 3.3 მლნ ლარის ოდენობით. მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობამ 8.1 მლნ მ³ შეადგინა.

3.10. ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მიმდინარეობდა მუშაობა ტექნიკური და სამშენებლო სფეროების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე, მათ შორის:
 - ✓ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესაბამისად, მომზადდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა რიგი ტექნიკური რეგლამენტები;
 - ✓ მომზადდა და შესაბამის უწყებებთან შესათანხმებლად გაიგზავნა ცვლილებათა პროექტები: „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი; საქართველოს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
- საანგარიშო პერიოდში შემოწმდა შემდეგი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები: 37 ამწე მოწყობილობა; 724 ლიფტი; 14 ესკალატორი, 33 საბაგირო მოწყობილობა; 11 ატრაქციონი; 1 წნევაზე მომუშავე ჭურჭელი; 2 შახტი; 16 მაღარო; 8 კარიერი; 29 იარაღითა და საბრძოლო მასალებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა; 7 სანებართვო პირობების შემოწმება; 1 ამიაკის სამაცივრო დანადგარი; 2 ნავთობტერმინალი; 6 ნავთობბაზა; 7 ბუნებრივი გაზის დანადგარი; 6 თხევადი გაზის დანადგარი; 1 გაზგასამართი სადგური; 1 ჰაერის დაყოფის დანადგარი;
- განხილულ იქნა: 8 ნავთობბაზის პროექტი; 16 საკომპრესორო სადგურის პროექტი; 6 ნავთობის ბაზების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის პროექტი; 23 IV კლასის ობიექტების პროექტი; 2 ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტი; 2 ბითუმის დასამზადებელი და განთავსების ქარხნის პროექტი; 3 V კლასის მაგისტრალური გაზსადენის პროექტი;
- გაცემულ იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 26 ნებართვა;

- სამშენებლო კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის მშენებლობის ობიექტების მშენებლობის 64 ნებართვა და 10 მშენებლობის თაობაზე შეთანხმება; შემოწმდა 84 მშენებარე ობიექტი; შეთანხმდა IV კლასის 77 ობიექტი; ზედამხედველობა განხორციელდა 59 ობიექტზე; არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 51 ობიექტი; ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 34 ობიექტი; ტექნიკური ინსპექტირების შედეგად უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის დაჯარიმდა 114 ობიექტი;
- მიმდინარეობდა გეოინფორმაციული სისტემების დანერგვის პროცესი.

3.11. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მარაბდა-კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე სამშენებლო დერეფანში მოქცეული კერძო საკუთრებაში არსებული მიწის გამოსყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა, 32 პიროვნებასთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და საკომპენსაციო თანხის გადახდა.

4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

4.1. ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ - საჯარო სკოლები.

4.1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)

- „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ პროგრამის ფარგლებში ჩართული იყო 335 მონაწილე. რომლებიც განაწილებული იყვნენ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში. ჩატარებული კონკურსის შედეგად შეირჩა 81 ახალი მონაწილე, რომელთაც ჩაუტარდათ 10 დღიანი მოსამზადებელი ტრენინგი და გაიგზავნენ არაქართულენოვან სკოლებში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 39 მონაწილე, ქვემო ქართლის რეგიონში - 37 მონაწილე და კახეთის რეგიონში - 5 მონაწილე).

- ამავე პროგრამის ფარგლებში შექმნილი ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოს X-XII დონეები გადაეცა 260-მდე არაქართულენოვან სკოლას;
- პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში ახალქალაქის, ნინოწმინდასა და ლამბალოში ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პროგრამაში ჩართული კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების საჯარო სკოლის მოსწავლეები. აგრეთვე პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრები. კონკურსის საფუძველზე შეირჩა დამატებითი 15 სერტიფიცირებული ქართული ენის ტრენერ-მასწავლებელი, სულ პროგრამაში ჩართული იყო 88 ქართული ენის ტრენერ-მასწავლებელი;
 - სახელმწიფო პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში კონკურსის შედეგად შეირჩა 150 კონსულტანტ-მასწავლებელი, რომლებიც შესაბამისი მომზადების შემდეგ განაწილდნენ ვაკანტურ პოზიციებზე საქართველოს მასშტაბით 30 რაიონის 110 სკოლაში;
 - „მასწავლებლობის მაძიებლობის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 123 მენტორმა - 99 საჯარო და კერძო სკოლიდან და 281 მაძიებელმა. გადამუშავდა მაძიებლის სტანდარტი და მომზადდა მისი ახალი ვერსია, რომელიც შეესაბამება მასწავლებლის განახლებულ სტანდარტს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ მაძიებელთა 38% დასაქმდა, მათ შორის: 30% - საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სპეციალობით, 5% - არა სპეციალობით, ხოლო 3% მუშაობს განათლების სისტემაში;
 - „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, შემუშავდა მაძიებლის სტანდარტის პროექტი, დასრულდა მუშაობა საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტზე, ჩატარდა მასწავლებლის სტანდარტის იმპლემენტაციის კვლევა, შეიქმნა პროფესიული მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფცია, დამტკიცდა პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსი, დამტკიცდა პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტი;
 - მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების (ტრენინგების) პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 142 დასახელების ტრენინგ-მოდული და გრძელვადიანი სასწავლო კურსები, გადამზადდა 24 815 მასწავლებელი, პროფესიული ზრდისათვის განხორციელდა სტაჟირებები საზღვარგარეთ, რომელიც გაიარა 66 მასწავლებელმა.
 - ჩატარდა მასწავლებელთა მეორე ეროვნული კონფერენცია. ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ბრიტანულ ცენტრთან ერთად განხორციელდა 42 ტრენინგი და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ინგლისური ენის სპეციალისტების მიერ ჩატარდა სემინარები, ასევე 98 ტრენინგი დაწყებითი საფეხურის კლასის დამრიგებლებისათვის.
 - პროგრამა „სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ ფარგლებში საპილოტე სკოლებში გაეწია კონსულტაციები, ჩატარდა ტრენინგები სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფებისათვის (4 ტრენინგი) და სკოლის დირექტორებისათვის (1 ტრენინგი). აგრეთვე, მიმდინარეობდა პროგრამის მონიტორინგი 206 სკოლაში. დაიბეჭდა „სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პრაქტიკული გზამკვლევი“.
 - მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამის ფარგლებში 18 730 მასწავლებელმა გაიარა სხვადასხვა (ისტ) ტრენინგ-კურსი. მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა ტრენინგის დამხმარე სახელმძღვანელოები 2 400 ცალი საბაზო კურსის, 2 200 ცალი მეორე დონის ტრენინგის სახელმძღვანელო და 2 600 ცალი „1:1 ელექტრონული სწავლების დანერგვის“ სახელმძღვანელო;

- მომზადდა „შებრუნებული საკლასო ოთახის“ ტრენინგ-კურსის მოდული, შესაბამისი რესურსებით და ტრენინგ-კურსი დიფერენცირებული ქოუჩინგის თემაზე. ტრენინგი 33-მა ტრენერმა გაიარა. ინტელთან თანამშრომლობით ჩატარდა 3 მასტერ კლასი ისტ-ის ტრენერებისათვის, რომელსაც უკრაინიდან მოწვეული ტრენერ-ექსპერტები უძღვებოდნენ.
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულ იქნა 8 148 მასწავლებელი, მათ შორის, 2014 წელს სქემაში ჩაერთო 2 377 სერტიფიცირებული მასწავლებელი, განხორციელდა სქემაში ჩართული მასწავლებლების მონიტორინგი და ინდივიდუალური კონსულტირება;
- „ინკლუზიური და სპეციალური განათლების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა მოდულები ზოგადი განათლების პედაგოგებისა და სპეციალური განათლების პედაგოგებისთვის. პროგრამის ფარგლებში 70 სკოლაში ჩატარდა ტრენინგები, რომელიც გაიარა 1 300-მდე სპეციალისტმა (სკოლის პედაგოგი, ფსიქოლოგი და სხვა). გადამზადდა ინკლუზიური განათლების 295 სპეციალისტი. დაინერგა ინდივიდუალური კონსულტირების პროგრამა, მათ შორის, შემუშავდა მომართვის, მოსწავლეთა შეფასების და მონიტორინგის სისტემა. შემუშავდა სსსმ მოსწავლეთა წერა-კითხვის და არითმეტიკული უნარების განმავითარებელი პროგრამა;
- მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის კუთხით განხორციელდა 27 დამხმარე მეთოდური ვიდეოფილმის გადაღება;
- „პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების“ პროგრამის ფარგლებში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები პედაგოგიურ უნარებში: 378 მასწავლებელი - ტრენინგი სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაში, 88 მასწავლებელი - ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგი, 67 მასწავლებელი - ზოგად პროფესიულ უნარებში, ტურიზმის მიმართულებით პრაქტიკულ ტრენინგებში მონაწილეობდა 61 მასწავლებელი. გაიმართა პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი საზაფხულო სკოლა ტურიზმის მიმართულებით, საზაფხულო სკოლის მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 60 მასწავლებელს და 40 სტუდენტს.
- განათლების მართვის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ახალი გრძელვადიანი ტრენინგ-მოდული საჯარო სკოლის საქმის მწარმოებლისათვის, სკოლის დირექტორებისათვის და სკოლის ბიბლიოთეკარებისათვის;
- ჩატარდა ტრენინგები: „სკოლის საჭიროებათა კვლევა და სტრატეგიული გეგმის შემუშავება“ ტრენინგს ესწრებოდა 321 მონაწილე, „მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური სისტემის დანერგვა“ (81 მონაწილე), „სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ეფექტური პრეზენტაცია“ (22 მონაწილე), „მშობელთა და საზოგადოების (თემის) ჩართულობა“ (25 მონაწილე), „ღირებულებათა სისტემა“ (38 მონაწილე), „სამეურვეო საბჭოს ფუნქცია სკოლის განვითარებაში და სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვის შეფასება“, სკოლის საქმისმწარმოებლების ტრენინგი (298 მონაწილე), „ინკლუზიური განათლება სკოლის დირექტორებისათვის“ (45 მონაწილე). აგრეთვე, ჩატარდა სამდღიანი ტრენერთა ტრენერი განათლების მართვის პროგრამის ტრენერებისათვის, რომელსაც ესწრებოდა 20 მონაწილე, ჩატარდა ერთდღიანი სამუშაო შეხვედრა „დირექტორის პროფესიული განვითარების სქემის შესახებ (50 მონაწილე), ჩატარდა კონფერენცია თემაზე „განათლების მართვის აქტუალური საკითხები“ (52 მონაწილე);
- „ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამის“ ფარგლებში შეიქმნა ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების (www.geofl.ge) ვებგვერდი, სადაც განთავსდა სასწავლო-მეთოდური მასალა; ამასთან დასრულდა მუშაობა ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურის B1.1 დონის შედგენაზე, B1.1 დონის სახელმძღვანელოს (შემსწავლელის

წიგნი, სავარჯიშოების რვეული, მასწავლებლის წიგნი, აუდიო და ვიდეომასალა) შედგენაზე. ორენოვანი ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომზადდა აკადემიური ნაშრომი „ახალი ევროპულ-ქართული აკადემიური ორენოვანი ელექტრონული ლექსიკონების შედგენის მეთოდოლოგიური საკითხები“ და „ქართულ-ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორია“.

4.1.3. უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)

- შეირჩა 213 მანდატური, რომლებმაც შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიარეს გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა;
- ჩატარდა „უსაფრთხო სკოლის“ საერთაშორისო კონფერენცია;
- განხორციელდა მანდატურთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საპილოტე პროგრამა. თბილისის მასშტაბით შეირჩა 25 საპილოტე სკოლა და თითოეული სკოლიდან პროექტში ჩაერთო 2-3 მანდატური. პროგრამის ფარგლებში გაიზარდა მანდატურთა მხრიდან ისეთ შემთხვევათა იდენტიფიკაცია, სადაც საქმე ეხებოდა არა მხოლოდ დისციპლინურ დარღვევებს, არამედ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებულ ფაქტორებს.
- ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ჩატარდა ტრენინგები აშშ-ს სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის (ნასრო) ძირითად და მენეჯმენტის კურსებში, რომელსაც დაესწრო 105 მანდატური და 15 კოორდინატორი;
- 915 მანდატურს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: ბავშვის განვითარების ეტაპები, კომუნიკაცია, კონფლიქტების მართვა და მედიაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის იდენტიფიკაცია და გადამისამართების პროცედურები;
- ფსიქოლოგიურმა ცენტრებმა (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი) საანგარიშო პერიოდში ფსიქო-სოციალური მომსახურება გაუწია 582 ბავშვს და მის ოჯახს, აქედან რეფერალით მანდატურის მიერ სკოლიდან გადამისამართდა 295 ბენეფიციარი, თვითდინებით 285 ბენეფიციარი, ხოლო პრობაციის სამსახურის მიერ 2 ბენეფიციარი. 18 შემთხვევა გადამისამართდა: სოციალური მომსახურების სააგენტოში, ფსიქიატრიულ დისპანსერში, ინკლუზიური შეფასების მულტიდისციპლინურ გუნდში;
- საქართველოს მასშტაბით შეირჩა საპილოტე სკოლები (487 საჯარო სკოლა), მომზადდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების მოდულები, მასწავლებელთა გადამზადებელი ტრენინგ მოდულები. პროფორიენტაციის კუთხით გადამზადდა 870 პედაგოგი. ამასთან, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაში ჩართულ იქნა 17 965 მოსწავლე. განხორციელდა მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით გაფართოებული შეხვედრები საწარმოებსა და ორგანიზაციებში.
- განხორციელდა სახელმწიფო პროფესიულ დაწესებულებებში დასაქმებული პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერების შესაძლებლობებისა და საჭიროებების კვლევა.

4.1.4 . განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

- X-XII კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები შემდეგ საგნებში: ქართული ენა/ლიტერატურა (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის), მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. ოლიმპიადის მეორე ტურში მონაწილეობდა 13 494 მოსწავლე, ხოლო მესამე ტურში

გადავიდა - 1 301 მოსწავლე. ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში დაჯილდოვდა I, II, III ადგილზე გასული 52 და საუკეთესო ათეულში გასული 96 მოსწავლე. 29 სკოლას და 58 პედაგოგს გადაეცათ მადლობის სიგელები;

- ევროპის კვირეულისადმი მიძღვნილი ნახატებისა და ფოტოების სასკოლო კონკურსებზე გამოვლენილი იქნა 17 საუკეთესო ნამუშევარი, რომლის ავტორებს გადაეცათ წამახალისებელი სიგელები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები;
- ჩატარდა ესეების კონკურსები: „ჩემი ჯარისკაცები“ (დაჯილდოვდა 18 მოსწავლე) და „ქართული ენა ჩემი წარმატებისთვის“ (გამოვლინდა 80 საუკეთესო ნაშრომის ავტორი და საპრიზო ადგილებზე გასული მოსწავლეები);
- ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში გაიმართა ნახატების კონკურსი და კონკურსი „მივმართავ თანატოლებს“, რომლის ფარგლებშიც დაჯილდოებულ 30 მოსწავლეს გადაეცათ დიპლომები და პრიზები;
- პატრიოტულ თემაზე შექმნილი სიმღერების კონკურსზე „ვუმღერ სამშობლოს“ გამოვლენილ საუკეთესო სიმღერებზე მომზადდა კოლაჟი. ასევე, ჩატარდა ლექსების კონკურსი „წელს ვიქცეთ ლექსად“, სადაც გამოვლინდა 3 გამარჯვებული მოსწავლე;
- ბლოგების კონკურსზე „ჩვენ ვიცავთ თანატოლების უფლებებს“ გამოვლინდა 7 გამარჯვებული გუნდი, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით და დიპლომებით.
- სასკოლო ინიციატივების წახალისების ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 30 სხვადასხვა პროექტი და 20 სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტი;
- გამოვლინდა 2013-2014 სასწავლო წლის წარჩინებული კურსდამთავრებულები 1 208 ოქროსა და 872 ვერცხლის მედალოსნები;
- საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობა მიიღო 23 მოსწავლემ, მათგან ერთმა მოსწავლემ მოიპოვა ოქროს, 2-მა ვერცხლის, 5-მა ბრინჯაოს მედალი და 4-მა წამახალისებელი სიგელი.
- მოეწყო საგანმანათლებლო ექსკურსიები, რომლებშიც ჩართული იყო 19 საჯარო სკოლის 585 პირი (560 - მოსწავლე და 25 - სკოლის მასწავლებელი/ ხელმძღვანელი).

4.1.5. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 32 02 05)

- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მიმდინარეობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შეფასება (შეფასდა 2 215 ბავშვი). ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით ხორციელდებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის მსურველი პირების შეფასება (შეფასდა 138 ადამიანი და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მიზნით იდენტიფიცირებულია 114 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი);
- შეიქმნა ინკლუზიური განათლების ვებ - გვერდი (inclusion.ge), სადაც განთავსდება ყველა საჭირო ინფორმაცია ინკლუზიური განათლების მიმართულებით;
- ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობის ფარგლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის, მათი მოთხოვნის შესაბამისად დაფინანსდა ჟესტური ენის თარჯიმნები, განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამი

მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტის უზრუნველყოფა სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიებით;

- იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებს მიეწოდათ საგანმანათლებლო სერვისი ქალაქ თბილისის 147-ე საჯარო სკოლის პედაგოგების მიერ, აგრეთვე თბილისის 64-ე საჯარო სკოლაში სმენის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის ფუნქციონირებს, ხოლო თბილისის 166-ე, თბილისის 41-ე, თბილისის 72-ე და ქალაქ თელავის მე-9 საჯარო სკოლებში გაიხსნა აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის, ინტეგრირებული კლასები;
- „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის“ ღონისძიების ფარგლებში დაიბეჭდა „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის“ გზამკვლევის 5 000 ეგზემპლარი. გამოვლინდა მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა სკოლაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, დაისახა გზები ბავშვთა რეაბილიტაციისა და სკოლების გასაძლიერებლად. შეფასდა და დადგინდა სკოლის მიღმა დარჩენილ რისკის ჯგუფების ბავშვთა სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებები;

4.1.6. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

- „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის და ასევე, კერძო სკოლების სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების და სამუშაო რვეულების მიწოდება. შეძენილი წიგნების ჯამური რაოდენობამ შეადგენა 4 058 795.0 ცალი, ხოლო დარიგებული წიგნების რაოდენობამ - 4 112 665.0 ცალი წინა წლის წიგნების ნაშთის დამატებით. ამ მიზნით მიიმართა 14.2 მლნ ლარი.

4.1.7. საზაფხულო სკოლები (პროგრამული კოდი 32 02 07)

- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენის სწავლა/სწავლების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ ფარგლებში, დაბა წყნეთში ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში გაემგზავრა 600 მოსწავლე, საიდანაც 32 მოსწავლემ განაგრძეს სწავლა დიდ ბრიტანეთში ორკვირიან ინგლისური ენის საზაფხულო კურსებზე;
- ქვეპროგრამის „მომავალ ლიდერთა საზაფხულო სკოლა საქართველოში“ ფარგლებში დაბა ბაკურიანში გაემგზავრა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადებიდან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სხვადასხვა კონკურსებიდან შერჩეული 80 საუკეთესო შედეგების მქონე მოსწავლე;
- არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქვეპროგრამის „ქართული ენის ინტერნაციონალური საზაფხულო სკოლა საქართველოში“ ფარგლებში მოეწყო საზაფხულო სკოლა და ერთ ნაკადად დაბა ბაკურიანში გაემგზავნენ პროგრამის მონაწილე პედაგოგები და მეორე ნაკადად მონაწილე 40 მოსწავლე.

4.1.8. ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

- კონფლიქტის ზონებში მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების მიზნით მიიღარა 2.3 მლნ ლარი.

4.1.9. სასჯელადსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა (პროგრამული კოდი 32 02 09)

- ზოგადი განათლების ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის დარეგისტრირდა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი 11 მსჯავრდებული მოსწავლე. აღნიშნული გამოცდები დაძლია 8 მსჯავრდებულმა;
- 2013-2014 სასწავლო წლის განმავლობაში VII-XI კლასის და XII კლასის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ი და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მიზნით, გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 3 მსჯავრდებული/ბრალდებული მოსწავლე და არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფი 29 არასრულწლოვანი მსჯავრდებული მოსწავლე. აღნიშნული გამოცდები დაძლია სამივე მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ და 25-მა არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა;
- განხორციელდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეების სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა. დარეგისტრირებული იყო 17 მსჯავრდებული/ბრალდებული მოსწავლე. აღნიშნულ გამოცდებში მონაწილეობას იღებდა 9 პატიმარი, აქედან გამოცდები დაძლია 7 მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ;
- ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღეს N11 არასრულწლოვანთა სპეციალურ და სხვა სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფმა 14 მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ. აღნიშნული გამოცდები გადალახა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 4 მსჯავრდებული/ბრალდებული მოსწავლე;
- საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელადსრულების N5 ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ერთ არასრულწლოვან გოგონას შესაძლებლობა მიეცა სპეციფიურ გარემოში შეესწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები;
- მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით სრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების მსჯავრდებულებისათვის, ასევე პირობით მსჯავრდებულებისა და პირობით ვადამდე განთავისუფლებული მსჯავრდებულებისათვის განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (გადამზადდა 59 ბენეფიციარი).

4.1.10. ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (პროგრამული კოდი 32 02 10)

- კლასში განხორციელებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის აქტივობის ფარგლებში შემუშავდა შემაჯამებელი დავალების შეფასების ფორმა, განხორციელდა შემაჯამებელი დავალებების შეფასება საქართველოს რეგიონის 28 სკოლაში, 9 საგანში დაწყებით საფეხურზე. მომზადდა შეფასების შედეგების ელექტრონული ბაზა და მონიტორინგის ჩარჩო საბაზო-საშუალო საფეხურებისთვის, ასევე მონიტორინგის სამუშაო აღწერილობები დაწყებითი საფეხურისათვის რეგიონის სკოლებში;

- დასრულდა მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლების მიზნებისა და საფეხურების ამოცანებზე, დაწყებითი საფეხურის საათობრივ ბადეზე და I-VI კლასების საგნობრივი სტანდარტების გადამუშავებაზე;
- მომზადდა „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ გზამკვლევის ელექტრონული ვერსია და ეროვნული სასწავლო გეგმის ვებ. პორტალი.

4.1.11. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 32 02 11)

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2013-2014 სასწავლო წლის II სემესტრში უზრუნველყო 901 საჯარო სკოლის 47 085 მოსწავლის, ხოლო 2014-2015 სასწავლო წლის I სემესტრში 1 066 საჯარო სკოლის 52 667 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია. ამ მიზნით სულ მიიმართა 13.0 მლნ ლარი;
- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა 37 512 ცალი საკლასო ჟურნალის ბეჭდვა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გადაცემა;
- ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადაეცა 1 672 სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებული და დამხმარე სახელმძღვანელოები. 450-მდე აბიტურიენტს ჩაუტარდა მოსამზადებელი სამუშაოები ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, რომელთაგანაც 143 აბიტურიენტი დარეგისტრირდა 2014 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, გალის რაიონის 47 პედაგოგმა გაიარა ტრენინგი;
- „საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლის) ტერიტორიაზე სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და სკოლის ექიმის საქმიანობის“ პროექტის ფარგლებში შეირჩა 100 საპილოტე სკოლა, სადაც მოეწყო/აღიჭურვა სამედიცინო კაბინეტები;
- ჩატარდა კომფერენციები თემაზე: „ინგლისური ენა და ეკონომიკური განვითარება გლობალიზებულ მსოფლიოში“ და მოსწავლეთა კონფერენცია „ჩვენ ვიცავთ თანატოლების უფლებებს“.

4.2. უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

4.2.1. გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

- ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების ფარგლებში დაიგეგმა გამოცდები, განხორციელდა აბიტურიენტთა, მაგისტრანტობის კანდიდატთა ბაზების ფორმირება, მათი რეგისტრაცია, საგამოცდო ტესტების მომზადება და დაბეჭდვა, საგამოცდო ცენტრების მოძიება და გამოცდებისათვის მომზადება (ვიდეო-კამერების დამონტაჟება, საგამოცდო სექტორების მოწყობა შესაბამისი ინვენტარით), ადმინისტრატორების, კოორდინატორების, თანაშემწეების, მეთვალყურეების, კურატორების და საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირების შერჩევა. მოხდა აბიტურიენტთა და მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია, ჩატარდა ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდები. გასწორდა ნაშრომები, დასრულდა აპელაციის პროცესი, სააპელაციო ნაშრომების გასწორების შემდეგ საბოლოოდ შემუშავდა რანჟირების დოკუმენტი და გამოცხადდა საბოლოო შედეგები;
- მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების ფარგლებში დაიგეგმა მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდები, ჩატარდა საცდელი ტესტირება, მასწავლებლების კანდიდატების ბაზების ფორმირება, საგამოცდო ტესტების მომზადება, გამსწორებლეთა ტრენინგი, ტესტების დაბეჭდვისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება, საგამოცდო ცენტრების მოძიება, ადმინისტრატორების, კოორდინატორების, თანაშემწეების, კურატორების და საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირების შერჩევა. განხორციელდა მასწავლებლების რეგისტრაცია გამოცდებისათვის და ჩატარდა გამოცდები. მოხდა ნაშრომების გასწორება, აპელაცია და სააპელაციო ნაშრომების გასწორება, აგვისტოს თვეში გამოცხადდა საბოლოო შედეგები;
- განხორციელდა სკოლის გამოსაშვები გამოცდის დაგეგმვა, მეთვალყურეებისა და სხვა პირების შერჩევა, ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები;
- პროფესიული გამოცდების ფარგლებში მიმდინარეობდა სატესტო დავალებების აპრობაცია, საგამოცდო ტესტების მომზადება, ადმინისტრატორების, კოორდინატორების, თანაშემწეების, მეთვალყურეების, კურატორების და საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირების შერჩევა. მოხდა ტესტირების ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია, სულ რეგისტრაცია გაიარა 10 449 აპლიკანტმა, ხოლო ჩაირიცხა 6 474 აპლიკანტი;
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა The Program for International Student Assessment (PISA)-ის ფარგლებში დასრულდა კვლევის პილოტირება. პილოტირებაში ჩართული იყო 38 სკოლა საქართველოს ყველა რეგიონიდან და ამ სკოლებიდან 15 წლის 1 600 მოსწავლე, ასევე მათი მშობლები და სკოლის დირექტორები;
- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის Trends in International Mathematics and Science Study (TIMSS) ფარგლებში დასრულდა კვლევის პილოტირება. პილოტირება ჩატარდა 38 სკოლაში, მასში მონაწილეობა მიიღო 2 708 მოსწავლემ, 38 სკოლის დირექტორმა, 1 364 მშობელმა და 366 მასწავლებელმა.
- სწავლებისა და სწავლის მეორე საერთაშორისო გამოკითხვა Teaching and Learning International Survey (TALIS) კვლევის ფარგლებში მომზადდა კვლევის ინსტრუმენტები და მონაცემთა ბაზა. დასრულდა ძირითადი კვლევისთვის კითხვარების ვერიფიკაციის პროცესი, შეიქმნა კვლევაში ჩართული პედაგოგების მონაცემთა ბაზები;
- შეიქმნა შეფასების ჩარჩო, აგრეთვე შეიქმნა და რედაქტირდა ტესტური დავალებების ბაზა. შეიქმნა მოსწავლის, მასწავლებლის, დირექტორისა და მშობლის კითხვარები. დასრულდა პილოტირება (მონაცემთა შეგროვება), პილოტირებაში ჩართული იყო დაახლოებით 1 700 მოსწავლე. შეიცვალა ეროვნული შეფასებების ჩატარების 5 წლიანი გეგმა.

4.2.2 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02)

4.2.2.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 01)

- ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 152 მეცნიერი, მ.შ. 2013 წლის კონკურსში გამარჯვებული - 36 მეცნიერი და 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული - 116 მეცნიერი;
- „საკონფერენციო გრანტები“ ღონისძიების ფარგლებში განსორციელდა 2013 წლის კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტის დაფინანსება. გამოვლინდა 2014 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 22 პროექტი, რომელთაგანაც დაფინანსდა 18 პროექტი;
- გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 2012-2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 62 პროექტი. ასევე, ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ღონისძიების ფარგლებში 2011-2012-2013 წლების საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული 204 პროექტი;
- დაფინანსდა ქართული ელექტრონული ლექსიკონის შექმნის მიზნით 2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი, ელექტრონული ჟურნალის ღონისძიების ფარგლებში ერთი პროექტი, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ორგანიზებით 2012-2013 წლებში ჩატარებული ერთობლივი საგრანტო კონკურსების გამარჯვებული 6 ახალგაზრდა მეცნიერი და გამოვლინდა 2014 წლის საგრანტო კონკურსში 5 გამარჯვებული პროექტი;
- ერთობლივი ევროპული და რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში (CNR, CNRS, GRDF, BS-ERA, NET) დაფინანსდა 2012-2013 წლის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული 41 პროექტი;
- პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერებს ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 68 მეცნიერი, კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით ღონისძიების ფარგლებში 2014 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 14 პროექტი, ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი“ - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - 1 პროექტი.

4.2.2.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 04 02 02)

- სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ უცხოურ და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნდა 39 სტატია, 56 სამეცნიერო თეზისი: 16 საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეების და 40 საქართველოში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით ასევე, ერთი მონოგრაფია.
- ჩატარდა მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმი, ზამთრის სკოლა ფიზიკაში და სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის, ასევე საზღვარგარეთის უნივერსიტეტების სტუდენტებმა;
- მოეწყო საზაფხულო სკოლა, რომელიც ბირთვული და რადიაციული მედიცინის, დიაგნოსტიკისა და უსაფრთხოების სისტემების განვითარებას მიეძღვნა. ჩატარდა მრგვალი მაგიდა „რადიაციული მედიცინა XXI საუკუნე - პერსპექტივები, გამოწვევები“;
- სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა კვლევები ბაქტერიოფაგიაში, ასევე

ჩატარდა სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ფაგების მოლეკულურ-ბიოლოგიური და იმუნოლოგიური კვლევა, მომზადდა და გაიგზავნა სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო გამოცემებისათვის;

- სსიპ - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობდა დაცული ხელნაწერების, საარქივო მასალების, ისტორიული დოკუმენტების და საბიბლიოთეკო წიგნების დიგიტალური ვერსიების დამზადება. ასევე, მათი დაცვის და შენახვის მიზნით საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება. აგრეთვე მიმდინარეობდა ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია, ახალი ფონდებით შევსება, სხვადასხვა ტიპის ელექტრონული კატალოგების მომზადება;
- ხელნაწერთა აღწერის განვითარების მიზნით ჩატარდა კონფერენცია - „აღწერილობანი“. აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენცია თემაზე XIX-XX საუკუნეების საქართველო და III საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“. ჭუბერში (ზემო სვანეთი) გაიხსნა პირველი კალიგრაფიული სკოლა;
- ანკარაში, კოჩის უნივერსიტეტთან არსებული კვლევის ცენტრის (VEKAM) ორგანიზებით ჩატარდა პირველი სიმპოზიუმი, რომელიც ტაო-კლარჯეთს მიეძღვნა;
- საგანმანათლებლო პროგრამა „წერილები იუნკრებს“ ფარგლებში ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული საარქივო მასალის გამოფენა.
- ჩატარდა კონკურსი „ქართული კალიგრაფია“, შერჩეული 198 ნამუშევრიდან გამოვლინდა 96 რჩეული ნამშრომი;
- განხორციელდა უძველესი ქართული ხელნაწერების ციფრული ასლებისა და „საქართველოს ოკუპაცია და ემიგრანტები“ გამოფენა, საგამოფენო-საგანმანათლებლო პროექტი „ჩემი დედაენა“ და „მოგზაურობა ხელნაწერთა სამყაროში“.
- მოეწყო ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული ხელნაწერი“ და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ახალგაზრდული ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეებისათვის.

4.2.2.3 მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 03)

- გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის“ 2014 წლის პირველი, მეორე და მესამე ტომები, „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერიის პირველი და მეორე, აგრეთვე, „მაცნეს“ ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების სერიის 2014 წლის პირველი, მეორე და მესამე ნომრები. გამოიცა ენციკლოპედია „საქართველოს“ მესამე ტომი, ენციკლოპედიური გამოცემა „100 ღირსსახსოვარი სახელი“ და ჟურნალ „ბიომედიცინის“ 1-6 ნომრები, „საქართველოს მათემატიკური ჟურნალის“ მე-20 ტომის მე-4 ნომერი, „მემუარები დიფერენცირებულ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ 58-ე, 59-ე, მე-60-ე ტომები.

4.2.2.4 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 04)

- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადდა და გამოიცა ნაშრომები: „ადამიანი და მწერები“, „მეაბრეშუმეობა“, „მევენახეობის ტექნოლოგია და სამუშაოთა მექანიზაცია“, „რეკომენდაციების კრებული“, „საკვები კულტურების აგროწესები“ და „მეხილეობის და მებოსტნეობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში“.

- ჩატარდა კონფერენცია „მეხილეობისა და მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების შესახებ შიდა ქართლში“, გაიმართა შეხვედრა, სადაც განხილული იქნა საქართველოს კანონი „სურსათად ცხოველის საკვებად გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტი ეტიკეტების შესახებ“;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სემინარები: „სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემების შესახებ“, „მარცვლეული კულტურებისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური, აბორიგენული და სელექციური ჯიშების მდგომარეობის შესახებ“, „მეცხოველეობის საკვების მოპოვების ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ“, „სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემების შესახებ“, „მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამადლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლების შესახებ“, „დაჭაობებული ტერიტორიების ეკოსისტემის მდგრადი მართვის შესახებ“, „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების შესახებ“;
- გამოიცა რეკომენდაციები „მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისა და ნიადაგის დამუშავებისათვის საჭირო ოპტიმალური ტენიანობის პარამეტრების შესახებ“, „შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და ეკონომიკური ეფექტიანობა“ და „საკვები კულტურების აგროწესები“. ასევე, გამოცემული იქნა ერთი მონოგრაფი „მევენახეობის ტექნოლოგია და სამუშაოთა მექანიზაცია“.

4.2.3 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 03)

- სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო გრანტების და ასევე, პროგრამული დაფინანსების მფლობელი სტუდენტები უზრუნველყოფილ იქნენ სწავლის დაფინანსებით.
- „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700 სტუდენტზე მეტს;
- „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში სწავლა დაუფინანსდა გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, ონისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ 471 სტუდენტს;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონში, ოკუპირებულ ტერიტორიასა და მის საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა შვილები, სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულთა შთამომავლები, უდედმამო, მრავალშვილიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი 1 370 სტუდენტი, ხოლო მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით - სოციალურად დაუცველი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა შვილები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (71 მაგისტრანტი);
- უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ჩარიცხული 39 უცხო ქვეყნის მოქალაქე, პროგრამით ძირითადად ისარგებლეს რუსეთსა და საინგილოში მცხოვრებმა ეთნიკურმა ქართველებმა.

- განხორციელდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში 2013 წელს გამარჯვებული 133 დოქტორანტების დაფინანსება;
- პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტორანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასური დაუფინანსდა 98 ბენეფიციარს, მათ შორის, საზღვარგარეთ მყოფ 63 ქართველ სტუდენტს და საქართველოში მყოფ 35 უცხოელ სტუდენტს. „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 77 ბენეფიციარი.

4.2.4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)

- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დასაფინანსებლად მიიმართა 9.7 მლნ ლარი;

4.3. საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

4.3.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 05 01)

- 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს ყველა საჯარო სკოლის 42 600 პირველკლასელი მოსწავლე და 2 650 დამრიგებელი უზრუნველყოფილი იყო საბავშვო - სასწავლო პორტატული კომპიუტერით;
- განხორციელდა 1 629 საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული წარჩინებული მოსწავლის პორტატული კომპიუტერით დაჯილდოება;
- 174 საჯარო სკოლას გადაეცა 4 252 ცალი, ხოლო 15 პროფესიულ სასწავლებელს 1 077 ცალი პერსონალური კომპიუტერი, 400 ცალი პორტაბელური კომპიუტერი და 7 ცალი პრინტერი;
- მცირე ბიუჯეტიან 24 საჯარო სკოლას გამოეყოთ მიზნობრივი დაფინანსება უწყვეტის კვების ბლოკების შესაძენად;

4.3.2 საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 32 05 02)

- გაზიფიცირების, გათბობის სისტემისა და სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განხორციელდა 204 სკოლის დაფინანსება, 53 საგანმანათლებლო დაწესებულების გაზიფიცირება, 14 საჯარო სკოლის სპორტული მოედნების მოწყობა, 148

- საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახების მოწყობა და აღჭურვა, 6 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, 479 საჯარო სკოლის, 8 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, 12 პროფესიული სასწავლებლისა და 6 პროფესიული კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტალური ბიომედიცინის ცენტრში ჩატარდა გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დაპროექტდა ზუგდიდის მასწავლებელთა სახლი და 8 ახალი საჯარო სკოლა, შესწავლილი იქნა 30 საჯარო სკოლის ავარიულობის საკითხი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა (სსსმ) საჭიროებების გათვალისწინებით მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა: 43 საჯარო სკოლაში - ადაპტირებული სველი წერტილები, 88 საჯარო სკოლაში - პანდუსი;
- რეგიონებში (ახალციხე, ბაღდათი, სენაკი) მდებარე კოლეჯებისათვის დასრულდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეცხოველეობის ფერმების პროექტირება;
- 1 539 საგანმანათლებლო დაწესებულებას გადაეცა 104 500 ცალი მერხი. ასევე, შეძენილ იქნა 5 000 ცალი სასკოლო დაფა;
- 8 ახალ საჯარო სკოლას გადაეცა 280 კარადა, 284 მაგიდა, 17 საკიდი და 18 ტუმბო;
- პროფესიულ/საზოგადოებრივ კოლეჯებს დაურიგდა 1 136 ცალი მაგიდა, 837 ცალი კარადა, 120 ცალი საკიდი, 316 ცალი ტუმბო, 368 ცალი საოფისე სავარძელი და 895 საოფისე სკამი.

4.4. პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- ✓ სსიპ პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯები;
- ✓ ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯები;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

4.4.1. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 32 03 01)

- საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები უზრუნველყოფილნი იყვნენ ვაუჩერული დაფინანსებით.
- გამოცხადდა პროფესიული განათლების მსურველთა რეგისტრაცია (საგაზაფხულო და საშემოდგომი მიღება). ამჟამად, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში 8 744 სტუდენტი იღებს სხვადასხვა პროფესიულ განათლებას;
- ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა ან/და განრიდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართათვის სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისში“ და სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ განხორციელდა „მზარეულის“, „ბულალტერის“ და „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის“ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. სულ გადამზადდა 14 ბენეფიციარი.

4.4.2. ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 02)

- გადამუშავდა სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამა საჯარო მოხელეებისათვის;
- „სახელმწიფო მართველობა და ადმინისტრირება“ პროგრამის ფარგლებში გადამზადება გაიარა საქართველოს მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებში მცხოვრებმა საჯარო მოხელეებმა.
- სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეგიონულ სასწავლო ცენტრებში, განხორციელდა საჯარო მოხელეების მომზადება სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამით;
- დასრულდა ნინოწმინდის რეგიონული სასწავლო ცენტრის შენობის სარემონტო სამუშაოები.

4.4.3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (პროგრამული კოდი 32 03 03)

- სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) შემდგომი განვითარების მიზნით შემუშავდა ახალი მოდულები, დასრულდა სისტემის დანერგვის პირველი ეტაპი - პილოტურ რეჟიმში ფუნქციონირების ფაზა და შესაბამისად შემდგომ რეჟიმში გადასვლის მოსამზადებელი სამუშაოები;
- eSchool-ის დანერგვის პირველი ეტაპის ფარგლებში, მისი მოხმარების წესების სწავლების მიზნით საქართველოს მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლის წარმომადგენელთათვის ჩატარდა ტრენინგები;
- დასრულდა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის eVet -ის შემდგომი განვითარების ეტაპი, განხორციელდა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართვა;
- eFlow-ს დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემაში, უსაფრთხო კავშირის გამოყენებით დამატებით ჩაერთო 20 - მდე პროფესიული და 3 უმაღლეს სასწავლებელი;
- წარიმართა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაცია, XI-XII კლასის სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დაძლევის მსურველ მოსწავლეთა გამოცდების და CAT-გამოსაშვები გამოცდების ტექნიკური მხარდაჭერა, VI-IX კლასის მოსწავლეთათვის ელექტრონული ტესტირების ჩატარებისთვის სპეციალური პროგრამების ინსტალაცია და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე ფუნქციონირებად საზოგადოებრივ კოლეჯში 6 სხვადასხვა მოკლევადიან კურსზე ჩარიცხულ იქნა 85 მსმენელი, ხოლო სხვადასხვა პროგრამაზე 2013 წლის საშემოდგომო მიღებიდან 118 პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა შესაბამისი პროგრამისა და საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;
- 2014-2015 სასწავლო წლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი „ბუკები“-სათვის მოხდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მოძიება, ტესტირება და იმიჯების მომზადება;
- შეიქმნა infoshare-ის განათლების სისტემის ერთიანი საინფორმაციო პორტალი, რომლის მიზანს წარმოადგენს განათლების სისტემაში მიმდინარე პროგრამების, პროექტებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის განთავსება ერთიან ელექტრონულ სივრცეში;
- განხორციელდა ადმინისტრაციულ საზღვართან დროებით გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების საჯარო სკოლების, რეგიონებში საგანმანათლებლო რესურსცენტრების VoIP სატელეფონო კავშირით და საჭირო აპარატურით (110 ერთეული) უზრუნველყოფა;

- ერთიანი ქსელის შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის 569 სკოლა და 24 საგანმანათლებლო რესურსცენტრი თბილისსა და სხვადასხვა რეგიონებში უზრუნველყოფილ იქნა მაღალი გამტარიანობის ოპტიკური კავშირით. სკოლებსა და რესურსცენტრებში დამატებით განთავსდა 660 ერთეული უახლესი Cisco-ს როუტერი და უწყვეტი დენის წყარო. ამოქმედდა სისტემაში სკოლების განმხოლოებითი ჩართვის პრინციპი. გაიზარდა ინტერნეტის მიწოდების სიჩქარე. აღწერილ იქნა საქართველოს საჯარო სკოლებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში არსებული IT ინფრასტრუქტურა და შეიქმნა შესაბამისი მონაცემთა ელექტრონული ბაზა;

4.5 ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (პროგრამული კოდი 32 06)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - ათასწლეულისგამოწვევისფონდისსაქართველო (MCA - GEORGIA)

- 12 საჯარო სკოლას ჩაუტარდა გეოტექნიკური ანალიზი. ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილი იქნა 5 საჯარო სკოლა, სადაც ჩასატარებელია მნიშვნელოვანი გასამაგრებელი სამუშაოები;
- შემუშავდა ძეგვის, ნიჩბისის, თიანეთის, ქვემო ჭალის საჯარო სკოლების შენობების გასამაგრებელი სამუშაოების პროექტები;
- მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები ათასწლეულის განვითარების კორპორაციასთან ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (გადაწყვეტილება მიღებული იქნა საჯარო სკოლის თიანეთის, ნიჩბისის და საქაშეთის საჯარო სკოლების შესახებ);
- გასამაგრებელი სამუშაოების პროექტების გათვალისწინებით, საპროექტო კომპანია „ლუი ბერგერის“ მიერ წარმოდგენილ იქნა 12 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სატენდერო პაკეტის და 21 სკოლის საპროექტო ნახაზები, სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაციები, სარეაბილიტაციო დეფექტური აქტები და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები;
- მოეწყო შავი ზღვის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას საგანმანათლებლო სფეროში და საკლასო შეფასების თემას;
- საქართველოს მთავრობასა და აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ხელი მოეწერა გრძელვადიანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს (პროექტის ფარგლებში საქართველოს სამ პატრნიორ უნივერსიტეტში (თსუ, ისუ, სტუ) განხორციელდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ელექტრულ ინჟინერიაში, კომპიუტერულ მეცნიერებაში, ქიმიაში (ბიოქიმიის განხრით) და კომპიუტერულ ინჟინერიაში);
- შემუშავდა სასწავლო გეგმა STEM და ინგლისური ენის აკადემიისათვის, რომლის მიზანია შესთავაზოს უფასო გადამზადების კურსები მათემატიკასა და ინგლისურ ენაში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებით დაინტერესებულ სტუდენტებს;
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ხელშეწყობით განხორციელდა კვლევა, რომლის ამოცანა იყო ზუსტი მეცნიერებისა და საბუნებისმეტყველო დარგებში გოგონებისა და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების წინაშე არსებული დაბრკოლებებისა და დღევანდელ შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტური ტექნიკური პროფესიების შესწავლა. მოეწყო კვლევის შედეგების პრეზენტაცია;
- ფონდმა შეიმუშავა სოციალური და გენდერული საკითხების ინტეგრირების გეგმა - სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სოციალური და გენდერული ასპექტების ჩართვას ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახსრებით განსახორციელებელი საქმიანობის ყველა ეტაპზე;

- დასრულდა მუშაობა სარეაბილიტაციო სკოლების ალგორითმული სელექციის პროცესზე. სამუშაო პროცესის შედეგად 2015 წლის სარეაბილიტაციო სეზონისთვის სტატისტიკური მოდელის შესაბამისად განისაზღვრა 30 სარეაბილიტაციო და 20 საკონტროლო სკოლა.

4.6. სამხედრო განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის კადემია;

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა კადეტთა გამოსაშვები ჯგუფების საატესტატო გამოცდა და განხორციელდა კადეტთა ახალი ნაკადის მიღება და მათი უზრუნველყოფა შესაბამისი სანივთე ქონებით;
- დასრულდა იუნკერთა ახალი ნაკადის მიღების პროცედურები, შესყიდული იქნა იუნკერთა ახალი ნაკადისთვის პერსონალური კომპიუტრები და სანივთე ქონება;
- დამთავრდა ახალი სასწავლო ჯგუფების მიღება ინგლისური, რუსული და სპარსული ენების პროგრამებზე;
- შეკეთდა ლიცეუმის შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორია;
- შედგა ვიზიტი ესტონეთის თავდაცვის აკადემიაში, სადაც საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებს გააცნეს დისტანციური სწავლების (Advance Distributed Learning) დანერგვის სისტემის პრაქტიკული მუშაობის მეთოდები;
- სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შეფასების სისტემის დანერგვის მიზნით ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა ტრენინგი;
- აკადემიის უმცროს ოფიცერთა სკოლაში დასრულდა ქვეითთა მომზადების კურსი, კაპიტნის საკარიერო სკოლაში არსებულ კურსებზე მოხდა მსმენელთა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მომზადება და გამოშვება;
- სამეთაურო-სამტაბო სკოლის ინსტრუქტორებმა დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში გაიარეს კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებში სემინარი და დისტანციური სწავლებისა და ელექტრონული სწავლების პროგრამის ორგანიზებისა და ჩატარების მოსამზადებელი კურსი;
- განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის „Ilias“ ამოქმედებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა.
- აკადემია გადავიდა ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე;
- სასწავლო პროცესი დასრულდა ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსზე, შეიარაღებული ძალების ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის შესაბამისად;
- მიმდინარეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა (სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეები), აგრეთვე სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების დაწესებულებებში მომუშავე სამოქალაქო პირთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, კვალიფიკაციის ამაღლება და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება. აგრეთვე, სასწავლო პროცესში ელექტრონული კურსების გამოყენებით, მოქნილობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა, თანამედროვე ტენდენციების გაზიარება;

4.7. სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებები

- სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობით გაიმართა სხვადასხვა ტიპისა და მიმართულების კონცერტები, მასტერკლასები, გამოფენები, ვორქშოპები, ფილმებისა და სტუდენტური სპექტაკლების ჩვენებები, მოეწყო სხვადასხვა ტიპის ფესტივალი. პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყო: სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რეგიონებიდან შერჩეული 10 მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებული მოსწავლის სწავლას (პანსიონის ხარჯი); სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 43 მაგისტრანტის სწავლას; სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროექტის „მეხუთე საერთაშორისო სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსი“ გამართვას; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული 15 სტუდენტის სწავლას. საქართველოს რამოდენიმე სახელოვნებო საგანმანათლებლო უმაღლესი დაწესებულების 57 სტუდენტი დაეუფლა პროფესიული განათლების პროგრამას.

4.8. განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- ✓ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

- განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატისა და განათლების რესურს-ცენტრების მიერ აღნიშნულ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. მიმდინარეობდა მუშაობა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფის, აგრეთვე მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების კუთხით;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა 24 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, უმაღლესი დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, ხოლო აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 19 პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგი;
- ავტორიზაციაზე უარი ეთქვა 9 უმაღლეს, 8 პროფესიულ და 3 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. ავტორიზაცია გაუუქმდა 3 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და 2 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. აკრედიტაციის საბჭომ უარყოფითი

გადაწყვეტილება მიიღო 35 საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, ხოლო 267 პროგრამასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება;

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა 4 561 განცხადება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით, 152 განცხადება ლიკვიდირებულ და საგანმანათლებლო საქმიანობა შეწყვეტილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით ან დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ 19 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები. გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები ავტორიზაციის მაძიებელ სახელმწიფო და კერძო კოლეჯების წარმომადგენლებთან. მოხდა სახელმწიფო კოლეჯების მიერ წარმოდგენილი 26 კორექტირებული პროგრამის გადახედვა და მოეწყო შემაჯამებელი საკონსულტაციო შეხვედრა. მომზადდა ავტორიზაციის ექსპერტთა სატრენინგო პროგრამა და სარეკომენდაციო მასალები;
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შევიდა ცვლილებები - გასწორდა 2 აკადემიური და 1 პროფესიული კვალიფიკაციის დასახელება;
- გაიმართა WorldSkills Georgia-ს მეორე ეროვნული შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 37 მონაწილე 6 სპეციალობით. WorldSkills Georgia 2014 - ეროვნულ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გასული გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ WorldSkills-ის 43-ე საერთაშორისო შეჯიბრებაში;
- პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგი სარეკომენდაციო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიაში (469 გადამზადებული ადამიანი, აქედან 342 პროფესიული მასწავლებელი) და სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების საჭიროების ანალიზი. მომზადდა „მობილობის სახელმძღვანელოს“ განახლებული ვერსია;
- ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კონკურსი, რის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტის სტატუსი მიენიჭა 34 კანდიდატს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კონკურსის გავლის შემდეგ ექსპერტის სტატუსი მიენიჭა 8 კანდიდატს, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კონკურსის შედეგად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის სტატუსი მიენიჭა 17 კანდიდატს;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა პროფესიის/სამუშაოთა ანალიზის კვლევა, რის შედეგადაც დადგინდა ისეთი პროფესიები, რომლებიც არ დაემთხვა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალს. საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალის შეჯერების საფუძველზე შეარჩია 100 პრიორიტეტული პროფესია და პროფესიული სტანდარტები მუშავდებოდა „DACUM“-ის მეთოდოლოგიით. შეიქმნა 62 პროფესიული პროგრამა (829 მოდული).
- მომზადდა შეფასების ინსტრუმენტების სრული პაკეტი 50 საპილოტე მოდულური პროგრამისთვის და შეფასების სტანდარტები 30 პროფესიისთვის. 50 მოდულის პილოტირებისთვის შეირჩა 9 საჯარო და 4 კერძო კოლეჯი. საჯარო კოლეჯებში მოკლევადიან სასწავლო კურსებზე ჩაირიცხა 839, კერძო კოლეჯებში კი 203 მსმენელი. პროცესის სასწავლო უზრუნველყოფას ახორციელებდა 66 მასწავლებელი;
- საგანმანათლებლო დოკუმენტების ენობრივი ნორმების დაცვის ხელშეწყობის მიზნით სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შესწორდა 411 დოკუმენტი, ითარგმნა 347 დოკუმენტი, ენობრივად შეთანხმდა 60 დიპლომის ფორმა.

4.10. სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- შს სამინისტროს აკადემიაში 2014 წელს საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა 39 სტუდენტი, შეიქმნა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (ბაზები), როგორც სტუდენტებისათვის, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, ჩატარდა აკადემიური კონკურსი პროფესორ-მასწავლებლების ასაყვანად, განახლდა შსს აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა, დამუშავდა და შეიცვალა შიდა სამართლებრივი დოკუმენტები;
- განხორციელდა პატრულ-ინსპექტორთა, უზნის ინსპექტორთა და დეტექტივ-გამომძიებელთა ტესტირება. დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა 196 თანამშრომელმა, დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაამთავრა 96 თანამშრომელმა, წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების კურსი გაიარა 290 მოსამსახურემ, არასრულწლოვანთა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალური სასწავლო კურსი დაამთავრა 225 თანამშრომელმა, მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი ეფექტურ მომსახურეობის სტანდარტებში დაამთავრა 322 მოსამსახურემ, უზნის ინსპექტორთა, მესაზღვრეთა და პატრულ ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა 301 მოსამსახურემ, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელთა მომზადების კურსი გაიარა 379 მოსამსახურემ, უწყებათა ტრენინგი კორუფციის, კრიმინალურ და ტერორიზმის საკითხებზე ჩატარდა 284 თანამშრომელს, ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი გაიარა 1 104 თანამშრომელმა, საქართველოს საბანკო მომსახურეობის საინკასაციო სამსახურის სპეციალური მომზადების კურსი დაამთავრა 27 პიროვნებამ, საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა “ORIS”-ში მომზადების კურსი გაიარა სამინისტროს 16 თანამშრომელმა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ჯგუფებში მიმდინარეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გადამზადების პროგრამა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურის მანდატურთა სპეციალური სწავლება გაიარა 158 პიროვნებამ; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ააიპ „საკალათბურთო კლუბი შსს აკადემია“-ს დაფინანსება.
- მომზადდა საარქივო დოკუმენტების ანოტაციები, განხორციელდა საარქივო ფონდების დეტალური აღწერილობის მონაცემთა ბაზაში შეტანა, ხოლო დაზიანებულ საარქივო მასალებს ჩატარდა რესტავრაცია;

4.11. იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

- სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ტრენინგი გაიარა 4.4 ათასამდე მონაწილემ. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის, ისე სხვა ორგანიზაციების თანამშრომლები. ტრენინგები ჩატარდა სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის - სოციალური, იურიდიული და IT მიმართულებებით;
- სასწავლო ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული ტესტირებების მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 16 966;
- ყვარლის ფილიალში ადმინისტრირებული ტრენინგებისა და შეხვედრების მონაწილეთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 2 012.

4.13. მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

- საანგარიშო პერიოდში, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 54 სემინარი მოსამართლეებისთვის, 21 სემინარი მოსამართლის თანამშრომლებისთვის, 1 სემინარი სასამართლოს მენეჯერებისთვის და ერთი საერთაშორისო მოსამართლეთა კონფერენცია - „კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე“ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სასამართლოს ინიციატივის ინსტიტუტთან (CEELI) თანამშრომლობით;
- ჩატარდა ტრენინგების ტრენინგები (TOT).
- ჩატარდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა 16 იუსტიციის მსმენელი (სამოსამართლო კანდიდატი), რომლებიც გადიოდნენ სასწავლო კურსს;
- მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა იუსტიციის უმაღლესი სკოლის 7 მსმენელი და 3 ყოფილი მოსამართლე სამი წლის ვადით.

4.14. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

- საზოგადოების ჩართულობისა და გამჭვირვალების მიზნით სამოქალაქო საზოგადოებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს წარედგინათ სასწავლო ცენტრის 2013 წლის ანგარიში და გაეცნენ სამომავლო გეგმებს;
- ჩატარდა ტრენინგი ვოლონტიორ საწყისებზე „საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის“ ფარგლებში - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ტრენინგის მიზანს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს საკონსულოებში დასანიშნი პირებისათვის სასჯელაღსრულების სისტემის არსისა და თავისებურებების შესახებ ზოგადი ინფორმაციის გაცნობა წარმოადგენდა;

- შემუშავდა კონცეფცია, სახელმძღვანელო და გზამკვლევი მენტორინგის ინსტიტუტის დანერგვისათვის როგორც პრობაციის, ასევე სასჯელაღსრულების სისტემაში. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სასწავლო პროგრამა სსიპ – არასაკაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო სამსახურის თანამშრომელთათვის და განხორციელდა შესაბამისი ტრენინგები;
- სასჯელაღსრულების სისტემაში არჩევნების პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრთან ურთიერთშეთანხმებით ჩატარდა ტრენინგ-სემინარი სასჯელაღსრულების დაწესებულებების იმ თანამშრომლებისათვის, რომელთაც მოუწევდათ საარჩევნო პროცესის ორგანიზება;
- სასწავლო ცენტრში სხვადასხვა პროგრამით ტრენინგები გაიარა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 2 384-მა მსმენელმა, კერძოდ: სამინისტროს აპარატის - 60-მა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის - 1 827-მა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს - 371-მა, სასწავლო ცენტრის - 24-მა თანამშრომელმა და 64-მა ტრენერმა, სხვა უწყებების - 38-მა წარმომადგენელმა;
- საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 12 170 კაც/ტრენინგ/დღე, ხოლო ტესტირებაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის 90%-მა გადალახა მინიმალური ქულობრივი ბარიერი.

4.15. საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

- პროფესიული განვითარებისა და გამოცდილების გაღრმავების მიზნით ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის დავების განხილვის სამსახურის 11 თანამშრომლისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ფინანსური (ბუღალტრული) აღრიცხვის საფუძვლები“, დავების განხილვის სამსახურის, საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის, ადმინისტრაციული დეპარტამენტის და იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის სამართლებრივი წერის „CREAC“ მეთოდის გამოყენებით ობიექტური და დამარწმუნებელი წერილობითი ანალიტიკური ნაწერის შექმნის მიზნით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევები“ (12 მსმენელი), სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის თანამშრომელთათვის ეფექტური კომუნიკაციისა და მომსახურების, ნეგატიური ინფორმაციის გადაცემისა და მოქალაქეებთან კომუნიკაციის სპეციფიკაციის შესწავლის მიზნით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება“ (28 მსმენელი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელთათვის სახელმწიფო შესყიდვების სხვადასხვა მიმართულების გასაცნობად და წარმატებით განსახორციელებლად საჭირო პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ამაღლების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სახელმწიფო შესყიდვები“;
- საგამომიებო სამსახურის 28 სტაჟიორს ჩაუტარდა მოსამზადებელი კურსი;
- სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, სსიპ - შემოსავლების სამსახურის, სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ფინანსთა სამინისტროს ხაზინის მომსახურების სისტემაში მოქცევის მიზნით განხორციელდა ტრენინგი თემაზე: „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა“;

- ფინანსთა სამინისტროს მაღალი რგოლის ხელმძღვანელი პირებისათვის ლიდერული და მენეჯერული უნარ-ჩვევების განმტკიცების, ასევე პრესკონფერენციების, ბრიფინგების, ინტერვიუების, პრეზენტაციების და საჯარო გამოსვლების უკეთ ჩატარების მიზნით განხორციელდა ტრენინგები თემაზე: „ლიდერული და მენეჯმენტის უნარები“ (25 მსმენელი) და „მედიასთან კომუნიკაციის მენეჯმენტი“ (20 მსმენელი);
- სსიპ - შემოსავლების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის თანამშრომლებისათვის არალეგალური გზით შემოტანილი თამბაქოს ამოცნობისა და კანონდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ბრძოლა თამბაქოს უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ“ (105 მსმენელი);
- სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ ორგანიზება გაუკეთა და ტესტირება ჩაუტარა დასაქმების მსურველ კანდიდატებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციებზე (606 კანდიდატი) და ასევე, აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს, აჭარის ა/რ მთავრობის აპარატს (სულ 815 კანდიდატი);
- ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ჰოლანდიელმა ექსპერტების მიერ ჩატარდა სემინარი თემაზე პროგრამული ბიუჯეტირება და ფინანსური მართვა და კონტროლი;
- საჯარო სამსახურების „დაძმობილების“ (TWINNING) პროექტის ფარგლებში აკადემიამ გადაამზადა ფინანსთა სამინისტროს სისტემის ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები შესაბამისი მიმართულებებით;
- სხვადასხვა საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის ჩატარდა შემდეგი კურსები: „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერია“ (113 მსმენელი), „საგადასახადო კანონმდებლობა“ (60 მსმენელი), „საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები“ (41 მსმენელი), „ფინანსური (ბუღალტრული) აღრიცხვის საფუძვლები“ (8 მსმენელი), IPSAS-საქართველოს საჯარო სექტორში და ფინანსური ანგარიშგება მოდიფიცირებული საკასო მეთოდით“ (1278 მსმენელი), „e-Document საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა“ (15 მსმენელი), „კომპლექსური გაყიდვები“ (60 მსმენელი), „საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტი“ (22 მსმენელი), „კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამა ორისი“ (13 მსმენელი), „სახელმწიფო შესყიდვები“ (93 მსმენელი), „საბაჟო გაფორმება და პროცედურები“ (3 მსმენელი), „ფრონტ ოფისის ახალი პროცედურები“ (30 მსმენელი), „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა“ (97 მსმენელი), „ურბანული განვითარების სოციოკულტურული საფუძვლები“ (6 მსმენელი), „ქალაქგანვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ (6 მსმენელი), „პერსონალური მონაცემების დაცვა“ (7 მსმენელი), „საჯარო გამოსვლის ტექნიკა“ (11 მსმენელი), „პროფესიული წერა და საქმიანი კომუნიკაცია“ (11 მსმენელი), „ინოვაციათა მენეჯმენტი“ (225 მსმენელი);
- საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი სასწავლო და სოციალური პროექტების განხორციელების მიზნით ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამამთვრებელი კურსის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის (25 მსმენელი) ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საგადასახადო კანონმდებლობა“;
- ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციას (ELSA Tbilisi), ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო კურსი თემაზე „ეკონომიკის სამართალი“;
- სამხრეთ კავკასიაში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ოფისის თანადგომით განხორციელდა ტრენინგები თემაზე: „შიდა აუდიტის საფუძვლები“

(50 მსმენელი), „სისტემური აუდიტი“ (25 მსმენელი), „კორუფციისა და თაღლითობის პრევენცია საქართველოს საჯარო სექტორში მომუშავე შიდა აუდიტორთათვის“ (25 მსმენელი) და „პილოტური აუდიტების გამოცდილების გაზიარება“ (18 მსმენელი);

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებით განხორციელდა „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის“ ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლებისთვის (199 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აკადემიის ერთობლივი ორგანიზებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა სამი სასწავლო კურსი თემაზე „ფინანსური პროგრამირება და პოლიტიკა“, „მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა“ და „მაკრო ეკონომიკური მენეჯმენტი და ფინანსური სექტორის პრობლემები“, სადაც ქართველ კოლეგებთან ერთად მოწვეული იქნენ ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის 9 ქვეყნის (აზერბაიჯანი, სომხეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი, უზბეკეთი, მონღოლეთი და სხვა) ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების, ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. მთლიანობაში, აღნიშნული ტრენინგები გაიარა – 80 მსმენელმა.

4.17. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 3 საჯარო ლექცია, 1 სემინარი, 24 მოკლევადიანი სასწავლო კურსი, უცხო ენის 4(გადასამოწმებელია) სასწავლო კურსი, 3 პროგრამა უცხოელი დიპლომატებისათვის და საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამა;
- სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ცენტრმა აქტიურად ითანამშრომლა რიგ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ: საქართველოში ამერიკის საელჩო, ნატოს სამეკავშირეო ოფისი, ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა (NATO-PDP), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC); მიმდინარე ევროკავშირის პროექტის „კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, საქართველო“ ფარგლებში განხორციელდა 2 სასწავლო ვიზიტი და 18 სემინარი.

5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

5.1. ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო;
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო

• მიმდინარეობდა მუშაობა:

- ✓ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად მდგრადი განვითარების ხელშეწყობაზე;
 - ✓ ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის საკითხებზე;
 - ✓ საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის მიზნით, სატრანსპორტო პოლიტიკის დახვეწის, საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის, სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე;
 - ✓ ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობი საინფორმაციო კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის სფეროს განვითარების პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მიმართულებით;
 - ✓ სამშენებლო სფეროს ლიბერალიზაციისა და მისი განვითარების საკითხებზე;
 - ✓ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების, დივერსიფიცირების, არსებული სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების, ახალ სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარებასა და ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით;
 - ✓ ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის ევროპულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან დაახლოების და ეროვნული ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაციის კუთხით;
- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრები ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან;
 - სახელმწიფო ქონების ეტაპობრივი პრივატიზებისა და ასევე, თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემის მიზნით, მიმდინარეობდა მუშაობა მის მოვლა-შენახვის საკითხებზე.

5.1.1 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური პოლიტიკის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და მდგრადი განვითარების კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- განხორციელდა 2014 წლის მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;
- მომზადდა სექტორული მიმოხილვები;
- მომზადდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და ანალიტიკური ცენტრების ანგარიშების/კვლევების ანალიზი და პრეზენტაციები;
- შემუშავდა ნორმატიული აქტების პროექტებზე შენიშვნები და წინადადებები;
- მომზადდა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა;
- მონაწილეობა იქნა მიღებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე პროექტის „SME Policy Assessment (SBA Index)“ შეფასების ინდიკატორების ცვლილება/დახვეწაში;
- საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით განსაზღვრული რეფორმების ფარგლებში, სამრეწველო პროდუქტების ბაზრის ზედამხედველობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, მომზადდა ევროკავშირის მომავალი ტექნიკური დახმარების პროექტი „ToR“;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელმაც სხვა უწყებებთან და კომერციულ ბანკებთან ერთად დაიწყო მუშაობა „აწარმოე საქართველოში“ სამთავრობო პროგრამის განხორციელებაზე და ასევე, მცირე საწარმოებისათვის მიკრო გრანტების პროგრამის შემუშავებაზე;
- ექსპორტის წახალისების ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების გამოფენებზე მონაწილეობის ორგანიზება (ეროვნული სტენდის ქვეშ);
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) მჭიდრო თანამშრომლობით დაიწყო მუშაობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაზე;
- მომზადდა 2013 წლის და 2014 წლის კვარტალური და წლიური საგარეო სავაჭრო ბრუნვის ანალიზი სტრუქტურულ ჭრილში;
- დასრულდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ქართულ ენაზე თარგმნა და ასევე, ტექსტის იურიდიული და სტილისტური გამართვა;
- ქ.თბილისში ჩატარებულ „საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირთან - პერსპექტივები და შესაძლებლობები“ საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ბიზნეს ფორუმი და ქართული მწარმოებელი კომპანიების გამოფენა;
- კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა საქართველოს მთავრობის ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის (2014-2017) განხორციელების 2014 წლის სამოქმედო გეგმა;
- შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით მომზადდა საქართველოს DCFTA-ის განხორციელების მრავალწლიანი (2014-2017 წლების) და 2015 წლის სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანათავმჯდომარეობით, გაიმართა აშშ-

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერჯეტიკის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა;

- გაიმართა: საქართველო-სომხეთის სავაჭრო ეკონომიკური საკითხების სამუშაო ჯგუფის ორი შეხვედრა; საქართველო-ჩეხეთის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომიტეტის პირველი სხდომა; საქართველო-პოლონეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მე-4 სხდომა; საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური მთავრობათაშორისი კომისიის მე-7 სხდომა; საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის მე-7 სხდომა; საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-6 სხდომა; საქართველო-უნგრეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის მე-2 სხდომა; საქართველო-თურქმენეთის შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის მე-2 სხდომა; საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თანამშრომლობის ერთობლივი კომიტეტის პირველი სხდომა;
- შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით გაფორმდა შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები: „საქართველოს მთავრობასა და ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი“; „საქართველოს მთავრობასა და ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკურ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ინდუსტრიისა და ახალი ტექნოლოგიების სამინისტროს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მექსიკის შეერთებული შტატების ტურიზმის სამინისტროს (SECTUR) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი“; „საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკისა და მრეწველობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და უნგრეთის ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და მონტენეგროს მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმება“;
- ხელი მოეწერა შემდეგ დოკუმენტებს: „საქართველოს მთავრობასა და ესპანეთის სამეფოს მთავრობას შორის ერთობლივი ეკონომიკური კომიტეტის დაფუძნების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი“; „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ესპანეთის სამეფოს მრეწველობის, ენერჯეტიკისა და ტურიზმის სამინისტროს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი“; „საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოსა და სომხეთს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოსა და ყაზახეთს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ 1997 წლის შეთანხმებაში ცვლილებათა ოქმს“;

- ხელმოსაწერად მომზადდა: „სლოვენის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და ბაჰრეინის სამეფოს მთავრობას შორის ეკონომიკური, სავაჭრო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი“; „საქართველოსა და ბოსნია და ჰერცეგოვინას შორის სავაჭრო შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ეკონომიკური, სავაჭრო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტი“; „საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტი“; „საქართველოს მთავრობასა და ტაჯიკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტი“; „საქართველოს მთავრობასა და ტაჯიკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტი“; „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტი“; „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტი“; „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტი“; „საქართველოს მთავრობასა და ბოსნია და ჰერცეგოვინას მინისტრთა საბჭოს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი“; „საქართველოს მთავრობასა და იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და ლიბანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი“;
- გაიცა სულ 6573 საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, მათ შორის: საქონლის არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი - 1012 ერთეული, ხოლო პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი - 5561 ერთეული (მათ შორის: ფორმა „A“ - 255 ერთეული, ფორმა EUR-1 - 26 ერთეული და ფორმა CT-1 - 5280 ერთეული);
- აღმოსავლეთ პარტნიორობის გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებების პანელის (EaP Panel on Environment and Climate Change) მიერ ინიცირებულ, აღმოსავლეთ პარტნიორობის II პლატფორმის „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“ (Platform II - Economic Integration and Convergence with EU Policies) ფარგლებში დაიწყო მოქმედება პროექტმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარება“ (EaP – Green, პროექტის ხანგრძლივობა - 48 თვე და შედგება 3 კომპონენტისგან). აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაიმართა შემდეგი შეხვედრები და სემინარები: ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ინიციატივით ექსპერტთა მორიგი შეხვედრა თემაზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მწვანე პროდუქტების წარმოების ეკონომიკური ინსტრუმენტები“ (ქ.პარიზი); გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით რეგიონული

შეხვედრა თემაზე „მწვანე ეკონომიკა და მდგრადი მოხმარება და წარმოება“ (ქ.თბილისი); რეგიონული სამუშაო შეხვედრა თემაზე „მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები“ (SPP, ქ.თბილისი); სემინარები თემაზე „ცირკულარული ეკონომიკა, რესურსების ეფექტიანობა და ნარჩენები“, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისათვის მწვანე ეკონომიკისა და ნარჩენების მართვის საკითხებზე გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობების განხილვას; პროგრამის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგამებელი შეხვედრა გაწეული საქმიანობის განხილვის მიზნით, სადაც დაისახა სამომავლო გეგმები; სემინარები თემაზე „ეროვნულ დონეზე ურბანული დაგეგმარების, ნარჩენების მართვის, სოფლის მეურნეობისა და ენერჯო სექტორებში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) დანერგვა“, რომელიც მიზნად ისახავდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საკითხებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან (საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, ბელორუსის, უკრაინისა) და რუსეთიდან ექსპერტების მომზადებას, SEA-ს თაობაზე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და მათ გათვალისწინებას სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში (ქ.პრაღა);

- განხორციელდა პროექტის „ეროვნული სტრატეგიის განვითარება სატვირთო გადაზიდვების და ლოჯისტიკის მიმართულებით და საინვესტიციო პროგრამის შემუშავება მულტიმოდალური სატვირთო დერეფნების და მწვანე ლოჯისტიკის მიმართულებით“ წინა მოსამზადებელი სამუშაოები;
- დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიის (LEDS) ფარგლებში განხორციელდა ტრანსპორტის და მრეწველობის ექსპერტთა სამუშაო ქვეჯგუფების ჩამოყალიბება და კოორდინაცია:
 - ✓ გაიმართა ტრანსპორტის ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა;
 - ✓ დაბალემისიებიანი განვითარების საკითხის ირგვლივ, ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „Clima East“-ის ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები თემაზე „სამრეწველო დანადგარების მიერ გამოყოფილი სათბური გაზების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და გადამოწმების (MRV) სისტემების დანერგვა“ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რომლის მიზანს წარმოადგენდა სათბური გაზებისა და ემისიების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მეთოდები და მათი სისტემატიზაცია (ქ. ბერლინი);
 - ✓ გაიმართა „ეროვნულ დონეზე განსასაზღვრი სავარაუდო წვლილის“ (INDC) წინა მოსამზადებელი შეხვედრა, რომელიც ითვალისწინებდა 2015 წლის გაზაფხულისთვის დაგეგმილი შეხვედრისთვის დოკუმენტების შემუშავებას (ქ. ბერლინი);
- განახლდა მუშაობა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მიერ „მზის ელექტროენერჯის გამომუშავების სისტემის მეშვეობით სუფთა ენერჯის დანერგვის“ საგრანტო პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს თბილისის მასშტაბით საპილოტე პროექტის განხორციელებას და სუფთა ენერჯის პოპულარიზაციას. პროექტის ეფექტურად წარმართვის მიზნით სამინისტროში შეიქმნა საკონსულტაციო კომიტეტი, გაიმართა შეხვედრები თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან პროექტის განხორციელების თაობაზე;
- საქართველო გაწევრიანდა ევროპის სააერონავიაციო უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციაში (EUROCONTROL) და მის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შემუშავდა ყოველწლიური პროექტი „Local Single Sky Implementation“;
- ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და აზიის განვითარების ბანკს შორის, ტექნიკური დახმარების

(გრანტი) პროექტზე „საქართველოს ეროვნული ტრანსპორტის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება“.

- ანაკლიაში შავი ზღვის ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობასა და განვითარებასთან დაკავშირებით გამოცხადდა მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე და მიმდინარეობდა მუშაობა პროექტით დაინტერესებულ კომპანიებთან;
- ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაიმართა მე-18 (ქ. ბაქო), მე-19 (ქ. თბილისი) და მე-20 (ქ. ბაქო) საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს სხდომები.
- ხელი მოეწერა: შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო ტრანსპორტის შესახებ“ და შეთანხმების პროექტს „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ“; „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის ბალტიის ზღვა-შავი ზღვის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს“;
- დაიწყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები: „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო კომბინირებული ტვირთების გადაზიდვის შესახებ შეთანხმების“ პროექტთან დაკავშირებით; „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმების პროექტზე; „ბალტიის ზღვა-შავი ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ“ მრავალმხრივი შეთანხმების პროექტზე; „ჩეხეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების“ პროექტზე;
- მონაწილეობა იქნა მიღებული: ქ. თბილისში გამართულ ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების სფეროში თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მე-5 სხდომაში; ქ. ბაქოში გამართულ „Silk Wind“ პროექტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში;
- ქ. თბილისში გაიმართა ტრასეკას „ლოგისტიკური პროცესები და საზღვაო მაგისტრალები II“ (LOGMOS) პროექტის დასკვნითი შეხვედრა და ტრასეკას მთავრობათაშორისი კომისიის მუდმივმოქმედი სამდივნოს სხდომა, ხოლო კიშინიოვში ტრასეკას პროექტის - „Transport Dialogue and Networks Interoperability II (IDEA II)“ ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები „2015 წლის ტრანსპორტის საინვესტიციო ფორუმისთვის“ ტრანსპორტის სფეროში პრიორიტეტული პროექტების იდენტიფიცირების თაობაზე და სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხებზე;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ასტანის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ რიგით მე-9 სატრანსპორტო კონფერენციაში „ტრანსევრაზია-2014“ და მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციის „ტრანსპორტისა და სატრანზიტო დერეფნის როლი საერთაშორისო თანამშრომლობის, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების საკითხებში“ მუშაობაში (ქ. აშხაბადი);
- შემუშავდა „საავიაციო ძებნა-შველის რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე „მწვანე ლოგისტიკის და სატვირთო გადაზიდვების განვითარების“ პროექტის ფარგლებში გაიმართა ქართული დელეგაციის სასწავლო ვიზიტი კორეის რესპუბლიკაში;

- რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში გაიმართა კონსტანცა-ბათუმი-ილიჩევსკის ნავსადგურებს შორის ახალი საბორნე ხაზის გახსნის ცერემონიალი, რომელსაც ემსახურება შერეული ტიპის (სამგზავრო/სარკინიგზე/Ro-Ro) ბორანი „გრეიფსვალდი“ (ტევადობა: 50 სატვირთო ავტომობილი, 50 ვაგონი, 150 მგზავრი);
- საქართველო გაწევრიანდა საერთაშორისო ჰიდროგრაფიულ ორგანიზაციაში;
- „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა“ (EPI) პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო კოდების საბჭოს (ICC) შენობა-ნაგებობის საერთაშორისო კოდის (IBC) საფუძველზე დასრულდა ახალი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების პროექტის შემუშავება;
- შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოში ევროპული ტექნიკური რეგლამენტების (ევროკოდის) დანერგვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა-სტრატეგია; ქართულ ენაზე ითარგმნება ევროკოდის შემადგენელი ნაწილები;
- შემუშავებულ და მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ;
- განხორციელდა სარეკრეაციო ტერიტორიების შესახებ 171 პროექტის კომისიური განხილვა;
- განხილულ და შეთანხმებულ იქნა კურორტ „გოდერძის უღელტეხილის“ და ასევე, გარდაბანში მრავალფუნქციური ცენტრის წინასაპროექტო კვლევები და გეგმარებითი დავალებები;
- განხილულ და შემუშავებულ იქნა შენიშვნები ქ.ჩხოროწყუს წინასაპროექტო კვლევასა და გეგმარებით დავალებასთან დაკავშირებით, ქ.რუსთავის განაშენიანების წესებთან დაკავშირებით; განხილულ და შეთანხმებულ იქნა ქ. კასპის წინასაპროექტო კვლევა და გეგმარებითი დავალება;
- განხილულ იქნა და შეთანხმდა სოფელ საგურამოს ტერიტორიაზე, შპს „ჯეოლანი“-ს მიერ დამუშავებული შპს „მცხეთა იერუსალიმის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმა;
- წინასაპროექტო დავალებისა და გეგმარებითი დავალების შესაბამისად მიმდინარეობდა ქალაქ დუშეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განხილვა;
- მომზადდა ცვლილებები და მთავრობაზე დამტკიცდა „ბაკურიანში, დიდველის ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა“ და „ბაკურიანში, წრიული გზის აღმოსავლეთით მდებარე კოხტას ძირისა და 25-მეტრიანი ტრამპლინის ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა“;
- საქართველოს სივრცითი მოწყობის გეგმის შემუშავების პროცესის ინიცირებისა და მოსამზადებელი სამუშაოების კონტექსტში, შემუშავდა და სამინისტროს ხელმძღვანელობას წარედგინა პრეზენტაცია თემაზე „საქართველო 2030“;
- მიმდინარეობდა სამუშაოები „ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიმწოდებლის“ და „ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიმწოდებლის“ გამოსავლენად;
- განხორციელდა „საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის“ და „საქართველოს დამსახურებული მშენებლის“ წოდებების მინიჭება არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში მოღვაწე იმ პირებისთვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში;
- საპენსიო რეფორმის ფარგლებში დაკომპლექტდა საპენსიო სისტემის რეფორმაზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. საპენსიო რეფორმის სამსახურთან და დონორებთან ერთად, სხვადასხვა საპენსიო მოდელის ანალიზის საფუძველზე, შეირჩა საქართველოსთვის ყველაზე ეფექტური მოდელი. დაინტერესებულ მხარეებთან საპენსიო

რეფორმის სტრატეგიის და კონცეფციის წარდგენა/განხილვის შემდეგ პროექტი განხილულ იქნა ეკონომიკურ საბჭოზე;

- განხორციელდა საქართველოს პირველადი მარკეტინგული ანალიტიკა „Google“-ის პლატფორმაზე, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, ქვეყნის საინვესტიციო, ტურიზმისა და ღვინის ექსპორტის პოტენციალის პოპულარიზაციის განხორციელების მიზნით, Google-ის სხვადასხვა მომსახურებების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- განახლდა და მომზადდა შემდეგი პრეზენტაციები: „ეკონომიკური პერსპექტივები 2014 წლისთვის“; „საქართველო - საინვესტიციო შესაძლებლობები“; „საქართველო - ტურიზმის პოტენციალი 2014 წლისთვის“; „რატომ საქართველო?“ - დამამუშავებელი მრეწველობის სექტორის პრეზენტაცია, ასევე საინვესტიციო ბროშურები (ბობოყვათი, წყნეთი, გუდაური).
- მიმდინარეობდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და ანალიზი;
- მომზადდა საინფორმაციო-ანალიტიკური ბროშურები: „მლეთა-კობის გვირაბი“, „რიკოთის გვირაბი“, „ქუთაისი-ლემხი-მესტიის გვირაბი“, „ანაკლიის პორტი“, „ჰიდრო ელექტრო სადგურები“;
- საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის ფარგლებში მომზადდა კატალოგი, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია კერძო და სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების შესახებ;
- შემუშავდა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კონცეფცია და მომზადდა სექტორული კვლევები;
- კანადაში განხორციელებული საერთაშორისო ბიზნეს ფორუმისთვის მომზადდა საპრეზენტაციო მასალები და ბროშურები (სამ ენაზე) საქართველოს უძრავი ქონების, ტურისტული, ინფრასტრუქტურული (PPP) და ენერგეტიკის სექტორების საინვესტიციო პოტენციალზე;
- მომზადდა თემატური პრეზენტაციები: „ბიზნეს პერსპექტივები სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში“, „საქართველოს საინვესტიციო და საექსპორტო შესაძლებლობები“; „საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი“; „საქართველოს საცალო გაყიდვების ბაზარი“; „საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2013 წლის მიხედვით“ (სექტორები, ქვეყნები, კომპანიები); „საქართველოში ოლიმპიური პარკის პროექტი“ და სხვა;
- გაიმართა შეხვედრები 90-ზე მეტ პოტენციურ ინვესტორთან და მიმდინარეობდა მუშაობა/შეხვედრები/მოლაპარაკებები უცხოელ ინვესტორებთან საქართველოში, სხვადასხვა სფეროში/სექტორში ინვესტირებასთან დაკავშირებით;
- აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით მომზადდა საქართველოს საინვესტიციო კონფერენციის კონცეფცია, დამუშავდა სატენდერო დოკუმენტაცია და მოხდა კონფერენციის განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანიის შერჩევა;
- JICA-ს და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ბიზნეს გარემოს პოპულარიზაცია იაპონიაში“ ფარგლებში შეირჩა 30 პროექტი და ტოკიოში გაიმართა მათი პრეზენტაცია;
- უძრავი ქონების საკონსულტაციო კომპანია „Colliers“-თან გაფორმდა ხელშეკრულება უძრავი ქონების ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საცხოვრებელი, საოფისე და სასაწყობე უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა, სასტუმროებისა და საცალო ვაჭრობის ბაზრის მიმოხილვა, გასართობი ინდუსტრიის მიმოხილვა, „თიზერების“ და საინვესტიციო ბროშურების დამზადება;
- მიმდინარეობდა მუშაობა ქართული უალკოჰოლო სასმელების ელექტრონული კატალოგის შექმნაზე;

- გერმანული სასტუმროების ქსელისათვის „Bergspitz“ მომზადდა ევროკავშირის ქვეყნებში და გერმანიაში ქართული ღვინის და ბრენდის ექსპორტის ანალიზი და ასევე, განხორციელდა მათი საექსპორტო პოტენციალის განხილვა;
- ყატარის ბიზნეს დელეგაციისათვის მომზადდა ქართული საექსპორტო პროდუქციის პრეზენტაცია;
- გაიმართა შეხვედრები ბერძნულ კომპანია „Galitel“-სთან წაბლის, თხილის, კაკლის, ქართული ხილის საბერძნეთში ექსპორტთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ქართული ენერგეტიკული სასმელის, ლიმონათის, მინერალური და მტკნარი წყლის ნიმუშების დუბაიში გაგზავნასთან დაკავშირებით, სამომავლოდ მათი ექსპორტის განხორციელების მიზნით;
- მონაწილეობა იქნა მიღებული დუბაიში გამართულ საკვები პროდუქტების გამოფენაში „Gulfood 2014“, რის შემდეგაც კომპანია „Georgian herbs“-ის მიერ განხორციელდა ძირტკბილას ექსპორტი ეგვიპტეში;
- ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისათვის ახალი მომსახურების დანერგვის მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ჩამოყალიბდა ექსპორტიორთა ინტერესების დაცვის ცენტრი;
- 60-მდე ქართულ კომპანიას გაეწია საკონსულტაციო მომსახურება სხვადასხვა ბაზრებზე შესასვლელად საჭირო პროცედურებისა და დოკუმენტაციის შესახებ;
- აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით მიმდინარეობდა მუშაობა 2015 წელს საქართველოში გასამართ საინვესტიციო „Silk Road Forum“ ფორუმთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები: კომპანია „ხარება“-სა და „IUGROSPROM“-ის (რუსეთი) შორის საქართველოში ხორცის გადასამუშავებელი საწარმოს მშენებლობასთან დაკავშირებით; კომპანია „Lior International Projects“-თან, გორის და წეროვანის სათბურების იჯარით გადაცემასთან დაკავშირებით; კომპანია „REDIX“-თან ახალციხეში მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით; კომპანია „Kuadra“-თან ყვარელში ვარდის ზეთის წარმოებასთან დაკავშირებით; კომპანია „Barclays“-თან 2015 წლის თებერვალში ქ. ლონდონში საინვესტიციო ფორუმის გამართვასთან დაკავშირებით;
- წყალტუბოს საკურორტო ზონის განვითარების პროექტთან დაკავშირებით „Kohl and Partners“ LLC - მიერ მომზადდა წყალტუბოს კურორტის შესაძლებლობების კვლევა და მისი განვითარების კონცეფცია;
- კომპანია „Gino Paradise“-ის მიერ განხორციელებული ინვესტიციის შედეგად გაიხსნა ახალი სტანდარტების შესაბამისი აკვა პარკი, რომელსაც ერთდროულად შეუძლია 8000 ვიზიტორის მომსახურება (დასაქმებულია 200 ადამიანი);
- ქართულ ბაზარზე შემოვიდნენ მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბრენდები „Coffee bean“ და „Spar“;
- გაიმართა შეხვედრა კომპანია „Staldom“-თან საქართველოში სამშენებლო მასალების წარმოებასთან დაკავშირებით;
- შპს „Lukas“-მა დაიწყო პროექტის განხორციელება კახეთში, რომელიც ითვალისწინებს ღვინის მარნისა და სასტუმროს მშენებლობას;
- ქ.თბილისის მერიასთან ერთად მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები უძრავი ქონების საერთაშორისო „MIPIM 2015“ გამოფენაში მონაწილეობის მიღების მიზნით;
- შეირჩა კომპანიები 2015 წლის დავოსის ეკონომიკური ფორუმის ორმხრივ შეხვედრებში მონაწილეობის მიღების მიზნით;
- „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გაფორმდა ხელშეკრულებები პროგრამაში მონაწილე საბანკო დაწესებულებებთან; პროგრამის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მასობრივი ინფორმაციის საშუალების მეშვეობით განხორციელდა სარეკლამო კამპანია და

ასევე, რეგიონებში გაიმართა უშუალო, პირდაპირი კონტაქტები ადგილობრივ ბიზნესწრეებთან; უცხოურ ბაზრებზე ეროვნული წარმოების პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით დაიგეგმა სამ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა; გაფორმდა ხელშეკრულებები ბენეფიციარებთან სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფინანსურ კომპონენტში კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებზე; მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობისა და ლიზინგის წახალისების მიზნით, მომზადდა და პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელსაც დაემატა ლიზინგის კომპონენტი და მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილი.

5.1.2. სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფის“ დახმარებით შეიმუშავა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ითვალისწინებს ვერტიკალურიდან ჰორიზონტალური მართვის მოდელზე გადასვლას. ასევე, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს სააგენტოს დასახული მიზნების მისაღწევად შესაძლებლობების ეფექტურ რეალიზებაში;
- USAID/HICD PLUS-ის ქვეკონტრაქტორი საკონსულტაციო კომპანია PMCG-ის მიერ დაიწყო სააგენტოს ბიზნეს-პროცესების აღწერისა და ოპტიმიზაციის პროექტის განხორციელება, რომლის დასრულების შემდგომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ექნება მომსახურების სრულყოფის კუთხით განსახორციელებელი ზუსტი და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.
- გატარებული ცვლილებების შედეგად საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახურის მიერ შემცირდა მოქალაქეთა მომსახურების საშუალო ხანგრძლივობა 3 წუთამდე;
- ამოქმედდა სააგენტოს ვებ-გვერდი www.nasp.gov.ge, რომლის მეშვეობითაც ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ეძლევა მიიღოს სააგენტოსთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია;
- ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს ვებ-გვერდს დაემატა ინტერნეტ-გვერდი „www.privatization.ge“-ს ფუნქციონალი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მიმდინარე და ჩატარებული აუქციონებისა და მათი შედეგების შესახებ;
- სააგენტო ახორციელებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს მართვაში არსებული უმოქმედო საწარმოების რაოდენობის შემცირებას;
- სახელმწიფო ქონების შესახებ ერთიანი, დაზუსტებული და გამჭვირვალე საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით, მიმდინარეობდა თბილისის უბნების, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ნაწილისა და ზოგიერთი რეგიონების (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი, სამცხე ჯავახეთი და სამეგრელო) ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციით გამოვლენილი აღურიცხავი სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ 2014 წელს შეადგინა 3 მლნ ლარი;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის მიზნით, დასრულდა გაკოტრების საქმის წარმოება 84 საწარმოზე,

განხორციელდა 60 საწარმოს შერწყმა და 3 საწარმოს პრივატიზება, 1 საწარმოს ლიკვიდაცია და 1 საწარმოს მართვის უფლებით გადაცემა;

- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გააუმჯობესებს სააგენტოებს შორის კოორდინაციას, ინფორმაციის გაცვლის პროცესს, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება სახელმწიფო ქონებით დაინტერესებულ პირთა მომსახურებაზე;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ შეირჩა საწარმოო საქმიანობისათვის განკუთვნილი 110 ობიექტი, პროგრამაში ჩართული ობიექტების წარდგენის მიზნით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაიმართა 14 ღია კარის დღე, საქმიანი შეხვედრები 400-მდე მეწარმესთან და განხორციელდა 26 სახელმწიფო ობიექტის გაცემა;
- სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, „სოფლიდან გაუსვლელად“ პროექტის ფარგლებში, გორის და კახეთის, ახალციხის, იმერეთის და მცხეთა-მთიანეთის რაიონების მიმდებარე 236 სოფელში დარიგდა 100 000 საინფორმაციო ბუკლეტი, რომელთა მეშვეობითაც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია მათ რეგიონში მიმდინარე აუქციონების თაობაზე, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარდა სოციალური კვლევა სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხებთან დაკავშირებით; მოქალაქეთათვის სახელმწიფო ქონების შეძენის პროცედურის სიმარტივისა და უპირატესობების წარმოჩენის მიზნით დამზადდა ერთწუთიანი ვიდეო-რგოლი;
- თანხმობა მიეცა 417 სახელმწიფო ორგანოსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების სარგებლობასთან დაკავშირებით;
- მიწის მიკუთვნებისა და საკუთრების ზედდების თაობაზე განიხილა და გადაწყვეტილება იქნა მიღებული 250 საკითხზე.

5.1.3. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო;
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

- შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ, რომელიც უზრუნველყოფს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის რეფორმის ღონისძიებათა განხორციელებას. სააგენტოს მიერ შემუშავდა ციფრული მიწისზედა ტელემაუწყებლობის სახელმწიფო ქსელის შემჭიდროვებულ ვადებში მშენებლობის გეგმა. კონკურსის წესით საერთაშორისო ექსპერტების შეფასების საფუძველზე შეირჩა ევროპული ქსელური აპარატურის მომწოდებელი და დაიწყო სახელმწიფო მულტიპლექს პლატფორმის აგება. გაციფრულების რეფორმის ფარგლებში სააგენტომ დაიწყო საზოგადოების ფართომასშტაბიანი ინფორმაციული უზრუნველყოფა, შეიქმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- შეიქმნა სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტექნოლოგიური პარკების, ბიზნეს და ინოვაციური ცენტრების შექმნა და ფუნქციონირება;

- მსოფლიო ბანკთან და დაინტერესებულ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობდა სამუშაოები „ინოვაციური საქართველო 2020“ სტრატეგიის პროექტის შემუშავების მიზნით;
- ინოვაციების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ დაიწყო საგრანტო პროგრამების განხორციელება. კონკურსის წესით გამოვლინდა გამარჯვებულები შემდეგ სამ საგრანტო კონკურსში: „ინოვაციური ლაბორატორიების (FabLab) ფორმირება“; „ინოვაციების ლაბორატორიების ფორმირება კერძო სექტორის ჩართულობით“ და „მინი გრანტების საგრანტო კონკურსი“;
- კვალიფიციური IT და ინოვაციების მიმართულებით ექსპორტზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადების პროგრამის ფარგლებში სააგენტომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაინტერესებული პირებისთვის დაიწყო სპეციალიზებული უფასო კურსების ჩატარება;
- მიმდინარეობდა სამუშაოები „ფართოზოლოვანი ინტერნეტი ყველა მოქალაქეს“ კონცეფციის შემუშავების მიზნით;
- საქართველოში არსებული გამოყენებითი კვლევების შედეგებისა და ტექნოლოგიების წარმოჩენის, ინოვაციებისა და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობის წახალისების ხელშეწყობის და ახალი ინოვაციური პროექტების გამოვლენის მიზნით, სააგენტოს მიერ ჩატარა 50-ზე მეტი თემატური ღონისძიება (კონფერენცია, სემინარი, გამოფენა, ტრენინგი, ოლიმპიადა);
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შევიდა ცვლილებები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში; აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ჰარმონიზებულ დიაპაზონებში (800/900/1800/2100 მგჰ) მობილური ოპერატორების (მაგთიკომი, ჯეოსელი და მობიტელი) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პროცესით განხორციელა 15 წლის ვადით გაგრძელების და მოდიფიცირების პროცესი, რის შემდეგაც მობილურმა ოპერატორებმა 2015 წელს დაიწყეს მომხმარებლებისთვის მეოთხე თაობის ფართოზოლოვანი მომსახურებების (4G) მიწოდება;
- ICT სფეროში გაწეული მუშაობის შედეგად საქართველომ საერთაშორისო ICT რეიტინგებში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები;
- ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირსა (ITU) და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოში ჩატარდა მსოფლიო სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების სიმპოზიუმი (WSIS), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 94 ქვეყნის 250-ზე მეტმა სპეციალიზირებულმა დარგობრივმა საერთაშორისო ორგანიზაციამ;
- საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ხელი მოეწერა: „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობას შორის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კავშირგაბმულობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებას; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და უნგრეთის ეროვნული განვითარების სამინისტროს შორის „ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს“;
- პარაფირებული იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ავსტრიის რესპუბლიკის ტრანსპორტის, ინოვაციისა და ტექნოლოგიების ფედერალურ სამინისტროს შორის ტექნოლოგიების სფეროს თანამედროვე და ეფექტურ ადმინისტრირებაში თანამშრომლობის შესახებ“;

- მიმდინარეობდა სამუშაოები „ფოსტის შესახებ“ კანონპროექტისა და მისი თანმდევი კანონპროექტების მსოფლიო საფოსტო კავშირისა და ევროსაბჭოს აქტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- ტექნიკური დახმარების ფარგლებში TAIEX-ის ექსპერტების მიერ ჩატარდა სემინარი თემაზე „საქართველოს საფოსტო კანონი“ ხორვატიის საფოსტო სფეროს განვითარების გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხოლო „ფოსტის შესახებ“ კანონპროექტის შესაბამის ევროდირექტივებთან შესაბამისობის საკითხებზე ევროკომისიის და სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა ვიდეო კონფერენცია;
- მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) მიერ საქართველო შერჩეული იქნა ბენეფიციარ ქვეყანად და დაიწყო საექსპერტო ტექნიკური დახმარება ფოსტის სფეროს რეფორმის და განვითარების კომპლექსური გეგმის (IPDP) პროექტის შემუშავების მიზნით;
- შპს „საქართველოს ფოსტასთან“ თანამშრომლობით მიმოქცევაში გაშვებული იქნა 17 დასახელების 38 საფოსტო მარკა.
- მონაწილეობა იქნა მიღებული ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის (Association Committee in Trade Configuration) მუშაობაში, სადაც კომპეტენციის ფარგლებში განიხილა: საქართველოში საფოსტო კანონმდებლობის საკითხები; რეფორმის პროცესებში სახელმწიფო მონაწილეობა; ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

5.2. შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - შემოსავლების სამსახური

- დაინერგა საბაჟო დეკლარაციის შესახებ შეტყობინების მობილურ ტელეფონზე გაგზავნის მომსახურება, რაც უზრუნველყოფს იმპორტიორისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებასა და სამართალდარღვევის პრევენციას, ასევე დაინერგა საქონლის გაფორმების ახალი შესაძლებლობა – საქონლის დეკლარირება იმპორტიორის გეზ-ში მიუსვლელებად;
- იმპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე მოქმედი რეგულაციის მსგავსად, ძალაში შევიდა ექსპორტისა და შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციების დროს საქონლის საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილზე წარდგენის წესი;
- საქართველოში რეგისტრირებულ გადასახადის გადამხდელს შეუძლია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის საშუალებით გამოიყენოს ელექტრონული მომსახურება – განცხადება რიგის დაკავების შესახებ;
- განხორციელდა გადასახადის გადამხდელის ელექტრონული დეკლარირების ვებ-გვერდზე;
- შეიქმნა სიახლეების შესახებ ვიდეო დახმარებები და განთავსდა ვებ-პორტალზე;
- განახლდა შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის დიზაინი და ფუნქციონალური მოდულები, ხორციელდებოდა არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება, მათ შორის დღგ-ს, მოგებისა და ქონების გადასახადის დეკლარაციების განახლება და განთავსება;
- შემუშავდა სიახლეების გამოწერის მოდული, რითაც გადამხდელს საშუალება მიეცა ელ-ფოსტის მისამართზე მიიღოს შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებული სიახლეები;
- შესაძლებელი გახდა გადამხდელის მიერ ბინიდან/ოფისიდან გაუსვლელებად გააკეთოს ელექტრონული განაცხადი ლიცენზიის/ნებართვის/სერტიფიკატის მიღების თაობაზე.

შესაბამისი ორგანოს მიერ ლიცენზიის/ნებართვის/სერტიფიკატის გაცემის შემდეგ ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება შემოსავლების სამსახურისათვის;

- დასრულდა საბაჟო გამშვები პუნქტი „კარწახი“-ს რეკონსტრუქცია და „ნინოწმინდა“-ს მშენებლობა;
- გაიხსნა საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართველოს გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2“;
- განხორციელდა დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებით მოსარგებლე პირების განსაზღვრა;
- წლის განმავლობაში ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების ქვეანგარიშზე მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 323,3 მლნ. ლარი, დაბრუნებული გადასახადების მოცულობამ შეადგინა 241,0 მლნ. ლარი, მათ შორის: დაუბეგრავი მიზნის ფარგლებში დაბრუნებული საშემოსავლო გადასახადის მოცულობამ შეადგინა 128,3 მლნ. ლარი (სულ დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხა დაუბრუნდა 464 025 მოქალაქეს), ზედმეტად გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნების მოცულობამ შეადგინა 111,7 მლნ. ლარი.
- მიმდინარეობდა დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის დაბრუნების პროგრამული უზრუნველყოფა, შეიქმნა პორტალი ფიზიკური პირებისათვის და საბანკო დაწესებულებებისათვის, საიდანაც შესაძლებელ იქნა დაუბეგრავი მინიმუმის დეკლარირების ელექტრონულად შევსება-წარდგენა შემოსავლების სამსახურში;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრთან ერთად შემუშავებულ იქნა პროგრამული უზრუნველყოფა იმ ფიზიკურ პირთა მიმართ, რომლებმაც პროგრამულად ვერ მოახერხეს დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის გადმოგზავნა და შესაბამისად თანხის დაბრუნება;
- აიწყო და გაიმართა სერვისის საბანკო დაწესებულებებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ფ/პირის საბანკო ანგარიშების შემოწმებას, ასევე გაიმართა სერვისის სახელმწიფო სახაზინო სამსახურთან, რომელიც უზრუნველყოფს საგადახდო დავალებების მიღებას და თანხის გადარიცხვას;

5.3. სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

- მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს 2013 წლის წლიური, საქართველოს 2014 წლის I კვარტლის, 6 თვისა და 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2014-2017 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი, რომელშიც გაერთიანდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რეპუბლიკების პრიორიტეტები;
- კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შემუშავებულ იქნა და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი;
- საქართველოს მთავრობას წარედგინა „2015-2018 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის“ გადამუშავებული ვარიანტი;
- მუშაობა მიმდინარეობდა „საქართველოს საბაჟო კოდექსის“ პროექტის საბოლოო ვარიანტზე და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ თანდმევი ცვლილებების პაკეტზე;

- მიმდინარეობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი ევროსაბჭოს 2011 წლის 21 ივნისის 2011/64/EU დირექტივასთან დაახლოების მიზნით, რაც გულისხმობს თამბაქოს ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დანერგვას, გადასახადების ადმინისტრირების გამარტივებასა და თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრებას;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრა „ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირებისათვის მოსამზადებლად;
- მუშაობა მიმდინარეობდა პროგრამული ბიუჯეტის დახვეწასა და ბიუჯეტის მართვის ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით;
- სახელმწიფო ვალის პორტფელმა შეინარჩუნა ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის მდგრადობას. აღნიშნულს განაპირობებს სახელმწიფო ვალის კონსერვატიული და პრაგმატული მართვა, რაც გულისხმობს სახელმწიფო ვალის მოცულობის და ფინანსური პარამეტრების კონტროლს ფისკალური და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად;
- გაგრძელდა თანამშრომლობა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor’s“, „Fitch“ და „Moody’s“. ამჟამად საქართველოს სამივე სარეიტინგო კომპანიასთან „BB-სტაბილური“ რეიტინგი აქვს („Ba3 სტაბილური“ სარეიტინგო კომპანია „Moody’s“-ის მეთოდოლოგიით);
- დაგეგმილი პროექტებისა და პროგრამების დაფინანსების მიზნით, გრძელდებოდა მოლაპარაკებები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან შეღავათიანი ფინანსური რესურსის მისაღებად;
- გაფორმდა 45 ხელშეკრულება, მათ შორის: 9 საგრანტო, 6 ქვესასესხო, 11 სასესხო და 19 სხვა სახის. ხელი მოეწერა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან (NEFCO) თანამშრომლობის, საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებს, საქართველოსა და შვედეთს შორის შვედეთის საერთაშორისო განვითარების (SIDA) სააგენტოსთან თანამშრომლობის განვითარების მიზნით შეთანხმებას. ასევე, გამორმებული ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია: საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) და საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის სასესხო და დაფინანსების ხელშეკრულებები;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 38 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო 898.5 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები;
- სახელმწიფო ვალის ეფექტური მართვის მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო ვალის მართვის სისტემაზე, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საგარეო და სახელმწიფო საშინაო ვალის ბლოკებს და ინტეგრირებულია ხაზინის და ბიუჯეტის მოდულებთან, მიმდინარეობდა სახელმწიფო საშინაო ვალის მოდულის სრულყოფა;
- სახაზინო სისტემაში (eTreasury) შეიქმნა ახალი ანგარიშები (რეპორტები), დაიხვეწა ინკასო/აღსრულების არსებული მოდული;
- სახელმწიფო ხაზინის მიერ ყოველდღიურად განსახორციელებელი გადახდების პროგნოზირების მიზნით, ხაზინის ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი ფუნქციონალი - ინფორმაცია ყოველდღიური ხარჯის შესახებ, რომელიც ივსება განმკარგავი ორგანიზაციის მიერ;

- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად და IFAC პოლიტიკის დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით ქართულ ენაზე ნათარგმნ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (IPSAS) მიენიჭა ოფიციალური სტატუსი და განთავსდა სახელმწიფო ხაზინის ვებ-გვერდზე;
- ადგილობრივი თვითმართველობებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხაზინის ერთიან ანგარიშის სისტემაში მოქცევისა და სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადმოყვანის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემოსულობების ხაზინის ერთიან ანგარიშზე მობილიზების მიზნით:
 - ✓ საფინანსო ანალიტიკურ სამსახურთან ერთად მომზადდა პროექტის კონცეფცია და ტექნიკური დავალება;
 - ✓ ხაზინის ელექტრონულ სისტემაში დაინერგა ბიუჯეტების ცნობარი, მიმდინარეობდა ანალიტიკური განხილვები დეტალური ფუნქციონალური აღწერილობის შესამუშავებლად და დასაწერად;
- დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების დანერგვის მიზნით, განხორციელდა IPSAS 2, IPSAS 3, IPSAS 4, IPSAS 6-ის შესწავლა და ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით;
- საჯარო სექტორში მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მომზადებული 2013 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე, მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
- ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირაციის, გრაფიკში ცვლილების შეტანის, სასესხო დავალიანების პატიების შესახებ კომისიისათვის წარსადგენად 2014 წელს შემოსულ იქნა 50-მდე წერილობითი მომართვა. იმ სუბიექტებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს მიეცათ შესაბამისი მითითებები და რეკომენდაციები, ხოლო სრულყოფილი დოკუმენტაციის მქონე საწარმოებზე მომზადდა სათანადო მასალები და განსახილველად წარედგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილ ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელ კომისიას. კომისიამ 2 სუბიექტს დაუკმაყოფილა თხოვნა სესხის დაფარვის გრაფიკში ცვლილების შეტანის თაობაზე, ვადაზე ადრე რეჟიმი შეუწყდა 5 სუბიექტს, ხოლო სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებული იქნა 9 საწარმოს შემთხვევაში. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და წარედგინა საქართველოს მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;
- შემუშავდა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში და „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტები, რომლითაც განისაზღვრება საგადასახადო ორგანოს მიერ საბანკო დაწესებულებისაგან ან სხვა ფინანსური ინსტიტუტისაგან კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების წესი;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრა გერმანელ ექსპერტთან ევროკავშირის საბაჟო კოდექსის ზოგიერთი დებულების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის საკითხზე;
- ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება შვედეთთან, ხოლო შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის

თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ;

- შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით გაიმართა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი მოლდოვას რესპუბლიკასთან;
- ხელი მოეწერა საქართველოსა და აზერბაიჯანის, საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკებს შორის საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებებს, საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას და საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შორის საბაჟო კონტროლის ფორმების ურთიერთაღიარების შესახებ ოქმს;
- საქართველომ წარმატებით გაიარა გამჭირვალობისა და საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ექსპერტთა ჯგუფის მიერ იურისდიქციის შეფასების პირველი ფაზა. დამტკიცდა შეფასების ანგარიში და ქვეყანა გადაყვანილ იქნა შეფასების მე-2 ფაზაში;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში თვითმმართველი ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტების ინტეგრირების მიზნით მომზადდა ცვლილებების პაკეტი კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში;
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის მოდულების მორგებაზე თვითმმართველობების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების საქმიანობის სპეციფიკასთან.

5.4. მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- დასრულდა შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენის საველე სამუშაოებიდან მიღებული პირველადი მასალის კომპიუტერში ჩაწერის სამუშაოები;
- განხორციელდა ქვეყნის ყველა რეგიონის სააღწერო დარაიონება 2014 წლის 5-19 ნოემბრის აღწერის ორგანიზებისათვის;
- ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საველე სამუშაოები. განხორციელდა პირველადი მონაცემების რეგიონებიდან ტრანსპორტირება.

5.5. ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

- განხორციელდა eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის განახლება და დანერგვა აჭარის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში. სისტემას დაემატა ნაწილობრივი დამოწმებისა და „პირველადი დოკუმენტის“ ფუნქციონალები;

- განხორციელდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ფინანსური პროცესების, ასევე სსიპ-ების დაფინანსების წყაროებისა და რესურსების ცხრილის რეფაქტორინგი და სისტემის ვიზუალური ნავიგაციის შესაბამისი განახლება (eTreasury);
- გატარდა რეფორმა - „ავტონომიური რესპუბლიკების, თვითმმართველი ერთეულებისა და სსიპ-ების ინტეგრირება სისტემაში“ (eBudget), სისტემას დაემატა თვითმმართველი ერთეულებისთვის კვარტალური ბიუჯეტის მართვის ფუნქციონალი (eBudget) და გეგმიური კალენდარის შედგენის ფუნქციონალი (eDMS);
- განახლდა სტატისტიკის და სხვა კომპონენტები, მოხდა დიზაინის სრულყოფა, განისაზღვრა ხედვის უფლებები სხვადასხვა ჩანართზე (eHRMS);
- სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში განხორციელდა სსიპ-ებისა და ააიპ-ების მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსულობებისათვის სახაზინო კოდების შექმნა და რეგისტრაცია.

5.6. სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- განხორციელდა სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მართვა და ადმინისტრირება, მეთოდოლოგიური სტანდარტების შემუშავება, სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა;

5.7. სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტისა და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) მოცულობის გაანგარიშება, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში, კერძო და სახელმწიფო სექტორში, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა, სოფლის მეურნეობისა და შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

5.8. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 49 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები შემდეგ პოტენციურ უცხოელ ინვესტორებთან:
 - ✓ სინგაპურის „Gegnum Resouces PTE LTD“ კომპანიის წარმომადგენლებთან ქ. ბათუმში 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით;
 - ✓ ესტონეთის უმსხვილეს საინვესტიციო კომპანიების „Trigon Capital“-ის და „Nordic Power“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში 30-40MW სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ინვესტირებასთან დაკავშირებით;
 - ✓ სამშენებლო მასალების მწარმოებელ თურქულ კომპანია „Trabzon Cimento Fabrikasi“- თან, რომელიც დაინტერესებულია დასავლეთ საქართველოში ცემენტისა და ბეტონის საწარმოს მშენებლობით. მიმდინარეობდა პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;
 - ✓ ავღანეთის დელეგაციის წევრებთან ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემოსა და საინვესტიციო შესაძლებლობების გაცნობის მიზნით;
 - ✓ იტალიურ კომპანია „Chemicals Coating Trading“-თან საქართველოში საღებავების რეგიონული ლოჯისტიკური ცენტრისა და საღებავების ქარხნის აშენების შესაძლებლობაზე და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები პროექტის განხორციელებისათვის კონკრეტული ადგილის შერჩევის მიზნით;
 - ✓ ლიბანურ კომპანია „DEM Geosciences“-თან, რომელიც დაინტერესებულია სასარგებლო წიაღისეულის (ძირითადად ლითონები) მოპოვებით, გადამამუშავებელი საწარმოს აშენებით და ასევე, ქ. თბილისში 4 ვარსკვლავიანი სასტუმროს პროექტის განხორციელებით;
 - ✓ შპს „Global Trading“-თან და მათ პარტნიორ ორგანიზაციასთან „JAHANPARS“ საერთაშორისო ბიზნეს ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ინვესტორისათვის შესაბამისი მიწის ფართის მოძიების მიზნით;
 - ✓ გლობალურ ლოგისტიკურ ქუვეიტურ კომპანია „Agility Logistics“-ის წარმომადგენლებთან მოეწყო ბათუმის და ფოთის პორტებისა და საკონტეინერო ტერმინალების დათვალიერება საქართველოში ლოგისტიკურ სექტორში არსებული ტენდენციებსა და ინვესტირების შესაძლებლობის გაცნობის მიზნით;
 - ✓ კომპანია „Siberian Alliance“-ის წარმომადგენლებთან, რომლებიც დაინტერესდნენ ძირითადად ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებით;
 - ✓ უმსხვილეს რძისა და ხორცის პროდუქტების მწარმოებელ ჰოლანდიურ კომპანია „Vandrie Group“-თან ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის გაცნობისა და ხორცის გადამამუშავების სექტორში წარმოების შესაძლებლობების განხილვის მიზნით;
 - ✓ კომპანია „Wellington“-თან, რომელიც დაინტერესებულია საქართველოში ჩიფსების საწარმოს გახსნით და მიმდინარეობდა მისთვის შესაფერისი ადგილის შერჩევა;
 - ✓ კომპანია „Shri Rathi Group“-ის და „Chenxiongeng“-ის წარმომადგენლების შეხვედრები სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, სამტრედიასა და გარდაბანში მეტალურგიული საწარმოების აშენებასთან დაკავშირებით;

- ✓ კომპანია „Payvand“-თან მარილის საწარმოსათვის ტერიტორიის შერჩევასთან დაკავშირებით;
- ✓ კომპანია “Keller”-თან, რომელიც დაინტერესდა სასტუმროების ბიზნესის განვითარებით და ანაკლიის პორტის პროექტით;
- ✓ იაპონურ კომპანია „Nature Plus“-ის მენეჯერთან, რომელიც დაინტერესებულია იაპონური კერძო ფონდის კაპიტალის ინვესტირებით ჰიდროენერგეტიკის სფეროში;
- ✓ სამხრეთ აფრიკისა და ეგვიპტის ბიზნეს დელეგაციებთან გამართა სექტორული პრეზენტაციები (ენერგეტიკის, ტურიზმის, წარმოებისა და სოფლის-მეურნეობის სფეროების მიხედვით) და ინვესტორებს დაეგზავნათ მათ მიერ მოთხოვნილი შესაბამისი დოკუმენტაცია ეკონომიკური სექტორების, საგადასახადო და სამართლებრივი პროცედურების შესახებ;
- ✓ კომპანია „DEM geosciences“- თან, რომელმაც იუსტიციის სახლში დაარეგისტრირა შპს და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიებთან დაკავშირებით;
- ✓ ესტონურ კომპანია „Skinest Group“-ის წარმომადგენლებთან ქ. თბილისში A კლასის ბიზნეს ცენტრის აშენების მიზნით;
- ✓ ფირმა „BBD Engineers“-თან მოსაპირკეთებელი ქვებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების აშენებასთან დაკავშირებით;
- ✓ გერმანულ კომპანია „Alphakat GmbH“-ის წარმომადგენლებთან მცირე ჰესებისა და სამაცივრე მეურნეობების ბიზნესში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით;
- ✓ კომპანია „Agility“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში ლოჯისტიკური ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით;
- ✓ სასტუმროების ქსელ „Swiss Hotel“-ის წარმომადგენელთან საქართველოში სასტუმროების აშენებასთან დაკავშირებით;
- ✓ შპს „Georgia Boers Agro“-ს (ბურები) წარმომადგენლებთან სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით;
- ✓ სამხრეთ აფრიკული კომპანია „Francois Fouche“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში ბოსტნეულის სათბურის მოწყობასთან დაკავშირებით;
- ✓ იტალიური კომპანია „GIGATO“-ს წარმომადგენლებთან სამკერვალო ფაბრიკის აშენებასთან დაკავშირებით;
- ✓ გერმანული კომპანია „TSK Investment GmbH Germany“-ის წარმომადგენელთან ბორჯომის რაიონში ზანავის წყლის წარმოების აღდგენასთან დაკავშირებით;
- ✓ იტალიელ ინვესტორ Maurizio Furlan-თან დასავლეთ საქართველოში თბილის პლანტაციის გაშენებასთან და თბილის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასთან დაკავშირებით;
- ✓ რუსთავეში სამკერვალო ფაბრიკის მფლობელ თურქ ბიზნესმენებთან კომპანიის გაფართოებასთან, პროექტში „აწარმოე საქართველოში“ ჩართვასთან და სომხეთში პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებით;
- ✓ თურქულ კომპანია „AŞKALE ÇİMENTO SANAYİ T.A.Ş.“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში ცემენტის ქარხნის აშენებასთან დაკავშირებით;
- ✓ კაბელების მწარმოებელ თურქულ კომპანია „KOÇ Kablo“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში კაბელების წარმოებასთან დაკავშირებით;

- ✓ იაპონურ კომპანია „MITSUI&CO“-ის წარმომადგენლებთან, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურში კორეულ კომპანია „K-water“-თან ერთად ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით;
 - ✓ უკრაინულ კომპანია „G-Berry“-ს წარმომადგენლებთან საქართველოში მოცვის წარმოებასთან დაკავშირებით;
 - ✓ კატარულ კომპანია „Grenergy“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში ბიოდინამიკის წარმოების საკითხებთან და ჰიდროელექტრო სადგურებში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით;
 - ✓ თურქულ ავტონაწილების სადისტრიბუციო კომპანია „Oripa Automotive“-ის წარმომადგენლებთან, საქართველოში კავკასიის რეგიონალური საწყობისა და გაყიდვების ცენტრის მოწყობასთან დაკავშირებით;
 - ✓ ინტერნაციონალური კომპანია „Olam International“-ის უზბეკ წარმომადგენლებთან საქართველოში თხილის ბიზნესის საკითხებთან დაკავშირებით;
 - ✓ ინდოელ ბიზნესმენებთან თბილისში სასტუმროს გახსნასთან დაკავშირებით;
 - ✓ უკრაინულ კომპანია „REC“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში დიოდური გარე განათების წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით;
 - ✓ ირლანდიურ ონლაინ ტოტალიზატორ „Paddypower“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში ონლაინ ტოტალიზატორის გახსნასთან დაკავშირებით;
 - ✓ ჩინური კორპორაციის „National Technical Import&Export Corporation“-ის წარმომადგენლებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და წარმოების სექტორებით;
 - ✓ დიდი ბრიტანეთის კომპანიების „AlphaOne Partners LLP“-სა და „Tiger Dev-Tiger Development“-ის ექსპერტებთან გუდაურის საინვესტიციო პოტენციალის შესწავლის მიზნით ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (ახალი გუდაურის, სტეფანწმინდის და კობის მისადგომების გაცნობა), შემდგომ უძრავი ქონების სფეროში არსებული პროექტებისა და სასრიალო ტრასების (ლიფტების) განვითარების პროექტების განხორციელების მიზნით;
 - ✓ თურქულ კომპანია „Kaya Group“-ის წარმომადგენლებთან ბამბის ძაფისა და ქსოვილების საწარმოების გახსნასთან დაკავშირებით;
 - ✓ იტალიაში, ლიფტების მწარმოებელ კომპანია „კოსმეტ 2000“-ის წარმომადგენლებთან თბილისთან ახლოს ლიფტების საწარმოს აშენებასთან დაკავშირებით;
 - ✓ ჩინური კომპანიების „Oriental Patron“, „Fortune Oil“, „Hebei Iron and Steel“ და „Anyang Iron&Steel“ წარმომადგენლებთან საქართველოში მეტალურგიულ საწარმოში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით;
 - ✓ გერმანულ საინვესტიციო კომპანია „RTL&ALPHAKAT INTERNATIONAL“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში ნავის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნასთან დაკავშირებით;
 - ✓ კომპანია ЧП „Оптим-ресурс“-ის წარმომადგენლებთან გუდაურში რესტორნის გახსნასთან დაკავშირებით;
- საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოსა და ბიზნეს შესაძლებლობებზე პრეზენტაციები და ასევე, განხილვები საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და პარტნიორობის შესაძლებლობებზე, მოეწყო საქართველოში და სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ღონისძიებებზე;

- წინა წლებში შემოსულ უცხოელ ინვესტორებს გაეწია დახმარება მათ მიერ წამოწყებულ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში შექმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით;
- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით და საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის მხარდაჭერით გამართულ საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის „ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირთან - პერსპექტივები და შესაძლებლობები“ (მონაწილეობა მიიღო 300-მდე ქართველმა და უცხოელმა პირმა) პარალელურად მოეწყო 20 ქართული მწარმოებელი კომპანიის პროდუქციის გამოფენა;
- ხელი მოეწერა საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური და საინვესტიციო ურთიერთობების ხელშეწყობის მემორანდუმს;
- ქ. კოპენჰაგენში მოეწყო სექტორული პრეზენტაცია და შედგა ორმხრივი შეხვედრები საქართველოში ინვესტირებით დაინტერესებულ დანიურ კომპანიებთან;
- ანაკლიაში გამართულ საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმზე „ანაკლია 2014“ მოეწყო საქართველოს მთავრობის სექტორული პრეზენტაციები სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტების მიმოხილვის ჭრილში, გაიმართა დისკუსია საქართველოს საპარტნიორო ფონდის, საქართველოს რკინიგზის, რაკია საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის და შავი ზღვის ტერმინალის მონაწილეობით;
- ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ გრძელდებოდა მუშაობა გონიოში ზღვის პირას მდებარე 2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (დაახლოებით 316 ჰა) განვითარების საინვესტიციო პროექტზე;
- ქ. ვარშავაში გამართულ საქართველო-პოლონეთის საინვესტიციო ფორუმზე განხილულ იქნა საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო და მოეწყო სექტორული პრეზენტაციები;
- „ეკონომიკური დიპლომატიის წარმოებისა და მსოფლიო ვაჭრობის თავისებურებანი“ ჩატარებულ სემინარზე საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი დიპლომატებისათვის მოეწყო პრეზენტაცია უცხოელ პოტენციურ ინვესტორებისათვის საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და ბიზნეს შესაძლებლობების გაცნობის მეთოდებთან დაკავშირებით;
- ქ. ბათუმში, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს თანაორგანიზატორობით ჩატარებულ ევროპის ეკონომიკური კონგრესის ფარგლებში და საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმზე „Invest in Batumi-2014“ გაიმართა პრეზენტაციები ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და ბიზნეს-შესაძლებლობების შესახებ;
- ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ავსტრიელ ბიზნესმენთა დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა საქართველო-ავსტრიის ბიზნეს ფორუმი, სადაც გაიმართა პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და ბიზნეს-შესაძლებლობების შესახებ;
- გერმანული საკონსულტაციო კომპანია „COMMIT“-ის ორგანიზებით საქართველოში გერმანელ ბიზნესმენთა დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და ბიზნეს შესაძლებლობებზე;
- ქ. თბილისში გამართულ საქართველო-ისრაელის ბიზნეს ფორუმზე ისრაელისა და საერთაშორისო კომპანიებისთვის მოეწყო საქართველოს ბიზნეს გარემოსა და საინვესტიციო კლიმატის გაცნობა და ასევე, ფორუმის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ქართველ და ებრაელ ბიზნესმენებს შორის;
- ქ. ვენაში საქართველოს მთარობის წევრების ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა საქართველო-ავსტრიის ბიზნეს ფორუმი, სადაც გაიმართა სექტორული პრეზენტაციები საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ და ასევე, განთავსდა

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის ამსახველი ბროშურები და სარეკლამო-საიმიჯო მასალები;

- „ექსპო-ჯორჯიას“ საკონფერენციო დარბაზში ჩატარებულ საქართველო-ლატვიის ბიზნეს-ფორუმზე განხორციელდა საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების გაცნობა უზენაესი ინვესტორებისათვის, გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ქართველ და ლატვიელ ბისნესმენებს შორის;
- ქ. რომში, ბიზნესმენტთან გამართულ შეხვედრაზე ჩატარდა ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ;
- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დაკვეთით საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „Colliers International Specialist and Consulting UK LLP“ მიერ განხორციელდა გონიოს ყოფილი სამხედრო პოლიგონის ტერიტორიაზე სანაპირო ზოლისა და მიმდებარე ტერიტორიის საკურორტო ზონის განვითარების მიზანშეწონილობისა და საინვესტიციო პოტენციალის კვლევა;
- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს „KPMG“-სთან თანამშრომლობით ჩატარდა ქიმიური სექტორის კვლევა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება სხვა ქვეყნებთან შედარებით უპირატესობის მქონე 8 ძირითადი ქიმიური პროდუქტის იდენტიფიცირება;
- ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ვებ-გვერდზე განახლდა სექტორული ბროშურები და ასევე, პოტენციური ინვესტორებისათვის დაემატა განახლებული სამართლებრივი გზამკვლევები;
- საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის საერთაშორისო მედიაში პრომოშენის მიზნით მიმდინარეობდა ბაზრის კვლევა მედია აქტივობების გეგმის შემუშავებისათვის;
- ბრიტანულ ყოველკვირეულ გაზეთ „The Guardian“-ში გავრცელდა ჩანართი სახელწოდებით „The Report Georgia“, ხოლო პოლონურ ჟურნალ „Puls Biznesu“-ში განთავსდა სტატია საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებისა და პოლონურ-ქართული ბიზნეს ფორუმის შესახებ;
- ბრიტანული მედია კომპანია „Haddock and Associates Ltd“-ის და ამერიკულ ყოველდღიურ გაზეთ „The New York Times“-ის მიერ გამოქვეყნდა და „The New York Times“- სთან ერთად გავრცელდა ჩანართი საქართველოს შესახებ სახელწოდებით: „Georgia: A Newer Perspective for Broader Opportunities“.

5.9. სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- CIB (Comprehensive Institutional Building) პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა: „ზოგადი ტექნიკური მოთხოვნები ლაბორატორიული ფართების მიმართ“ პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება; სააგენტოს ეტალონური ბაზის განახლების კომპონენტთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები; ჩატარდა სერტიფიცირებული სასწავლო კურსი ხარისხის აუდიტორებისათვის „აუდიტის ხარისხის სისტემა“, ხარისხის სისტემის მენეჯერებისა და მთვარი აუდიტორებისათვის „მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდები და მოდელები“, ასევე გაიმართა გაცნობიერებულობის ამაღლების

სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საწარმოების, ლაბორატორიების, ბიზნესის საჯარო, კერძო და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებმა.

- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის სამმა ლაბორატორიამ (მასა, ელექტრობა და ელექტროგაზომვები) წარმატებით გაიარა საერთაშორისო შემოწმება და მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. COOMET-ის ხარისხის ფორუმის ტექნიკური კომიტეტის მიერ გაცემულ იქნა აღიარების სერტიფიკატი QSF – R32 2014. საქართველოს დაკალიბრების და გაზომვის შესაძლებლობები (CMC) ტემპერატურის სფეროში გამოქვეყნდა ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზაში, რაც ნიშნავს აღნიშნულ სფეროში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ გაცემული დაკალიბრების და გაზომვების სერტიფიკატების საერთაშორისო აღიარებას. სააგენტოს მიერ ურთიერთაღიარების შეთანხმების (CIPM MRA) ლოგოს დატანის უფლება CMC (გაზომვისა და დაკალიბრების შესაძლებლობები) დაფარულ სფეროებში გაცემულ სერტიფიკატებზე;
- გაიმართა რეგიონალური პროექტის „ხარისხის ინფრასტრუქტურის გაძლიერება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სურსათის უვნებლობაზე აქცენტით“ (GIZ, PTB) დახურვის კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები, ასევე სურსათის უვნებლობის და ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები და გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) მხარდაჭერის შესაძლებლობები;
- „საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა მეტროლოგიაზე განსაკუთრებული აქცენტით“ ორმხრივი პროექტის ფარგლებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტროგაზომვების და მასის ეტალონური განყოფილებების პერსონალს ჩაუტარდა ტრეინინგი გერმანელი ექსპერტების მიერ;
- სააგენტოში პერმანენტულად ხორციელდებოდა ეტალონური ბაზის შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები ეტალონების და სანიმუშო გაზომვის საშუალებების დასაკალიბრებლად სხვადასხვა ქვეყნის მეტროლოგიის ინსტიტუტებში და/ან საერთაშორისო აღიარების მქონე ლაბორატორიებში გაგზავნის მიზნით;
- ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების (10 ომი და 100 კომი) PTB-სთან საერთაშორისო ორმხრივი შედარებების საბოლოო ანგარიში, COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის დადებითი შეფასების შემდეგ, გადაიგზავნა BIPM-ის ექსპერტთან საერთაშორისო ექსპერტიზაზე, ხოლო COOMET N604/RU/13 „საერთაშორისო შედარებების „ცვლადი დენის სამრეწველო სიხშირის მაღალი ძაბვის ელექტრული ტევადობის და დანაკარგების კუთხის ეტალონები“ პროექტის ფარგლებში (მონაწილეები - GEOSTM-CMI(ჩეხეთი)-VNIIMS(რუსეთი)) დამთავრდა გაზომვები და შესაბამისი ანგარიში გაეგზავნა პილოტ ლაბორატორიას;
- ელექტრობისა და მაგნეტიზმის ტექნიკურ კომიტეტში (TK 1.3) დასრულდა სამეცნიერო განხილვა და COOMET-ის რეგიონალურ ექსპერტებთან შეთანხმდა CMC (დაკალიბრების და გაზომვის შესაძლებლობები) ცხრილები. მათი საბოლოო დამტკიცებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის BIPM-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით, მომზადდა თანმხლები საბუთების პაკეტი საერთაშორისო ექსპერტებთან გადასაგზავნად;
- გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ ლაბორატორიაში გაგრძელდა სხვადასხვა გაზომვის საშუალებების დაკალიბრების პროცედურების შემუშავების პროცესი; გარდა ამისა ლაბორატორიაში არსებული ძველი ხელსაწყოების ბაზაზე შემუშავდა და დამზადდა სიგრძის საზომი თავაკების მაკალიბრებელი ეტალონური დანადგარი,

შემუშავდა თანმხლები დოკუმენტაცია და მიმდინარეობდა დანადგარის საგამოცდო სამუშაოები;

- ჩაუტარდა შუალედური შემოწმებები შემდეგ სახელმწიფო (ეროვნულ) ეტალონებს: „მექანიკური ტენზომეტრების მაკალიბრებელი ეტალონური დანადგარი“; „ჩაღუნმზომების მაკალიბრებელი ეტალონური დანადგარი“; „დანაფართა სისქის საზომების მაკალიბრებელი ეტალონური დანადგარი“;
- მაინიზებული განყოფილების მიერ მომზადდა ბარომეტრების მაკალიბრებელი მუშა ეტალონური დანადგარი, შემუშავდა თანმხლები დოკუმენტაცია და გაიარა შესაბამისი პროცედურები;
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკის და აკუსტიკის განყოფილებაში გაგრძელდა სხვადასხვა გაზომვის საშუალებების დაკალიბრების პროცედურების შემუშავების პროცესი;
- სააგენტოს მაინიზებული მეტროლოგიის განყოფილების მიერ დაკალიბრდა 59 ხელსაწყო, რადიაციული კვლევა ჩაუტარდა 27 ნიმუშს, მომზადდა რადიომეტრების დაკალიბრებისათვის ვერტიკალური სახაზავის მაკეტი, განხორციელდა რენტგენული მოწყობილობის „PANTAK 225“-ის მონაცემების შეფასება მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ფარგლებში რეგიონალურ შედარებებში მონაწილეობისათვის;
- დარეგისტრირდა დაკანონებული გაზომვის საშუალების 17 ტიპი (ექსპერტიზა, აღიარება, რეგისტრაცია), განხორციელდა 208 206 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება (მათ შორის: ელექტრომრიცხველები - 3 574 ცალი, გაზის მრიცხველები - 86 045 ცალი, წყლის მრიცხველები - 118 587 ცალი);
- სააგენტოში შეიქმნა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი (ტკ 4) „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურება“;
- ქართულ ენაზე ითარგმნა და ენობრივი ექსპერტიზა გაიარა რამოდენიმე საერთაშორისო სტანდარტმა;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს მიერ განხორციელდა საქართველოს სტანდარტის „წყალი ნატურალური მინერალური „ლიკანი“ ტექნიკური პირობები“ პროექტის შემუშავება, განხილვისათვის გამოქვეყნდა სააგენტოს ვებ-გვერდზე და ასევე, გადაეცა შესაბამის კომიტეტს;
- სტანდარტების ბაზის განახლების მიზნით, საქართველოს სტანდარტების რეესტრიდან ამოღებული იქნა 368 სტანდარტი, მათ შორის, 257 - ენ სტანდარტი (მოძველებული), 74 - რუსეთის ფედერაციის სტანდარტი (გოსტ რ), 31 - რუსეთის ფედერაციის სტანდარტი (ოსტ, ტუ), 6 - სახანძრო უსაფრთხოების ნორმა;
- სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სამდივნოსა და სააგენტოს თანამშრომლობით შეიქმნა ISO-ს ახალი ონლაინ მაღაზია, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე, <http://geostm.isolutions.iso.org/geostm>. ონლაინ მაღაზიის მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი ISO-ს სტანდარტის მოძიება და შეძენა, სტანდარტების ონლაინ-კოლექციის ყოველთვიური/ყოველწლიური გამოწერა, მომხმარებელზე სტანდარტების ჯგუფური პაკეტების შეძენა და სხვა;
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 2) „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტებად დარეგისტრირდა შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები: ისო/იეკ 17024:2012 „შესაბამისობის შეფასება-ზოგადი მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ“; ისო/იეკ 17065:2012 „შესაბამისობის შეფასება-ზოგადი მოთხოვნები პროდუქციის, პროცესებისა და მომსახურების სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ“; ისო 17021:2011 „შესაბამისობის შეფასება-მოთხოვნები ორგანოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ მენეჯმენტის სისტემების აუდიტსა და სერტიფიკაციას“.

- მომზადდა და შესაბამის სტანდარტიზაციის კომიტეტებს განსახილველად გადაეცა 3 საერთაშორისო სტანდარტის ქართულენოვანი ვერსია;
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“ შეთანხმების მე-3 დანართის „სტანდარტების მომზადების, მიღებისა და გამოყენების კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი“ დებულებების თანახმად დამტკიცებული საქართველოს სტანდარტების პროგრამის შესაბამისად დარეგისტრირდა 893 სტანდარტი;
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 13 ნოტიფიკაცია საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ, ხოლო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე გაიგზავნა 33 ნოტიფიცირებული ტექნიკური რეგლამენტის სრული ტექსტი;
- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) წევრი ქვეყნების მიერ მიღებული/მისაღები ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 623 ნოტიფიკაცია;
- სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 1004 სტანდარტი 2014 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 1004 სტანდარტი (მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი)-349; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი)-344; სსტ ეტსი ენ (ევროპის ტელეკომუნიკაციების ინსტიტუტის სტანდარტი)-41; სსტ დსტუ (უკრაინის სახელმწიფო სტანდარტი)-1; სსტ ასმე (ამერიკის ინჟინერ-მექანიკოსთა ასოციაციის სტანდარტი)-10; სსტ დინ (გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის სტანდარტი)-2; სსტ დინ ენ (გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის სტანდარტი)-2; სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის სტანდარტი)-175; სსტ აპი (ამერიკის ნავთობის ინსტიტუტის სტანდარტი)-4; სსტ ანსი აპი (ამერიკის სტანდარტიზაციის ეროვნული ინსტიტუტის სტანდარტი)-1; სსტ ოიმლ (საკანონმდებლო მეტროლოგიის ორგანიზაციის სტანდარტი)-1; სსტ სენ სახელმძღვანელო (ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის სახელმძღვანელო)-14; სსტ სენ ტს (ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ტექნიკური სპეციფიკაცია)-8; სსტ სენ ისო/ტს (ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ტექნიკური სპეციფიკაცია)-2; სსტ სენ ტრ (ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ტექნიკური ანგარიში)-3; სსტ უპუ (უნივერსალური საფოსტო კავშირი)-45; სსტ აპრი (ამერიკის შეერთებული შტატების ჰაერის კონდიციონირების, გათბობისა და გაცივების ინსტიტუტი)-1; სსტ ოიმლ რ (საკანონმდებლო მეტროლოგიის ორგანიზაცია)-1), ხოლო გაიცა 296 სტანდარტი.

5.12. აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელდა 61 სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაცია, მათ შორის: სხვადასხვა ტიპის საგამოცდო ლაბორატორია-41; ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობის ინსპექტირების ორგანო-10; პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო-3; საკალიბრებელი ლაბორატორია-1; დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირი-3; სამედიცინო ლაბორატორია -2; პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო-1;

- გეგმიური მონიტორინგი გაიარა 33 აკრედიტირებულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, მათ შორის: სხვადასხვა ტიპის საგამოცდო ლაბორატორია-18; ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობის ინსპექტირების ორგანო-2; დაკანონებული გამზომი საშუალებების დამამოწმებელი პირი -4; პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო-2; საკალიბრებელი ლაბორატორია-5; პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო-2);
- არაგეგმიური მონიტორინგი გაიარა ორმა საგამოცდო ლაბორატორიამ, დამატებით სფეროში აკრედიტაცია მიენიჭა 10 საგამოცდო ლაბორატორიას, აკრედიტაციაზე უარი ეთქვა 1 ინსპექტირების ორგანოს (ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობა), გეგმიური მონიტორინგის წარუმატებლად გავლის გამო აკრედიტაციის მოწმობის მოქმედების ვადა შეუჩერდა 2 ინსპექტირების ორგანოს (ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობა); სსტ ისო/იეკ 17025:2010-ის სტანდარტთან შეუსაბამობის გამო აკრედიტაცია შეუჩერდა 15 აკრედიტირებულ ლაბორატორიას;
- საქართველოს აკრედიტაციის სისტემაში აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციის მიზნით შემუშავდა და განხორციელდა ცვლილებები აკრედიტაციის ცენტრის წესებსა და პროცედურებში;
- აკრედიტაციის ცენტრის მიერ, ევროკავშირთან კომუნიკაციის 2014 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ბათუმში ჩატარდა სემინარი თემაზე „საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის ევროპულთან დაახლოება“;
- აკრედიტაციის ცენტრის მიერ, 2014 წლის ტრენინგების გეგმის შესაბამისად, განხორციელდა ტრენინგი ახალი სტანდარტის - ისო/იეკ 17065:2012 შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებმა, აკრედიტირებული შესაბამისობის შეფასების ორგანოების წარმომადგენლებმა და მიწვეულმა ტექნიკურმა შემფასებლებმა. ასევე, განხორციელდა ტრენინგები სხვადასხვა საერთაშორისო 17025, 15189, 17020 სტანდარტებთან დაკავშირებით;
- ევროპის CIB (Comprehensive Institutional Building) პროგრამის ფარგლებში აკრედიტაციის ცენტრის მიერ ჩატარდა აკრედიტაციის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, სადაც განხილული იქნა აკრედიტაციის სფეროში მიმდინარე რეფორმები, მომავალი მიზნები და პერსპექტივები.
- საქართველო ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, აკრედიტაციის ცენტრის მიერ EA-ს პროცედურების შესაბამისად, მომზადდა და EA-ში გადაიგზავნა განაცხადი (თანდართული დოკუმენტაციის პაკეტი) მრავალმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით.

6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

6.2. არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შემუშავდა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, რომელიც აისახა საარჩევნო ოლქების მართვის პროგრამაში (PROJECT);
- არჩევნების ეფექტურად და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები: ნაწილობრივ განახლდა საარჩევნო ყუთები, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შეძენილ იქნა უნიფორმები, დამზადდა საარჩევნო უბნების აბრები, დაიბეჭდა 123 170 ცალი ამომრჩევლის საინფორმაციო სტიკერი, კენჭისყრის დღისთვის შეძენილ იქნა მარკირების სითხე, ბიულეტენისთვის ოფსეტური ქაღალდი და სპეციალური კონვერტები, დეტექტორები, საარჩევნო სახაზავი რეგისტრატორებისთვის და სხვა; საუბნო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ ყველა საჭირო ინვენტარი, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ინსტრუქციები და სახელმძღვანელოები;
- დიდი მოცულობის მასალების ბეჭდვისთვის შეძენილ იქნა მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობა, ნაწილობრივ განახლდა ცესკოს ტექნიკური ბაზა, შეძენილ იქნა კომპიუტერული მოწყობილობები;
- შემოწმდა და ტექნიკურად გაიმართა საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის საჭირო ასლგადამღები მანქანები და სკანერები. ცესკოსა და ოლქებსა შორის ინფორმაციის მიმოცვლისა და არჩევნების შედეგების შეუფერხებლად გამოქვეყნებისთვის მაქსიმალურად გაიზარდა ინტერნეტის მოწოდების სიჩქარე;
- ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირების გაუმჯობესების მიზნით ცესკოში მუშაობდა კონტაქტ-ცენტრის ცხელი ხაზი, სადაც მომხმარებლებს ინფორმაციას აწვდიდნენ როგორც ქართულ, ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზეც;
- ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობისა და თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველსაყოფად მოეწყო გასვლითი ღონისძიებები რეგიონებში. სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა 15-მდე დასახელების საარჩევნო მასალა, მათ შორის ამომრჩეველთა ერთიანი სია და საარჩევნო ბიულეტენები. ორენოვანი, ქართულ-აზერბაიჯანული საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდა 9 ოლქის 200 უბნისთვის; ქართულ-სომხური ბიულეტენები 130-ზე მეტი უბნისთვის, ხოლო მარნეულის ოლქის ოთხი უბნისთვის დაიბეჭდა სამენოვანი - ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური საარჩევნო ბიულეტენი;
- ეთნიკური უმცირესობებისთვის ითარგმნა 10 სარეკლამო რგოლი, საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით საინფორმაციო დაიჯესტი საარჩევნო თემებზე ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობისთვის უბნები ადაპტირებულ იქნა პანდუსებით;
- სმენადაქვეითებული ამომრჩეველებისათვის იდენტიფიცირებულ 400 საარჩევნო უბნისთვის დამზადდა და პორტატული კომპიუტერების მეშვეობით გავრცელდა კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ საინფორმაციო ვიდეო-რგოლი სურდო თარგმანით; ხოლო მცირემხედველ ამომრჩეველებს მიეცათ საშუალება 3 607 უბანზე გამოეყენებიათ სპეციალური გამადიდებელი ხელსაწყო, ლინზისფურცელი;
- დამზადდა საინფორმაციო კლიპები სხვადასხვა საარჩევნო თემატიკაზე: ხმის მიცემის პროცედურები, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, ამომრჩევლის ბარათი და სხვა;
- მიმდინარეობდა ეფექტური კომუნიკაცია არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე არჩევნებში ჩართულ ყველა ძირითად მხარესთან: პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, მედიის და სხვა საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებთან;
- გამოცხადდა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების შესარჩევი კონკურსი. კონკურსის ფარგლებში შეირჩა 114 ტრენერი, რომლებმაც ინტენსიური სასწავლო პროგრამის გავლის

- შემდგომ უზრუნველყვეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების ჩატარება;
- ჩატარდა ტრენინგები კონტაქტ-ცენტრის 38 ოპერატორისთვის, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კანდიდატობის მსურველი ქალებისთვის და აგრეთვე, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ბოლო არჩევნების მონაცემების გათვალისწინებით ჩართულები იყვნენ საარჩევნო პროცესებში დამკვირვებლის სტატუსით;
 - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა ფართომასშტაბიანი პროექტი „არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა“, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ამომრჩეველთა (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა) სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და ახალგაზრდების იმ ნაწილის გააქტიურებას, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში;
 - განხორციელდა სასწავლო პროგრამა მედიის წარმომადგენლებისთვის საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებთან (მათ შორის, ფოტო-ვიდეო გადაღების რეგულაციებს და მედიის უფლებრივ მდგომარეობას) და სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით;
 - ჩატარდა ტრენინგი საარჩევნო სუბიექტების (პარტია/საარჩევნო ბლოკი) წარმომადგენლებისთვის საკანონმდებლო სიახლეების, კენჭისყრის დღის პროცედურების, საარჩევნო სუბიექტების უფლებრივ მდგომარეობის, საარჩევნო დავებთან და განცხადება/საჩივრებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, ტრენინგი სახალხო დამცველის ოფისისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირების ჩართულობის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. ნაჩვენები იყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“;
 - კენჭისყრის დღეს, ცესკოს კონტაქტ-ცენტრის 42 ოპერატორი ახდენდა დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას 24 საათიან რეჟიმში, როგორც სატელეფონო, ასევე ონლაინ ჩათის საშუალებით;
 - განხორციელდა დამატებითი ტრენინგების ჩატარება იმ საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის, რომლებსაც არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ზემდგომი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით შეუწყდათ უფლებამოსილება და არჩევნების მეორე ტურისთვის განხორციელდა მათი ხელახალი დაკომპლექტება. ტრენინგები ჩატარდა 5 საარჩევნო ოლქის 54 საარჩევნო უბანზე;
 - ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც გადაეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს მათი გავრცელების უზრუნველსაყოფად;
 - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს 7 რეგიონში განხორციელდა სპეციალური სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სამხარეო ადმინისტრაციების იურისტებისთვის;
 - განახლდა სასწავლო და საინფორმაციო მასალები, სწავლების ელექტრონული პროგრამა და კენჭისყრის დღის პროცედურების ამსახველი სასწავლო ფილმი;

- თვითმმართველობის არჩევნებს სხვადასხვა საარჩევნო უბანზე აკვირდებოდა 13 სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელი, საარჩევნო სუბიექტების 45 300 წარმომადგენელი და 16 000-ზე მეტი ადგილობრივი დამკვირვებელი. საარჩევნო პროცესი გააშუქა 1 500-ზე მეტმა მედიის წარმომადგენელმა. არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 1 485 372 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 43,31% შეადგენს, ხოლო არჩევნების მეორე ტურში (8 თვითმმართველ ქალაქსა და 13 მუნიციპალიტეტში) - 617 451 ამომრჩეველმა, რაც მეორე ტურის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 36% შეადგენს;
- საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ორივე ტურზე მიიმართა 30,4 მლნ ლარამდე.
- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების მიერ დადებითად შეფასდა. არჩევნებს სხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებთან ერთად აკვირდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიის და გაერთიანებული სამეფოს საელჩოების ერთობლივი სადამკვირვებლო მისია. მათი შეფასებით 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ, თვითმმართველობების გაძლიერებისკენ გადადგმულ ისტორიულ ნაბიჯად შეფასდა;
- საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2014 წლის აგვისტოში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მონაცემებით, ცენტრალური საარჩევნო კომისია მოხვდა იმ ინსტიტუციების სამეულში, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მეტად ენდობა;

6.3. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია,
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 14 საარჩევნო სუბიექტი (პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ (ახლები), , მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატიები“, ა(ა)იპ პარტია „საქართველოს გზა“, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს კონსერვატიული პარტია, პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“, პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „საქართველოს ევროპელი დემოკრატიები“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“, პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“);
- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, ამომრჩეველთა ხმების 3 % -ზე მეტი მიიღო ხუთმა საარჩევნო სუბიექტმა (საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, საარჩევნო ბლოკი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“,

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, საქართველოს ლეიბორისტული პარტია“). „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად, დაფინანსდა არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისათვის გაწეული ხარჯები კანონით დადგენილ ვადაში;

- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30' მუხლის შესაბამისად დაფინანსდა 17 პოლიტიკური პარტია, მათ მიერ კვლევების, სწავლებების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული და ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით;
- პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯები დაუფინანსდა შემდეგ საარჩევნო სუბიექტებს:
 - ✓ საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
 - ✓ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
 - ✓ ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია;
 - ✓ დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი.
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 43-ე მუხლის საფუძველზე საარჩევნო ოლქებსა და უბნებზე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების უზრუნველსაყოფად დაფინანსდა 9 საარჩევნო სუბიექტი;
- ბლოკი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
 - ✓ ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
 - ✓ ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)“ მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის;
 - ✓ ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს!“;
 - ✓ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა;
 - ✓ ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია;
 - ✓ საქართველოს გზა;
 - ✓ ხალხის პარტია;
 - ✓ დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი.
- საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა 19,4 მლნ ლარამდე;
- გამოცხადებული საგრანტო კონკურსების საფუძველზე შეირჩა და დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი 35 საგრანტო პროექტი.

6.5. სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა:
 - ✓ 2013 წლის პროგრესის ანგარიში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განახლებული სტრატეგია;

- ✓ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, აგრეთვე, სტანდარტები ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებელთათვის;
- ✓ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის პროექტი;
- ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმასა და დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მხარდაჭერითა და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით გაიმართა სისხლის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის გადასინჯვასთან დაკავშირებით, გადასინჯა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი; მომზადდა სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის განახლებული ვერსია, რომელიც გამოქვეყნდა და გაიგზავნა ევროპის საბჭოში ექსპერტიზისათვის;
- ქართველი და უცხოელი ექსპერტების, ასევე ევროკავშირისა და გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) რეკომენდაციების საფუძველზე, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი და გადაიგზავნა საერთაშორისო ექსპერტიზაზე, ასევე, პასუხისმგებელ უწყებებთან (მთავარი პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, მთავრობის კანცელარია) დამატებითი კომენტარებისა და შენიშვნების წარმოდგენის მიზნით;
- ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ პასუხისმგებელი უწყებებისგან მოწოდებული ინფორმაციისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით გამართული განხილვების საფუძველზე მომზადდა და საჯარო კომენტარებისთვის გამოქვეყნდა „ღია მმართველობა – საქართველოს“ პირველი – 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- შემუშავდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის სახელმძღვანელო წესები და კონსულტაციების ერთთვიანი გეგმა. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა საქართველოს 15 ქალაქში; საქართველოს მასშტაბით გამართულ 19 შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 700-მდე დაინტერესებულმა პირმა; დამტკიცდა სამოქმედო გეგმა და პარტნიორობის წევრმა ქვეყნებმა საქართველო მმართველი კომიტეტის წევრად ორწლიანი ვადით აირჩიეს;
- ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2014-2016 წლების კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სტრატეგიული პრიორიტეტის – კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში – დამატებასთან დაკავშირებით; ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში გაიმართა სემინარი ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებისა და 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების თაობაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და ევროპის საბჭოს ექსპერტები.
- განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, როგორცაა: „საქართველოს მთავრობასა და Microsoft-ს შორის სახელმწიფო სექტორში ლიცენზირებული პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით ხელშეკრულება“, „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასა და TAV Georgia-ს შორის თბილისის აეროპორტის ოპერირებასთან დაკავშირებული“ ხელშეკრულების განახლებული ვერსია, „ევროკავშირისა და საქართველოს შორის შეთანხმებათა მხარდაჭერის ჩარჩო პროგრამის“ ფარგლებში გასაფორმებელი დაფინანსების ხელშეკრულება, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-15 და მე-16 ოქმები, „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენცია;
- წლის განმავლობაში შემუშავებულ იქნა საკანონმდებლო აქტების პაკეტი და ცალკეული საკანონმდებლო აქტების პროექტები, რომლებიც უკავშირდებოდა:

- ✓ სავალდებულო ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისადმი დაქვემდებარებულ პირთა წრის განვრცობას;
 - ✓ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ გადასახდელი კომპენსაციის ოდენობის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის კანონით განსაზღვრას;
 - ✓ სოციალურ რეკლამასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწას;
 - ✓ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას;
 - ✓ იარაღთან მიმართებით არსებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების ეფექტური დაცვის მიზნიდან გამომდინარე;
 - ✓ სასამართლო სისტემის რეფორმირების ახალ ეტაპს, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლის მეტი დამოუკიდებლობისათვის გარანტიების შექმნას, მოსამართლეთა მეტ ჩართულობას სასამართლოს სისტემის ადმინისტრირების პროცესში, სამართლიანი და თანაბარი პირობების შექმნას მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, მოსამართლის მივლინებისა და საქმეთა განაწილების საკითხებს, სასამართლოს სისტემის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრას;
 - ✓ სამეწარმეო კანონმდებლობის შეცვლას;
 - ✓ სუროგაციის რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტის შემუშავებას;
 - ✓ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის შემუშავებას.
- მიმდინარეობდა კვლევა ჰააგის 1980 წლის ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ კონვენციის ფარგლებში რეფერალისა და აღსრულების მექანიზმის შემუშავების მიზნით. შემუშავდა რეფერალისა და აღსრულების მექანიზმის დოკუმენტი. კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით შემუშავდა სახელმძღვანელო-სარეკომენდაციო დოკუმენტი მოსამართლეთათვის, ასევე, იმ იურისტებისათვის, რომლებიც ჩართული არიან ბავშვთა არამართლზომიერი გადადგილების/დაკავების საქმეებში;
 - მომზადდა ანგარიშები ნარკომანიასთან ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისთვის: ევროკავშირი (ასოცირების დღის წესრიგის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, აღმოსავლეთპარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მომზადებული ანგარიში, ევროპული საბჭოს დუბლინის ჯგუფისთვის მომზადებული ანგარიშები); გაერო (ახალი – ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ანგარიში, შიდსთან ბრძოლის პროგრესის შესახებ ანგარიში, ნარკოტიკების კონტროლთან დაკავშირებული ანგარიში);
 - ნარკოვითარების ეროვნული მონიტორინგის ცენტრის შესაქმნელად მომზადდა კვლევა ევროკავშირისა და სხვადასხვა ქვეყნის მიერ ნარკოვითარების მონიტორინგის გამოცდილების შესახებ და დაიწყო მუშაობა მონიტორინგის ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად;
 - ტრეფიკინგთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით გამოცხადდა საგრანტო კონკურსი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის; გაგრძელდა მუშაობა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო სტრატეგიის და შესაბამისი გეგმის შემუშავებაზე; საინფორმაციო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით განხორციელდა საინფორმაციო

შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან: სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;

- მომზადდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

6.4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (05 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი
- ✓ სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

- საქართველოში საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, ცოდნის გაზიარების, საერთაშორისო გამოცდილების გაცნობისა და ინსტიტუციური განვითარების მიზნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აქტიურად ითანამშრომლა უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებთან და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან.
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს მიხედვით ჩატარდა 15 აუდიტი ხარისხის კონტროლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, რაზეც მომზადდა შესაბამისი ხარისხის კონტროლის ანგარიში.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩატარა 108 ფინანსური და შესაბამისობის ანგარიში.
- სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პორტუგალიის აუდიტის სასამართლოს მიერ ორგანიზებულ „აუდიტის ეთიკის“ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ სემინარში და ასევე დაესწრნენ EUROSAI - AFROSAI ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ცერემონიას.
- აუდიტის სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან (SNAO). რომელს ფარგლებშიც სამუშაო ვიზიტით ეწვია SNAO-ს გენერალური აუდიტორი. ვიზიტის ფარგლებში წარმატებული 4 წლიანი თანამშრომლობის შედეგად, ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმის გაგრძელებას 2016 წლამდე.
- სამსახურის წარმომადგენლები SNAO-ს ორგანიზებით დაესწრნენ სამუშაო შეხვედრას მოლდოვის აუდიტორულ სასამართლოში, ეფექტიანობის აუდიტის საკითხებზე.
- SNAO-ს ორგანიზებით სამსახურის წარმომადგენლები მიწვეული იყვნენ შვედეთის ეროვნული აუდიტის სამსახურში, სადაც გაიმართა ორი უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ეფექტიანობის აუდიტის ჯგუფთა სამუშაო შეხვედრა, ეფექტიანობის აუდიტის საკითხებთან დაკავშირებით.
- ჩატარდა 6 ეფექტიანობის აუდიტი, კერძოდ:
 - ✓ წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების ეფექტიანობის აუდიტი;
 - ✓ სახელმწიფო საწარმოების მართვა;
 - ✓ ფერმერებისთვის წყალმომარაგების სისტემების უზრუნველყოფა;
 - ✓ სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი;
 - ✓ შპს "მყარი ნარჩენების მართვის კომპანია";
 - ✓ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანობის აუდიტი.
- სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიის აუდიტის სასამართლოს (Bundesrechnungshof) 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმში საინფორმაციო ტექნოლოგიების თემასთან დაკავშირებით და ასევე IT ჯგუფის 9-ე სამუშაო შეხვედრაში IT აუდიტის საკითხებთან დაკავშირებით.

- მონაწილეობა იქნა მიღებული ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის (European Neighbourhood Instrument -ENP) ფარგლებში, რუმინეთის მთავრობის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც მიზნად ისახავდა პარტნიორი ქვეყნების ინფორმირებას ევროკავშირის ფინანსური კონტროლისა და აუდიტის სისტემის შესახებ.
- მიღებულ იქნა მონაწილეობა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო, რეგიონული გაერთიანებებისა (INTOSAI, EUROSAI და ASOSAI) და უმაღლესი აუდიტორული ოფისების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ/სემინარებში, კონფერენციებში და სამუშაო შეხვედრებში. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო სას-ის 30-ზე მეტმა თანამშრომელმა.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 15-ზე მეტმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, რამაც ხელი შეუწყო სამსახურის შესაძლებლობების გაზრდას, სანიმუშო პრაქტიკის გაზიარებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას.
- გაუმჯობესებულ იქნა პოლიტიკური ფინანსებისა და საარჩევნო პროცესების გამჭვირველობასთან დაკავშირებული საქმიანობა, რის შედეგადაც პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა.
- პრაქტიკაში დაინერგა აუდიტის შედეგების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც შეყვანილ იქნა 2013 წელს დამტკიცებული ყველა აუდიტი შესაბამისი დარღვევებით.
- შემუშავებულ იქნა სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანობის შეფასების პოლიტიკის სამუშაო ვერსია, რომელიც დაიხვეწა და დაინერგა პრაქტიკაში.
- საჯარო სამსახურების დამშობილების პროგრამის (TWINNING) ფარგლებში განხორციელდა გერმანიისა და პოლონეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სამსახურის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა და კადრების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. TWINNING-ის განხორციელების პროცესში ჩართული იყო 40-მდე საერთაშორისო ექსპერტი და მრჩეველი.

6.6. საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- შემუშავდა 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმა, რომლითაც განისაზღვრა ორგანიზაციის სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები და მათი მიღწევის გზები;
- ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა, 2013 წელს განხორციელებული ღონისძიებების და ამ მიმართულებით საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის აუცილებელი საკითხების განხილვის და შშმ პირთა თვითმმართველობის არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ცესკოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი კომისიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების შეხვედრაზე განხილულ იქნა ის ღონისძიებები და სამომავლო გეგმები, რომლებიც ქალთა საარჩევნო პროცესში ჩართულობის გაზრდის მიმართულებით ხორციელდება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაციის მიზნით:

- ✓ განხორციელდა არქივის გაციფრება/სისტემატიზაცია, შეიქმნა არქივში არსებული მუდმივშესანახი საარქივო დოკუმენტაციის ერთიანი ბაზა და განახლდა მატერიალური რესურსების მართვის აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა.
 - ✓ კაპიტალურად გარემონტდა ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა.
 - ✓ მიმდინარეობდა სტამბისთვის ახალი ფართის მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ განახლდა/გაუმჯობესდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების პროგრამა;
 - ✓ საარჩევნო ადმინისტრაციაში დაინერგა ახალი საფოსტო სისტემა – Microsoft Exchange;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები.

6.7. ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

- საქართველოს ეროვნულ არქივში არსებული დოკუმენტების შენარჩუნების და უკეთეს პირობებში შენახვის მიზნით გაგრძელდა ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაციის პროექტი. კერძოდ, მოეწყო და გაუმჯობესდა 3 ტერიტორიული ორგანოს (თელავის, რუსთავისა და ზუგდიდის) ინფრასტრუქტურა. მიმდინარეობდა ადგილობრივი წარმომადგენლობების ფორმირების პროცესი. გაიხსნა 12 ადგილობრივი წარმომადგენლობის ოფისი (ასპინძა, ახმეტა, ბორჯომი, დმანისი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, საგარეჯო, სიღნაღი, ყაზბეგი, ბაღდათი, წყალტუბო);
- მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებისა და თანამშრომელთა შრომის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით 52 თანამშრომელმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი.
- მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის ამაღლების მიზნით დაიხვეწა და განახლდა მომსახურების შემდეგი ელექტრონული პროგრამების პარამეტრები:
 - ✓ მკვლევართა აღრიცხვის და მართვის სისტემა;
 - ✓ საარქივო დოკუმენტების (ტექსტური დოკუმენტების, ფოტოდოკუმენტების, ვიდეო-დოკუმენტების, ფონოდოკუმენტების, რუკების) ელექტრონული კატალოგები;
 - ✓ მოქალაქეთა მომსახურების პროგრამა;
 - ✓ განცხადებების მიღებისა და ცნობების გაცემის ონლაინმომსახურების პროგრამა;
- ელექტრონულად იქნა შენახული 6400 ნეგატივი, 304 კინოდოკუმენტი და 311 აუდიოდოკუმენტი. დასკანირდა 832 000 გვერდზე მეტი, მიმდინარეობდა ელექტრონულად შენახული ფაილების აწყობა-დამუშავება, ტექნიკური და შინაარსობრივი შემოწმება. კინოფოტოფონოდოკუმენტების არქივში განთავსებული ნიტროფუმიანი ფირები ლითონის კოლოფებიდან გადატანილ იქნა თანამედროვე სპეციალურ კოლოფებში,

რაც სრულად გამორიცხავს ხანგრძლივი დროით შენახვისას ფირების დაზიანებასა და განადგურებას;

- თბილისში მდებარე სამი ცენტრალური არქივის (უახლესი ისტორიის, საისტორიო არქივისა და კინოფოტოფონოარქივების) საცავებში დამონტაჟდა კონდიციონერ-ვენტილაციის სისტემა, ცენტრალური არქივის საცავებში – ხანძარქრობის ავტომატური სისტემა (ნაწილობრივად), ხოლო ეროვნული არქივის თბილისის ოფისში – გათბობის სისტემა;
- დასრულდა რუსთავის არქივის სამშენებლო და აღჭურვის, თელავის არქივის სამშენებლო-სარემონტო და აბაშის არქივის შენობის კაპიტალური რემონტის სამუშაოები. შეძენილ იქნა ქუთაისის, ახალციხისა და ზუგდიდის არქივების მშენებლობისათვის საპროექტო დოკუმენტაცია;

6.8. ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩაერთო 33 ახალი ორგანიზაცია და მოქალაქის პორტალზე – My.gov.ge – დარეგისტრირდა 7 740-ზე მეტი მომხმარებელი;
- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან და სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან შეთანხმდა მათი სერვისების პორტალზე ინტეგრაციის საკითხი და დაინტეგრირდა 2 სერვისი („მოვალეთა რეესტრი“ და „მეზნა მოვალეთა რეესტრში“);
- აღწერილია ელექტრონული სააღსრულებო წარმოების სერვისის ფუნქციონალი, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, „my.gov.ge“-ს გამოყენებით მოიძიონ ინფორმაცია მათზე სააღსრულებო საქმიანობის განხორციელების არსებობისა და მიმდინარეობის შესახებ; აღწერილია და ინტეგრირებულია მუნიციპალიტეტების ელსერვისების ფუნქციონალის ტექნიკური ნაწილი, მიმდინარეობს მათთვის შესაბამისი დიზაინის შემუშავება მოქალაქის პორტალზე გამოსაქვეყნებლად;
- აღბანეთის ინფორმაციული საზოგადოების ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისთვის მომზადდა და ქალაქ ტირანაში ჩატარდა ტრენინგი მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურისა და მოქალაქის პორტალის შემუშავების საკითხებზე; სამთავრობო კარიბჭისა და მოქალაქის პორტალის ტრენინგი ჩატარდა აღბანეთის ინფორმაციული საზოგადოების ეროვნული სააგენტოსა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებს;
- ქ. ფოთში გაიმართა ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის სატესტო ჩვენება; ჩატარდა ექსპედიტორთა ტრენინგების ტრენინგი, რომლებიც უნდა დაეხმარონ 300-მდე ქართულ ექსპედიტორულ კომპანიას სისტემის ფუნქციონალის სრულყოფილად ათვისებაში, ტრენინგი გაიარა 60 ექსპედიტორმა; დაიწყო სისტემის ტესტირება ოპერაციულ გარემოში ფოთის პორტისა და საბაჟო დეპარტამენტის მონაწილეობით;
- ღია მონაცემების იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის მომზადდა კითხვარი, რომელიც დაეგზავნა სახელმწიფო დაწესებულებებს. კითხვარების შევსების პროცესში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სპეციალისტებმა კონსულტაციები გაუწიეს 60-ზე მეტი ორგანიზაციის წარმომადგენლებს;
- რეალიზებული და გაშვებულია პორტალი „data.gov.ge“. პორტალზე ატვირთულია 56 მონაცემთა ცხრილი. 80-მდე მომხმარებელს ჩატარდა პორტალის მოხმარების ტრენინგი;

- დასრულდა მუშაობა სერვისების კატალოგის ფუნქციონალურ სპეციფიკაციაზე და შედგა პროექტის დეტალური სამოქმედო გეგმა. მომზადდა სერვისების კატალოგის ჩარჩო, რომელშიც ინტეგრირებულია G3-ის სერვისები და ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის მონაცემები, აგრეთვე, სამთავრობო დაწესებულებების ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურა;
- დაინერგა სამთავრობო კარიბჭის ახალი ვერსია (GG 2012) სატესტო და რეალურ გარემოში. კარიბჭის ახალ ფუნქციონალზე მორგებული და რეალურ გარემოში გაშვებულია მოქალაქის პორტალი და სხვა პროდუქტები;
- რეალიზებულია სოლიდარობის ფონდის პროგრამული უზუნველყოფა და IP & Domain Monitoring სისტემები;
- შეძენილი იქნა ძირითადი ტექნიკა სარეზერვო დატაცენტრისათვის. ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვა დაიწყო 10 სახელმწიფო დაწესებულებამ;
- ბანკებისა და პროკურატურის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემისა და კიბერინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში; თურქეთში „NATO SPS“ პროგრამის ფარგლებში სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლების მიერ ჩატარდა ტრენინგი მოლდოველი სპეციალისტებისთვის; გაშვებულ იქნა დაინფიცირებული ვებსაიტების აღმოჩენის სისტემა – Thread Factor; ქსელის მონიტორინგის სისტემაში ჩაერთო 12 ორგანიზაცია; უსაფრთხო ინტერნეტის ინიციატივის ფარგლებში სატესტო რეჟიმში გაშვებულ იქნა სერვისი – OPENDNS, რომლის მიზანია საფრთხის შემცველი ინტერნეტისამართების დაბლოკვა; ასევე, დასრულდა პარლამენტის ვებგვერდის და მოქალაქის პორტალის (my.gov.ge) უსაფრთხოების ტესტირება; განახლდა IP მონიტორინგის სისტემა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შეამოწმონ საკუთარი კომპიუტერის უსაფრთხოება;
- კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში კიბერუსაფრთხოების შეფასება, რისთვისაც შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც შეავსო 36 ორგანიზაციამ;
- ჩატარდა „FIRST.ORG“-ის პირველი რეგიონული სიმპოზიუმი. ქ. ტალინში სააგენტოს თანამშრომელთა მონაწილეობით შედგა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ეძღვნებოდა კიბერუსაფრთხოების კოორდინაციის საკითხებს. სააგენტომ ქ. ბაქოში ჩატარა აუდიტი აზერბაიჯანულ „CERT“-თან მათი „First.org“-ში გაწევრიანების პროცესში.

6.9. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- მომზადდა და საქართველოს პალამენტს წარედგინა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2013 წლის ანგარიში;
- სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებით და მონაწილეობით ჩატარდა 200-მდე სხვადასხვა სახის შეხვედრა და ღონისძიება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხებზე.
- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე განხორციელდა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი;

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის შემოწმების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით განხორციელდა 364 არაგემიური ვიზიტი და 100 გემიური მონიტორინგი. მათ შორის: პენიტენციურ დაწესებულებებში 24 ვიზიტი, დროებითი მოთავსების იზოლატორებში 15 ვიზიტი, პოლიციის სამმართველოებში 13 ვიზიტი, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში 44 ვიზიტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში 2 ვიზიტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ბათუმის საავადმყოფოში 1 ვიზიტი, მონახულებულ იქნა 3040 პატიმარი;
- ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა 7929 განცხადება. აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 6555, დაუშვებლად - 1038. მართლმსაჯულების დეპარტამენტს გადაეცა 2600 განცხადება, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტს - 1646, ბავშვთა ცენტრს - 410, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრს - 232, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტს 167, ხოლო რეგიონულ სამმართველოს - 1589, ანალიტიკურ დეპარტამენტს - 70;
- კონსულტანტის დახმარებით ისარგებლა 3590-მა ვიზიტორმა, ელ.ფოსტაზე შემოვიდა 645 წერილი და კონსულტაციის მიზნით განხორციელდა 1586 სატელეფონო ზარი;
- საქართველოს სახალხო დამცველის ორგანიზებით გაიმართა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია;
- მონაწილეობა მიღებულ იქნა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობისა და აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში/კონფერენციებში როგორც საქართველოს მოსახლეობასთან, ისე სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან;
- ტოლერანტობის ცენტრის მიერ განხორციელდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ იქნა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.
- მომზადებულ იქნა 9 სპეციალური ანგარიში, 3 კვლევა და 10 პუბლიკაცია.
- საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნა 12 კანონის პროექტი და საკანონმდებლო წინადადება.

6.10. ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სმართ ლოჯიკი

- სსიპ - სმართ ლოჯიკის IT სერვისების სრული სპექტრით მომსახურებაზე აყვანის მიზნით ხელშეკრულებები გაფორმდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან. 7 მუნიციპალიტეტთან გაფორმდა ხელშეკრულება და დაიწყო მუშაობა სერვისის მიწოდებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნისთვის, მათ შორის 5 მუნიციპალიტეტისათვის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა IT-სერვისების სრული პაკეტის მიწოდება;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის IDP პროგრამული უზრუნველყოფის (იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზა) სრულყოფის მიზნით შეიქმნა დევნილთა ქონების დეკლარაციის მოდული;
- სსიპ - იუსტიციის სახლისათვის შეიქმნა მომხმარებლის უკუკავშირის აღრიცხვისა და რეაგირების პროგრამული უზრუნველყოფა. ასევე, დაიხვეწა „Just drive“-ის პროგრამული უზრუნველყოფა;
- სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული საქმისწარმოების პროგრამულ უზრუნველყოფაში დამატებით შეიქმნა აპლიკანტის მოდული, განხორციელდა გამოვლენილი ხარვეზების გასწორება და ფუნქციონალური ცვლილებები;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის შეიქმნა ფაილური კატალოგის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც გარე მომხმარებლები დისტანციურად შეძლებენ ინფორმაციის გაგზავნას ინსპექტორის აპარატში;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის შეიქმნა საგარეო ვაჭრობის ორმხრივი ურთიერთობების პორტალი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მართვის (ITSM) პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები „ITIL“-ში (Information Technology Infrastructure Library), რომელიც წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მართვაში დაგროვილი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების კრებულს;
- შეიქმნა gov.ge დომენების მართვის ელექტრონული სისტემა და განხორციელდა მისი მიგრაცია შპს „კავკასუს ონლაინის“ ინფრასტრუქტურიდან სსიპ - სმართ ლოჯიკში, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა დომენების რეგისტრაციისა და მართვის პროცესები;
- პროგრამის ფარგლებში ერთიანი სახელმწიფო ქლაუდის (Government Cloud of Georgia) შექმნის მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, გაიმართა მოლაპარაკებები და შესყიდვის განხორციელების მიზნით მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია;
- განხორციელდა „სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის“ სრული ტექნიკური მხარდაჭერა, განახლდა ორგანიზაციის სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა, შეძენილ იქნა მონაცემთა შემნახველი მასივები, ბლეიდსერვერები, ქსელური კომპუტატორები და არასანქცირებული შეღწევის პრევენციის სისტემა;
- მიმდინარეობდა მუშაობა სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრისათვის“ პროცესების ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაზე, რისი საშუალებითაც ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის დეპარტამენტი მოახდენს ბენეფიციართა აღრიცხვას და შემდგომი პროცესების კონტროლს.

6.11. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 09);

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

- მიმდინარეობდა ზუგდიდის იუსტიციის სახლის შენობის გარე ფასადის მოწყობისა და შიდა სარემონტო სამუშაოები. განხორციელდა ქსელური ტექნიკის, რიგის მარეგულირებელი სისტემის, ჟალუზების, პროექტორებისა და პროექტორის ეკრანების, ტელევიზორებისა და დარბაზისთვის ავეჯის შეძენა-მონტაჟი, ასევე, განხორციელდა გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები; დასრულდა ლიფტის მოწოდება-მონტაჟი, გაზიფიკაცია, წყლისა და ელექტროენერჯის მიწოდებისთვის ახალი კვანძების მოწყობა;

- დასრულდა ლილოში არქივის შენობის ახალი ბლოკის სამშენებლო სამუშაოები. დამონტაჟდა მოძრავი საარქივო სტელაჟები და მიმდინარეობდა სასერვერო მონაცემთა მართვის ცენტრის მშენებლობა;
- განხორციელდა გურჯაანის, ახალციხის, ხაშურის, ზესტაფონის, სამტრედიის, სენაკის, ფოთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ქობულეთისა და მცხეთის სრული დამისამართება;
- დასრულდა თიანეთი-თბილისი-რუისბოლის, მცხეთა-მლეთა-ზემო ლარსის, შორაპანი-ქვიშხეთი-ახალციხე-ახალქალაქი-გორელოვკა-სომხეთის, ჩინთი-ბარისახო-უღელტეხილი-ბოლვაჩოსლელეს, ზუგდიდი-ჯგარი-ხაიში-მესტია-ლენტეხი-ცაგერი-ლაჯანურის, ზუგდიდი-მუხურის, ბორჯომი-ნარდევანი-ფოკა-ახალქალაქი-გორელოვკას მონაკვეთებზე სახელმწიფო სანიველირე ნიშნების მოკვლევის მომსახურება და შეიქმნა მუდმივმოქმედი საბაზისო სადგურები განახლებული სახელმწიფო გეგმური გეოდეზიური ქსელებითა და გრავიმეტრიული პუნქტებით;
- განხორციელდა აეროფოტოგადაღება 17 რაიონში და დასრულდა დასავლეთ საქართველოს (8 800 კვ. კმ) აეროფოტოგადაღებისა და ციფრული ორთოფოტოების შესყიდვის ღონისძიებები; სპეციალური თვითმფრინავის მეშვეობით განხორციელდა გამოსახულების საჭაერო გადაღება (ციფრული ორთოფოტოების) და მათი შემდგომი დამუშავება. ასევე, 10 000-იანი მასშტაბის მქონე ციფრული ტოპოგრაფიული რუკებისათვის ციფრული პირობითი ნიშნების ბაზის შესამუშავებლად განხორციელდა მუდმივმოქმედი რეფერენსული GNSS სადგურის შესყიდვა;
- სარეგისტრაციო სამსახურების სარემონტო სამუშაოებისთვის განხორციელდა ცაგერის, ლენტეხის, თეთრიწყაროს, ხაშურისა და ნინოწმინდის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა. ასევე, თიანეთისა და ყაზბეგის (დაბა სტეფანწმინდა) იუსტიციის სახლების საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზა და მათი მშენებლობისათვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მომსახურება. დასრულდა ბაღდათის ოფისის სარემონტო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, რომლის დაფინანსებით სააგენტოში იგეგმება პროექტის – „მიწის საინფორმაციო სისტემის განვითარება და სანდოობა საქართველოში“ – განხორციელება;
- ქ. გორის ტერიტორიაზე განხორციელდა დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების ზუსტი იდენტიფიკაცია, ადმინისტრაციული საზღვრის დადგენის და დემარკაციის სამუშაოები; ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის ზოლის მიმდებარე სოფლებისათვის კოსმოსური ორთოფოტოების შექმნასთან დაკავშირებით გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები და შეძენილ იქნა სათანადო ტექნიკა და აღჭურვილობა.

6.13. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა მონაცემების მაქსიმალური სიზუსტით დადგენის მიზნით განხორციელდა მონაცემთა ბაზაში არსებული გაორებების იდენტიფიკაცია და აღმოფხვრა, სულ გასწორდა 3 000-ზე მეტი გაორება;
- სამოქალაქო აქტების დიგიტალიზაციის პროექტის ფარგლებში (აღნიშნული აქტივობა წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს) სააგენტოს მიერ დიგიტალიზებული და ციფრულ ფორმატში გადაყვანილია 837 690 აქტის ჩანაწერი;

- განხორციელდა პირადობის ელექტრონულ მოწმობაზე ციფრული ხელმოწერისა და აუთენტიფიკაციის სერტიფიკატების განახლება. პროგრამულ უზრუნველყოფაში დანერგილ იქნა ფოტოგადაღების და ფოტოსურათების ხარისხის შემოწმების სისტემა, რომელიც წარმატებით იქნა გაშვებული საკონსულოებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით;
- შემუშავდა „ელექტრონული ხელმოწერის და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი ვერსია, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ელექტრონული მმართველობის, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ბიზნესის განვითარებას;
- დასრულდა პედაგოგებისთვის უფასო პირადობის მოწმობების გაცემა. უფასო პირადობის მოწმობა აიღო 31 000-მდე პედაგოგმა, ასევე - 17-დან 22 წლამდე 17 000-მდე მოქალაქემ, 324 პრობაციონერმა და ომისა და სამხედრო ძალების 7 000-მდე ვეტერანმა. აქციის ფარგლებში 130 ათასზე მეტმა მოქალაქემ პირადობის მოწმობა 30 ლარის ნაცვლად 15 ლარად აიღო, ხოლო დეკემბერში ასეთივე აქციის ფარგლებში 29 ათასზე მეტმა მოქალაქემ პირადობის მოწმობა 34 ლარის (ფოტოსურათის ღირებულების ჩათვლით) ნაცვლად 15 ლარად აიღო;
- შეიქმნა 11 ახალი ელექტრონული სერვისი: ადგილზე მომსახურების, სახელის ან/და გვარის შეცვლის, მონაცემების შესწორებისა და ამნისტიის გავრცელების შესახებ, მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის, შრომითი ბინადრობის ნებართვის, სასწავლო ბინადრობის ნებართვის, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის, საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის, სპეციალური ბინადრობის ნებართვის, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის და ონლაინგადახდის გადამოწმების სერვისი;
- აშენდა, აღიჭურვა და ფუნქციონირება დაიწყო საზოგადოებრივმა ცენტრებმა 5 რაიონში. მიმდინარეობდა კორბოულის საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა. საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებადი 17 საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით საანგარიშო პერიოდში 67 000-მდე სერვისი გაეწია ადგილობრივ მოსახლეობას;
- ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით შერჩეულ იქნა 4 საპილოტე ბიბლიოთეკა (ორი – მუნიციპალური და ორი – სოფლის ბიბლიოთეკა) სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა სოფელ ნუკრიანის ბიბლიოთეკაში, ხოლო სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულდა და სათანადო ავეჯითაც აღიჭურვა სოფელ ხიდისთავის ბიბლიოთეკა. ოთხივე ბიბლიოთეკისთვის შეძენილ იქნა წიგნები;
- მიმდინარეობდა არქივის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. 2014 წლის განმავლობაში გარემონტდა წალკის, სენაკის, ადიგენის და წალენჯიხის ტერიტორიული სამსახურები;
- საზოგადოებრივი ცენტრების ფარგლებში თანამშრომლობა გაძლიერდა სხვადასხვა სახელმწიფო თუ დონორ ორგანიზაციებსა და სამოქალაქო სექტორთან. გაიზარდა იმ სახელმწიფო ორგანიზაციების რიცხვი, რომელთაც სურთ, საკუთარი სერვისები წარმოადგინონ საზოგადოებრივ ცენტრებში (მაგალითად, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო);
- ქ. თბილისისა და ქ. გორის იუსტიციის სახლებში გაიხსნა ქორწინების სახლები.

6.14. იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

- დაინერგა ახალი ელექტრონული მომსახურება „მომსახურების მიღება სახლიდან გაუსვლელად“. განხორციელდა „მისტიკური“ მომხმარებლის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა მიერ გაწეული მომსახურების ეფექტიანობის შეფასებას. კვლევა განხორციელდა იუსტიციის სახლის თორმეტი ფილიალის წინა ხაზის ყველა თანამშრომელზე;
- განხორციელდა წინა ხაზისა და სატელეფონო სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგები ეფექტურ კომუნიკაციაში; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაინერგა ინსტრუქტორების სისტემა;
- იუსტიციის სახლში დაინერგა სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს სერვისი, აგრეთვე, სამოგზაურო დაზღვევის პოლისების გაცემის მომსახურება; დასრულდა JUSTdrive მომსახურების პროგრამული და ტექნიკური გამართვა; დამზადდა იუსტიციის სახლის ახალი ვებგვერდი; შეიქმნა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა მომხმარებელთან უკუკავშირის სისტემის აღრიცხვიანობისა და პროექტის მართვის გაუმჯობესებისათვის;
- მომზადდა რეკომენდაციები პროცედურების/პროცესების გამარტივების/ოპტიმიზაციის, ახალი სერვისების დანერგვისა და მიდგომების სტანდარტიზაციის მიმართულებით;
- დასრულდა გურჯაანისა და მარნეულის იუსტიციის სახლების ფასადის შემინვის სამუშაოები, ჩატარდა თბილისის იუსტიციის სახლის გადახურვის ლითონკონსტრუქციებისა და მიწისქვეშა ავტოფარების რკინაბეტონის კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;
- გაიხსნა ზუგდიდის იუსტიციის სახლი.

6.16. საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და დაინტერესებულ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისთვის 8 უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა კურსი საარჩევნო სამართალში;
- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, 11 უნივერსიტეტში (თბილისში - 8, რეგიონებში - 3 უნივერსიტეტი) განხორციელდა პროექტი - „არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა“, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტების საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობასა და მათ მოტივირებას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

7.1. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

- პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა როგორც 2014 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების, ასევე - 2014 წლის განმავლობაში დაწყებული ახალი პროექტების განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ინფრასტრუქტურისა და ბინების კეთილმოწყობას, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა-რეაბილიტაციას და ა.შ.

7.1.1 დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ევროკავშირი) (პროგრამული კოდი - 25 05 01)

- დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ევროკავშირი) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - ✓ ქ. ფოთში, მალთაყვის უბანში იძულებით გადაადგილებულ პირთა 32 საცხოვრებელი კორპუსის გარე ჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობა;
 - ✓ ქ. ფოთში, მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შვიდი ხუთსართულიანი, მრავალბინიანი სახლების სამშენებლო სამუშაოები;
 - ✓ ქ. ფოთის მრავალბინიანი სახლის სასმელი წყლის შიდაკომუნიკაციური ქსელების რეაბილიტაცია;
 - ✓ ქ. ჭიათურაში, წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია;
 - ✓ ხარაგაულში ქუჩების, მოედნების და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ ქ. ზესტაფონის კვალითის უბნის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია.

7.1.2 იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი KfW) (პროგრამული კოდი - 25 05 02)

- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი KfW) პროექტის მიზანს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა არსებული საცხოვრებელი ობიექტების რეაბილიტაციის მეშვეობით და ნაწილობრივ - აუცილებლობის შემთხვევაში ახლის მშენებლობით.
- საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - ✓ ქ. ქუთაისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის N58-ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლა-ინტერნატის შენობის რეაბილიტაცია და ახალი კორპუსის მშენებლობა;

- ✓ ქ. ფოთში, მშვიდობის ქ. №8-ში მდებარე ყოფილი ტურისტული შენობის რეაბილიტაცია და ახალი კორპუსის მშენებლობა;
- ✓ ქ. ზუგდიდში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 8 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. ასევე, 8 სახლიანი საცხოვრებელი უბანის გარე საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ დასავლეთ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების, საგანგებო სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობისათვის საჭირო საკონსულტაციო სამუშაოები.

7.1.3 ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო) (პროგრამული კოდი - 25 05 03)

- ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ ქ. ქუთაისის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის რეგიონში (ხონი და ბაღდათი) და შიდა ქართლის რეგიონებში (ბორჯომი და კასპი) ყოფილი საავადმყოფოების შენობების რეაბილიტაცია;
 - ✓ ტირიფონის და სალთვისის საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია;
 - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში, კერძოდ: გორის, ქარელის, კასპის და მცხეთის რაიონებში ცხრა სოფლის წყალსადენი სისტემის და შვიდი სოფლის დრენაჟის რეაბილიტაცია;
 - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში - მოხისში ახალი ჭაბურღილის კვლევისა და საპროექტო მომსახურების გაწევა-რეაბილიტაცია;
 - ✓ 11 კოტეჯური ტიპის დასახლებისთვის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და დრენაჟის დეტალური პროექტის მომზადება და პროექტის ინსპექტირების მომსახურების უზრუნველყოფა;
 - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში 28 კოლექტიური დასახლებული ცენტრის რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა;
 - ✓ ქ. ონის წყალსადენი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია;
 - ✓ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოფელ ფრეზეთში, სანიტარული პირობების გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და დრენაჟისათვის საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების 6 ყოფილი საავადმყოფოს და 22 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაციისათვის სამუშაოების მენეჯმენტი და საზედამხედველო მომსახურება;
 - ✓ სპეცტექნიკის (ექსკავატორი) შეძენა სამელიორაციო კომპანიისათვის;
 - ✓ ქ. ქუთაისში იძულებით გადაადგილებულ პირთა 16 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ იმერეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა 6 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- ✓ 10 კოტეჯური ტიპის დასახლებაში (შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლების: ბერბუკი, მეტეხი, სკრა, ხურვალეთი, მოხისი, წილკანი, შავშვები, ფრეზეთი, ახალსოფელი და თელიანი) იძულებით გადაადგილებულ პირთა სანიტარული გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და დრენაჟის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა რეგიონებში განლაგებული 10 შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზების შედგენა (სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების მიზნით).

7.2. განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- განხორციელდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა 1729 ოჯახზე;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ოჯახებს გრძელვადიანი განსახლების უზრუნველსაყოფად:
 - ✓ შეძენილი იქნა 152 საცხოვრებელი სახლი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
 - ✓ განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია, სადაც გადაყვანილ იქნა 854 დევნილი ოჯახი;
 - ✓ განხორციელდა 8 კომპაქტურად განსახლების ობიექტის გამოსყიდვა - სულ 420 ბინა;
 - ✓ ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ შეძენილი იქნა 261 ბინა ქ. თბილისში, ახლადაშენებულ კორპუსებში, რაზეც საანგარიშო პერიოდში მიიმართა 16.2 მლნ ლარამდე. აღნიშნული ბინები დევნილ ოჯახებს საკუთრებაში გადაეცემათ 2015 წლის განმავლობაში;
- კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს დაუფინანსდათ კომუნალური ხარჯები;
- სოციალური დახმარების სახით, იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ ფულადი დახმარება;
- 2014-2015 წლების ზამთრის სეზონში სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფისათვის 22 ათასამდე დევნილ ოჯახს გადაეცა ელექტრონული ბარათები, რომელზეც დარიცხული იყო 200 ლარი;

7.3. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები

- საანგარიშო პერიოდში მოხდა დევნილთა უძრავი ქონების დეკლარაციების შევსება, შევსებულ დეკლარაციებში ჩამატებების შეტანა და დევნილთა ქონებრივი დეკლარაციების ბაზაში გადამოწმება;
- განხორციელდა დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაცია და ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში; დაბრუნებულ მიგრანტებს ჩაუტარდათ პროფესიული და ბიზნეს გეგმის შემუშავების შესახებ ტრენინგები, დაფინანსდა 70 ბიზნეს პროექტი; ასევე, 26 მიგრანტი უზრუნველყოფილი იყო პირველადი სამედიცინო დახმარებით და 13 მიგრანტი - დროებითი საცხოვრებლით;
- განხორციელდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა 928 აპლიკაციის განხილვა;
- სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის შექმნილი იქნა 36 საცხოვრებელი სახლი;

7.4. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- გაიმართა შეხვედრები საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დიპლომატებთან და დონორ ორგანიზაციებთან, სადაც განიხილებოდა 2014 წელს სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და მისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში მიღებული შედეგები, აგრეთვე სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2015 წლის პრიორიტეტები;
- აპარატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ გალსა და დვანში გამართულ შეხვედრებს, რომელზეც განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები;
- მომზადდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2013 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში და 2014 წლის სამოქმედო გეგმა, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი, რომელიც წარედგინა ფართო საზოგადოებას, მიმდინარეობდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის 2009-2014 წწ. ფარგლებში 2014 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება;
- გაიმართა გასვლითი შეხვედრა საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ახალქალაქი), განხილულ იქნა სახელმწიფო პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით;
- შედგა საინფორმაციო შეხვედრა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, როგორც რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან, ასევე ეთნიკური უმცირესობებისათვის არსებული „1+4“ პროგრამის სტუდენტებთან;
- ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა 2 მუსიკალური ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“;
- აპარატი აქტიურად იყო ჩართული რუსეთის ე.წ. სასაზღვრო ძალების მიერ მავთულხლართების გავლებისა და ღობეების აღმართვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლაში, დახმარებისა და საერთაშორისო რეაგირების მობილიზებაში, მონაწილეობა იქნა მიღებული „კონფლიქტით დაზარალებული

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების“ სტრატეგიის მომზადებაში, მიმდინარეობდა თანამშრომლობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

- სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებდა, ევროინტეგრაციის საკითხთა ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიითა და 2014 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და მუშაობდა 2015 წლის სამოქმედო გეგმაზე;
- მიმდინარეობდა ქართველ და აფხაზ ექსპერტთა შეხვედრა კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე;
- უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში აქტიურად ხორციელდებოდა მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის განათლების აღიარების პროცედურების მეტი მოქნილობის უზრუნველსაყოფად;
- ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატში განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევების (მათ შორის უკანონო დაკავებების ფაქტები, პატიმართა, კერძო საკუთრების ხელყოფასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები);
- აპარატმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს-აშშ და საქართველოს-ევროკავშირის სტრატეგიული ფორმატის შეხვედრებში, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა კონფლიქტის მოგვარებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტები;
- სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობდა და აქტიურად იყო ჩართული ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფში ჰუმანიტარული საკითხების თაობაზე, რომელშიც რეგულარულად განიხილებოდა გამყოფ ხაზებზე რუსი სამხედროების მიერ ხელოვნური ბარიკადების აღმართვის შედეგად მოსახლეობისათვის წარმოქმნილი მძიმე ჰუმანიტარული და სოციალური გამოწვევები, სამხრეთ ისეთსა და აფხაზეთში ადამიანის უხეში დარღვევის ფაქტები.

8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

8.1. ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საქართველოს ანსამბლები
- ✓ საქართველოს თეატრები

- მიმდინარეობდა მუშაობა პროექტებზე: საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი სამხრეთ კავკასიაში; „რეგიონალური თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის“; „ქართული ხალხური სიმღერები ბერლინის ფონოგრამარქივიდან“; „Cine DOC-Tbilisi“; „ხალხური ცეკვის ნიმუშების დაფიქსირება-საარქივო მასალების შექმნა (ექსპედიცია ქვემო სვანეთში)“; დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში სახელოვნებო სკოლების ფუნქციონირების ხელშესაწყობად; სხვადასხვა წიგნებისა და ალბომების ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემა და თარგმნა; 4 ქვეყნის კინოპროექტი „ურსუსი. კავკასიური მურა დათვი“; ა(ა)იპ „შემოქმედებითი სახლისთვის „ჯარისკაცის მამა“ შენობის

შემენა-გადაცემა; დოკუმენტური ფილმის „ტონინო გუერას მასტერკლასი“ გადაღების პროცესი; ქ. ნიუ-იორკში ქართული კინოს რეტროსპექტიული ჩვენების კვირეული; ოსკარზე წარდგენილი ფილმის „სიმინდის კუნძული“ სარეკლამო კამპანიის ხელშეწყობა.

- განხორციელდა: პროექტი „საუბრები ხელოვნებაზე“; „ჩვენ ვკითხულობთ, ვსწავლობთ, ვასურათებთ „ვეფხისტყაოსანს“-2014“; „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩები-ტრადიციის შენარჩუნება“; „ჩოხელის საიუბილეო წელი“; პროექტი „ოტია იოსელიანის საკვირაო სკოლა“; „კრეატიული ქალაქი“ და „კინო-ექსპრესი: საქართველო-სომხეთი“; ქართულ-ავსტრიული კონკურსი „საუბრები საზღვრების შესახებ“; ტრენინგები საქართველოს რეგიონების (სენაკი, რუსთავი, ფოთი, გორი, ბორჯომი, ქუთაისი, ზესტაფონი, თელავი და სიღნაღი) სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მასწავლებლებისათვის; პროექტი „მომავლის მწერალი“ მაღალმთიან რეგიონებში (ონი, მესტია, ხულო, ყაზბეგი, დუშეთი და თიანეთი); თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქველმოქმედო ფესტივალი; პროექტი „ჩემი საქართველო აქ არის“; პროექტი „17 გმირი“; პროექტი „ქართული ვიდეო ხელოვნების კვლევა და კონტექსტუალიზაცია“; პროექტი „ქართული მინის სიძველეები“; პროექტი „ნიქოზის ანიმაციური ფილმების მე-4 საერთაშორისო ფესტივალი“; პროექტი „ერთჯერადი გამოყენების ვაუჩერები საქართველოს ბიბლიოთეკებისთვის“; პროექტი „გალაკტიონობა 2014“; „ამ სიყვარულით შევცვლით სამყაროს“; „რეგიონებში ანიმაციური სტუდიების განვითარება“; დაბა თიანეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურის პარკში არსებული კინო-თეატრის აღდგენისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები; სსიპ - ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის აღჭურვა ტექნიკით; ნიუ-იორკში რიგით მე-4 ფესტივალი „GEORGIANS USA AWARDS“ NY-2014; ქ. რიგაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში ქართული კერამიკის გამოფენა; საქართველოს 9 მუნიციპალიტეტში (ლაგოდეხი, თიანეთი, ხაშური, ნინოწმინდა, ახალგორის სოფ. წეროვანი, ონი, ოზურგეთი, ხარაგაული, დუშეთი) კინოჩვენებისთვის საჭირო ტექნიკური აპარატურის შეძენა; საქართველოს რეგიონების ფოლკლორული ანსამბლებისთვის ხალხური საკრავების შეძენა; საქართველოს რეგიონებში სამუსიკო-სახელოვნებო სკოლებისთვის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და აპარატურის შეძენა; სსიპ ცხინვალის ი. მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა; ლაიფციგის, ფრანკფურტის და ლონდონის საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე საქართველო ეროვნული სტენდის წარდგენა.

- მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში:

- ✓ სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი - იტალია (ქ. რომი), მექსიკა (ქ. მეხიკო) და აშშ (ქ. ნიუ-იორკი);
- ✓ სსიპ – ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი - თურქეთი (ქ. ანკარა), შოტლანდია (ქ. ედინბურგი) და უნგრეთი (ქ. ბუდაპეშტი);
- ✓ სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი - უნგრეთი (ქ. ბუდაპეშტი), აშშ (ქ. ნიუ-იორკი და ქ. ფილადელფია), მოლდოვა (ქ. კიშინიოვი) და ავსტრალია (ქ.პერთი);
- ✓ სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - სერბეთი (ქ. ბელგრადი) და ისრაელი (ქ. იერუსალიმი და ქ. თელ-ავივი);

- ✓ სსიპ – ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი - ლიბანი (ქ. ბეირუთი) და ბელორუსი (მინსკი);
 - ✓ სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია - ინგლისი (ქ. ლონდონი) და იტალია (ქ. ფლორენცია);
 - ✓ სსიპ – ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი - ირლანდია (ქ. დუბლინი);
 - ✓ სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ირლანდია (ქ. დუბლინი);
 - ✓ ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციამ „შავფაროსნები“ - ირლანდია (ქ. დუბლინი);
 - ✓ ანსამბლი „ქართული ხმები“ - ლიტვა (ქ. ვილნიუსი), ლატვია (ქ. რიგა) და ესტონეთი (ქ. ტალინი);
 - ✓ სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ - ირლანდია (ქ. დუბლინი);
 - ✓ სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ - ყაზახეთი (ქ. ასტანა და ქ. ალმატი);
 - ✓ სსიპ – ანსამბლი „ბასიანი“ - ირლანდია (ქ. კილკენი);
 - ✓ სსიპ – თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი - გერმანია (ქ. ბერლინი);
 - ✓ ანსამბლი „ქორული“ - საბერძნეთი (ქ. სალონიკი);
 - ✓ ჯგუფი „შინი“ - დანია (ქ. კოპენჰაგენი) და გერმანია (ქ. ბერლინი);
 - ✓ ჯგუფი „The Quintessential Five“ - აშშ (ქ. სან-ფრანცისკო და ქ. ნიუ-იორკი);
 - ✓ ჯგუფი „აკაპელა სექსტეტი“ - ავსტრია (ქ. გრაცი);
 - ✓ ტრიო „სემპრე“ - ინგლისი (ქ. ლონდონი), გერმანია (ქ. ბერლინი) და ფინეთი (ქ. ლახტი);
 - ✓ ტრიო „Intermezzo“ - იტალია (ქ. პადოვი);
 - ✓ გუნდი „იალონი“ - პოლონეთი (ქ. ჰანოვკა);
 - ✓ ქ. ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრი - საფრანგეთი (ქ. პარიზი);
 - ✓ კვარტეტი „იბერი“ - გერმანია (ქ. ფრაიბურგი);
 - ✓ სტუდია „ამერ-იმერი“ - პოლონეთი (ქ. ნოვი).
- ჩატარდა: პროექტი ქართველ და ებრაელ ხალხთა მეგობრობა „26 საუკუნე“; ტრადიციული მრავალხმიანობის მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი; დოკუმენტური ფილმის „რეჟისორი“ პრემიერა; ანიმაციური ფილმების ფესტივალი „თოფუზი“; თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთე“; ბოლივუდის 100 წლისადმი მიძღვნილი ინდური კინოს დღეები; სსიპ – ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩინეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელოვნების დასის წარმოდგენა „ჩემი ოცნება“; ფოტოკვირეული „ქოლგა, თბილისი, ფოტო“; თბილისის მე-5 საიუბილეო საერთაშორისო ფოტოფესტივალი - „Tbilisi Photo Festival 2014“; სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის მიერ მუსიკალური ფესტივალი „ჩელოს სეზონი“; თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი; საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“; ფონდ „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტი; სსიპ – საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში კომპოზიტორ მიხეილ მდინარაძის შემოქმედებითი საღამო; მესხეთის თეატრში რეჟისორ ნანა დემეტრაშვილის ხსოვნის საღამო და გამოცა მისი მოღვაწეობის ამსახველი წიგნი; სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ კამერული ანსამბლების კონკურსი; ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის მე-6 საერთაშორისო კონკურსი; სსიპ

საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში „რუსული კლუბის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო; საქართველოს ეროვნულ ფილარმონიაში საქართველოს სახალხო არტისტის ლეო ანთაძის დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო საღამო; ჯემალ აჯიაშვილის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო; კომპოზიტორ ნოდარ ნიკოლაიშვილის საიუბილეო საღამო; ა(ა)იპ გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალურ თეატრში დამსახურებული არტისტის, ლოტბარის ჯუმბერ ყობაიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო; მუსიკოს რომან რცხილადის შემოქმედებითი საღამო „მინორული მაჟორი“; საუკუნის მოცეკვავის ფრიდონ სულაბერიძის შემოქმედებითი საღამო; კომპოზიტორ ნუკრი აბაშიძის საიუბილეო საღამო; კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი; სსიპ – მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრში მანანა მენაბდის იგავ-არაკების კრებულის „და დრო გადიოდა“ პრეზენტაცია და კონცერტი; ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლაპრების“ კონცერტი; ანსამბლ „ორერას“ 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით (იმერეთის რეგიონში) კონცერტები; კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის კონცერტი; ა(ა)იპ „ახალციხის ციხეზე“ ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ფოლკლორული კონცერტი; საქართველოს 10 ქალაქსა და მუნიციპალიტეტში სსიპ – ქ.თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან არსებული ანსამბლ „სულიკოს“ გასვლითი ფოლკლორული კონცერტები; სსიპ – ქ.თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის კამერული ანსამბლის „მონ პლეზირი“ კონცერტები და მასტერკლასები; სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში აუტიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული საქველმოქმედო კონცერტი; სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში მუსიკოს ოთარ მაღრაძის საიუბილეო კონცერტი; ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „შეჯიბრი“ კონცერტი; ფაშიზმთან გამარჯვების 69-ე წლისთავთან დაკავშირებით სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავი“ კონცერტი; თოჯინების სახალხო თეატრების პირველი ფესტივალი „ტიკინები“; სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მე-2 საერთაშორისო კლასიკური მუსიკის ფესტივალი; ფესტივალი „არტ გენი“; ქ. ბათუმში, „ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესტივალი Batumi MusicFest“; ქ. ბათუმში „შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი“; საქართველოში ლატვიის კულტურის დღეები; თბილისში „Kavkaz jazz 2014“ ფესტივალი; ლიტვური პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი; ლიტერატურული კონკურსი „წერო“; აუტიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული საქველმოქმედო კონცერტი; პროექტი „ტრენინგები საქართველოს რეგიონების სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მასწავლებლებისათვის“; პროექტი „ანსამბლი „რუსთავი“ საქართველოს რეგიონებში“; ქართული ხალხური რეწვის ნიმუშთა გამოფენა; გამოფენა „სინთეზური ხელოვნება“; გონიოს საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „დამის სერენადები“; თბილისის მე-17 წიგნის საერთაშორისო ფესტივალი.

- გამოიცა: წიგნი „რობერტ სტურუა“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე); „ვეფხისტყაოსანი“ (ებრაულ ენაზე); თ. ჭილაძის „ჩემი თეატრი“; ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი წიგნი „ორი ანა“; „დიდი ექვთიმე“; „ქართული ხელნაწერი წიგნი“; ნ. წულუკიძის „უბით სატარებელი“; „ვეფხისტყაოსანი“ - მხატვრის წიგნი“; ნაფი ჯუსოითის ლექსების კრებული ქართულად; კინოტერმინების ლექსიკონი; „უორდროპები და საქართველო“; ა. მორჩილაძის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ აზერბაიჯანში; ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირალები“ და „მარადისობის კანონი“ მაკედონიაში; ბ. ჯანიკაშვილის

„ომობანა“ უკრაინაში; დ. ბარბაქადის ლექსების კრებული აშშ-ში; ვაჟა-ფშაველას მოთხრობების კრებული გერმანიაში; ქრისტიანული პოეზიის კრებული; დ. ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ საბერძნეთში და გერმანიაში; 100 უკრაინელი პოეტის ლექსების კრებული; ალ. ყაზბეგის მოთხრობები გერმანულ ენაზე; მონოგრაფია „ნანა დემეტრაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“; ჯ. ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი“ ეგვიპტეში; ქართველი ქალი მწერლების ანთოლოგია გერმანიაში; უცხო ენებზე ითარგმნა ზ. არსენიშვილის, მ. ხერგიანის, რ. თაბუკაშვილის, დ. თავაძის, თ. ბართაიას ნაწარმოებები; ნიკა წულუკიძის იგავ-არაკები; ფ. კაფკას წიგნი „წერილი მამას“; მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩანაწერების კრებული; გივი ჩიღვინაძის წიგნი „ხალხური დღეობა-დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები“; გრიგოლ აბაშიძის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისი რჩეული თარგმანები; თანამედროვე ქართველ და გერმანელ ქალ კომპოზიტორთა ნაწარმოებების კრებული; კრებული „ქართული საგუნდო სიმღერები მოზარდებისთვის“; მერაბ ბერძენიშვილის დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წიგნი „მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედება“; წიგნი „აპოლონ ქუთათელაძე“; აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მის თხზულებათა მრავალტომეულის IV და V ტომები; ნ. კაზანზაკისის რომანი „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“; წიგნი „შეხვედრა ლორდ ბაირონთან“ (Encounter with lord Byron); გივი ალხაზიშვილის ესეების კრებული „ორი სინამდვილის ზღვარზე“; რადიმ თორდიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კატალოგი; აზერბაიჯანულ ენაზე წიგნი „100 დიდი ქართველი“; თბილისის კულტურული ცხოვრების ამსახველი ორენოვანი ცნობარის „თბილისი აუტ“ (3 ნომერი); „მოხეური ხალხური სიტყვიერების კრებული“; ირაკლი ჩარკვიანის და ნანული აბესაძის CD ალბომები; ჟურნალები: „თეატრი და ცხოვრება“ (4 ნომერი), „არილი“, (10 ნომერი), „ახალი საუნჯე“ (10 ნომერი), „მერმისი“ (1 ნომერი) და „მუსიკა“ (4 ნომერი); 4 გაზეთი: „ვეჩერნი ტბილისი“ (22 ნომერი), „ვრასტანი“ (12 ნომერი), „გურჯისტანი“ (13 ნომერი) და „სვობოდნაია გრუზია“ (12 ნომერი).

- დაიდგა სპექტაკლები: „წითელქუდა“, „ნავიგატორი“, „ცხოველების ფერმა“, „1945“, „მე ვხედავ მზეს“, „ბეჩავი“, „დოდოს მოლოდინში“, „ჯაყო“, „დორიან გრეის პორტრეტი“, „მითრიდატე“, „რექვიემი“, „დონ ჟუანის დაბადება“.

8.2. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ - „ქართული სპორტის მუზეუმი“.
- ✓ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ✓ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი

- ფეხბურთში საქართველოს U-17 წლამდე ჭაბუკთა ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა სერბეთში ჩატარებულ ევროპის ელიტ-რაუნდის ჯგუფურ ტურნირში, ხოლო U-19 წლამდე ახალგაზრდულმა ნაკრებმა პორტუგალიაში ჩატარებულ ევროპის ელიტ-რაუნდის ჯგუფურ ტურნირში;
- საქართველოს რაგბის შვიდკაცა ნაკრებმა მათში მონაწილეობა მიიღო ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირში და დაიკავა მე-2 ადგილი;

- 2014 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო „ევროპის ერთა თასზე“;
- საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რაგბში მოიპოვა მსოფლიო თასზე მონაწილეობის უფლება;
- დაფინანსდა შვიდკაცა რაგბში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომლის ფარგლებშიც იასპარეზა ზიმბაბვესა და ჰონკონგის საერთაშორისო ტურნირებში.
- საქართველოს რაგბისტთა ოცწლამდელოთა ნაკრებმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ჰონკონგში მსოფლიო ალაფის გათამაშებაში.
- ჩატარდა რაგბის საერთაშორისო ტურნირი „თბილისის თასი“, რომელშიც საქართველოს ნაკრებთან ერთად მონაწილეობდნენ ესპანეთის ეროვნული, არგენტინისა და იტალიის „ა“ ნაკრებები.
- დასრულდა 2013-14 წლის საქართველოს რაგბის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, პირველი ლიგის გათამაშება და საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე ჭაბუკთა „ა“ და „ბ“ ლიგის გუნდებს შორის და საბავშვო ფესტივალების საგაზაფხულო წრე.
- დაიწყო რაგბში 2014-15 წლების საქართველოს უმაღლესი, ესპუართა, პირველი და რეგიონალური ლიგის ჩემპიონატები.
- რაგბისტთა საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონატის დასკვნით (მანჩესტერისა და ბუქარესტის) ეტაპებში. საქართველოს ნაკრებმა ელიტურ ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა და 2015 წელს ჩაებმება ოლიმპიური საგზურისთვის ბრძოლაში.
- ჩატარდა კალათბურთში საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატები 20, 18, 16 და 14 წლამდე ვაჟთა შორის (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, მარნეული);
- 2014 წლის მარტში თბილისში ჩატარდა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის და „ფიზა“-ს ევროპის ერთობლივი სამსაჯო სემინარი;
- ჩატარდა ოთარ ქორქიას სახელობის საქართველოს სუპერთასის გათამაშება კალათბურთში;
- საქართველოს ვაჟთა ეროვნულმა ნაკრებმა კალათბურთში მონაწილეობა მიიღო ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. ჯგუფში დაიკავა პირველი ადგილი და ზედიზედ მესამედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.
- ჩატარდა თბილისის საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირი საქართველოს, ბელარუსის, დიდი ბრიტანეთის და მოლდოვას ნაკრებების მონაწილეობით. საქართველოს ნაკრები გახდა თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.
- წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა მოიპოვა მონაწილეობის უფლება 2014 წლის ევროპის ჩემპიონატზე.
- 2014 წლის მარტში თბილისში ჩატარდა ძიუდოში „გრანდ-სლემის“ ტურნირი; ეროვნულმა ნაკრებმა ასევე გუნდურ ჩათვლაში მოიპოვა ოქროს მედალი.
- საფრანგეთში, ძიუდოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა ძიუდოისტებმა ზედიზედ მესამედ მოიპოვეს გუნდური ოქროს მედლები.
- 2014 წლის ზაფხულში ლოპოტას ტბაზე ჩატარდა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო „გრანპრის“ გათამაშება.
- თბილისში ჩატარდა ფრენბურთის აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის გენერალური ასამბლეა.
- თბილისში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ფარიკაობაში 23 წლამდელოთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო 28 ქვეყნის 200 მონაწილემ.
- თბილისმა უმასპინძლა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს წყალბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ევროპის 16 ქვეყნის საუკეთესო ნაკრებმა გუნდმა.

- მიუდოს ეროვნულმა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსეთში, სადაც მოიპოვა ოქროს მედალი.
- მიუდოს ეროვნულმა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე რუმინეთში, საქართველოს მიუდოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდი როგორც პირად, ასევე გუნდურ ჩათვლაში დაეუფლა ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალს.
- ბათუმში ჩატარდა ევროპის ასაკობრივი (10-18 წლამდე) ჩემპიონატი ჭადრაკში, ასევე კაცებსა და ქალებს შორის ევროპის ზონალური ასოციაციის „EEVZA“-ს ფინალური ეტაპი საპლაჟო ფრენბურთში.
- იაპონიაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში, სადაც მოპოვებულ იქნა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენთა მკლავჭიდის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა პარასპორტსმენმა მოიპოვა მარჯვენა ხელში ოქროს და მარცხენა ხელში ვერცხლის მედალი.
- ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა „სოჭი 2014“ რუსეთის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ოთხი ქართველი სპორტსმენის (სამთო თხილამურები, ფიგურული ციგურაობა) მზადების და მონაწილეობის, ასევე „ნანჯინგი 2014“ ჩინეთის მსოფლიო ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე და „ბაქო 2015“ პირველ ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობისათვის მზადების ხარჯები;
- საქართველოს დელეგაცია ნანჯინგის ოლიმპიურ თამაშებზე წარსდგა 12 სპორტსმენით (12 ოლიმპიური ლიცენზია - მიუდო, ცურვა, ფარიკაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ბატუტი, კრივი, მძლეოსნობა). ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს სამი მედალი - მიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობაში.
- „საქართველოს სპორტის პოლიტიკისა და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში“ 2014 წლის მარტში ბაკურიანში ჩატარდა სამთო-სათხილამურო ტრადიციული ტურნირი „ლადოს თასი 2014“;
- თბილისში ჩატარდა ტურნირი მინი-ფეხბურთში დიპლომატებს შორის;
- გუდაურში ჩატარდა სამთო-სათხილამურო ტრადიციული ტურნირი „ნიამორი“.
- სპორტის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა მასობრივი ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში (კალათბურთი, მეკლდეურობა, მკლავჭიდი, ქართული ჭიდაობა, საბრძლო ხელოვნებები, მინი-ფეხბურთი, საპლაჟო ფრენბურთი, ნიჩბოსნობა);
- ყვარლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა მასობრივი საქველმოქმედო გარბენი დევიზით „ირბინე მსოფლიოსთან ერთად“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3 000 მონაწილემ;
- აპრილ-მაისში ჩატარდა რეგიონალური მასობრივი სპორტული შეჯიბრებები „მხიარული სტარტები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200 000 სასკოლო ასაკის ბავშვმა;
- გერგეთში ჩატარდა საერთაშორისო მასობრივი ღონისძიება „გერგეთი 2014“ (სირბილი, ველორბოლა, მთამსვლელობა, ჯომარდობა);
- სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში ირიცხება 120 პერსპექტიული სპორტსმენი, რომლებიც ადგილზე უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებელი პირობებით, კვებით და სპორტული დარბაზებით. ასევე, მიმდინარეობდა ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბ „ოლიმპის“ და წყალბურთელთა კლუბ „ლიგამუსის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება;
- ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულმა ცენტრმა წლის განმავლობაში სკოლებში (ქალაქ თბილისის 162-ე, 69-ე, 181-ე და ქალაქ გორის მე-3 საჯარო სკოლები) განახორციელა კალათბურთის უფასო სწავლების პროექტი, ასევე მის სარგებლობაში არსებულ სპორტულ დარბაზებში გაიხსნა უფასო სექციები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,

თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, ძალოსნობაში და ფეხბურთში, სადაც 500-მდე სპორტსმენმა ივარჯიშა.

- სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმის“ ორგანიზებით, თბილისში ძიუდოს გრან-პრის გათამაშებასთან დაკავშირებით მოეწყო სპეციალური გამოფენა მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, სასტუმრო Holyday inn-სა და სპორტის სასახლეში, რომელიც მიემდგვნა ქართველ ძიუდოისტთა მიერ მსოფლიო ასპარეზზე მოპოვებულ გამარჯვებებს. მუზეუმის კოლექციას არაერთი სპორტული საარქივო მასალა და ექსპონატი შეემატა, 50-მდე ღონისძიება განახორციელა და 4000-მდე ვიზიტორს უმასპინძლა.
- სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ მიენიჭა ავტორიზაცია, ჩატარებული სპორტული ტურის და საერთო ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა 59 სტუდენტი, მობილობის შედეგად - 18 სტუდენტი.
- ახალგაზრდულ ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის ფარგლებში ჩატარდა 70 სპორტული ღონისძიება;
- 2015 წელს ქ. თბილისში გასამართი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის შპს „სპორტმშენსერვისმა“ გასწია მთელი რიგი სამუშაოები ოლიმპიური სტანდარტის საცურაო აუზისა და სპორტის სასახლის მოსაწყობად.
- 2014 წელს ამოქმედდა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი. პირველი კონტიგენტის მისაღებად კოლეჯისათვის გადაცემულ ფართს ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი და აუდიტორიები აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით. კოლეჯმა 2014 წლის ოქტომბერში მიიღო მოსწავლეთა პირველი ნაკადი.

8.4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
- ✓ საქართველოს მუზეუმები და სახლ - მუზეუმები.

- მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა;
- საქართველოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;
- UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

8.4.1. მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

- განხორციელდა: სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის საკონფერენციო დარბაზის მოწყობა და აფიშების ფონდის სამუშაო ოთახების რეაბილიტაცია; საქართველოს მუზეუმების ვებ-გვერდის განახლება; ტრენინგი საქართველოს მუზეუმების წარმომადგენლებისთვის; ხვამლის მთის (ლექხუმი) კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია; სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ საქართველოს მუზეუმებში დაცული მასალის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები; სსიპ - „ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის“ შენობის ავარიული თაღების გამაგრების პირვანდელი სახით აღდგენისა და ფონდსაცავის რემონტი; ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგის გამოცემა; სსიპ - საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა; მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, როგორც რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მოწყობის უზრუნველყოფა; სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის კომპიუტერული ტექნიკით და საბიბლიოთეკო ინვენტარით აღჭურვა; სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზების სამუზეუმო ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვა; სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის უნიკალური დენდრო-პარკის რეაბილიტაციის II ეტაპის სამუშაოები; სოფელ ქვიშხეთში არსებული დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო პროექტის შედგენა; ქართველთა და ებრაელთა 26-საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს ფარგლებში, საერთაშორისო კონფერენციის და გამოფენის მოწყობა.

8.4.2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

- მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციის საკვლევი-საპროექტო დოკუმენტაცია: ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ბერების სენაკების მოწყობის ესკიზური საპროექტო დოკუმენტაცია, სვანური კომპლექსისა და ლანჩხალის უბანში რატიანების მაჩუბის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სქურის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის პროექტი, ქ. მცხეთის კონოთეატრის არსებული შენობის არქიტექტურული ანაზომების შესრულება და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, უჯარმის ციხე-ქალაქის კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოები და რეაბილიტაცია-კონსერვაციის პროექტი, მცხეთის კულტურული ლანდშაფტის კვლევა, მიმდინარე და დაგეგმილი ახალმშენებლობების ზეგავლენის შეფასების და ლანდშაფტის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსის განათების მოწყობის პროექტი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროსთავი წმ. იოაკიმ და ანას სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი, ბოდბის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის იატაკის მოწყობის პროექტი, ხობის სასახლის რეაბილიტაციის პროექტი, დარეჯან დედოფლის სასახლის აივნის რეაბილიტაციის პროექტი, სოფელი ზემო კაჭრეთი ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი, სოფელ გიორგიწმინდაში, მრგვალი კოშკის რეაბილიტაციისა და სოფელ პატარძელში, საცხოვრებელ-საფორთიფიკაციო კოშკის რეაბილიტაციის პროექტები, მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი, გონიოს ციხის ტერიტორიაზე წმ. მატათას საფლავის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის სარეაბილიტაციო პროექტი, აკვანებას წმინდა ბარბარეს ეკლესიის რეაბილიტაციის

პროექტის კორექტირება, სანაგირეს ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი, იფხის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელი პერევისას წმ. გიორგის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი, ერთაწმინდის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის გვიანბრინჯაოს ხანის საცხოვრებელი კომპლექსისა (სამთავროს ნამოსახლარი) და მცხეთის მუზეუმში დაცული ექსპონატების სკანირება და ვირტუალური რეკონსტრუქცია (I ეტაპი), სოფელი გარიყულა თარხან-მოურავების სასახლის კომპლექსის (ე.წ. "მარშლიანთ სასახლის") რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ჭაფალასა და სავანეთის სასაფლაოებზე არსებული მავზოლეუმების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ბოლნისის სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა გეოფიზიკური მეთოდით, ქ. თელავი, ისტორიული დაზიანებული შენობების კვლევა-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ქ. ზუგდიდი, დადიანების სასახლის კვლევა-პროექტირება, ქ. თბილისში, ი. მაჩაბლის ქ. N13-ში მდებარე შენობის (საქართველოს მწერალთა სახლი) რეაბილიტაციის პროექტი, შატილის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ მუცოს რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება, ქ. თბილისში არსებული საკულტო ნაგებობების ინვენტარიზაციის და არსებული მდგომარეობის შეფასება, ნასოფლარ კართანას ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი, სოფ. ჩაქაშის მუზეუმის ინტერიერის საპროექტო დოკუმენტაცია, სოფ. ვეჯინის „ცხრასაყდრების“ კომპლექსში ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, სოფ. ქვიშხეთი დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია, ნოქალაქევის ოდა-სახლის კონსერვაცია-ადაპტაციის საპროექტო დოკუმენტაცია, „გრაკლიანი გორის“ მუზეუმ-საიტის მოწყობის ესკიზური პროექტი, სოფ.დართლოს საცხოვრებელი სახლების დეტალური სარესტავრაციო პროექტი, ხვამლის მთის კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია, განხორციელდა უშგულის, მულახის, ეცერის, ლატალის, ჰადიშის, ივარისა და ბეჩოს თემში, ძველი სახლების აღწერა/ფოტოფიქსაცია და ზემო სვანეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დაზვერვითი ინვენტარიზაცია;

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელდა სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები შემდეგ ძეგლებზე: ქ. თბილისი, სურბნიშანის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები (III ეტაპი), მარიამწმინდის ფრესკების პირველადი გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები, სამუშაოები მცხეთის ჯვრის განათების მოწესრიგების მიზნით,სოფ. ფუძნარის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები (III ეტაპი), ბებრის-ციხის სუბსტრუქციის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი); თისელის რეაბილიტაცია (I ეტაპი), სოფ. ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაცია (II ეტაპი), გეგუთის სასახლის კონსერვაცია (I ეტაპი), სოფელ მუცოს I ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სვანური კომკების რეაბილიტაცია, უშგულის თემი, სოფ. ჩაქაშის ნაგებობების რეაბილიტაცია (I ეტაპი), ნიქოზის მთავარი ტაძრის „ღვთაების“ ეკლესიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ნაშტების გადახურვა, ნოქალაქევის სამეფო აბანოს კონსერვაცია, სადამოს ეკლესიის რეაბილიტაცია, სქურის რეაბილიტაცია I ეტაპი, სტეფანწმინდის მთავარანგელოზის სახ. ეკლესიის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონსატრო კომპლექსის განათების მოწყობა, ბაგრატის ტაძრის იატაკის მოწყობა, ანჩისხატის ტაძრის რეაბილიტაცია (I ეტაპი), ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საფარის მთავარი ტაძრისა და სამრეკლოს რეაბილიტაცია (I ეტაპი), დოლოჭოპის კონსერვაცია (I ეტაპი), ბაგინეთის არქეოლოგია, სოფ. ზიარი „ქოდალოს“ არქეოლოგია, უჯარმის ციხის ტერიტორიის არქეოლოგია;

მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის ფასადების რეაბილიტაცია (I ეტაპი), არმაზის-ხევი, პიტიახშოთა რეზიდენციის აბანოს კონსერვაცია, ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. N13-ში მდებარე შენობის -მწერალთა სახლის რეაბილიტაცია, ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის რეაბილიტაცია, შემოქმედის სამონასტრო კომპლექსში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, მარტვილის სამონასტრო კომპლექსის დაზიანებული გალავნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გელათის სამონასტრო კომპლექსის დავითის კარიბჭის აღმოსავლეთის კედლის დაცვითი სამუშაოები, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ბაქნის და კიბის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, გეგუთის კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობის I ეტაპი, სამთავროს ველისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაზვერვა და არქეოლოგია, სოფ. ნოქალაქევის ორმოცმოწამეთას ტაძრის არქეოლოგია, არმაზისხევის კომპლექსის არქეოლოგია, სოფ. როდინაულის არქეოლოგია, გრაკლიანი გორის სატაძრო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრა და ვიზუალიზაცია, Courtauld Institute of Art (London), Conservation of Wall Painting Department - კურტოს საკონსერვაციო ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში ვარძიის კედლის მხატვრობის კონსერვაციისა და შესაბამისი სატრენინგო კურსის განხორციელების ხელშეწყობა, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმის I ეტაპი - მულტიდისციპლინარული კომპლექსური კვლევებისა და შესაბამისი ფიზიკური სამუშაოები.

- მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა: მომზადდა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის რეაბილიტაციის პროექტი, მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის შენობის ადაპტაცია-განვითარების პროექტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის კეთილმოწყობის სამუშაოები, ქ. გორში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო ცენტრის კეთილმოწყობა, ქუათაისის მუზეუმ-ნაკრძალის მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია, ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის სასწავლო არქეოლოგიური ცენტრის ნაწილის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მუზეუმ-ნაკრძალებისთვის/მუზეუმებისათვის დამზადდა საგზაო მანიშნები და საინფორმაციო ბანერები.

8.6. ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
 - ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
 - ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
 - ✓ სსიპ საქართველოს მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლე
- დაფინანსდა არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები;
 - პროგრამის „სტუდენტური დღეები 2014 ევროპული მომავლისათვის“ ფარგლებში განხორციელდა საკონკურსო და საჩვენებელი ღონისძიებები ხელოვნების, სპორტისა და ინტელექტუალური მიმართულებით;
 - მოეწყო „ინტელექტის დღე“ (საქართველოს ჩემპიონატი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნაკრებებს შორის ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“);

- გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი „მზის ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შშმ ბავშვებმა;
- ეთნიკური უმცირესობების (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და სტუდენტები) ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ექსკურსიები სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ ტურნირებზე თბილისში (წყალბურთი, რაგბი, ძიუდო)
- გაიმართა „სწრაფი ბეჭდვისა და ლოგიკური აზროვნების კონკურსის“ ფარგლებში შექმნილი ვებ-გვერდის პრეზენტაცია, www.ka.msy.ge, რომლის საშუალებით 2014 წელს ჩატარდება „საქართველოს მარათონი სწრაფ ბეჭდვაში სკოლის მოსწავლეებს შორის“;
- „ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ონლაინ კამპანიის - „არა სიძულვილის“ ფარგლებში, თბილისში გაიმართა საერთაშორისო როკ-ფესტივალი და კვირეული რასიზმის წინააღმდეგ;
- მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში: შეიქმნა პროფორიენტაციის ინტერაქტიული ვებგვერდი www.myprofession.ge; შეიქმნა გზამკვლევი - სახელმძღვანელო „აირჩიე პროფესია“, შეიქმნა ვებგვერდის მხარდამჭერი FB გვერდი - [facebook/MyprofessionGeorgia](https://facebook.com/MyprofessionGeorgia), გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს რეგიონერში (ბენეფიციარების რაოდენობა 50 000).
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამები: „სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის აქტივობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის“, „არაფორმალური განათლება, სპეციალური გადამზადება და შემეცნებითი აქტივობები“, „მატერიალურ ტექნიკური ბაზის აღჭურვა, ტრანსპორტირება, ბეჭდვა და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა“, „ხელოვნება და კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობები“.
- რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში განხორციელდა პროექტები: VIII საერთაშორისო ოლიმპიადა პროგრამირებაში - ილია ვეკუას თასზე, კონკურსი პოეზიაში - „გალაქტიონობა“, არაფორმალური განათლების ტრენინგ-სემინარები მეწარმეობასა და მოხალისეობაზე, „სკაუტური“ ბანაკი ვარციხეში, „ახალგაზრდული ტურიზმის განვითარება რეგიონებში“ - ხუთდღიანი ლაშქრობების მოწყობა, ევროკავშირის კულტურული ფესტივალი (Cultural Factory), „აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდული ფორუმი“, „ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნებთან“ და სხვა. (ბენეფიციარების რაოდენობა 5 000);
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ველოტურები დეფაქტო საზღვრის პირას მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, რაგბის სწავლება წეროვნში, სასწავლო ტრენინგები, ქართველ სტუდენტთა სასწავლო ვიზიტი კონფლიქტის გამოცდილების მქონე ქვეყნებში. (ბენეფიციარების რაოდენობა 420);
- „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ პროგრამის ფარგლებში დეკემბერში გაიმართა ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალი. საქართველოდან შეირჩა 10 ახალგაზრდა ელჩი, რომლის მთავარი ამოცანაა ქართველი და უცხოელი თანატოლი ახალგაზრდების ინფორმირება საქართველოს ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და ისტორიის შესახებ.
- სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ხელშეწყობით, საგრანტო კონკურსის ფარგლებში, დაფინანსდა ბავშვთა და ახალგაზრდული სხვადასხვა კავშირების მიერ წარმოდგენილი და შესაბამისად გამარჯვებული 56 პროექტი.

- გატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენისა და ამ მიზნების რეალიზაციისთვის შესაბამისი პრობემების შესაქმნელად საჭირო ღონისძიებები, მუშაობა მიმდინარეობდა მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების ფუნქციონირებისა და შექმნის ხელშეწყობის, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განსახორციელებლად;
- სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობის მიზნით მიმდინარეობდა, როგორც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ასევე გასვლითი და ერთობლივი პროგრამები, საერთაშორისო პროექტები და საქველმოქმედო ღონისძიებები;
- ანაკლიის ბანაკმა (პროგრამა „მომავლის ბანაკი“) უმასპინძლა 1838 მოსწავლეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, ხოლო (მთავრობის განკარგულების საფუძველზე) - უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში სამხედრო მოქმედებების შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან 130 მოზარდს. შემუშავებული პროგრამის ფარგლებში გაერთიანდა როგორც არაფორმალური განათლების, ისე გასართობი და შემეცნებითი ელემენტები. ჩატარდა ანტინარკოტიკული, ტოლერანტობისა და გენდერული პრობლემების შესახებ ტრენინგები, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქვეპროგრამა „ნორჩი მაშველების კლუბი“.
- კულტურულ შემეცნებითი პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერებისა და მხარდაჭერის პროექტი, ასევე განხორციელდა პროექტები: „იცხოვრე სპორტით“, „KING OF THE ROCK,“ ტურნირი „ქუჩის ფეხბურთი“, სქეითბორდის მასტერკლასი, ფესტივალი „ფანარტი,“ ლიტერატურული კონკურსი „ჩვენი თავგადასავალი“, კონკურსი დამწყები მხატვრებისათვის „შექმენი შენი კალენდარი“, კონფერენცია მზრუნველობამოკლებული ბავშვების მონაწილეობით - თემაზე: „ბავშვთა უფლებები“, ქვეპროგრამები: „მოზარდთა ინიციატივების ცენტრი“, „საჯარო ლექციები“, „აირჩიე შენი მომავალი პროფესია“, „მოხალისეთა კლუბი“, „შეხვედრები სპორტსმენებთან“, მინიკალათბურთის ფესტივალი.

8.8. სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდია ყოველთვიურად დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით;
- მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 308 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება, როგორც ერთჯერადად, ასევე ყოველთვიურად;
- საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდია მიიღო 430-მდე სპორტსმენმა, მწვრთნელმა და საექიმო პერსონალმა;

8.9. კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის და ფინანსური ძლიერების პროგრამა (პროგრამული კოდი 33 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი.

- კულტურის სფეროს მდგრადობის და ფინანსური გაძლიერების უზრუნველყოფა, კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა და კრიზისების მართვა.

8.9.1. კულტურის სფეროს ფინანსური გაძლიერების პროგრამა (პროგრამული კოდი 33 05 01)

- მიმდინარეობდა სამუშაოები პროექტებზე: „ჟესტური სამყარო“, „მომავლის გზა“, „სინთეზური ხელოვნების გამოფენა“;
- ჩატარდა: სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტი „მომავლის ვარსკვლავები“; საქართველოს რეგიონებში „მოდრავი ფილარმონია moving Show“-ს კონცერტები;
- განხორციელდა: თურქეთში, ქ. სტამბულში სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის გამოფენა-კონცერტი „თურქეთი ქართულ ხელოვნებში“. წიგნის „ანტიკური საბერძნეთი“ გამოცემა.

8.9.2. კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი (პროგრამული კოდი 33 05 02)

- განხორციელდა: სსიპ - დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმისთვის ექსპონატების დაბრუნება, ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილესადმი მიძღვნილი ექსპოზიციის მოწყობა, მუზეუმის საზეიმო გახსნა; გალა-კონცერტი „ებრაელთა და ქართველთა ზეიმი“; სსიპ - კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენისთვის და დარბაზისთვის გამაგრებელი მოწყობილობის შექმნა, მონტაჟი და ტესტირება; სსიპ - საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის კომუნალური ხარჯების დაფარვა, სამტატო რიცხოვნობისა და სახელფასო ფონდის მოწესრიგება; სსიპ საქართველოს ფოლკლორის ცენტრში რეგიონული პროექტების სამსახურის შექმნა, სამტატო რიცხოვნობისა და სახელფასო ფონდის მოწესრიგება.

8.10. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- დაფინანსდა ადმინისტრაციული ხარჯები სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

9.1. საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო.

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და განმტკიცების კუთხით, ასევე ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით;
- გაიმართა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის მაღალი დონის ვიზიტები და ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები, გაფართოვდა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების გადაფარვის ქვეყნების არეალი.

9.1.1. საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- გრძელდებოდა მუშაობა საქართველოს დეოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის უზრუნველყოფის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შესანარჩუნებლად. აღსანიშნავია, რომ არცერთ ქვეყანას არ უღიარებია საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობა“, ხოლო ტუვალუმ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ შეიცვალა პოზიცია ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების შესახებ;
- ცხინვალის რეგიონში გამართული ე.წ. „საპარლამენტო არჩევნების“ დამგმობი განცხადება გააკეთეს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ევროპის საბჭოს ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლების კონგრესმა, სუამ-მა, ასევე რიგი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებმა;
- წლის განმავლობაში გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 4 რაუნდი;
- მნიშვნელოვანი დიპლომატიური ძალისხმევა იქნა მიმართული რუსეთის უკანონო პოლიტიკის, მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართების გავლების აღკვეთისა და სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებთან ე.წ. „ხელშეკრულების“ გაფორმების საერთაშორისო დაგმობის მიზნით;
- გრძელდებოდა მუშაობა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ რეზოლუციის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. რეზოლუციის მომხრეთა რიცხვი 69 სახელმწიფომდე გაიზარდა, ხოლო მოწინააღმდეგეთა რიცხვი სამით შემცირდა;
- მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით, კერძოდ: სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი (საკანონმდებლო) ფაზის დასრულების მიზნით განხორციელდა ევროკავშირის ექსპერტთა მისიის ვიზიტი საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის შეფასებისთვის;
- ე. ბრიუსელში ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, რაც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა;

- საქართველოს პარლამენტმა მოახდინა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით;
- გაიმართა ნატო-ს უელსის სამიტი, რომლის შედეგად საქართველომ მიიღო სპეციალური პაკეტი, რომელმაც კიდევ უფრო გააქტიურა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესი;
- დასრულდა ინტენსიური მოლაპარაკებები „ასოცირების დღის წესრიგზე“, რომლის მიზანია ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და მისი სრულად ძალაში შესვლისთვის მომზადება, რომელიც ჩაანაცვლებს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას;
- მუშაობა მიმდინარეობდა ნატოში ინტეგრაციის კუთხით, საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის 3 სხდომა;
- საქართველომ მონაწილეობა მიიღო ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრიალის ფარგლებში გამართულ ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე სახელმწიფოებთან შეხვედრაში. ასევე, სამინისტრო მონაწილეობდა სხვადასხვა კონფერენციებში, ფორუმებსა და ვიზიტების ორგანიზებაში, რომელიც ეხებოდა გლობალური უსაფრთხოების სისტემის სხვადასხვა საკითხებს. მიმდინარეობდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციასთან (ქიაო) იმუნიტეტებისა და პრივილეგიების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით;
- ქ. ვენაში გამართულ უსაფრთხოების საკითხების გადახედვის ეუთო-ს ყოველწლიურ კონფერენციაზე ქართულმა მხარემ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ გამოხატა მხარდაჭერა და მთავარი აქცენტი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციიდან გამომდინარე საფრთხეებზე გააკეთა;
- გრძელდებოდა მუშაობა აშშ-თან ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებისა და სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში: გაიმართა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის პლენალური სხდომა, სადაც მხარეებმა განიხილეს ქარტიის ოთხივე სამუშაო ჯგუფის მიმართულებით ორმხრივი თანამშრომლობის განმტკიცების საკითხები, განხორციელდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის კომისიის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა;
- გრძელდებოდა მუშაობა ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მიზნით;
- გაიმართა საქართველო-ევროკავშირის საერთაშორისო საინვესტიციო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 400-მდე სხვადასხვა პირი;
- საანგარიშო პერიოდში გაიმართა ევროკავშირისა და საქართველოს შორის მაღალი დონის ორმხრივი ვიზიტები, მათ შორის საქართველოს 2 ჯერ ეწვია ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფი, რომლებმაც დადებითად შეაფასეს საქართველოს პროგრესი საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის მიმართულებით;
- სამინისტრო მუშაობდა სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავებაზე და სხვადასხვა ეკონომიკური სფეროების განვითარებაზე;
- მონაწილეობა იქნა მიღებული გლობალურ ეკონომიკურ ფორუმის, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს, ღვინის ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის, დუნაის კომისიის, თბილისში გამართულ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სემინარის მუშაობაში, აგრეთვე სხვადასხვა ბიზნესფორუმებსა და კონფერენციებში, განხორციელდა საზღვარგარეთის ქვეყნების ოფიციალურ პირთა და ბიზნესმენტა ვიზიტები საქართველოში, რომელთა

- მიზანი იყო საქართველოში ინვესტორთა მოზიდვა, სხვადასხვა ქვეყნებთან ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება;
- გრძელდებოდა მუშაობა შავი ზღვის თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ფარგლებში;
 - მიღწეულ იქნა შეთანხმება კუბის რესპუბლიკის მთავრობასთან ქ.ჰავანაში საქართველოს საელჩოს გახსნის თაობაზე, ხოლო მნიშვნელოვანი პროცედურები დაიწყო არაბთა გაერთიანებულ საემიროებში საქართველოს საელჩოს გახსნასთან დაკავშირებით;
 - დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა ტუვალუსთან, ტოგოს, ჩადის, ბენინის, სან ტომე და პრინსიპეს რესპუბლიკებთან. ასევე გაიზარდა საქართველოს საელჩოების მიერ საზღვარგარეთის ქვეყნების გადაფარვის ზონა, ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ საუდის არაბეთის სამეფოში;
 - ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა 25 ხელშეკრულებასა და ოქმს, ძალაში შევიდა 36 ხელშეკრულება;
 - ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების, ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის გაღრმავებისა და მხარდაჭერის გასამდიერებლად საქართველოში განხორციელდა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირების მრავალი მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტები;
 - გაიმართა ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები თურქმენეთის რესპუბლიკასთან, კანადასთან, ესტონეთთან, ჩეხეთთან, ლატვიასთან, სლოვენიასთან, კვიპროსთან და სომხეთთან. ასევე, გაიმართა საქართველო-ინდოეთის სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური, კულტურული და საგანმანათლებლო თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის სხდომა;
 - ჩინურმა მხარემ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მომართა ოფიციალური ნოტით, რომლითაც ქართულ მხარეს შესთავაზა „ახალი აბრეშუმის გზა-ეკონომიკურ სარტყელი“-ს ინიციატივაში საქართველოს ოფიციალურად ჩართვის მიზნით, სპეციალური ოქმის ხელმოწერა;
 - ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ორგანიზებით გაიმართა მრავალი ღონისძიება, მიმდინარეობდა თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნებთან ქართული კულტურის ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის მიზნით;
 - ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩატარდა ღონისძიება „ღია კარის დღე - ვეცნობით მსოფლიოს, რომელიც მიზნად ისახავდა შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლების საჯარო სკოლების 60-მდე მოსწავლეთათვის ქ. თბილისში აკრედიტებულ 20-მდე საელჩოს ვიზიტს და მათი საქმიანობის გაცნობას;
 - საქართველომ წარადგინა განაცხადი პორტუგალიეზი ქვეყნების თანამეგობრობაში(CPLP) ასოცირებული დამკვეთების სტატუსით საქართველოს გაწევრიანებაზე, რის შედეგადაც აღმოსავლეთ ტიმორში გამართულ CPLP-ის სამიტზე საქართველოს მიენიჭა ასოცირებული დამკვეთების სტატუსი;
 - მიმდინარეობდა მუშაობა საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების უფლებების და ინტერესების დაცვის კუთხით, ასევე საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებმა დაიწყეს დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა ელექტრონული პროგრამის საშუალებით;
 - მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიმართლებით, საზღვარგარეთ საქართველოს საპატიო კონსულების დანიშვნის კუთხით, გაფართოვდა საკონსულო სამსახურების სამოქმედო არეალი, ხოლო რიგ ქვეყნებთან ხელი მოეწერა დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებებს.
 - დახმარება გაეწია ქართველ მეზღვაურებს ვენესუელასა და თურქეთში, ასევე ერაყში, ქ მოსულში მომუშავე საქართველოს 25 მოქალაქეს;

- განხორციელდა საქართველოს საპატიო კონსულების დანიშვნა დანიის სამეფოსა და ირლანდიის რესპუბლიკაში, ამასთან, საქართველოში დაინიშნა შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო კონსული;
- ძალაში შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისად ამოქმედდა ახალი სავიზო პოლიტიკა. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები/საკონსულო დაწესებულებები გახდნენ ერთადერთი უფლებამოსილი ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გასცენ საქართველოს ვიზები (გამონაკლისი შემთხვევების გარდა);

9.1.2. საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა 40-მდე ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებში და გაეროს სამშვიდობო მისიებში.

9.1.3. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო

- განხორცილდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების, ასევე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი უცხოელი კოლეგებისა და დელეგაციების ერთობლივი პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელთა შეხვედრა - ამბასადორიალის სინქრონული თარგმნა.

9.2. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 20 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევდა NATO-საქართველოს კომისიის სხდომების მუშაობას, რომლებიც იმართებოდა დემოკრატიის, კონფლიქტების, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სხვა საკითხებზე;
- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის ჯგუფმა შეხვედრები გამართა საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავებასა და განხორციელებაში

ჩართული სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან. საქართველოს მიერ შემუშავებული წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტისა და აღნიშნულ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წლის ბოლოს, ნატო-ს შემფასებელთა ჯგუფმა შეიმუშავა და წარადგინა შეფასების დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში აისახა საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის შესრულების მდგომარეობა და ნატო-ს შესაბამისი რეკომენდაციები;

- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა NATO-ს დღისადმი მიძღვნილი დებატები;
- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ევროკავშირისა და ნატო-ს შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით NATO-ს კვირეული გაიმართა, რომლის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "გზა ნატოსკენ: ინტეგრაციის და გაწევრიანების გამოცდილების გაზიარება". კონფერენციაში მონაწილეობდნენ მაღალი რანგის სტუმრები ნატოს წევრი ქვეყნებიდან, ასევე საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები;
- ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს;
- დასრულდა საჯარო სამსახურების დამშობილების პროგრამის Twinning-ის ოთხი პროექტი და დაიწყო ერთი პროექტის განხორციელება;
- მიმდინარეობდა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- სახელმწიფო მინისტრის ვიზიტების (ხორვატიაში, ბელგიაში, გერმანიაში, სლოვაკეთში, უკრაინაში, დიდ ბრიტანეთსა და ფინეთში) ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო უწყებების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მოხელეებთან, პარლამენტარებთან, ასევე სამეცნიერო წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევდა ევროკავშირის ინიციატივა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობის საკითხებს;
- ივლისში ქ. ბათუმში, ჩატარდა მე-11 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და პარტნიორი ქვეყნების მაღალი რანგის ოფიციალურმა პირებმა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მინაწილეობა მიიღო ნატო-ს უელსის სამიტის მოსამზადებელ სამუშაოებში და სამიტის ფარგლებში გათვალისწინებულ შეხვედრებში, მათ შორის ნატო-ს გენერალურ მდივანთან და გენერალური მდივნის მოადგილესთან. ნატო-ს უელსის სამიტზე ალიანსმა დაამტკიცა ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას და ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ დააჩქარებს საქართველოს მზადების პროცესს ალიანსში საბოლოო გაწევრიანებისათვის;
- სახელმწიფო უწყებებში ჩამყალიბდება ევროინტეგრაციაზე მომუშავე სტრუქტურული ერთეულები და მიმდინარეობდა თანამშრომელთა ტრენინგები ევროინტეგრაციის თემატიკაზე;

9.3. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 21 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გამართა სამუშაო ვიზიტები (კანადაში, ჩეხეთში, დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, თურქეთში, აზერბაიჯანში), რომელთა მიზანი იყო საზღვარგარეთ არსებულ ქართულ დიასპორასთან კავშირების გადმავება;
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, „ქართველ სტუდენტთა მსოფლიო გაერთიანების“ და ფონდ „ზურაბ აზმაიფარაშვილის ევროპის საჭადრაკო კავშირის საპრეზიდენტო კამპანიის“ ორგანიზებითა და მხარდაჭერით, ქ.ბრიუსელში ჩატარდა ევროპაში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდებისათვის ჭადრაკის ჩემპიონატის ფინალური ტური. პროექტი მიზნად ისახავდა ქართველ ახალგაზრდებში ჭადრაკის პოპულარიზაციას და ევროპაში მცხოვრებ ქართველ სტუდენტთა შორის კონტაქტების დამყარებას;
- 27-28 მაისს დიასპორის დღესთან დაკავშირებით ქ.თბილისში ჩატარდა კონფერენცია, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მხატვრთა ნამუშევრების გამოფენა, გალა-კონცერტი საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ხელოვანთა მონაწილეობით, პოეზიის საღამო და სხვა ღონისძიებები;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონების ქართულენოვან სკოლებში ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი და გამარჯვებული 10 მოსწავლე 27 მაისს, ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში დაჯილდოვდა;
- ქვეყნიდან გადინებული ინტელექტუალური რესურსის მოზიდვის მიზნით, მიმდინარეობდა პროექტი სახელწოდებით „დიასპორული სტაჟირება“, რომელშიც მონაწილეობას იღებს საზღვარგარეთ მცხოვრები 33 სტუდენტი;
- აპარატის ორგანიზებით, „მომავლის ბანაკში“ დაისვენა აზერბაიჯანში, ისრაელში, უკრაინაში, რუსეთში, ყაზახეთში, გერმანიაში მცხოვრებმა 96-მა თანამემამულემ;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაწილეობით უკრაინიდან საქართველოში ჩამოყვანილ იქნა ომში დაზარალებული 130-მდე ახალგაზრდა, რომლებმაც 2 კვირის განმავლობაში დაისვენეს ანაკლიაში არსებულ „მომავლის ბანაკში“;
- საერთაშორისო დიასპორის ჩართულობის ალიანსთან (IDEA) თანამშრომლობით, 12-18 ოქტომბერს გაიმართა „გლობალური დიასპორული კვირეული“, რომლის ფარგლებში ჩატარდა „დიასპორული ეკონომიკური ფორუმი“;
- ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ოფიციალურად გაწვევრიანდა „საერთაშორისო დიასპორის ჩართულობის ალიანსში“.

10. სოფლის მეურნეობა

10.1. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“,
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“,
- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“;
- ✓ სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“.

- სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის და წყალსაცავების მშენებლობის, საწარმოო ტექნიკური ბაზების მოწყობის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ კაპიტალის გასაზრდელად და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაციისა და კომპანიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა მიმდინარე ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით, მიმართული თანხებით განხორციელებულია სარწყავი და დამშრობი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ: დასრულებულია სამუშაოები 11 ობიექტზე, ხოლო 31 ობიექტზე მიმდინარეობდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, შეძენილია სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკა და ჩატარებულია სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებები.
- შეღავათიანი აგროკრედიტის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისათვის მიმართული თანხებით გაცემულია 480.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების 18.0 ათასზე მეტი შეღავათიანი სესხი (ლიზინგი).
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში მცირემიწიანმა ფერმერებმა, რომლებიც ფლობენ 1,25 ჰა-ის ჩათვლით მიწის ფართობს, სარგებლის სახით მიიღეს მიწის ნაკვეთის ხვნის სერვისი ან/და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი.
- აგროდაზღვევის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად მიმართული თანხების ფარგლებში გაცემულია 21.0 ათასზე მეტი პოლისი, დაზღვეულია 18.0 ათასზე მეტი მიწის ნაკვეთი და 150.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების მოსავალი.
- ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის მიმართული თანხებიდან გადამამუშავებელი კომპანიების მიერ შესყიდულია 43 376 ტონა არასტანდარტული ვაშლი.
- მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის მიმართული თანხებიდან გადამამუშავებელი კომპანიების მიერ მიღებულია 9 973 ტონა არასტანდარტული მანდარინი.
- ქალაქ ბერლინში ჩატარდა „საერთაშორისო გამოფენა მწვანე კვირეული“ – International Green Week, სადაც სამინისტროს მხარდაჭერით წარმოდგენილი იყო ქართული აგროსასურსათო პროდუქცია. გარდა ამისა, ბუდაპეშტში, თელავივიში, მინსკში და ტალინში გაიმართა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაციის ღონისძიებები.
- 464 კოოპერატივს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი.
- ჩატარდა ვაზის ფართოდ კულტივირებული და მცირედ გავრცელებული საღვინე და სასუფრე მიმართულების ადგილობრივი ჯიშების შესწავლა (55 ჯიში);
- სხვადასხვა ფილოქსერაგამძლე საძირებზე დაიმყნო და სანერგეში გამოყვანილ იქნა 200-ზე მეტი ჯიშის ვაზის ნამყენი ნერგი;
- მომზადდა ახალი კოლექციის გაშენების პროექტი, საქართველოს კუთხეების ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ჯიშური მრავალფეროვნების გათვალისწინებით და დაიმყნო 60-ზე მეტი ჯიშის ხეხილის ნამყენი ნერგი;

- 16 რაიონში მოეწყო თავთავიანი კულტურების ჯიშთა შერჩევის სანერგე 30.9 ჰა -ზე, დაითესა ადგილობრივი და ინტროდუცირებული ხორბლის 47 ნიმუში;
- დამუშავდა კარტოფილის, თამბაქოს და საშემოდგომო თავთავიანი კულტურების წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები. დამუშავდა სატრაქტორო სახნავი აგრეგატების საკიდი სისტემის გაუმჯობესებული სქემა, დამზადებულია მისი საცდელი ნიმუში.საქპატენტში გადაცემულია10 სხვადასხვა განაცხადი გამოგონებაზე;
- შეიქმნა უვირუსო ვაზისა და ხეხილის სადედე მცენარეების ბანკი;
- შესწავლილია ნიადაგის 27 ნიმუში.

10.1.3 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“

- შეძენილია სამელიორაციო დანიშნულების 157 ერთეული ტექნიკა, კერძოდ: 25 ერთეული ელექტრო შედუღების აპარატი, 6 ერთეული თვითმცლელი, 30 ერთეული ავტომანქანა, 4 ერთეული ექსკავატორ დამტვირთველი, 4 ერთეული მუხლუხობიანი ექსკავატორი და სხვა;
- 2014 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სამუშაოები წელს 11 ობექტზე, კერძოდ:
 - ✓ ჩოჩეთის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, დამატებით I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო სარწყავი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თეზი-ოკამის არხის პკ143+75-დან პკ 156+70-მდე ტრაპეციული კვეთისა და პკ142+20-ზე წყალგამშვები კვანძის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის, მაგისტრალური არხის (პკ142+00-დან პკ156+70-მდე) მონაკვეთის ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები რკინატორკრეტებით (I ეტაპი);
 - ✓ სიონის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხის (პკ37+70-დან 35+90-მდე და პკ. 64+00-დან პკ153+45-მდე) რეაბილიტაცია (II რიგი);
 - ✓ ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის ზონაში წილკანის ტერიტორიაზე არსებული წყალშემკრები კოლექტორების და მასზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია და ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის ზონაში წილკან-მუხრანის ტერიტორიაზე (ნაწილი) ღია დამშრობი ძირითადი საკოლექტორო ქსელის რეაბილიტაცია (I ეტაპი);
 - ✓ კაზრეთის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები რკინატორკრეტის მოწყობით და დიუკერის აღდგენა-რეაბილიტაცია;
 - ✓ სოფელ სხვიტორში მდინარე ჩიხურაზე სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია;
 - ✓ ნოღელა-ცხენისწყალის მასივზე (სოფ. ტყვირი და სოფ. I მასი) პირველი და სხვა რიგის წყალშემკრები კოლექტორების, შიდასამეურნეო არხების და ქსელების რეაბილიტაცია;
 - ✓ ცივა-ტეხურის მდინარეთაშორისი მასივის დამშრობი სისტემის, მაგისტრალური წყალგამყვანი არხების რეაბილიტაცია (I რიგი);

- ✓ აბაშა-ტეხურას მდინარეთაშორისი მასივის დამშრობი სისტემის, მაგისტრალური წყალგამყვანი არხების რეაბილიტაცია (I რიგი);
- ✓ სოფელ განარჯის-მუხურის ტერიტორიაზე არსებული დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია (I რიგი).
- 2014 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სამუშაოები მიმდინარეობდა 31 ობექტზე, კერძოდ:
 - ✓ ჭალის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური და I რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია მდინარე მტკვარზე გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობის მოწყობის, სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზთან მდებარე „მერეთის თემის სოფელ მერეთის, ქერეს და კარბეს (ნაწილი) სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, წყლის თვითდინებითი მიწოდებით მდინარე ნიკრულადან მკვებავი არხის მოწყობა;
 - ✓ სასირეთის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის, მდინარე თეძამზე უკაშხლო, გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ სოფელ დვანის სავარგულების მოსარწყავად სალთვისის სარწყავი სისტემის გამანაწილებლის მონაკვეთის რეაბილიტაცია;
 - ✓ ტაშისკარი გ-1-4 გამანაწილებლების მონაკვეთის პკ 136+00 დან 151+09-მდე აღდგენა-რეაბილიტაცია;
 - ✓ კომპურა წყალმიმღებში წყლის მისაღებად, თბილისის წყალსაცავის პატარა ზღვის ქვაბულის ნაწილის დანალექისაგან გაწმენდა;
 - ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური არხის ორი ავარიული მონაკვეთის (პკ107+46÷პკ107+94 და პკ109+74÷პკ110+52) სარეაბილიტაციის სამუშაოები;
 - ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის გ-3; გ-4; გ-5 გამანაწილებლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ციხე-სულორის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;
 - ✓ დედაბერა-ნიგვზიანის და სუფსის დამშრობი მასივის, მთისძირა არხის (წყალმიმღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა) და მასზე მოწყობილი ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია (11 კმ.);
 - ✓ ტირიფონის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ (264+27 დან პკ358+14 მდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ გორის მუნიციპალიტეტში ცხინვალის გამყოფ ხაზთან მდებარე ზელდულეთის თემის სოფლების კირბალის და ბერშუეთის სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, სტაციონარული სატუმბო სადგურის მოწყობა;
 - ✓ გორის მუნიციპალიტეტში ცხინვალის გამყოფ ხაზთან მდებარე ახალუბნის თემის სოფლების ახალუბნის და აძვის სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, სტაციონარული სატუმბო სადგურის მოწყობა;
 - ✓ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლებში - აძვი, ახალი უბანი, კირბალი, ბერშუეთი, მერეთი, ზარდიანთკარი, გეგუთიანთკარი, კომკა -

- მშენებარე სატუმბი სადგურების გარე ელექტრო მომარაგების სისტემის ერთიან ქსელზე მიერთება;
- ✓ კავთისხევის N1 და N2 აწევის სატუმბი სადგურების შენობების და სადაწნეო მილსადენის ერთი ხაზის აღდგენა (I რიგი);
 - ✓ ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის შტოს N1, I და სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია (მაგისტრალური არხის და შტოს N1 დამატებითი კვება მდინარე ნარეკვავიდან);
 - ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლეჟბადინის სატუმბი სადგურის საპროექტო სიმძლავრეზე აღდგენა-რეაბილიტაცია, ხრამ-არხის სარწყავი სისტემის ზონაში 1 400 ჰექტარი სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ ცისკრის და ბაგრატის სარწყავი სისტემების მაგისტრალური არხების, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ მთის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;
 - ✓ დებედას არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია, მდინარე დებედაზე უკაშლო, გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობის მოწყობით;
 - ✓ იმირასანის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი);
 - ✓ დმანისი-განთიადის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების, იაკუბლოს და პანტიანის წყალსაცავების სათავე ნაგებობების, შემავსებელი და წყალმიმყვანი არხების და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის გ-9-ის, მისი მეორე და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ აღმალო-მუჯახეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალმიმღების, სალექარის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ მაშველის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ-1-8 (კვ0+00-დან კვ32+00-მდე), გ-1-9, გ-1-10, გ-1-10-1 და გ-1-11 გამანაწილებლების, გეგუთის არხის (გ-2-7 გამანაწილებლიდან ბოლომდე), გ-2-2, გ-2-3, გ-2-5, გ-2-6, გ-2-7 და მათი მეორე და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდა სამეურნეო სარწყავი ქსელის (4750 ჰა ბრუტო II რიგი) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ მდინარე პიჩორის გასწორხაზოვნებული მონაკვეთების (წყალმიმღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა) და მასზე მოწყობილი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია კვ0+00 დან კვ49+50 მდე (I რიგი);
 - ✓ ხობი უტორის მასივზე (სოფ თორსა ხამისყური) მაგისტრალური წყალგამყვანი არხის, პირველი და სხვა რიგის წყალშემკრები კოლექტორების და შიდასამეურნეო დამშრობი არხების რეაბილიტაცია;

- ✓ აბაშის მუნიციპალიტეტში „ანჯელის“ მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;
- ✓ გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია (I რიგი);
- ✓ ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის (პკ39+30-დან პკ42+30-მდე, პკ44+00-დან პკ46+15-მდე, პკ51+43-დან პკ52+40-მდე, პკ52+80-დან პკ70+20-მდე და პკ73+60-დან პკ80+10-მდე, პკ104+60-დან პკ105+00-მდე, პკ107+00-დან პკ107+60-მდე, პკ108+60-დან პკ109+20-მდე) შტო N1-ის (პკ3+00-დან პკ4+50-მდე, პკ28+00-დან პკ28+50-მდე,) ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების და მაგისტრალურ არხზე მოწყობილი გალერეის (პკ70+20-დან პკ73+60-მდე) დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა.

10.1.4 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- გერმანიის ქალაქ ბერლინში ჩატარდა საერთაშორისო გამოფენა „მწვანე კვირეული“ – International Green Week, სადაც მონაწილეობა მიიღო 9 ქართულმა კომპანიამ. აღნიშნული გამოფენის ფარგლებში ასევე ჩატარდა მინისტრიალი, რომელსაც ესწრებოდა 76 ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრი. შემუშავებული იქნა კომუნიკე, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილებებით განპირობებული ახალი გამოწვევების დაძლევის, სიღარიბის დაძლევის და სოფლის განვითარების ხელშეწყობას მსოფლიოში.
- ისრაელში და ქ. თელავიში საქართველოს საელჩომ გამართა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაცია. აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა ქართული ღვინო, თხილი, ნიგოზი, ქართული ყველის 26 სახეობა და სუნელები.
- ქ. მინსკში გამართულ გამოფენაზე PRODEXPO-2014 საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით მოეწყო ქართული სტენდი, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართული ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმელები, ასევე ჩურჩხელებისა და ჩირების ნაირსახეობა.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ესტონეთში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით ტალინში, გამოფენაზე „Tallinn Foodfest 2014“, მოეწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაცია.
- საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია“ გაიმართა ყველის ფესტივალი, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს ყველა რეგიონიდან 60-მდე სახეობის ყველი.

10.1.5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

- მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებების მიღება. რის შედეგადაც 464 კოოპერატივს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი.

10.1.6 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 37 01 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“

- ჩატარდა ვაზის ფართოდ კულტივირებული და მცირედ გავრცელებული საღვინე და სასუფრე მიმართულების ადგილობრივი ჯიშების შესწავლა (55 ჯიში);
- სხვადასხვა ფილოქსერაგამძლე საძირებზე დაიმყნო და სანერგეში გამოყვანილ იქნა 200-ზე მეტი ჯიშის ვაზის ნამყენი ნერგი;
- განხორციელდა ხეხილის 80 ჯიშის სამეურნეო-ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლისა და პომოლოგიური აღწერის პირველი ეტაპი;
- ჩატარდა 10 ჯიშის პომოლოგიური აღწერა;
- ჯიშთაგამოცდის ახალი კოლექციის მოწყობის მიზნით შემუშავდა 40 ჯიშის საინტროდუციო სია;
- მომზადდა ახალი კოლექციის გაშენების პროექტი, საქართველოს კუთხეების ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ჯიშური მრავალფეროვნების გათვალისწინებით და დაიმყნო 60-ზე მეტი ჯიშის ხეხილის ნამყენი ნერგი;
- 16 რაიონში მოეწყო თავთავიანი კულტურების ჯიშთა შერჩევის სანერგე 30,85 ჰა-ზე. დაითესა ადგილობრივი და ინტროდუცირებული ხორბლის 47 ნიმუში;
- დამუშავდა კარტოფილის, თამბაქოს და საშემოდგომო თავთავიანი კულტურების წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები. დამუშავდა სატრაქტორო სახნავი აგრეგატების საკიდი სისტემის გაუმჯობესებული სქემა, დამზადებულია მისი საცდელი ნიმუში; საქპატენტში გადაცემულია 10 სხვადასხვა სახის განაცხადი გამოგონებაზე;
- შეიქმნა უვირუსო ვაზისა და ხეხილის სადედე მცენარეების ბანკი;
- შესწავლილია ნიადაგის 27 ნიმუში;
- განხორციელდა იშვიათი ჯიშების ყურძნისგან ღვინის საანალიზო ნიმუშების მიღება და პირველადი ანალიზური კვლევა;
- დამზადდა სხვადასხვა დასახელების გადამამუშავებული პროდუქტების საკვლევო ნიმუშები მათ შორის დეალკოჰოლიზებული ღვინო და ფუნქციონალური დატვირთვის პროდუქტები.

10.1.7 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 37 01 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში გაცემულია შეღავათიანი აგროკრედიტები: საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის, ატმის ან/და ვაშლის შემსყიდველი საწარმოებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისათვის;
- გაცემულია აგროლიზინგი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის;
- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაფინანსებული საწარმოებისათვის გაცემულია სესხები.

10.1.8 მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- საანგარიშო პერიოდში გაცემულია 655.5 ათასი აგრო-ბარათი, რომელზეც სახნავი მიწის მფლობელ ბენეფიციარებს ერიცხებათ 50 ლარის ექვივალენტური ქულები. აღნიშნული გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქონლის (სასუქი ან/და მცენარეთა დაცვის საშუალებები ან/და სათესლე მასალა) შესაძენად.
- 1,25 ჰა-ის ფართობის ჩათვლით მიწის ნაკვეთის მფლობელმა ფიზიკურმა პირებმა ისარგებლეს საკუთრებაში ან ფაქტიურ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ხვნის სერვისით. მათ გადაეცათ 1-ჰა ზე 140 ლარიანი ხვნის ბარათები. მოიხნა 212,6 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

10.1.9 აგროსექტორის განვითარება/ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 37 01 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- სოფლად ლიზინგის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 3.0 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების 15 ქვეპროექტი.
- დასრულდა ლამი-მისაქციელის საირიგაციო არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები და კასპის რაიონში მეტეხის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა კასპის რაიონში ყარაღაჯის სარწყავი სისტემის, დოეს-გრაკალის საირიგაციო არხის და ახალქალაქის რაიონში ლომა ტურციხის საირიგაციო არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

10.1.15 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 15)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- საანგარიშო პერიოდში გაცემულია 21 000 - ზე მეტი პოლისი, დაზღვეულია 18 000 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი და 150.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების მოსავალი.

10.1.16 ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 16)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, არასტანდარტული ვაშლის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებიც 2014 წლის 20 ნოემბრამდე 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლს შეისყიდოდა არანაკლებ 0,10 ლარად, სააგენტო

გაცემდა სუბსიდიას 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლზე - 0,08 ლარის ოდენობით. ჩაბარებულია 43 376 ტონა არასტანდარტული ვაშლი.

10.1.17 ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 17)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- ყურძნის შესყიდვის, გადამუშავებისა და თანმდევი ღონისძიებების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული თანხებიდან შპს „გრუზვინპრომის“ მიერ შესყიდული და გადამუშავებულია 40.3 მლნ კილოგრამი ყურძენი.

10.1.19 მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 19)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული არასტანდარტული მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, არასტანდარტული მანდარინის გადამამუშავებელ კომპანიები 1 კგ. არასტანდარტულ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდიდა, სააგენტო 1 კგ არასტანდარტულ მანდარინზე გაცემდა სუბსიდიას 0,10 ლარის ოდენობით. გადამამუშავებელი კომპანიების მიერ მიღებულია 9 973 ტონა არასტანდარტული მანდარინი.

10.2. სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 37 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“;

✓ სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“.

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგი, უფლებამოსილი პირების მიერ სათანადო წესით ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა, დოკუმენტური შემოწმება.
 - ✓ სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნეს ოპერატორთა ინსპექტირება.
 - ✓ ცხოველების თურქულის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია.
 - ✓ ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია.
 - ✓ ჯილეხის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია – წინა წლების ეპიზოოტიური სიტუაციისა და რისკის ანალიზის გათვალისწინებით დაავადების მანიფესტურ კერებში.
 - ✓ მსხვილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია.
 - ✓ ცოფის, ჯილეხის, ბრუცელოზის, პასტერელოზის, ემკარის, პიროპლაზმოზის დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევები.

- ✓ ჯილეხის და ცოფის დაავადებების კერებში შესაბამისი სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება, მათ შორის ამთვისებული ცხოველების ვაქცინაცია.
- ✓ ნოდურალური დერმატიტისა, ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაცია რისკის ზონებში.
- ✓ ფიტოსანიტარული მონიტორინგი საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების დადგენის მიზნით.
- ✓ საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.
- ✓ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი.
- ✓ ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალო დაწესებულებების სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგი.
- ✓ ცხოველთა დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, საკვები პროდუქტების და სასმელი წლის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების ექსპერტიზა.

10.3. მევენახეობა-მელვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 37 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“

- შესრულდა ვენახების აგეგმითი სამუშაოები რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში. განხორციელდა საინფორმაციო - საცნობარო ბაზის კომპიუტერული ვერსიის შერჩევა, შექმნა და დაინსტალირება ღვინის ეროვნული სააგენტოს სერვერებზე;
- განხორციელდა მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის კომპანიებზე სუბსიდიის გაცემა, მათ მიერ მიღებულ 1 კგ რქაწითელზე - 0,35 ლარი, 1 კგ კახურ მწვანეზე - 0,35 ლარი და 1 კგ საფერავზე 0,15 ლარი;
- მოპოვებულ იქნა მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები - კერამიკა და ვაზის წიპწები (8 წიპწა). შეკრებილ იქნა მცენარეული წარმოშობის მასალა შემდგომი დათარიღებისათვის და ლაბორატორიული კვლევისათვის არქეობოტანიკასა და პალეობოტანიკაში. კვლევის შედეგად ერთ-ერთი თიხის ჭურჭელში დაფიქსირდა მტვრის მარცვლების არსებობა, რომელიც არის დადასტურება ყურძნის ღვინისათვის ამ ჭურჭლის შესაძლო გამოყენების შესახებ.
- ვაზის თანამედროვე გენოფონდის (ქართული ჯიშები და ველური ფორმები) დნმ-ით შესწავლის ფარგლებში გათვალისწინებული კვლევებისათვის საფრანგეთის აგრონომიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INRA) მონპელიეს ვაზის გენეტიკის ჯგუფის მკვლევართან ერთად განხორციელდა თანამედროვე ჯიშებისა და ველური ვაზის მასალის შეგროვება და მათი შესწავლის დაწყება მიკროსატელიტური მარკერების (SSR) საშუალებით. ველური ვაზის ნიმუშების შეგროვება განხორციელდა ამ მიზნით დაგეგმილი ექსპედიციური კვლევების შედეგად საქართველოს რეგიონებში. კოპენჰაგენის (დანია) GeoGenetics ლაბორატორიის ხელმძღვანელთან მიღწეულია შეთანხმება არქეოლოგიური წიპწების დნმ ანალიზის ჩატარების შესახებ მათი რადიოკარბონატული დათარიღების შემდეგ.
- ქართული ღვინის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ლაბორატორიული კვლევის ჩასატარებლად პროგრამის ფარგლებში შექმნილი იქნა ლაბორატორიული მოწყობილობა. ხელშეკრულებები გაფორმებულ იქნა 4 ლაბორატორიასთან, ღვინისა და სპირტიანი სასმელების

ლაბორატორიული კვლევების ჩასატარებლად, შეიქმნა ღვინის ხარისხის კონტროლის, ანგარიშგებისა და სერტიფიცირების ერთიანი ელექტრონული პროგრამა, რაც პროდუქციის მოძრაობისა და ნაშთებზე ეფექტური კონტროლის განხორციელების გარანტიაა.

11. სასამართლო სისტემა

11.1. საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 09 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

- დასრულდა მართლმსაჯულების სახლის სამშენებლო სამუშაოები;
- ჩატარდა 36 სასამართლოს შენობის სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, ბათუმის, ფოთის, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში. ასევე, ზესტაფონის, გორის, ხაშურის, ბოლნისის, ზუგდიდის, სენაკის, ახალქალაქის, ხელვაჩაურის, ამბროლაურისა და ცაგერის რაიონულ, წყალტუბოს, ბაღდათის, ტყიბულის, ჭიათურის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ხულოს, ქედის, შუახევის, კასპის, ქარელის, ონის, ლენტეხის, ნინოწმინდის, ადიგენის, აბაშის, ჩხოროწყუს, ხობისა და საგარეჯოს მაგისტრატ სასამართლოებში;
- დამონტაჟდა ხმის ჩამწერი აპარატურა 28 მაგისტრატი სასამართლოს სხდომათა დარბაზში;
- შეძენილი და დამონტაჟებული იქნა ვიდეოსაკონფერენციო აპარატურა 4 რაიონულ სასამართლოში;
- შეძენილ იქნა რესურსების მართვის სისტემის პროგრამული პაკეტის შეძენა;
- 63 ნაფიცი მსაჯული უზრუნველყოფილ იქნა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;
- სასამართლო სისტემის რეფორმისა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა სიახლეების გაშუქებისა და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით განხორციელდა საგაზეთო ჩანართების მომზადება. განხორციელდა იმერეთისა და აჭარის რეგიონის მოსახლეობის ინფორმირება სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და რეგიონალური სასამართლოების შესახებ; ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და ტელეეთერში გადაიცა სატელევიზიო გადაცემები; დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (პროგრამული კოდი 10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

- გაიმართა სამუშაო შეხვედრები და სემინარები, შემუშავდა პროექტი მოსამართლეთა სოციალური გარანტიების სრულყოფის მიზნით;

- ჩატარდა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდები, 203 კანდიდატიდან 61 წარმატებით ჩააბარა.

12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

12.1. დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

- მავნებელი მწერების რიცხოვნობის და არეალის შესამცირებლად ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, რისთვისაც შეძენილ იქნა ქიმიური საშუალებები და მწერსაჭერები, სხვადასხვა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. მათ შორის: 1000 ცალი მწერსაჭერი, 3300 ცალი ტომოვიტი, 275 ცალი იფსოვიტი, 150 ცალი აკუვიტი, 4 ცალი მოტოპომპა შესაბამისი აქსესუარებით, 6 ცალი სახანძრო ავზი და 203 ცალი სხვადასხვა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- განხორციელდა პროექტი „მწვანე არდადეგები“, რომლის ფარგლებში სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა გაეცნო დაცული ტერიტორიების სპეციფიკას გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით; 2 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო მედია და ფოტო ტურები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40 ჟურნალისტმა;
- დასრულდა ოკაცეს კანიონის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, გაიხსნა ვიზიტორთა ცენტრი და კანიონი მასპინძლობს ვიზიტორებს;
- შეძენილ იქნა საველე აღჭურვილობა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთვის. დასრულდა სასაზღვრო პოლიციის მიერ გადმოცემული კომპიუტერული რეაბილიტაცია, დამხმარე ზონის 7 სოფელში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ტურისტული ბილიკების მარკირება. დაიბეჭდა ჯავახეთის ეროვნული პარკის გზამკვლევი, შემუშავდა ჯავახეთის ეროვნული პარკის აპლიკაცია. დასრულდა მეფუტკრეობისა და ეკოტურიზმის განვითარების პროექტები, ასევე ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრისა და მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ჩატარდა პროგრამით გათვალისწინებული ტრენინგები, დასრულდა ტრანსსასაზღვრო მონიტორინგის გეგმის შემუშავება და საგამოფენო დარბაზის მოწყობა; გამოიცა ტურისტული ბროშურები;
- განხორციელდა დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის მოწყობის ღონისძიებები. კერძოდ: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დაყენდა ჰელიოსისტემები, გარემონტდა 12 სარეინჯერო და ერთი ვიზიტორთა თავშესაფარი; შეძენილ იქნა დიამეტრმზომები ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის, მოეწყო საპიკნიკე/საკარვე ადგილი თუშეთის ეროვნულ პარკში, განხორციელდა თუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სპეროზას სარეინჯეროს და მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში არსებული ვიზიტორთა ცენტრის სარემონტო სამუშაოები;
- შეირჩა მრჩეველთა საბჭო ალგეთის, ყაზბეგის და კინტრიშის დაცული ტერიტორიებისათვის; შემუშავდა ადმინისტრაციებისა და ვიზიტორთა ცენტრების არქიტექტურული პროექტები; ყაზბეგის რაიონის სოფ. ყანობისა და კარკუჩას გადაეცა მოტობლოკები; მოეწყო ყაზბეგის რაიონის სკოლის მოსწავლეთათვის ეკო-სემინარი, გამარჯვებულთათვის მოეწყო ექსკურსია ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე; განხორციელდა 6 ერთეული პიკაპის ტიპის ავტომობილის შეძენა ალგეთის, ყაზბეგისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიებისათვის; ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარე 2 ოჯახს გადაეცა ჰელიოსისტემები;

- დაცულ ტერიტორიებზე არსებული ძირითადი სახეობების, მათ შორის „წითელ ნუსხაში“ შეტანილი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველთა და მცენარეთა რიცხოვნობისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სრულყოფა;
- ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ღონისძიებები;
- ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენის, განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღდგენისათვის და მის შესანარჩუნებლად;
- Cnf-ის მიერ გამოყოფილი მიზნობრივი გრანტის ფარგლებში განხორციელდა დაცული ტერიტორიების ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა დაზღვევა, ხოლო გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) პროექტის ფარგლებში შემუშავდა ეკოტურისტული პროდუქტები, კერძოდ:
 - ✓ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე სრულად აღიჭურვა და ოფიციალურად გაიხსნა ბუნების შემეცნებითი ბილიკი სასკოლო ჯგუფებისათვის, როჭოს ჩანჩქერისა და მაჭის ციხის ბილიკები. ბილიკებზე განთავსდა სპეციალური საინფორმაციო და მანიშნებელი ნიშნები, შემუშავდა შესაბამისი ბროშურები და რუკები;
 - ✓ თბილისის ეროვნულ პარკში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მოეწყო სამი სხვადასხვა სირთულის ველობილიკი. ველობილიკები პირველი პროდუქტია თბილისის ეროვნული პარკისათვის, რომელიც მიმდინარე წლის 29 ივნისს ოფიციალურად გაიხსნა;
 - ✓ ვაშლოვანის ეროვნულ პარკში მოეწყო ორი საინტერპრეტაციო გეოლოგიური ბილიკი, რომელიც პირველი თემატური გეოლოგიური ბილიკია საქართველოში;
 - ✓ მტირალას ეროვნულ პარკში პირველად საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო და განვითარდა სრულიად ახალი სათავგადასავლო აქტივობა - Zip line და კანიონინგი;
 - ✓ კოლხეთის ეროვნულ პარკში განვითარდა სანიჩბოსნო აქტივობა - Eco paddling, რაც გულისხმობს კაიაკებით მდინარე ფიჩორზე გადაადგილებას.

12.2. სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
- სრულყოფილ იქნა სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზა, კერძოდ, ტყითსარგებლობის წესი, გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის მეთოდიკა, ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემის დებულება, ხე-ტყის მოძრაობის წესი;
- გამოიყო სოციალური ტყეკაფები 666 836 მ³ ხე-ტყის მისაღებად. დაიწყო აქტიური მუშაობა ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების განსახორციელებლად. აქცია „მწვანე მომავალის“ ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით დაირგო 200 000-მდე ტყის ჯიშის ნერგი;
- შეიქმნა სახელმწიფო ტყის ფონდში აღდგენას დასაქვემდებარებელი ფართობების ერთიანი მონაცემთა ბაზა და ტყის აღდგენის 6 პროექტი ქვეყნის 5 რეგიონში, ტყის

დროებითი სანერგებისა და სწრაფმზარდი სახეობის (აკაცია) პლანტაციის გაშენების უზრუნველსაყოფად;

- ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელდა 17,5 ჰა ფართობზე, დარგული იქნა 44 000 სხვადასხვა სახეობის ნერგი;
- შეიქმნა ტექნიკური დავალება მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში და განხორციელდა მავნე მწერებისა და დაავადებების გამოვლენის, აღრიცხვისა და ბრძოლის ღონისძიებები; კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში მავნებელთან ბრძოლის მიზნით განთავსდა 4 969 მწერსაჭერი, შედეგად განადგურდა 5 მლნ-მდე მავნე მწერი.
- ახალი ტყეკაფების გამოყოფის მიზნით, განახლდა გასაყვანი და შესაკეთებელი გზების მაჩვენებლები; ხე-ტყის რესურსის ასათვისებლად დაპროექტდა და ექსპერტიზა ჩაუტარდა სატყეო-სამეურნეო გზებს 84.9კმ-ზე, მ.შ. მოეწყო სატყეო-სამეურნეო გზები 7 რეგიონში 57.1 კმ-ზე;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)-ის დაფინანსებით ჩატარდა ტრენინგი ტყისმცველთა შიდა რეზერვის ჩამოყალიბების მიზნით;
- თბილისის გარშემო დაზუსტდა მავნებელთან ბრძოლის ფართობები, შვეულმფრენის მეშვეობით დამუშავდა 2000 ჰა ფართობი მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. ფოთლის მღრღნელი მავნებლების (მზომელა) წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ბიოლოგიური პრეპარატი, რომლის ეფექტურობამ შეადგინა საშუალოდ 75%, რაც ბიოლოგიური პრეპარატის გამოყენების დროს საუკეთესო შედეგს წარმოადგენს;
- მომზადდა ბზის კორომების სატყეო პათოლოგიური გამოკვლევის ორგანიზების შესახებ ტექნიკური დავალება. განხორციელდა ბზის თესლის შეგროვება თესლის ბანკის შექმნის უზრუნველსაყოფად, დაიგეგმა ბზის აღდგენის ღონისძიებები;
- ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობებზე და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებულ-დასაწყობებული 779.1 მ³ მერქნული რესურსი გატანილ იქნა ელექტრონულ აუქციონზე სარეალიზაციოდ;
- სახელმწიფო ტყის ფონდის 156 ჰა მიწის ფართობზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭების შედეგად სხვადასხვა სატყეოებში სულ მოიჭრა 11.7 კუბური მეტრი სოჭისა და ფიჭვის მრგვალი ხე-ტყის და საშეშე მერქნული რესურსი;
- საკომუნიკაციო ანძის ტყის ფონდში განთავსების თაობაზე, მობილურ ოპერატორებთან გაფორმებულია სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის 31 ხელშეკრულება;
- დასრულდა 2013 წელს დაწყებული ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები 45.9 ათას ჰა ფართობზე, ხოლო ხარაგაულის სატყეო უბნის ინვენტარიზაციის საველე და კამერალური სამუშაოები - 46.7 ათას ჰა ფართობზე;
- განისაზღვრა განსახორციელებელი ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების სახეები, მოცულობები და ადგილმდებარეობები - ქვეყნის მასშტაბით. კერძოდ: დაზუსტდა მოსაწყობი მინერალიზებული ზოლების ოდენობა (კმ-ში) სატყეო უბნების მიხედვით;
- დაზუსტდა საინფორმაციო დაფების განსათავსებელი ხანძარსაშიში ტერიტორიები, სატყეო უბნების მიხედვით;
- შემუშავდა ხანძარსაშიშ ადგილებში განსათავსებელი საინფორმაციო დაფების ნიმუში და განხორციელდა 500 ერთეული ნიმუშის შექმნა;
- დაზუსტდა იმ პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლმაქრი საშუალებებისა და შესაბამისი ინვენტარის ნუსხა, რომელიც ოპტიმალური იქნება პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებული ტყის ფონდის ტერიტორიებზე;

- განხორციელდა პირველადი ხელის იარაღების (1800 ერთეული თოხი, ბარი, ნიჩაბი) შეძენა და გადანაწილება 9 რეგიონალურ სატყეო სამსახურზე სატყეო უბნების მიხედვით.

12.3. გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

- მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივები, 2015 წლის რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმის პროექტი, ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, გარემოს დაბინძურების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე ორგანიზაციათა მომართვებზე, მოქალაქეთა საჩივრებზე და შეტყობინებებზე რეაგირების მიზნით ამოქმედდა „ცხელი ხაზი - 153“. სადაც სამართალდარღვევების შესახებ შემოვიდა 2163 ზარი. დაწესებულია 24-საათიანი პატრულირება „ცხელ წერტილებში“ (ხე-ტყის, თევზის, ნადირ-ფრინველის, წიაღისეულის მოპოვების ადგილებსა და მისასვლელ გზებთან);
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების შესწავლის მიზნით, მიმდინარეობდა რეგულირების ობიექტების - ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებული საწარმოების ინსპექტირება;
- საანგარიშო პეროდში შეძენილ იქნა ტექნიკური აღჭურვილობა: GPS ნავიგატორები სწრაფი რეაგირების ავტომატური სისტემებისთვის, სამკერდე კამერები, ფანრები სწრაფი რეაგირების ეკიპაჟებისათვის, სპეციალური ტანსაცმელი, GPS მოწყობილობა და GIS-პროგრამა ინსპექტორებისათვის, კარვები მეტყევე ინსპექტორებისათვის;
- გაიხსნა დეპარტამენტის აღმოსავლეთ ცენტრალური და ქვემო ქართლის სამსახურების ოფისები ქ. მცხეთასა და ქ. რუსთავში;
- განხორციელდა 116 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გეგმიური შემოწმება. ასევე, არაგეგმიური შემოწმებები მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების საფუძველზე. გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 9 797 ფაქტი. მ.შ: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 9 410 ფაქტი; სისხლის სამართლის ნიშნების – 387 ფაქტი, სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 4.3 მლნ ლარზე მეტი. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის მიყენებულმა ზიანის ოდენობამ - 397.0 მლნ ლარზე მეტი;
- ამოქმედდა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელების ინფორმირების ელექტრონული სისტემა;
- განხორციელდა ინსპექტორების გადამზადება. მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელოები ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხებზე, ნაგავსაყრელების ინსპექტირების შესახებ და სხვა.

12.4. გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

- გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფის მიზნით გაძლიერდა გარემოსდაცვითი კონტროლი; დაიხვეწა გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის, მომზადდა და მიღებულ იქნა ნარჩენების მართვის კოდექსი, შემუშავდა სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები ტყის რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით, ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციის მიზნით ჩატარდა არსებული ვითარების ანალიზი და განისაზღვრა გასატარებელი ღონისძიებები, განხორციელდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა დაცული იქნას ადამიანის კონსტიტუციური უფლება იცხოვროს ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში, ჩატარდა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების აღრიცხვა; მომზადდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, გაიცა 63 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის: ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება - 8, ჰიდროელექტროსადგურის განთავსება - 7, ასფალტის წარმოება - 6, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება - 5, მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა - 5, ცემენტის წარმოება - 4, ხიდის აგება - 4, საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა - 4, ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა -3, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსება - 3, ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების საცავის მოწყობა - 2, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა - 2, რკინიგზის მშენებლობა -2, წყალსაცავის მოწყობა -1; გაჯის წარმოება - 1; გვირაბის აგება - 1; მინის წარმოება - 2; მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება - 1; ქიმიური მრეწველობა - 1; თბოელექტროსადგურის განთავსება - 1.

12.5. გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით დასრულდა მუშაობა ცენტრის ვებგვერდის სტრუქტურაზე; მოხდა გარემოსდაცვითი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება; დაიწყო მუშაობა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნაზე; დასრულდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ბაზის განახლება; მომზადებულია მდინარე ყვირილასა და მდინარე კაზრეთულას ანალიზური რუკები, ჰაერის ერთჯერადი ინდიკატორული გაზომვის შედეგების ამსახველი რუკები; შეიქმნა დამაბინძურებელი ნივთიერებების გარემოში გავრცელებისა და გადატანის რუკის მატრიცა. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა სამოქმედო გეგმა. კომპანიის „ნუ დატოვებ ნარჩენებს - იზრუნე გარემოზე“ ფარგლებში მომზადდა სეზონური რჩევები და რეკომენდაციები. შემუშავდა გარემოსდაცვითი განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - 2014-2017 წწ; სტუდენტებისთვის შემუშავდა ტრენინგ მოდული - „ადამიანის ეკოლოგიური უფლებები“; გაიმართა გარემოსდაცვითი კამპანიები „დედამიწის საათი“ „ბაღის ფრინველთა საათი“;
- დონორების მიერ დაფინანსებული მიზნობრივი გრანტების ფარგლებში სტუდენტებისთვის შემუშავდა ტრენინგ მოდული - „ადამიანის ეკოლოგიური უფლებები“; საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლის მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის ჩატარდა სემინარები გარემოსდაცვით

თემებზე: ორჰუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, ნარჩენების მართვა. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 63 სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის 123-მა სტუდენტმა, 1850-მა მოსწავლემ, 155-მა პედაგოგმა, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 133-მა წარმომადგენელმა. ტრენინგი გაიარა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სხვადასხვა უწყების 270-მდე თანამშრომელმა.

12.6. სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა

- დასკოლებულ ნერგებსა და ნათესებს ჩაუტარდა მოვლითი ღონისძიებები, კონტინენტული მეთოდით დაითესა ტყის ჯიშები: ღია გრუნტში დაითესა სარკმლის ხე, კავკასიური აკაკი, ქართული ნუში და აკაცია; დასკოლდა და დაკალმდა აღმოსავლეთის ნაძვი, მარადმწვანე კვიპაროსი, უთხოვარი და ბზა; აქცია „მწვანე მომავლის“ ფარგლებში, გაიცა 250,7 ათასი ცალი ნერგი.

12.7. გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (პროგრამული კოდი 38 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

- საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებსა და საგუმაგოებზე დღე-ღამურ რეჟიმში ტარდებოდა დაკვირვებები; საქართველოს მდინარეების ზემო წელში ჩატარდა თოვლის საფარის აგეგმვის სამუშაოები; ხორციელდებოდა დაკვირვების მონაცემების შეკრება და გავრცელება, სინოპტიკური პროდუქციის მიღება და ანალიზი; ყოველდღიურად მზადდებოდა და ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის და ჰიდროლოგიური მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი საერთო დანიშნულების და სპეციალიზირებული პროგნოზები; კობი-გუდაურის და მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მონაკვეთზე რეგულარულად მზადდებოდა და მომხმარებელს მიეწოდებოდა სპეციალიზირებული პროგნოზები და გაფრთხილებები ამ გზის გასწვრივ მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ; დევდორაკის გლაციალური ღვარცოფის მოვარდნასთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, იზომებოდა მდინარეების თერგისა და ჩხერის დონეები და ხარჯები, გაიზომა თერგის შეგუბების შედეგად წარმოშობილი ტბის მოცულობა, გამოკვლეულ იქნა დევდორაკი-ამალოს კალაპოტი; დაინერგა მრავალწლიურ მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ მონაცემთა დამუშავების თანამედროვე პროგრამული საშუალებები; დასრულდა 40 ერთეული ავტომატური მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სადგურისა და საგუმაგოს სამონიტორინგო-გასამართი სამუშაოები; ჰაერის ხარისხის მონიტორინგი წარმოებდა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ზესტაფონსა და ბათუმში; რეგულარულად წარმოებდა საქართველოს მდინარეებისა და ტბების დაბინძურების, 15 მეტეოროლოგიური სადგურიდან რადიაციული ფონის, ატმოსფერული ჰაერის და ნალექების, ნიადაგის მძიმე ლითონების კონცენტრაციებით დაბინძურების მონიტორინგი; მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ტარდებოდა

ელექტრო მაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივისა და ხმაურის მონაცემების გაზომვები; თბილისში, ახალციხესა და ქობულეთში დამონტაჟდა ატმოსფერულ ჰაერში რადიოაქტიური აეროზოლების მონიტორინგის ავტომატური სისტემები (ASU-HV120-0); მომზადდა და გამოიცა „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 2013 წლის წელიწდეული“, „ნიადაგის დაბინძურების 2013 წლის წელიწდეული“, “ზედაპირული წყლის დაბინძურების 2013 წლის წელიწდეული“ და სხვა ბროშურები და საინფორმაციო ბიულეტენები; საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასების მიზნით, ტარდებოდა გეომონიტორინგი ქვეყნის 10 რეგიონში; სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან მომართვის საფუძველზე, მომზადდა ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები; განხორციელდა მიწისქვეშა მტკნარი წყლის არსებული ჭაბურღილებისა და წყაროების ინვენტარიზაცია და მდგომარეობის შეფასება; მომზადდა ნაპირსამაგრი ნაგებობების სამშენებლო მოედნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ანგარიშები; რეგულარულად ხორციელდებოდა მონაცემთა ბაზების რეგულარული განახლება, განხორციელდა წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდში დაცულ გეოლოგიურ ანგარიშებზე თნდართული გრაფიკული მასალის სკანირება და ფაილ-სერვერზე განთავსება; დაინერგა ვირტუალიზაციის სისტემა VMware vSphere Hypervisor (ESXi 5.5), GPS Control სისტემა, შეიქმნა სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფა, წყლის, ჰაერის, რადიაციის პარამეტრების ავტომატური გამოთვლსათვის; მომზადდა გეოსაინფორმაციო პაკეტები ობიექტებზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიისათვის.

- სხვადასხვა დონორების დახმარებით: ამბროლაურის, ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტებისთვის მომზადდა მდ. რიონის აუზში წყალდიდობა-წყალმოვარდნების ნაპირდაცვითი პროექტები, ზემო სვანეთის რეგიონში წყალდიდობა-წყალმოვარდნების რისკების რუკების მოსამზადებლად დადგენილ იქნა ტოპოგრაფიული და ჰიდროლოგიური მახასიათებლები; მარნეულის საპროექტო ნაგავსაყრელი პოლიგონის ტერიტორიაზე განხორციელდა სავლე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები და მომზადდა გეოლოგიური ანგარიშები; მდ. რიონის აუზის 3 მსხვილ მეწყერულ სხეულზე დამონტაჟდა თანამედროვე გეოლოგიური აპარატურა, რომელიც უწყვეტ რეჟიმში იძლევა ინფორმაციას მეწყერების დინამიკის შესახებ; მდ. კაბალსა და დურუჯზე დამონტაჟდა ადრეული შეტყობინების სისტემა;